

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით


ფასი 1,50 ლარი

22 დეკემბერი 2006

№26



რეზო ინანიშვილის საიუბილეოდ
ღია სტურუას ახალი ლექსები
საბრალო, საბრალო ჰამლეტ!
სტაინბეკის დეტექტივი
უაზრო საქციელები
რა არის აღმოსავლეთი
ხალიჩების მზითვევი წნორიდან



შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	გროტესკული ფერხული
ერი და გეოგრაფია	8	ადიბ ისჰაკი რა არის აღმოსავლეთი?!
ახალგაზრდაგო, ან კი თქვენ	10	თათია ჯგუშია „ნოა“ და მისი კიდობანი
პროზა	12	თემო ჯაფარიძე უაზრო საქციელები
პოეზია	22	ლია სტურუა ადამიანის ხმა და სხვა ლექსები
ანონსი	25	ელოდეთ რილკეს ხუთტომეულს
ალიონიდან ალიონამდე	26	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრანოდ
დაუნიწყარი სხეულები	31	ლალი ავალიანი რეზო ინანიშვილის „გრძელი გულუბრყვილოვა“
	35	ცისანა კვინტრადე-გოძიაშვილი როგორ გვიყვარდა ერთმანეთი
ქრიტიკა	37	დავით ჩიხლაძე ირმა ტაველიძის სამწერლო ინოვაციისთვის უახლეს ქართულ ლიტერატურაში
დოკუმენტური პროზა	40	ელგუჯა თავბერიძე აირევი ივერია
აინტოლე	47	მაია ვარამაშვილი ხალიჩაბის მზითევი (სილნალიდან... პარიზში)
ფაქტობი	48	ჯონ სტაინბეკი მკვლელობა
რეპორტაჟი	54	ეკა ბუჯიაშვილი ოი, საბრალო, საბრალო ჰამლეტ! (ზურაბ კანდელაკის რადიოსპექტაკლი)
უხსოური ნოველა	56	გოფრედო პარიზე ორი ნოველა
ნაკვეთი	61	მასვილსნიტყვოვის ნიმუშები
მოზაიკა	63	როგორ დაიბადა ფილმი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეგი“
საბეჭდო, თბილისი, სარაქიშვილის 17
ატელფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ვენეციური საღამო

თემო ჯაფარიძე

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 5 იანვარს

ბროტისკული ფერხული

ძალიან მჯერა მოულოდნელად გადმოსროლილი იდეების.

ამ მხრივ გამონაკლისი ნამდვილად ვერ ვიქნები.

ხან იქნებ თავსაც აკლავდე ახალი, განსხვავებული თემის მოძებნას და ბევრიც ვერაფერი შეგრჩეს ხელთ, შენთვისვე აუხსნელად წამოცდენილმა აზრმა კი ორიგინალური და მახვილგონივრული სამყარო გაპოვნინოს, სულაც თემებდახუნძილული.

ამჯერად სწორედ ასე მოხდება.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადამეკითხა ეს პანია ანთოლოგია – ლევან ბრეგაძის მიერ ქართულად გარდათქმული უცხოური ეპიგრამები რუსთველური სახელწოდებით „სააშვიკოდ, სალალობოდ“ – და რა თვალსაზრისი არ გამჩენია, მაგრამ ამგვარი არაფერი, ნეტა რა იქნება თვითეული ეპიგრამის სათაური რომ შეიცვალოს და ზოგად სახელწოდებათა მაგივრად ქართველ მწერალთა გვარ-სახელები მოერგოს-მეთქი.

გუნებაში იქნებ კიდევ ჩნდებოდა ცალკეული ლანდები, მაგრამ ისე მკაფიოდ არ გამოკვეთილიყო ეს სურვილი, როგორც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამომიყალიბდებოდა, როდესაც ჩემს სიტყვაში ეს იდეა ასე უეცრად, წინასწარმოუმზადებლად გაიელვებდა.

ბოლოსდაბოლოს, პოსტმოდერნულმა მიმდინარეობამ ისე შეგვაჩვია უხვ ციტატებსა და აპლიკაციებს, ვარიაციებსა და ისეთ მხატვრულ ინტერპრეტაციებს, როდესაც ველარც გაგირკვევია, მხატვრულ ქმნილებას ეცნობი თუ მის კრიტიკულ-ესთეტიკურ ანალიზს, რა იქნება ამ მეთოდს მეც მივმართო, ჩავეზიარო ლევან ბრეგაძეს და... სათაურების შეცვლით უცხოელ მწერლებს – ამ ჟანრის დამფუძნებლიდან, მარკუს ვალერიუს მარციალისიდან მოყოლებული – თანაავტორად გავუხვდი.

სახელწოდებათა ჩანაცვლება თქვენ რა, საქმის გაიოლება გგონიათ?

აბა, მოსინჯეთ თქვენც, ძვირფასო სკეპტიკოსებო, ეს მხატვრული ხერხი და თქვენებური სახელწოდებანი მიუსადაგეთ ეპიგრამისტულ თხზულებებს, თანაც ერთი და ორი კი არა, მთელი გალერეა შექმენით თუნდ ქართველი მწერლების, თუნდ სხვა ხელობის ადამიანების, დანყებული ჟურნალისტებითა და პოლიტიკოსებით და დამთავრებული იმ ახალი, კომიკურ-ამორფული პროფესიით, რომელსაც თვალსადახელშეა „ცნობადი სახეები“ შერქმევია და ცალკე კასტადაც გამოცალკევდებოდა, წამდაუნუმ – და ხან სავალალოდაც – რომ არ იცვლებოდეს მათი სპექტრი (მოლდური გამოთქმისა არ იყოს).

საავტორო უფლებათა ნაწილი შეიძლება – რატომაც არ შეიძლება – დაფუტოვოთ ლევან ბრეგაძეს, თუმცა... დიდ აუცილებლობასაც ვერ ვხედავ.

მარჯვედ შერჩეული სათაური, მოგეხსენებათ, ნახევარი ნაწარმოებია, ნახევარიც ის მოსალოდნელი რისხვა იქნება, რაც სახელწოდებათა შემცვლელს დაატყდება თავს და... ლევან ბრეგაძეს რალა უნდა დარჩეს, აღარ ვიცი.

ასე რომ, სულ არარაობას, საავტორო უფლებათა ნაწილი იკმაროს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენს დარღვეულ სინამდვილეს რა ვუთხრა, თორემ სამრისხანო და გასაგულისებელი არც არაფერი უნდა იყოს. მეგობრული შეხუმრება, გროტესკული მონახაზი, თუნდ ალაგ-ალაგ გამორეული სატირული შტრიხები სანყენად არავის უნდა დაურჩეს და წრფელი განზრახვა ისეც უნდა მიიღონ ჩვენმა პერსონაჟებმა, როგორც სალალობო, მართლაც „ამხანაგთა სათრეველ“ გარემოს შეჰფერის.

კიდევ უნდა გაეხარდეთ, რომ მათი პერსონა არ გამოჰპარვია მკითხველთა თვალთახედვას და იუმორისტულ პანთეონშიც უკვე განადგებული აქვთ საუკუნო სიცოცხლე.

ისე გულჩვილობას რა ვუთხრა, თორემ ზოგიერთ შემთხვევაში მწერლის ტიტული არც შეიძლება მეზომებინა ამა თუ იმ ტელემწერლისთვის, გამოცდილი რეპეტიტორისა და ბერნი ლიტერატორისათვის, ყაყიტას ქურდისთვის, ლიტერატურული ფლუგერისათვის, რედაქტორისათვის, ვისაც ორი საცოდავი სტრიქონიც ვერ დაუნერია და ნაკლებ მოსალოდნელია, ამიერიდან მაინც გაეხსნას გონება, წვრილფეხა ჟურნალისტი ქალისათვის... ბოლო ნუთამდე კიდევ ვყოყმანობდი, მაგრამ მათი აჩრდილები ისე იხვეწებოდნენ, ამ დიდებულ გარემოს ნუ ამოგვაკლებო, მათ გულმხურვალე ვედრებას ველარც გავუძელი და ახლა არხეინად გამოჭიმულან იმ ადამიანთა გვერდით, რომელთაც გაცილებით უფრო დაშვენდათ მკითხველისათვის სიცილის მოგვრის აღმატებული და სახელოვანი მისია.

არადა, სავედრებელი ნამდვილად ჰქონდათ.

როგორ გინდა გამოაკლდე ამ დიდებულ კარნავალს, სიტყვის ოსტატთა და დიდოსტატთა მიერ წარმოსახულ სამყაროს თავისი ათასფერადი სხივითა თუ ნიუანსით, როგორ გინდა არ ირწმუნო, რომ ნუთისოფლის ბრუნვა-ტრიალში შენც ვილაცას ჩანაცვლებიხარ და შენს შესახებ უკვე კარგად იცოდნენ ძველ რომშიც, განმანათლებლობის ჟამის ევროპაშიც, ქარიშხლისა და შეტევის ეპოქაშიც, უფრო აქეთ და აქეთაც... მარად მსუფვევად გამოიყურები კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივობაში და დღესდღეობით საქართველოს ამ გვარ-სახელითაც მოვლენიხარ.

და სიამაყის კანონიერმა შეგრძნებამ აღარ უნდა დაგანებოს, დაუფიქრებლად აპყვე ბნელ ინსტინქტებს, წყენა დაიმჩნიო და უღრმესი პატივისცემა უღრმეს პატივისცემად არ მიითვალო. სხვა თუ არაფერი, განზოგადებული სახე-სიმბოლომდე აღარაფერი გიკლია, თანაც ისეთ ჩინებულ პოეტურ სამოსელში გამოწყობილხარ, მთელი ცხოვრება სანატრელი რომ გქონდა, თუმცა მკაფიოდ ვერ აცნობიერებდი, ასეთი ჟინით რას მიეღტვოდი.

მოსალოდნელი რისხვა, ცხადია, ხუმრობით ვახსენე.

მას შემდეგ, რაც ამ პოეტურ რკალის პერსონაჟებს ამ სივრცეში მოხვედრის მთელი მშვენიერება გადაუშალე თვალწინ, უკვე ნაკლებ მოსალოდნელია რაიმე სხვა გან-

ცდა გაუჩნდეთ, გარდა თავმომწონეობის და სიამოვნებისა, და ამიტომაც ჩემს ადგილას მხოლოდ სულსწრაფი კალმოსანი დაესხებოდა ილია ჭავჭავაძის განთქმული ეპიგრამული ციკლის („გამოცანები“) ამ ფრთიან სტრიქონებს: ვით თქვენ ქვეყანა, მე წყენა თქვენი ფეხებზე მკიდიანო.

ირონიასა თუ სარკაზმს ყველგან მაინც იუმორი ჭარბობს და ეს იუმორია, ასე რომ აკეთილშობილებს ჩვენი გმირების ზოგიერთ არცთუ სასახელო თვისებას, აგლუვებს წამახულ ნახნაგებს, აფერადებს, აუწყინარებს...

მოსალოდნელია, უამრავი ადამიანი იმან განანწყენოს, ჩვენ რატომ არ მოვხვდით ამ ლალსა და დიდებულ ფერხულში, განა სხვებზე ნაკლებ დაგვემშვენებოდა გროტესკულ კარნავალში მონაწილეობაო? ყოველი ასე-

ავგიასის თავლის დამგველის ეპიგრამაში კი მკითხველს ნუ შეაცბუნებს ჰერკულესის ნაცვლად აქილევსის ხსენება. უმცროსკლასელთა ყველა სახელმძღვანელოსა და ეპიგრამის ორიგინალურ ტექსტშიც ეს დიდი და განუმეორებელი ღვანლი ჰერკულესს მიენერება, მაგრამ ჩვენი ეპიგრამის გმირს ამ ღვანლის აღმსრულებელი აქილევსი ჰგონია და მხოლოდ მისი ხათრით გავბედეთ ასეთი უხეში ჩარევა ტექსტში. ოღონდ მკითხველმა ისიც გაითვალისწინოს, იქ „ნაგავი“ რომ არის ნახსენები, ლუდვიგ ფულდა თვითონ პერსონაჟს გულისხმობს, მის პიროვნულ ხასიათს, ჩვენ კი ვიგულისხმობთ იმ გაზეთის არაერთი ფურცელი და ზოგჯერ მთელი ნომრებიც, ჩვენი გმირი რომ ჩადგომია სათავეში უკვე რამდენი წელია.

ერთ-ერთ ნიმუშში ასეთ მიმართვას რომ ამოიკით-



მხატვარი ანატოლი კუდრიავცევი

თი გამოხმაურების შემდეგ, ვატყობ, სასაყვედურო გამიჩნდება ლევან ბრეგაძესთან – რა იყო, ეს მცირე ანთოლოგია რომ გვაკმარა და, ვინ იცის, რამდენი საუკეთესო სატირულ-იუმორისტული მინიატურა დარჩა ქართული სამოსელის გარეშე. ცოტა მეტად რომ გარჯილიყო, მაშინ ხომ მეც მეტი ასპარეზი მექნებოდა და განანწყენებულთა ლაშქარსაც ოდნავ მაინც შევათხელებდი.

ვალად დაგვრჩეს, ჯერჯერობით სხვა რა ვიღონო, ამ გულწრფელი მოზოდიშების გარდა.

ჩემს ადგილას მხოლოდ სულსწრაფი კალმოსანი დაესხებოდაო...

ორიოდე შენიშვნის დართვა კი აუცილებელია:

დრამის მკეთებლისადმი მიძღვნილ ეპიგრამაში პერსონაჟი მთლად საკუთარ თავზე ნუ მიიღებს ორიგინალისეულ მძაფრ გამოთქმებს – „უნიჭო, თანაც უტყინოო“ – და ყურადღებით ჩაუკვირდეს მომდევნო ორი სტრიქონის ლალ იუმორს, მეგობრული შარჟის ჩარჩოებს რომ არა სცილდება.

ხავთ – „ჩემო ზაალ“, ნუ იფიქრებთ, რომ ეს ჩემი ჩარევით მოხდა. ლესინგის გერმანულ ორიგინალსა და, შესატყვისად, ლევან ბრეგაძის თარგმანშიც ზუსტად ასევეა. ეგაა, ჩემს ვერსიაში „ზაალ“ გულისხმობს ქართულ სახელს, გერმანულად კი – გვარს: სამხარეო ინსპექტორს ლაიფციგში, ლესინგის მეგობარს – იუსტუს ჰაინრიხ ზაალს.

კარნავალი გრძელდება, გრძელდება თავდაყვეტილი მზიარულება, ოღონდ გულდამშვიდებულნი არ უნდა იყვნენ – ისე მოინევენ ახალი პერსონაჟები, ახალ-ახალი ნიღბები ამ ფერხულში ჩასაბმელად, ვაითუ ზოგიერთი გმირი გამოაძევეთ კიდეც იქიდან და თვითონ ჩაენაცვლონ წუთისოფლის კანონზომიერების თანახმად.

ზოგიერთ შემთხვევაში იქნებ გულიც მეთანაღრებოდეს პერსონაჟთა შერჩევასას, მაგრამ ჯერჯერობით იყოს, რაც არის, ეს მაინც პირველი მოსინჯვაა და სრულყოფილება არ უნდა მოვთხოვოთ, რედაქციული ჩარევა კი ყოველთვის შეიძლება, მითუფრო – ეს კარნავალური სურათები ნიგნად როდესაც გამზადდება.

ანზორ სალუქვაძე – რატი აბაღლოძეს

მე მაგ ლექსში, ჩემო რატი, ჩემი ლექსი შევიცანი, მაგრამ ისე ცუდად ამბობ, ამავე დროს შენიც არი.

თეიმურაზ დონაშვილი – მიხეილ ქურდიანს

წვეთს არ ვსვამო, – ხელს აფარებ სასმისს. ვატყობ, ბოცა სულ ტყუილად გავხსენი. მაგისტანა მონა მყავდეს, – მესმის! ძმაცაცი კი... აბა რა მოგახსენო!

ნოდარ ბრიგადაშვილს

დღესაც იცბედე რამდენი! სმენა წაიღე ყურთა! ვიცი, რა ჩიტიც ბრძანდები: არ გაჩუმდები მუქთად.

ნაირა ბელაშვილი

ხალხი კითხულობს წიგნებს ჩემსას, მოსწონთ, ეძებენ. „რა ნახეს მათში?“ – უკვირთ მგოსნებს, თავგზააჩულო. რაც უნდათ, ის თქვან! მე კი მიჯობს, ჩემი კერძები გულს უხარებდეს უფრო სტუმრებს, ვიდრე მზარეულთ.

ჯანსუღ ჩარკვიანის დაჩივლება

დროების უკუღმართობამ მომჭირნეობა დაბადა: ქორწილს და ბავშვის ნათლობას ერთად უძღვება თამადა.

სკანსისი და სტონციში გურამ დონაშვილისა

სიბრძნე სიმდიდრეს ვერ მოგიტანს, – ბრძენკაცმა ბრძანა, – მაგრამ გიბოძებს სიღარიბის გაძღების ძალას.

ნაკვთი ჯემალ აჯიანის სილუატი

„გავრბივარ, რათა კიდევ ბევრჯერ ვიომო მერმისს!“ – თქვა გაქცევისას მამაცთაგან უმამაცესმა. ნამდვილი აზრი ამ ქადილის მე ასე მესმის: გავრბივარ, რათა კიდევ ბევრჯერ შეეძლო... ათესვა.

ოდეს გიორგი ლოქანიძის თავს დაახსნან

თავს ნუ ჩაიგდებ, ქურდო, ცუდ დღეში! არ დაემგვანო, ძველო, არიფებს: მაგ კაი კაცის ჯიბე-უბეში ერთგულ დარაჯად დგას... სიღარიბე.

თვითგამოცხადებულ რჩეულ ინტელიგენციას

ის ემართება სასწორსაც, რაც ჩვენს ბნელიტას სჭირს: მსუბუქი მაღლა მიიწევს, მძიმე ეშვება ძირს.

შტრიხები გოჩა პერიას ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის

პირს უკან მათახავ? მერე რა! მაგით ჩემს პრესტიჟს განა ვნებ! პირში რომ მაქებ, ამას კი სამაგალითოდ განანებ!

დათო მაღრაქა – ზაალ სამადაშვილს

მე მსაჯულს, შენზე პატიოსანს, ვერსად ვპოვებდი, გაქვს გემოვნებაც, ჩემო ზაალ, იხარე დიდხანს! ვის ძალუძს, შენებრ გულწრფელად და პირდაპირ მითხრას, რომ უკეთესი ძმაცაცი ვარ, ვიდრე პოეტი!

სურათები ნუგზარ შათაიძის მოღვაწეობიდან გამომცემლობა-რედაქციებში

ჭამაში მარჯვე, ისე დადიხარ, რომ ლამის წელში წყდები. მოდი, ფეხებით ჭამე, შვილოსა, ხოლო იარე ყბებით.

მნარე დაჩივლება ზურაბ კიკნაძის მეთამორფოზისა გამომ

ზურაბს ვკადრე: „დიდად ვწუხვარ, კაცო, თურმე რამდენს სძულხარ“. „განა მე კი მიყვარს ვინმე?“ – არხეინად მიპასუხა.

ჯემალ რატიანს

შემომხვდები და ტყუილებს სეტყვასავით დამიშენ; ნე ეცდები, რომ სიცრუით ამიროო დავთარი. ერთადერთხელ მოახერხე მოტყუება ჩემი შენ, როცა, რაღაც სასწაულით, ძლივს წამოგცდა მართალი.

გიორგი მელიქიშვილი – გურამ ყორანაშვილს

კვლავ ნერ ჩემზე ფელეტონებს? ეჰ, მომგვარო ლამის თვლემა. რასაც არვინ არ კითხულობს, დაწერილად არ ითვლება.

გვანცა კოპლატაქისა და მისტანათ

საუკეთესოდ იყენებს უქმად სახარჯავ დროს, ვინც გულმხურვალედ ლოცულობს მოცალეობის ჟამს. ძალიან ცუდად იყენებს საუკეთესო დროს, ვინც გულმხურვალედ ლოცულობს, როდესაც შრომა ხამს.

თამაზ კვაჭანტირაძის რამდენიმე წლის წინანდელ ფართი-ფურთხად

ეს კაცი მიღრენს და მიღრჭენს კბილებს – დაჟანგულ მარწუხებს.
იცის, ვინა ვარ? რომ ვკითხო, ნეტავი რას მიპასუხებს!
არ მიცნობს, ნაძღვეს ჩამოვალ, თორემ რას მერჩის აბა მე!.....
რას იზამ! მისი ძმობილიც, რომელსაც ჯაჭვით აბამენ, ხომ ვიცით, ასე იქცევა – ვისაც არ იცნობს, მას უყუფს!
თავის გულს შემოასკდება, ნეტავი მე რა მანუხებს.

ვაჟა მთარაშვილის აღსარება

თუკი ეს წიგნი არ მოგეწონოს და მიმართვალ ცნობილ ავციებს, იმისთვის მაინც მითხარ მაღლობა, რაც დავნერე და მერმე დავხიე.

სოფიო თოდუას

აბრეშუმის კაბით თავი მოგაქვს? მახლას!
აბრეშუმით მოსილს გავებედავ და გკადრებ:
მაგ აბრეშუმს მატლი ატარებდა ადრე და ატარებს მატლი მაგ აბრეშუმს ახლაც.

იპოლიტა ვართაგავა – შალვა რადიანჯელ

„ჩვენ ვიკვლიეთ... შევისწავლეთ საკითხები“...
„ჩვენ“-ო, ამბობს და სწორადაც ამბობს:
გადახედეთ მის ნაშრომებს დაკვირვებით – იქ საკუთარს ნაპარავი ჭარბობს.

ლავა გულაქის

„ხალხს მოსწონს ჩემი პიესა, ნახეთ, ერთიც არ მისტივინეს!“ –
ზეიმობს დრამის მწვანელები, უნიჭო, თანაც უტივინო:
მაყურებელი რაკი დუმს, თურმე ქებაა მისთვის ეს!
მაგრამ როდესაც ამთქნარებ, როგორღა უნდა უსტივინო?!

ბაჩანა ბრეგვაძის რჩევანიღან

ვინაც გართობა არჩია გარჯას,
რა ვქნა, იმისი საშველი არ ჩანს;
ვინც თავის თავი ვერ დაიმონა,
ის სამუდამოდ სხვის მონად დარჩა.

ბაკა ჯონსაძე

მე რომ თქვენსას მოვედი, ჩემი დარდი გაგანდეთ,
მიმატოვეთ და ფლირტის სათამაშოდ გაქანდით.
როს გარდავთქვი ის დარდი ლექსად, მეტაფორებად,
ახლა თავს დამტრიალებთ, მივლით, მეამბოროებით.

როპერტ სტურუას მიერ დადგმული „ლამარას“ ხილვისას

ალარ უჩანს სპექტაკლს ბოლო... არ მთავრდება!
ოფლი მასხამს ხან ცხელი და ხან ცივი...
ვერ დავრჩები! ხანმოკლეა ეს ცხოვრება,
ხოლო თქვენი ხელოვნება – ხანგრძლივი.

ზვიად გამსახურდია – ჭაბუა ამირაჯიბს

შენა ხარ ანტიგუგული,
შენზეც შეთხზავენ არაკებს,
რადგან სხვის კვერცხებს იპარავ
და შენს ბუდეში ალაგებ.

ივანე ამირხანაშვილს

მტერი? – დგას და ჩვენს ძვირს ამბობს, თუმც
თვით არ სჯერა, რასაც ჩვენზე ბოდავს.
მეგობარი? – ყურს უგდებს და დუმს,
ფიქრობს: „კი ჰგავს ეს სიმართლეს, ცოტა!“

თამაზ ნიჟნიჰაძის მითოსური ხილვა

ავგეას თავლის ეს ვაჟკაცი აპირებს დაგვას,
ეტყობა, თავი აქილევის ჰგონია მაგას!
ბევრს იჭიმება, მაგრამ რა ვქნა, აქილევისს არ ჰგავს;
შედის თავლაში – ემატება ნაგავი ნაგავს.

კოტე ყუბანეიშვილს, ნიკო გომელაურს

უნმანურ ლექსის ოსტატია (ანუ მაგისტრი),
აილო ხელი რა ხანია მან ზრდილობაზე.
თურმე შეცდომით უკოცნია მუზას მაგისტრის
სულ სხვა ლოყაზე... ჰმ... ასე ვთქვათ, ანტილოყაზე.

მნარალი ჭვანიელაძის კუთოკს

შენ გულს გიკანრავს შავბნელი დარდი,
რადგან ვერ პოვე უეკლოდ ვარდი.
მე ეკლად უფრო ის მხვდება გულზე,
ამდენ უვარდო ეკალს რომ ვუმზერ.

ირაკლი სამსონაძის შეგონება

გულს დარდი ხრავს? დალიე და სევდა დიდხანს ალარ
გასტანს.
სიბერემდე ვინც სვა ლუდი, არ მომკვდარა ახალგაზრდა.

რჩევა ჯუმაჯარ თითმარისს

ნუ გადაყლურნავ სალამოს იმდენს,
დლით დალევა ალარ მოგინდეს.

**ზაზა თვარაძის შობონება
ნათარიუსის პარამაღიდან**

თუ მავანის სიცოცხლის გზა აღმოჩნდება მოკლე,
ვამბობთ: ლუდმა მოინელა; ვამბობთ: ლუდმა მოკლა.
თუკი ვინმემ ასი წელი ქვეყნად ინანნალა,
ვამბობთ: ლუდმა შეინახა, ლუდმა მისცა ძალა.

ზაზა მადლუაშვილის შობონება

– შენი მტერი არაყია,
რად სვამ, გინდა ცრემლი ღვარო?
– მე ბიბლიურ მცნებას მივდექ:
მტერიც უნდა შეიყვარო!

თამაზ ჩხენკელის გადაქანული ზოქიუ-ის

მართლა გმირი ხარ, თუკი შეძელი,
არ სვა ლუდი და იყო დღეგრძელი.

ვასუშტი კოტაბიშვილის შობონება

მე ვენაცვალე კარგ ღვინოს!
რაც უნდა, ის თქვას სხვამ.
სამოთხე დაგვაკარგვინა
ჭამამ და არა სმამ.

რჩევა ერლომ ახვლედიანისა

არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, ძმებო!
გვჭირდება ხორციც, კვერცხიც და იმ კვერცხისთვის –
ერბოც.
თუკი ღვინოსაც ღმერთი გამოიმეტებს ერთ ბოთლს,
ვიტყვი: მადლობა უფალს, მეც ჩემი წილი მერგო.
არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, ძმებო...

**განსიკ ხარანაშლის მიერ ჯილდოების
კოლექციის მოხვამაჯად**

ბესიკი ლამის წარმატებამ მთლად გადაროს!
სვამს, რათა წეროს, და წერს... და წერს, რათა დალიოს!

**ოთარ ჩხეიძე თავის კრიტიკოსებზე –
40-იანი წლებიდან მოკიდებული**

ბევრნი არიან? მერე რა, იყვნენ!
დაე მოვიდეს თუნდ ერთზე ათი!
ჩემ წინააღმდეგ იბრძვიან ბრიყვნი,
ჩემ მხარეს იბრძვის სიბრიყვე მათი!

თემო ჯაფარიძის სანტანცი

ასე უთქვამს ბრძენთა ბრძენს, განა ვინმე მუდრეგს:
მეგობრების შეძენა განძის პოვნას უდრის.
მე თუ უკეთ არა ვთქვა, ნუ ვყოფილვარ კაცი:
მეგობრები თუ გინდა, ჯერ იპოვე განძი.

**შტრიხები ემზარ კვიტიშვილის
უსიქოლოგიური პორტრეტისათვის**

გესლავს ჭკვიანებს, ნიჭიერებს და ილბლიანებს;
რა ქნას, ყველაზე უკეთესი ხვედრი ენება!
ჩვენ საკუთარი გასაჭირი გვანაღვლიანებს,
იმას კი – სხვათა ბედნიერება.

ბასო ჭლენტის ეპიტაფია

მიუვა ვითომ მის სულს მაღლი სანთელ-საკმევლის?
ცოდვილია და, ვეჭვობ, გახდეს სამოთხის ღირსი.
დავიწყებოდე უფალს მისი ავი საქმენი,
როგორც მკითხველებს დაავიწყდათ ლექსები მისი.

**მამუკა ფაჩუაშვილისა
და მის კოჰორტას**

რაგინდრა ლამაზი შრიფტი
ბეჭდოთ ეგ თქვენი სტატიები,
არც შენ, არც შენი ტეტიები,
არც ხართ, ვერც გახდებით სვიფტი.

ნოდარ ლაღარიას

ბრძენს უთქვამს, განა ვიგინდარას, განა აფერისტს:
„მიცვალეზულზე ან კარგი ვთქვათ, ან არაფერი“.
ამის გამგონე ცინიკოსი მოჰყვება ხითხითს:
„ხოლო ცოცხლებზე აუგის მეტს ნურაფერს ვიტყვი“.

ლუკა ისარლოვჯად

შენ აღარა ხარ... შენს მსჯავრს შიშით აღარ ელიან,
ველარ დაჩეხავ ნანერს, ველარ გაატიალებ.
მაგრამ სული კი შენი ისევ თავს დაგვტრიალებს
და არ ინამო უკვდავება მისი – ძნელია.

მრავალსახეობა დავით ზურაბიშვილისა

ისე ჟღერს მისგან წარმოთქმული „თავისუფლება“,
თითქოს ცვედანი სიყვარულზე გვესაუბრება.

რედაქტორის გვირდი

**ოცნება და რეალობა
ანდრო გუაჩიძისა**

„ვარ ახალი ბაირონი!“ – გაჰყვიროდი,
თავს ადრიდი ბრიტანეთის ზვიად შვილს.
მართალი ხარ: კოჭლი იყო დიდი ლორდი
და შენც კოჭლობ, ოლონდ... პოეზიაში.

**მწერალთა კავშირის
წევრალთა ქაღილი**

ერთ ადგილს ვტკეპნით? – ვინ თხზავს ამ ჭორებს!
სულს ურჩევნია ტყუილი ცრუ კაცს!
ჩვენ ერთ ადგილზე რა გაგვაჩერებს,
ერთად და ძმურად მივდივართ... უკან.

თამაზ ჭილაძეაძე

თამაზ ბატონს ისლა დარჩა საკვებნად,
თავისი ძმის ძმად რომ გაჩნდა ამ ქვეყნად.

**ფრაგმენტი სილოვან ნარიშანიძის
პოეტური გაქანებიდან**

შემოიარა სუყველა დახლი
და სარკეებით გაავსო სახლი.
მიახარჯავდა ნეტავი ამდენს,
სარკეში კაცის ჭკუაც რომ ჩანდეს?

**მისო მოსულიშვილი – „ლიტერატურული
პალიტრას“ რედაქტორის ამბულაში**

მას ორი სახის ინფორმაციის
სჭირს სიყვარული დაუფარავი:
ბეჭდავს, რაც ყველამ ისედაც იცის,
ან – რისი ცოდნაც არ სურს არავის.

**ლევან ზრეგაძეს – ეპიგრაფის ანთოლოგიის
გადაკითხვის შემდგომ**

სიცილი არის შეება, –
ძალიან ხშირად ხდება,
სნეული ფეხზე დგება,
როცა სიცილით კვდება.

გია ნოდინს

შენს მკაცრ სტილს, შენსავ გლუვ აზრებზე მჭიდროდ
მორგებულს,
არ დაკლებია ძმათა შენთა ხოტბა და ტაში.
მტკიცე აღვირი კი სჭირდება რაშს აბორგებულს,
მაგრამ მითხარი, სადა გყავს რაში?

რაზო ქსაძის სპედიანი ღიმილი

ჩემს მონივნებას ბრიყვთა მიმართ არა აქვს ზღვარი,
ჩვენ მათი ვალი სამუდამო ვალად მიგყვება,
რადგანაც, რომ არ ყოფილიყვნენ ბრიყვები სხვანი,
მაშინ ჩვენ თვითონ მოგვინედა ყოფნა ბრიყვებად.

ქრონიკა

კვირიდან კვირამდე, თითქმის ზედიზედ, ორი თვალსაჩინო პოეტის შემოქმედებითი საღამოებიც ცხადყოფს, რომ ლიტერატურული არტ კაფე „ქარაზანი“ ბეჯითად იკრებს ძალას ხელოვნებას ემსახუროს.

7 დეკემბრის საღამო პოეტისა და მთარგმნელის დავით წერეთლისა და მისი შემოქმედების თავყვანისმცემელთა მასპინძლობაში მოუწყინრად გახანგრძლივდა.

ჩვეულებას არ უღალატა სიტყვამომჭირნობით ცნობილმა დავით წერეთლიანმა და ნაკლებად, შეიძლება აღინიშნოს, საერთოდაც არაფერი უთქვამს საკუთარ შემოქმედებით პროცესებსა თუ გეგმებზე. ამ თვალსაზრისით შეკითხვებიც არ დახვავებულა. სამაგიეროდ, და უფრო პუბლიკის თხოვნით, დიდხანს, შეუნყვებელი იკითხა ორიგინალური ლექსები, აღიარებული თარგმანები, დახვეწილი ოსტატობა და დიდი ესთეტიზმი, რითაც გამოირჩევა ამ შემოქმედის ნებისმიერი სტრიქონი თუ ფრაზა, შთამბეჭდავით ავსებდა მსმენელს და შეიძლება ითქვას, სიტყვით გაღვივებული სიტბო, ხანმოკლე ნუგეშად ჩაეფინა ყოფით დამძიმებულ სინამდვილესაც.

12 დეკემბერს ღია სტურუას შემოქმედებითი საღამო გაიმართა. კაფეს წეს-განგებოს პოეტმა გულსხმიერად გაი-

ზიარა და მაინც შემოფარგლული დრო სასიამოვნოდ წარმართა.

დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ადამიანებს ორნაირად გამოარჩევს: შემოქმედებითად და არაშემოქმედებითად, ანუ თავისიანებად და უცხოებად. „თავისიანების“ უკეთ აღსაქმელად წაიკითხა საკუთარი ლექსი „ჩემიანები“. ისაუბრა თავისუფალ და კონვენციურ ლექსებზე... ლექსს მოჰყვა სონეტი, მერე ისევ ლექსი და აღტაცებულ მსმენელს არც ემოცია და უმაღლავს და არც ხოტბა დანანებია...

აღსანიშნავია, რომ ორივე საღამოზე არტმენეჯერის ღელა შუბითიძის შესახებებით გიორგი ლობჯანიძემ წარმოთქვა განონანსწორებული და პროფესიული სიტყვა, ხოლო როცა ღია სტურუას, როგორც პიროვნებას ახასიათებდა, ხელოვანთა კლუბის შეხვედრები გაისხენა, საიდანაც სამახსოვროდ დარჩენია უამრავი სიკეთე, საინტერესო ურთიერთობები. ამა თუ იმ გაბატონებული აზრის შესახებ ღია სტურუას პრინციპულობა და შეუვალობაც არ დავეწყნია.

ემოციური მუხტით იყო გაჯერებული იზა ორჯონიკიძის სიტყვა დავით წერეთლისა საღამოზე, ხოლო ღია სტურუას, როგორც მონათესავე და მახლობელი სულის პოეტს (თვითონ ბრძანა) შოთა იათაშვილმა შეაწინა მგზნებარე სიტყვა.

ადიბ ისპაკი (1856 – 1885) ცნობილი არაბი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, არაბული საგანმანათლებლო მოძრაობის აქტიური წევრი და ერთ-ერთი ლიდერი. დაიბადა და განათლება მიიღო სირიაში, შემდეგ ერთხანს ლიბანის (ბეირუთის) პრესაში იბეჭდებოდა. ცხოვრობდა ეგვიპტეში – ალექსანდრიაში და კაიროში. თავისი წვლილი შეიტანა ეგვიპტის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. გარდა საკუთარი შემოქმედებისა, აქტიურად თარგმნიდა ფრანგულიდან.

ადიბ ისპაკი

რა არის ალმოსავლეთი?!

ენათმეცნიერულ გამოკვლევას არ ვისახავ მიზნად, რომ სიტყვა შარკ-ის (ალმოსავლეთი) ეტიმოლოგია წარმოვადგინო და ის მაშრიკთან გავაიგიო. არც ასტრონომიულ კვლევას ვაპირებ იმის სათქმელად, რომ ალმოსავლეთი ის მხარეა, რომელსაც მზის ამოსვლის ადგილად მოვიზრებთ. ამ საკითხთან დაკავშირებით მე მხოლოდ ალმოსავლეთად წოდებული ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიას მიმოვიხილავ და ამ ექსკურსით მიზნად ვისახავ ნათელი მოფენო მათ ბუნებრივ და გეოგრაფიულ საზღვრებს, თუ როგორ განზოგადდა სიტყვა შარკ (ალმოსავლეთი), მიუხედავად ამ ქვეყნების განსხვავებული ადგილმდებარეობისა, კონტრასტულ მიმართულებათა და ერთმანეთს დაშორებული გეოგრაფიული სარტყლებისა.

ჩვენი კეთილშობილი წინაპრების წიგნებში რაც კი წამიკითხავს, არსად არაფერი შემხვედრია, რაც არაბთა ლექსიკაში ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით ხმარებაზე მიმანიშნებდა. ისლამის ადრეულ ხანაში “ალმოსავლეთი” ადგილის აღმნიშვნელ სახელად იხმარებოდა და მას უწოდებდნენ მხოლოდ არაბთა მიერ დაპყრობილ ერთ მხარეს მის განსასხვავებლად ბერბერთა და ანდალუსის ქვეყნებისაგან, რომელიც მალრიბად (დასავლეთად) იწოდებოდა. თუმცა დასავლეთ ევროპის მცხოვრებნი ალმოსავლეთს ეძახდნენ იმ ქვეყნებს, რომლებიც მათგან ალმოსავლეთით მდებარეობდა და ამ სიტყვით აერთიანებდნენ ჩინეთსაც, იაპონიასაც, მონღოლეთსაც, ინდოეთსაც, არაბეთსაც, ირანსაც, ფინიკიასაც და აზიის სხვა ქვეყნებსაც. მეტიც, ეს სახელწოდება ვრცელდებოდა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაზეც, კერძოდ, საბერძნეთზე, ბულგარეთსა და სერბეთზე.

შემდგომში მათ, ვინც ალმოსავლური ენების შესწავლითა და ძველი ქვეყნების კვლევით იყო დაკავებული, კიდევ უფრო განავრცეს ეს სახელწოდება და შეიყვანეს მასში ინდოეთის ოკეანის კუნძულები და აფრიკა. თუმცა მის ზუსტ განმარტებასა და მკაფიო საზღვრის დადგენაზე ვერ შეთანხმდნენ.

ფრანგი ენათმეცნიერი ლარუსი თავის დიდ ლექსიკონში ალმოსავლეთზე ამას ამბობს: არ შემხვედრია სიტყვა უფრო ვიწრო თავისი შესაძლებლობებით და უფრო ფართო თავისი საზღვრებით, უფრო გაურკვეველად განსაზღვრული, ვიდრე ეს ე.წ. „ალმოსავლეთია“. საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის ენციკლოპედიის შემდგე-

ნელნი კი ამ თემაზე გვაუწყებენ: ალმოსავლეთის განსაზღვრებაში ავტორები აზრთა სხვადასხვაობას იჩენენ. ერთნი რომ განზოგადებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, მეორენი აკონკრეტებენ მას. ამრიგად, რთულია მისი საზღვრების დადგენა და მისი მნიშვნელობის განმარტება.

წყაროთა ავტორების მიერ ამ სიტყვის დაკონკრეტებული მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაა, როცა ბიზანტიას კონსტანტინოპოლითურთ „ალმოსავლეთ იმპერიას“ ეძახიან, ხოლო გერმანიის იმპერიას „დასავლეთ იმპერიას“ უწოდებენ; „ალმოსავლეთის ეკლესიას“ ეძახიან ბერძნულ-ქრისტიანულ მოძღვრებას კონსტანტინოპოლში, ისევე, როგორც რომის კათოლიკურს „დასავლეთის ეკლესიად“ მოიხსენიებენ, ან ამერიკას ვესტ-ინდოეთს და ინდოეთს კი ოსტ-ინდოეთს რომ უწოდებენ.

წყაროებში ამ სიტყვის განზოგადებული მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები კი ისაა, როცა აფრიკას, ოკეანეთის ქვეყნებსა და სხვ. ალმოსავლეთად იხსენიებენ მაშინ, როცა ისინი ამ წყაროთა ავტორების ქვეყნებიდან ალმოსავლეთით სრულებითაც არ მდებარეობენ.


ერთი სიტყვით, „ალმოსავლეთი“ პირობით ტერმინად წარმოგვიდგება, რომელიც არც მეცნიერულ განმარტებას ექვემდებარება და არც გეოგრაფიული საზღვარი აქვს. რაც მის შესახებ არის ცნობილი, ისაა, რომ ალმოსავლეთად იწოდება აზიის ქვეყნები (რუსეთის აზიური ნაწილის გამოკლებით), აქვე შემოდის ევროპიდან საბერძნეთი და აფრიკიდან ეგვიპტე.

ევროპელებმა ალმოსავლეთს დამატებით უხეშობის, გაუთლელობის მნიშვნელობაც შესძინეს. შესაძლოა, თავიანთი წინაპრების – ძველ რომაელთა კვალად, რომლებიც ყველას, ვინც მათი რეგიონის ფარგლებს მიღმა ცხოვრობდა, ბარბაროსებს ეძახდნენ. მეტიც, ევროპელებმა თვით რომაელ გმირებსაც კი გადააჭარბეს ამპარტავნობითა და ქედმაღლობით ამ ხალხთან დამოკიდებულებაში. ისინი უბრალოდ უცხოელს ბარბაროსად სახავდნენ და მეტი არაფერი, ესენი კი ბარბაროსობის მნიშვნელობას ტერმინ „ალმოსავლეთში“ გულისხმობენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათი მეცნიერი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ მათი ფესვები და წარმომავლობა, მათი ენები, მათი რელიგიური მოძღვრებანი და მათი მეცნიერება სწორედ ალმოსავლეთიდან მომდინარეობს. და მიუხედავად „ალმოსავლეთის“ განმარტებასა და მისი საზღვრების დადგენაში ევროპელების აზრთა სხვადასხვაობისა, ისინი ერთხმად აღიარებენ ალმოსავლეთთა განვითარების დაბალ საფეხურზე ყოფნას მათთან შედარებით, ერთსულოვანნი არიან მათ დამცირება-დაკნინებაში. ამას მოწმობს მათ ორატორთა გამოსვლები, რომელთაც ვისმენთ, და მათი მეცნიერების თხზულებები, რომელთაც ვკითხულობთ, მათი პოლიტიკურ ლიდერთა ქმედებანი, რომელთა თვითმხილველნიც ვართ.

ასეთ ვითარებაში ევროპელები ერთ მუშტად არიან შეკრულნი და ეს კავშირი მიმართულია ყოველი ალმოსავ-

ლელის წინააღმდეგ, რა წარმოშობისა და რომელი პოლიტიკური ორიენტაციისა უნდა იყოს. ევროპელი ძალღონეს არ იშურებენ გაფაციცებულნი, რომ მოიმსახურონ იგი, დაიმონონ, მოუსპონ დამოუკიდებლობა, დაიპყრონ მისი ქვეყანა. და თუ რამეში არ თანხვედბა მათი აზრები, ეს დამპყრობთა შორის ნადავლის გაყოფაა და არა „ცივილიზებულითა“ მიერ „ველურ“ ხალხზე გალაშქრება-თარეშის აუცილებლობისა და საჭიროების საკითხი.

და თუ აღმოსავლელს არ სურს ირწმუნოს ის, რასაც ჩასჩინებენ, და მიუღებლად მიაჩნია, მიზანს მიუახლოვოს მათი სანადელი, მაშ სხვა არა დარჩენია რა, გარდა იმისა, რომ ერთობის დროშის ქვეშ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა! მაგრამ დამოუკიდებლობა დაცვად არა ღირს, თუ თავისუფლებასთან არ იქნა შეწყვილებული, თავისუფლება კი ცხადად განსაზღვრული უფლებისა და ნათლად მითითებული მოვალეობის გარეშე არ არსებობს. უფლება-მოვალეობებს შორის ზღვრის დადება მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია, მეცნიერება კი ჭეშმარიტების გარეშე ვერ იქნება. ჭეშმარიტება მხოლოდ აბსოლუტურად თავისუფალ განსჯა-მსჯელობაში იბადება. ეს აბსოლუტური თავისუფლება ვერ ექნებათ ილუზორული წარმოსახვების ჯაჭვებით შებორკილებს. და თუ აღმოსავლელთა საყოველთაო ერთობის მიღწევა შეუძლებლად მოჩანს, მაშ ამის მიღწევა, სულ მცირე, იმათ შორის მაინც უნდა მოხდეს, ვინც საფრთხის მოახლოებას გრძნობს, ანუ არაბთა იმპერიად წოდებული ძლევამოსილი აღმოსავლური სახელმწიფოს მემკვიდრეთა შორის. მაგრამ იცი კი, რა არის არაბული სახელმწიფო?!



არაბული სახელმწიფო ის სასწაულებრივი ნიშანია, რომელიც ბედისწერის ხელმა მოხაზა დღეთა ნიგში და საწუკვარი ოცნების შემლოცველმა ენებმა ამოიკითხეს თავგანწირვის ზეიმზე. ეს სასწაულებრივი ნიშანი იყო, წარმართ არაბებს ქვეყნიერების ცივილიზებულ, ფუფუნების სიამტკილობაში ჩაფლულ ერებზე გასალაშქრებლად რომ მიუძღვოდა. მათი ლომგული მეომრები მალფრთოსან ცხენებზე ამხედრებულნი უწიერ უდაბნოებს ცხენთა ფლოქვებქვეშ კეცავდნენ, სასახლეთა კარიბჭეებს შემართების რქებით ლენავდნენ, ბიზანტიელთა არწივს აღმოსავლეთიდან კორტინდნენ, ეგვიპტეს თავიანთი დროშები გადააფარეს და ანდალუსში კარვები დასცეს. და როდესაც მომძლავრდა მათი სახელმწიფო და განივრცო სიმდიდრე მისი, სწორედ მაშინ დაჰბერეს ცდომილების ქარებმა, მათი

ცოდნის ალი ჩააქრეს და ნათელი ბნელმა შეცვალა. ისინი განცხრომის მორევში ჩაიძირნენ მაშინ, როცა მათი დიდების ცეცხლი ისე მიინავლა, რომ მათ ვერა არგო რა.

ვისაც უნახავს, არაბთა ასეულებმა როგორ აიღეს ფარაონთა ეგვიპტე, ბიზანტიის იმპერია, ესპანეთი და სპარსეთი, არ დაიჯერებდა, რომ ენახა, ათეულობით ათასი არაბი დღეს ობობის ნაქსოვი ქსელის ძაფით როგორ თვინიერად იმართება. ვისაც მოუსმენია, როგორ ეუბნებოდნენ ისინი თავიანთ ამირას: „თუ შენში სიმრუდეს დავინახავთ რამეს, ჩვენ ჩვენი ბასრი ხმლებით გაგისწორებთ“, გაოგნდებოდა, როგორ ემორჩილებიან დღეს ისინი წამხდარ, უზნეო ხელისუფლებას და როგორ ითმენენ მმართველთა უსამართლობას. ვინც გასცნობია იბნ რუშდის კომენტარებს, იბნ სინას თხზულებებს, იბნ ჯაბრის აზრებს, ალ-ლაზალის ტრაქტატებს, მოუსმენია რეჩიტაციით წაკითხული აბუ ლ-ალა ალ-მაარის ლექსები, განცვიფრდებოდა, რომ ენახა, როგორ კმაყოფილდებიან დღეს არაბები ისეთი მეცნიერებით, რომელსაც არც ხეირი მოაქვს მათთვის და არც ზიანი; საკუთარ რელიგიურ დოქტრინებს ილუზიებით და აბურდულ-დაბურდული წარმოსახვებით მოსავენ, ყველაფერი ზეცისათვის აქეთ სასოებით მიწა-მიწა-მიწარეზული და ცდებიან იქ, სადაც წარმატების მიღწევა სურთ, წარმატებას კი აღწევენ იმაში, რაზეც აზრზე არ არიან.

გაოგნდებოდა იმის მნახველი, თუ არაბები როგორ თავმოდრეკით ემორჩილებიან ერთმანეთის მოშიშარ მცონარებს და ერთმანეთის მოქიშპე უვიციებს, როგორ უკოცნიან იმ ბინძურ ხელებს, რომლებმაც სინმინდე არ იციან. ისინი კი უსირცხვილოდ გამოსწურავენ ამათ სიცოცხლის წვენს.

სიზანტე იქცა ხალხის მკვებავ ძალად, ღონემიხილობა – სიამაყის საგნად, უმეცრება – თავის გამართლებად, უმოქმედობა – ღირსებად. თითქოს არ დარჩენილა მათ შორის კაცი მცოდნე და ენერგიული, რომელიც გამოიყვანდა მათ ამ სიბნელიდან და ჭეშმარიტების გზაზე დააყენებდა მათ ჭკუა-გონებას. თითქოს არავინაა მათ შორის კაცი ღვთისმოსავი, სათნო და მაღალი ზნეობით შემკული, რომელიც ძალღონეს არ დაიშურებდა, შეკრავდა ამ კავშირს, შეადუღებდა თანამეგობრობას და საერთო სახელით გამოვიდოდა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით!

არა და არა, ღმერთმანი! ჩვენს შორის არის მცოდნე და საღად მოაზროვნე, პატიოსანი და მოუსყიდავი, განათლებული და ენერგიული ხალხი, თუმცა შიში ხელს უშლით სიამამაცის გამოვლენაში და გულში ჩაბუდებული სასოწარკვეთა საქმის კეთებაში.

ჩემო ხალხო! შიშსა და სასოწარკვეთას რად მისცემიხარ?! სიმართლე ვერ დალუპავს ადამიანს! ჩვენს წინაპართა ისტორია კი იმაზე მეტყველებს, რომ იმედები აცხადდებიან! განა მათაც იგივე მინა არა კვებავდა და იგივე ცა არ ეხურათ თავზე?! განა მათაც იგივე წყალი არ არწყუ-

ლებდათ, მათ თავზე განა სხვა მზე ამოდიოდა?! მამ რატომ არ შეგიძლიათ, იყოს მათნაირნი?! ნუთუ ჩვენი მინა დაბერდა და მისი მცენარენი იმდენად დასუსტდნენ, რომ თავი ძირს საცოდვეი მონებივით ჩაუქინდრავთ?!

და თუ ეს ასე არაა, მამ ჰიჯაზში დღითი დღე რატომ უარესდება ვითარება? სირია რატომ დაემსგავსა ობოლს, ეგვიპტეს უმოქმედობა რად ღუპავს, ერაყს კი უსახელობის წყვდიადი?! იემენს ბედნიერებამ ზურგი რატომ აქცია, ტუნისს შემოსევები რად ავინროებს და მალრიბი ნელში რად მოუკაკვავს მწუხარებას?! ნუთუ ყველა ამ ქვეყანაში არ მოიძებნება შემართული, მტკიცე სულის ხალხი, რომლებიც მხნედ აღიმალლებდნენ ხმას არაბთა საქმის დასაცავად, – ვიდრე ჯერ კიდევ არ დავლუპულვართ, – ერთმანეთს დაეხმარებოდნენ და მხარში ამოუდგებოდნენ, აგურით მტკიცედ ნაგები გალავანებით აღიმართებოდნენ, ქვით შემტკიცული კლდის ლოდივით, მიუდგომელი მთასავით, რომელსაც ვერც ქარტყხილები დაანგრევს და ვერც მინისძვრა ალგვის პირისაგან მინისა!

ჩვენი ერის თავკაცებს არ აწყენდათ, მიმონერა გაემართათ, ვადები დაეთქვათ და შეკრებილიყვნენ, რომ ყველა საკითხი განეხილათ და აზრები ერთმანეთში გაეცვალ-გამოეცვალათ, შემდეგ კი მთელი არაბობისათვის ერთხმად მოენოდებინათ:

– „სამინელი სამსჯავროს დღის მათუწყებელი პირველი საყვირი უკვე გაისმა და მას მეორე მოჰყვება! ქარმა დაჰბერა და მას უკვე ქარიშხალი მოჰყვება! ის წარიღებს

ჩვენს უფლებებს და ოხრად დაგვრჩება! განმგმირავი ჟამის ტკივილი გაგვტანჯავს! თავს დაგვატყდება განკითხვის დღე – თითქოს ჯერ კიდევ გუშინ მდიდარნი არ ვყოფილიყვით და ყურადღებით გარემოსილნი!

მამ მოვიძიოთ დაკარგული და უკან მოვიტხოვოთ ჩვენთვის წართმეული! თან, ამავდროულად, წინ ნუ წამოვწევთ ამა თუ იმ დაჯგუფების ანგარებიან ინტერესებს, ფანატიკურად ნუ დავიცავთ რომელიმე რელიგიის დოგმებს! ჩვენ ხომ ერთი სამშობლოს შვილები ვართ! ჩვენ ძმები ვართ, ერთი საერთო ენით გაერთიანებულნი და რამდენიც უნდა ვიყოთ, თითოეული ჩვენგანი ადამიანია!...“

ნუთუ ფიქრობთ, რომ ეს მოწოდება ვერ ჰპოვებს გამომხაურებას?! თუ შიშობთ, რომ ეს ტყუილ-უბრალო გარჯაა? ნუთუ არ გჯერათ, რომ ასეთ გაერთიანებას, რომელიც არავითარ რელიგიურ მიზნებს არ ისახავს და მხოლოდ ნებისმიერი აღმსარებლობის არაბთა ნაციონალურ და პატრიოტულ ერთობას ემყარება, შეუძლია შეძრას მსოფლიო და მიიპყროს ევროპულ სახელმწიფოთა ყურადღება, ზოგ მათგანში თანაგრძნობა აღძრას და ზოგშიც შიში?!

და არაბებს უკან დაუბრუნდებათ ის, რაც დაკარგეს. დაუბრუნდებათ უფლებები, რომლებსაც ითხოვენ. ამიტომაც მათ თავკაცებს ნურაფრის შიში და დარდი ნუ ექნებათ!

**არაბულიდან თარგმნა
დარეჟან ბარდავაძემ**

ახალგაზრდებო, ან კი თქვენი

თათია ჯგუშია

**„ნოე“ და
მისი კიდობანი**

ნოე. კიდობანი. მტრედი. ზეთისხილის რტო. გადავრჩით. გადავრჩიით... ასოციაციები ერთმანეთს მიჰყვებიან თუ იფანტებიან.

„შვეიტანოთ ნიჭი და ფასეულობანი კიდობანში.“ – ასეთია პირველთქმა. ტეტ-დე-პონი. ასეთია მომავლის ხმაბაძვითი მონოლოგი.

„ნოე“ ლიტერატურული კლუბის სახელწოდება გახლავთ. ზუგდიდი კი პატარა ქალაქია. უკაცრავად! – პროვინცია. თუმცა მზე ყველგან ერთნაირად ამოდის...

მშვენიერი სამინლად გაცვდა და... ერთ რალაცნაირ დღეს ზუგდიდელი ზვიად კვარაცხელია „მიმისას“ შემოიკრებს თავის მეგობრებს და ექსპრომტად მოსულ აზრებს თავს და ბოლოს უპოვნის.

ასე შეიქმნა „ნოე“ და კიდობანში ფასეულობების შემომტანთა რიგიც დადგა:

ზვიად კვარაცხელია. წერს და შემოაქვს. – არის. გიორგი ხასაია. წერს და შემოაქვს. – არის.

თათია ქობალია. წერს და შემოაქვს – არის.

გიორგი ქობალია. მოდის და შემოდის. – არის.

ანა ლოლუა. წერს და შემოაქვს. – არის.

ყველანი აქ არიან. აქ არიან, როცა „მოხაზულია ვითარების გარემოება, მოქმედებას ელტვის ადამიანში ადამიანური“.

როცა „გარშემო სულ ცქირებია. მლოცველები გაპარულან“... როცა „დაშვრა დამატებითი დროც, დაითენთა დინამიური დორანი! დისონანსი... დროის დუმფარას დაემშვიდობა დონკისოტობის დრამა. დროშა დაკეცეს. დანერილი დაშალეს. დაშლილი დაყარეს. დაყრილი დაწვეს, დამწვარი დაგავეს და დინებას დაუთმეს“ (ზვიად კვარაცხელია).

როცა არის „ერთნაირობა – ნოლა, ჯდომა და ფეხზე დგომა, ათასში ერთხელ გაბრძოლება, გრძნობათა კრთომა“ (გიორგი ხასაია).

როცა „ერთმანეთის ჰაერი შევწამლეთ ადამიანებმა ერთმანეთის დახრული ძვლების ტკივილით... დაძალეულ სადღეგრძელოსავით არის დღეები...“ (თათია ქობალია).

ზუგდიდის არტ-გალერეაში მოწყობილი საღამოები და ე.წ. პერფორმანსები რალაც შემოჩენასავითაა, ფიქრი რომ არ დაგეზაროს, იმისთვის. ყველაფერი „ანი“-დან იწყება და „ჰოე“-მდე ადის. რარაც მოდერატორსავით,



გიორგი ხასაია

ოლონდ ისე, რომ მოდერატოდან ალეგროში გადასვლა შეუმჩნეველი იქნება, ღრმად პატივცემულო პუბლიკავ.

გიორგი ხასაია. – აღმერთებს კამიუს და ფიზიკალისტურ მსოფლგაგებას ედავება. პოეზიას ჯინსები აცვია. შეიმჩნევა მომოსისეული დამოკიდებულება დაკარგული თაობისადმი?

გავზარდო ბავშვი, ეს დამრჩა მხოლოდღა. დედას გავაგდებ გარეთ, რომ დასველდეს. თუკი ჯობდა, რომ ჩემი მზე მყოლოდა, რძეს რატომ მასმევდნენ?

შენ თქვი, რომ ქარი გამშვიდებს აკლებით, ვიგრძენი, დადგა დრო გადაქანების. მერე წამოგცდა, რომ შენ ხარ ნაკრები, ზოგადად, ქალები.

მე შენი დაღლილი სული ვიხილე. როგორც მჩვევია, მოვიხმე ცინიზმი. ვივაშლე, ვიმარწყვე, ანუ ვიხილე. სახე შემიშუპდა ბევრი ღვინის სმით. უფრო საცოდავი იყო ამინდი. წვიმაც ამიტომ თუ იქცა ცვლებად. მე მომერიდა, რომ მეთქვა: არ მინდა ასე გაგრძელება.

ზვიად კვარაცხელია. „მარჯვე ნა“, წიგნად წერილი პროტესტი. ერთი სურვილი, ერთი ოცნება, ერთი – ფუუ! ზვიადს უყვარს თავისი ქალაქი, წერა და ვირჯინია ვულფი. სამ კარედად დაყოფილი არსობის ფიქსაცია: ყველაფერი (ღმერთი), არაფერი (ადამიანი) და გაუგებარი (დრო).

„წაიკითხე?

ხომ არაფერი გამოგრჩენია?

ხოა სიგიჟე?!

ხომ დავაგზნე შემოქმედებითი ცეცხლი! სიტყვების საკუთარი კლიმატი მოვახვიე ქალაქს. ისლი მაინც არ წითლდება.

გადავლახე ეთიკური ბლოკპოსტები. ჩვენს სინამდვილეში

გაცხადებული შემგუებლობა ყველაფრისადმი, ვეძებდი (და იქნებ ვიპოვე კიდეც) ლექსიკური შემთხვევითობა – მისი აღმატებულება სახელი.

აკი მეც დავაგზნე ჩემის სიზარმაცით სიტყვაში სიტყვა, ავტენე მეტაფორების უშურველი ტრიალი, ძირეულად უცნაურ ფორმაში ჩავტენე აზრი და მეც იქნებ, ამ „ღირსებების“ კვალობაზე მეღირსოს სახელი, ცოტა სა-

ხელი, დიდს არ ვითხოვ, სახელი უბრალოდ...

უსახელოდ სიკვდილის მეშინია“.

თქვენ ნუ გეშინიათ! ახლა გიორგი ქობალია გამოვა. „ნოელების“ მიმი. მუსიკის დოლაბში გაიშლებიან აკორდები და ტერციები. ეს არის პანტომიმა და გიორგი. მოძრაობაში გაცოცხლებული ალტრუიზმი. მას რალაც უნდა გითხრათ, მაგრამ ბანალური დიალოგისთვის არ ემეტებით და ასე მოაქვს თქვენამდე სიტყვა: „მხრებით, ტერფებით, თითების ბალიშებით... ხომ ყველაფერი გაიგეთ?“

თათია გიორგის დაა. თათია ქობალია. რალაც შემოგივალათ: „მინდა დაჭმუჭნული ქალაქები გესროლოთ, ჩემთან რომ არ ხართ!“-ო.

„ჩვენ, შენ და ისინი, ყველანი ერთად წავალთ იქ, სადაც ყველამ იცის, როგორ უნდა წავიდეს. სახლში წავალთ ყველანი. გზაში ცოტას ვიჩხუბებთ. ბევრსაც ხანდახან, მაგრამ სახლში მივდივართ და წინამძღოლი არ გვინდა. მივალთ კი?! მივალთ! მოგებურდასავით? შენგან არაფერი რჩება, სიყვარულის გარეშე თუ ხარ. თუ სიყვარული გაქვს, შენ თვითონ დარჩები შენგან, ოლონდ უფრო დიდი. გაძელი ამიტომ. ჩვენ გავძლებთ და სახლში ვინც ვერ მივა ჩვენთან ერთად, იმის სკამზე არვინ დაჯდება სუფრასთან. მაინც ყველანი ერთად ვისხდებით, ომგადახდილები. გამთენიის საუზმეს ვისმევთ.

ყველა ფიქრები ვიქნებით ერთმანეთის. მე და შენ ერთმანეთის ფიქრები ვიქნებით. გაღიმებად შენ ჩემი და მე შენი გვექნება, იმიტომ, რომ ერთმანეთის გარეშე საერთოდ არ ვართ ადამიანები.

რა სხვანაირი სუნთქვაა, არა, ადამიანო?!

ამიტომ მინდა აქ იყო“.

ხომ არ მოგიწურათ გული წრეგადასულმა ფილანთროპიამ? ხომ არ გაიოცეთ ახალგაზრდა კალმოსნებისგან (გავთამამდით?) ამხელა ის, რაც მარადიულია, და

კიდევ ის, რომ ერთმანეთში აირიასავით – მირაკლი, სუგესტია და სატურა.

ზვიად კვარაცხელია, გიორგი ქობალია, გიორგი ხასაია, ანა ლოლუა, თათია ქობალია. – კიდევ ფიქრის არდაზარებისთვის, (წინ)სვლისთვის, დასაწყისისთვის, მზადებისთვის, აპოლოგიისთვის, ამისთვის... იმისთვის... რომ ამ წინადადების ბოლოს აუცილებლად ამოვა მზე!..



ზვიად კვარაცხელია, თათია ქობალია, ანა ლოლუა და გიორგი ქობალია

თემო ჯაფარიძე

უაზრო საქციელები

1. უაზრო საქციელები


ახალი სადარდებელი გაუჩნდა ქ-ნ ელენეს. მისი ვაჟი-ვილი ლექსო კარგიშვილი ზედმინევენით აშფოთებდა. მუდამ მოუსვენარი და ცეცხლი ლექსო ახლა, როცა დავაჟუკაც-და, თითქმის ქუჩის ავარა ბიჭად იქცა. ძალიან ხშირად ჩხუბობდა. ერთხელ ისეთი მთვრალი და დასისხლიანებული მოვიდა სახლში, რომ ქ-ნი ელენე შეუძლოდ შეიქნა. გული კინალამ წაუვიდა. მოსასულიერებელი წვეთები ასვა ირინემ. ერთი-ორჯერ მილიციიდანაც დარეკეს, ლექსომ დე-ბოში და ჩხუბი ატეხაო სასაფლაოში. გიორგი მიდიოდა ხოლმე ლექსოს მილიციიდან გამოსახსნელად. ქ-ნ ელენეს ძალიან სჯეროდა თავისი ვაჟის. იცოდა მისი გული და ვერაფრით ვერ წარმოედგინა თავისი ჩვილი და სათუთი ლექსო თუ უხეში და სასტიკი შეიძლება ყოფილიყო. რომ ეთქვათ ლექსო უსამართლოდ იქცევაო, ვერაფრით ვერ დაიჯერებდა. ხანდახან თავის კუთხეში მჯდომარე როცა დაფიქრდებოდა, ცხადად გრძობდა, რომ ლექსოს მომნი-ფებასთან ერთად უცხო და სტიქიური, სადღაც ველურიც, მამაკაცური სანყისი შემოიჭრა ოჯახში, გაურბოდა ამ შეგ-რძნებას. თრგუნავდა შვილის უცხოვრებას. ასეთ მიყურად-ებულ შეგრძნებებში როცა იმყოფებოდა, თმის ბირთვს შეისწორებდა ხოლმე კისერზე. დაუფიქრებლად წამოხტე-ბოდა ხოლმე სკამიდან და საქმის კეთებას შეუდგებოდა.

როცა ლექსოს დებოშები და ჩხუბები სახასიათო სის-ტემად იქცა, გიორგიმაც გამოთქვა უკმაყოფილება. თავი-დან ამშვიდებდა ქ-ნ ელენეს: ბიჭები მეტოქეობის უხეში და ზედაპირული გამოხატვით ეძებენ თავის პიროვნულ ხასი-ათსო, არაჩვეულებრივი არაფერი ხდებო. ახლა კი საყვე-დურით შეჩვილებდა მეუღლეს: – მგონი „ხულიგანი“ გავ-ზარდეთო. ქ-ნი ელენე იცავდა ლექსოს. გარდამავალ ასაკს აბრალებდა ლექსოს უაზრო საქციელებს. მაგრამ თავის-თვის როცა იჯდა, შემფოთებით ფიქრობდა შვილის უაზრო საქციელებზე. ჯერ კიდევ ძვ. ჯავაზში ცხოვრების ხანაში, როცა ლექსო გონიერი ყმანვილი გახდა, დიდ სატვირთო მანქანას ცეცხლი წაუკიდა უაზროდ. სამუდამოდ ჩარჩა ქ-ნ ელენეს მეხსიერებაში გაუგებრობის ინტონაციით ეს შთა-ბეჭდილება-შემთხვევა. გიორგის ნათესავმა დაჭრილი შუშა მოიტანა დიდი სატვირთო მანქანით. ლექსო ეხმარებოდა მძღოლს შუშის გადმოხიდავში. მერე, როცა ისვენებდნენ, მძღოლი „კაბინაში“ დაჯდა თავის ადგილას და სიგარეტი გააბოლა. ლექსო კი იქვე, „კაბინის“ ღია კართან საფეხურ-ზე ჩამოჯდა. ზურგს უკან მალა მჯდომ მძღოლს შეკით-ხვებს აძლევდა თბილისის შესახებ. მძღოლი ზანტად, მაგ-რამ თავაზიანად პასუხობდა. მერე ლექსომ ასანთი სთხოვა

მძღოლს. აანთებდა ასანთს და ნკიპურტით ის-როდა ხოლმე ცეცხლწაკი-დებულ ლერს. მძღოლმა გააფრთხილა „ბენზინის ბაკიდან“ წვეთავს და ცეცხლი დანაწვეთარ გუ-ბეზე არ დაგივარდესო. რალაცით აღიზიანებდა ეს ახალგაცნობილი ბიჭი. ბენზინის ბაკი ზუსტად იმ საფეხურის ქვეშ იყო ხი-ლულად მიმაგრებული, რომელზეც ლექსო იჯდა. ლექსომ უაზროდ დახედა თავის ფეხებთან ბენზინის ფართო ლაქას. ცოტა ხანს გა-მოშტერებული დაცქეროდა სველ გუბებს. მერე ასანთის ღერი ამოიღო კოლოფიდან, მშვიდად გაჰკრა კოლოფის ყა-ვისფერ გვერდს და ღერს ცეცხლი წაეკიდა. ცოტა ხანი ცე-რითა და საჩვენებელი თითით ეჭირა ცეცხლიანი ღერი. ცეცხლი თითებამდე რომ დავიდა, ღერი პირდაპირ გუბეზე დააგდო. მძღოლს ეცნო ბენზინის აბრიალების ხმა. სასწრა-ფოდ ჩართო ძრავა. მეორე ხელით ლექსოს ხელი ჰკრა ზურგზე. ლექსო საფეხურიდან მოწყდა და ნაბარბაცდა. მძღოლმა კი უმალ დასძრა ადგილიდან მანქანა. რამდენიმე მეტრის შმაგი სისწრაფით განვლის შემდეგ მძღავრად და-ამუხრუჭა, „კაბინიდან“ გადმოხტა მკვირცხლად და ორი ნაბიჯის მანძილიდან ბენზინის „ბაკს“ ახედა ქვემოდან. საფრთხე აცდენილი იყო. მერე ლექსოს გამოხედა, რომე-ლიც ცეცხლწაკიდებული გუბის შორიასხლოს მომჯდარიყო ნაბარბაცების შემდეგ და აღშფოთებით ჰკითხა:

- რატომ გააკეთე ეს?
- ლექსო ცეცხლს მიშტერებოდა უაზროდ. მძღოლისკენ არ მიუხედავს, მხრები აიჩეჩა პასუხად.
- ბიჭო, შენ გიჟი ხომ არა ხარ. პირველი შენ აფეთქდე-ბოდი. ზედ „ბაკის“ თავზე იჯექი.
- ლექსომ მძღოლს ახედა და შეშინებული სახე რომ დაი-ნახა, გაეცინა.
- ეს ვინა ყოფილა, კაცო! – თქვა მძღოლმა და ისევ „კა-ბინაში“ დაბრუნდა.
- წელან, როცა მძღოლმა ძრავა ჩართო, ქ-ნმა ელენემ ფანჯრიდან გაიხედა. დაინახა ცეცხლთან მჯდარი ლექ-სო და ადგილიდან მოსხლეტილი მანქანა. ეუცნაურა და-ნახული და სასწრაფოდ გაეშურა გასასვლელი კარისკენ. როცა ეზოში გავიდა, მძღოლი უკვე თავის ადგილს უბ-რუნდებოდა.
- რა მოხდა? – ჰკითხა მან მძღოლს.
- მძღოლმა ხმა არ ამოიღო. ლექსომ უპასუხა:
- არაფერი დედი, შემთხვევით მანქანა კინალამ ავა-ფეთქე.
- როგორ? – იკითხა ქ-ნმა ელენემ, ხან მძღოლს გახე-დავდა, ხან ლექსოს.

ლექსომ დანვრილებით უამბო, რაც გააკეთა. თან მძღოლს შეხედავდა ხოლმე და ეცინებოდა. ძალიან ამხი-არულებდა მძღოლის შიშნაჭამი სახე. ქ-ნი ელენე მომხდარ შემთხვევაზე არანაკლებ გააკვირვა ლექსოს თხრობის ტონმა. ლექსო თითქოს შეგნებულად ცდილობდა ყოფილი-



ფრაგმენტი მოთხრობიდან „დახვეწილები“

ყო ობიექტური, თითქოს თვითონაც აინტერესებდა, რა მოხდა. თითქოს აკვირდებოდა თავის უაზრო საქციელს. აი ეს შემთხვევა ახსენებოდა ქ-ნ ელენეს, როცა ლექსოს გაუგებარ ქმედებებზე ფიქრობდა. მაშინ კი ლექსოს თხრობის ტონმა და თვითონ შემთხვევამ იმდენად დააბნია, რომ ვერაფერი ვერ თქვა. მძლოლის დასანახად მხრები აიჩჩა და სახლისკენ წავიდა. მინაზე მჯდომარე ლექსო ზურგს უკან განუულ ხელებს ეყრდნობოდა და ცეცხლს უყურებდა. მერე ქ-ნმა ელენემ მძლოლი ცალკე მოიხელთა და თავიდან აამბობინა ლექსოს საქციელი. ისევ სახტად დარჩა.

ერთხელაც, უფრო ადრე, როცა ლექსო მოზარდი იყო, ქ-ნი ელენე ტახტზე იჯდა და ლექსოს პერანგზე ღიღას აკერებდა. ლექსოც იქვე იყო. ფანჯრიდან იყურებოდა ქუჩაში. ცოტა ხანში სკამზე დაჯდა, მკლავები ფანჯრის რაფაზე დააწყო მოღლილად და თავი გადააწვინა ცალ მკლავზე. დიდხანს იმყოფებოდა ამ მდგომარეობაში. ქ-ნი ელენე ხანდახან გახედავდა ხოლმე მის ზურგს და კეფას. ზეპირად იცოდა შვილის კეფის და ზურგის მოყვანილობა. საათობით უყურებდა მისი კეფისთვის. მკლავზე თავმინვენილი ლექსოს წინ ფანჯარაზე ოჯახის რელიქვიური ლამაზი ლარნაკი იდგა. პატარა, ლურჯი ყვავილებით და ფოთლებით მოხატული თხელი ფაიფური უზადო მოყვანილობის იყო. მასში ქ-ნი ელენე გამხმარ ყვავილებს დებდა ხოლმე. ნელინადში ერთხელ ცვლიდა თაიგულს, სხვადასხვა ხმელი ყვავილების და ფოთლების თანაფარდობას. ლექსომ თითი მიადო ლარნაკს და ფაქიზად გააყოლა თითი ნახატის ყვავილების ღერების ორნამენტს. ქ-ნმა ელენემ ცოტახანს უყურა მკლავზე თავმინვენილი ლექსო როგორ ატარებდა ფრთხილად და ნელა თითს ლარნაკის მრგვლოვან სხეულზე. უცებ ლექსომ თითი ჰკრა ლარნაკს. ლარნაკი გადაყირავდა და ქუჩაში გადავარდა. მოისმა მსხვერვის ხმა. ქ-ნმა ელენემ ხელი აიფარა პირზე, რათა არ ეკვილა. ძალიან შეცბუნდა. მისი მგრძობიარე თვალები საშინელების ხილვით იყვნენ აღგზნებული. ლექსო არც შერხეულა. ისევ მკლავზე თავგადაყრდნობილი იჯდა მყუდროდ და მშვიდად. ქ-ნმა ელენემ ვერ გაიგო როგორ მოქცეულიყო, დაეჭუქსა თუ არა ლექსო. ბოლოს თავშეკავებული მრისხანების კილოთი ჰკითხა:

– ლექსო, რატომ გააკეთე ეს?

შვილი შემოტრიალდა დედისკენ. თვალებში შეხედა მშვიდად და უპასუხა:

– არ ვიცი.

– არ ვიცი პასუხი არ არის. ასე გიჟები იქცევიან.

– არ ვიცი. – თქვა ისევ ლექსომ.

ქ-ნმა ელენემ არაფერი უთხრა. მრისხანედ მიაპყრო თვალები. ამას ლექსო არ აუღელვებია, მთელი ღამე არ ეძინა ქ-ნ ელენეს. გიორგის ეკითხებოდა, რას უნდა ნიშნავდეს ლექსოს ასეთი საქციელი. გიორგი შეცბუნებული ჩანდა, მაგრამ მაინც ამშვიდებდა ქ-ნ ელენეს.

– ბიჭებს ახასიათებთ აკრძალულის ჩადენის გაუცნობიერებელი მოთხოვნილება. ამით ამჟღავნებენ თავისუფლებისკენ ინსტინქტურ ლტოლვას.

ისევ თავისუფლება. ქ-ნ ელენეს ამ სიტყვის ატანა აღარ შეეძლო. იგი ყოველთვის გაუგებარი და მოულოდნელი ფორმებით იჩენდა ხოლმე თავს და ყოველთვის გონიერების ფარგლებს გადაცილებული უგუნურების სახეს იღებდა.

– კი, მაგრამ, რა თავისუფლება უნდა მოუტანოს ლექსოს ძვირფასი ლარნაკის დამტვრევამ. არ მესმის. შენ რაღაც სხვას ამბობ, მგონი. იქნებ გათიშვები ემართება და ჩვენ არ ვიცი. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე.

– ძვირფასი და იაფფასიანი მისთვის სულერთია. მთავარი ის არის, რომ ლარნაკის გატეხვა კატეგორიულად აკრძალული იყო. ამ აკრძალვის იქით გახედვის ინსტინქტი წარმოუშვა.

მაგრამ ქ-ნ ელენეს ვერ ამშვიდებდა გიორგის ანალიტიკური მსჯელობები. მას ეჭვი გაუჩნდა, რომ ლექსოს გათიშვები ემართებოდა და მოსვენება დაკარგა. ხშირად ოხრავდა. ძალიან ბევრს ფიქრობდა. ვერაფრით ვერ აღმოაჩინა საზღვარი თავისუფლებასა და ველურ საქციელს შორის. არაფრით არ უნდოდა გამოტყდომოდა თავისთავს იმაში, რომ ლექსოს უცნაური ფსიქიკა ჰქონდა.

ერთხელაც, როცა უკვე 17 წლის იყო, ლექსო კარგიშვილმა მეზობელ სახლში მცხოვრებ ქალიშვილს კაბის კალთაზე ცეცხლი წაუკიდა სანთებელათი. რატომ გააკეთა ეს? – ფიქრობდა ქ-ნი ელენე. ქალისკენ ლტოლვა სხვა ბიჭებსაც ჰქონდათ, მაგრამ ცეცხლს არ უკიდებდნენ მათ. „არა, აქ რაღაც სხვა არის“ – ასკვნიდა ქ-ნი ელენე. კინაღამ შეიშალა მეზობელი ქალიშვილი. თვალები გაუფართოვდა. ვერაფრით ვერ დაიჯერა, რომ ეს მართლა ხდებოდა. შეშლილით შეხედა ლექსოს. მაგრამ ფეხები რომ აენვა, იკივლა და სახლისკენ მოკურცხლა. მისი მშობლები გამოცვივდნენ სახლიდან ცოტა ხანში. აღშფოთებას ვერ მალავდნენ, ყვიროდნენ.

– რატომ გააკეთე ეს, რა დაგიშავა? – ჰკითხა ქალიშვილის მამამ ლექსოს.

ლექსომ მხრები აიჩჩა და მშვიდად მიუგო:

– არ ვიცი. – თავის მოკატუნებაც დაეზარა და დანაშაულის გრძობის ნიღაბი არ აიკრა სახეზე ქალიშვილის მშობლების დასანახად.

ქალიშვილის დედამ ქ-ნ ელენეს დაუძახა, ქუჩაში გამოიყვანა და უთხრა:

– ეს ბჭი ფსიქიატრთან არის მისაცვანი, ანდა „ნამორდნიკი“ გაუკეთეთ, ცოფი არ გადასდოს ვინმეს!

ქ-ნმა ელენემ ბოდიშები უხადა მეზობლებს. თავს ძალა დაატანა, რომ ეთქვა უთუოდ წაიყვან ფსიქიატრთან. თვალებში მუდარა ჩაუდგა. ძლივს დაშოშმინდნენ ცეცხლწაიკიდებული ქალიშვილის მშობლები. მთელმა ქუჩამ გაიგო ლექსოს უაზრო საქციელის შესახებ. ერთი გოგონას სახის გამომეტყველება ჩარჩა ქ-ნ ელენეს გონებაში. გოგონა როგორც რაიმე საშინლად უცხო და შესაზარს უყურებდა შიშის თვალებით ლექსოს. ადგილზე იდგა სხვა ცნობისმოყვარეებს შორის, მაგრამ თითქოს უკან-უკან იხევდა შეძრწუნებული.

– რატომ გააკეთე ეს? – ჰკითხა შერცხვენილმა ქ-ნმა ელენემ ვაჟიშვილს, როცა სახლში შევიდნენ.

– სულ მშვიდად არი და მაინტერესებდა შიშს როგორ გამოხატავდა. – უპასუხა ლექსომ ღმილით.

ქ-ნ ელენეს ხელი უნებლიედ გაექცა და სილა გაანწა ლექსოს.

– ასე მხოლოდ დებილები ხუმრობენ! – თქვა მან მრისხანედ. ლექსომ არაფერი არ უპასუხა. თავისი ოთახისკენ წავიდა.

მთელი ერთი თვე ხმას არ სცემდა ქ-ნი ელენე ლექსოს.

– არცხვენ შენი უაზრო საქციელებით ჩვენს ოჯახს! – ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. მეზობლის ნათქვამი სიტყვა „ფსიქიატრი“ უბურღავდა ტვინს.

ყველაზე თავგამოდებით ლექსოს ბებია და ბაბუა იცავდნენ, როცა ის რაიმე უნესობას ჩაიდენდა. ძალიან ნიჭიერი, ჭკვიანი ბიჭია, ნიჭიერებს ახასიათებთ ასეთი უცნაური ქცევებით – ამბობდა ივანე ბაბუა და თავის ვაჟიშვილს გიორგის ტუქსავდა ლექსოს მკაცრი დახასიათების გამო. თავის მხრივ ლექსოც ყველაზე ფაქიზად ანა ბებიას და ივანე ბაბუას ეპყრობოდა ოჯახში. როცა სახლში იყო, ყველაზე მეტ დროს მათ ოთახში ატარებდა. მათთან უფრო პოულობდა საერთოს. საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის ანტიკვარული არომატი ახლდა მათ ჩვევებს და საუბარს. ლექსო დანვრილებით აყოლინებდა მოხუცებს საქართველოს წინასაბჭოთა პერიოდის შესახებ. აინტერესებდა არასაბჭოური ქართული ყოფიერება. ისეთ წვრილმანებსაც კი გამოკითხავდა ანას და ივანეს, თუ როგორი საპონი იყიდებოდა, ან როგორ იპარსავდნენ მამაკაცები წვერს, რა თემებზე ლაპარაკობდნენ ჩვეულებრივი თბილისელები. როგორ ტარდებოდა ქორწილები და პანაშვიდები. რომელ საათზე იძინებდა ხალხი. რომელი გაზეთები იყო განსაკუთრებით პოპულარული. ივანეც სიამოვნებით უამბობდა მაშინდელ ცხოვრებაზე. მოხუცს ანცვიფრებდა, რომ ძალიან ბევრი რამ ახსოვდა. ალაფრთოვანებდა კიდევ ეს ფაქტი. თვითონ ვერ აცნობიერებდა და ლექსოს მის თხრობაში ყველაზე მეტად ის მოწონდა, რომ თავისი სიყმანვილის დროებს იცავდა, იქით იყო მისი ყველა სიმპათიები. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო ხალხში შექმნილ განწყობილებაზე როცა საუბრობდა, აუცილებლად ახსენებდა მამას, თევდორე კარგიშვილს. ლექსოს დიდი ბაბუა პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს. ბევრჯერ უსაუბრია მასთან საქართველოს ბედის შესახებ. თურმე ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაიბეჭდა თევდორე კარგიშვილის წიგნი, რომელშიც ავტორს ქართული ქრისტიანობა მეტად ორიგინალურად აქვს გაანალიზებული. მისი აზრით ქართველი კაცები ქრისტიანობა უნებობდა და არა მრწამსით. თითქოს ათეისტური ქართველიც ქრისტიანობა ხასიათით, რადგან მასში ქრისტიანულმა ისტორიულმა გამოცდილებამ ბუნებრივი მონამებრივობის ანუ სტიქიური ჰუმანიზმის სახე მიიღო. გონებით მიღებული ქრისტიანობა სწავლებაა და თეორიის დონეზე რჩება. თეორიული თანაგრძნობა უმოქმედო, არასიცოცხლისეული კაბინეტური თანაგრძნობაა. თევდორე კარგიშვილი გონებამახვილურად უწოდებს ადამიანის თავის ქალას კაბინეტს. თავის ქალაში მომწყვდეული თეორიული თანაგრძნობა არაქმედითა და ამდენად აბსტრაქტია. გარდა ამისა, თეორიულ ქრისტიანობას ყოველთვის ემუქრება მკერხელური გადასინჯვა, ეჭვი, გადაფასება, ამიტომ იგი უფრო განსჯითა, ვიდრე სიცოცხლისეული. საერთოდ თეორიული ქრისტიანობა მეცნიერულ-ფილოსოფიურია, თითქოს, თავისი აზრობრივი ბუნებით და მოწყვეტილია პრაქტიკულ, ყოფიერ გრძნობას, კერძოდ თანაგრძნობას, „სულის ძალის უგუნურებას“ (პავლე) ანუ გაუცნობიერებელ, უგუნურ სიყვარულს, ქრისტიანობის მთავარი კონცეფტი კი სიყვარულია. როცა გიყვარს „არ იცოდეს მარჯვენამან შენმან, რას აკეთებს მარცხენა შენი“ და პირიქით. თევდორე კარგიშვილი თავად ქრისტეს სიტყვებით ამონმებს, რომ სიყვარული უგუნური უნდა იყოს.

ქართველ ადამიანს კი თევდორე კარგიშვილის აზრით, სიცოცხლისეული პრაქტიკული თანაგრძნობა გამოუმუშავდა იმის შემდგომ, რაც საუკუნეების განმავლობაში საქართველოსთვის იმ აზრით ენამებოდა, რომ საქრისტიანოსთვის, ქრისტიანობისთვის ენამებოდა. თითქოს, საქართველოში ეროვნული განცდა გადაიქცა ქრისტიანულ განცდად. ისე, რომ ქართველი კაცი შეიძლება გონებით ვერ იღებდეს, ან წვედებოდეს ქრისტიანობას, მაგრამ ბუნებით ქრისტიანი იყოს. უფრო შორს მიდის თევდორე კარგიშვილი. იგი ამბობს, რომ ქართველ კაცს მიუხედავად თავისი ქვეყნის დევნილობისგან გამონვეული უმწიკვლი მდგომარეობისა სრულფასოვანი ქრისტიანული განცდის საფუძველზე, ნატანჯობის საფუძველზე კაცობრიობისადმი თანაგრძნობა გააჩნია. სწორედ ამ ფაქტორზე აღმოცენდა თითქოს ქართული ახლობლური გამგებიაობა, მიხვედრილობა, გონებაგახსნილობა მსოფლიოს კულტურათა მიმართ. სულიერი სიჩვილის დონეზე განხორციელებული ქართული ალღო და ღიაობა კაცობრიობას არ ყოფს თავის ქვეყნად და უცხო და მტრულ მსოფლიოდ! ერთი საინტერესო ფრაზა აქვს ნათქვამი ამ საკითხთან დაკავშირებით თევდორე კარგიშვილს. ქართველ კაცს მსოფლიო არ ეუცხოვება... – ამბობს იგი (ნეტარ არიან მორწმუნენი. თევდორე კარგიშვილს რომ ოთხმოცდაათიანი წლების ქართველები ენახა, ალბათ უარყოფდა თავის მოსაზრებებს. თანაგრძნობის მისხალიც არ შეიმჩნევა. დღევანდელი მისი თევდორე კარგიშვილის თეორია ნარცისულ უტოპიად გამოიყურება. დღევანდელ „ქართველ კაცს მსოფლიო არ ეუცხოვება“ იმ თვალსაზრისით, რომ საკუთარი ორიენტაცია ვერ შეიმუშავა და იოლად ითვისებს საკაცობრიო მასშტაბის უცხო სისულელეებს).

თევდორე კარგიშვილი ოჯახის სიამაყე იყო. მისი ფოტოსურათი დიდი პატივით ეკიდა სასტუმრო ოთახში. ამ პიროვნების სახელი ოჯახის საგვარეულო გერბის როლს ასრულებდა, თავისებურ თავადურ პენს სძენდა კარგიშვილების გვარს. ნარმომავლობით გლეხები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ აზნაურები იყვნენ. თევდორე კარგიშვილის სასულიერო ღვაწლისა და მისი ავტორიტეტული სახელის შემდეგ ერცხვინებოდათ უბრალოებად ყოფნა. გამორჩეულებად მიიჩნევდნენ თავს. გამორჩეულობის განცდა იმიტომაც ჰქონდათ კარგიშვილებს, რომ ქ-ნი ელენეს უფროსი ძმა ფილოსოფოსი იყო. მართალია თავის წიგნებში ყველა დებულებებს მარქსის ციტირებით ამთავრებდა, მაგრამ ეს საბჭოთა ცენზურისადმი ხარკის გადახდად აღიქმებოდა, რადგან მსჯელობებში უმეტესი ყურადღება „სიცოცხლის ფილოსოფიას“ და ეგზისტენციალიზმს ეთმობოდა.

საერთოდ საბჭოთა პერიოდში ზოგიერთ ოჯახში გამორჩეულობის და უპირატესობის განცდა არაჯანსაღი და ცრუ ტონით ვლინდებოდა. ოჯახი აუცილებლად უნდა ყოფილიყო რომელიმე წარჩინებული ისტორიული პიროვნების შთამომავალი. ე.ი. ოჯახის ამჟამინდელ მოღვაწეს თუ ხელოვანს მემკვიდრეობითი ხასიათის ნიჭი უნდა ჰქონოდა. თან არისტოკრატიული წარმოშობა იყო საჭირო გამორჩეულობის დასამონმებლად. მარტო ნიჭი არ კმაროდა. თან ყალბი ეპოქისგან განმდგარი, დევნილი და ტანჯული უნდა ყოფილიყო ოჯახის ახლანდელი ტალანტი და თან საბჭოურად გემრიელად და მყუდროდ მონყობილიც. მაგრამ ისე

უნდა ეთვალთმაქცა და ედიპლომატიურა, რომ ეს სხვებს არ უნდა შეემჩნიათ. დევნილის და უასპარეზოს სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი და თან ოფიციალური ხელეგაშლილი ასპარეზი უნდა ჰქონოდა. ასეთი მახინჯი და ცრუ სოციალური სტატუსისთვის ბევრი ხელოვანი და ოჯახი იბრძოდა უტიფარი თვალთმაქცობის ფორმებით. „ვინა ჭამს მაგას“ – ამბობდა ზემელზე ძმაკაცებს შორის მდგარი „ბირჟაიკი“, როცა ქალაქის დაფარული ამბები განიხილებოდა ჟარგონულად.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსო გულისხმიერად ეპყრობოდა ბებიას და ბაბუას, ერთი უაზრო საქციელი მათთან ურთიერთობაშიც ჩაიდინა. ივანეს ოთახში თევდორე ეპისკოპოსის დანატოვარი პატარა გობელენი ეკიდა. ხავსისფერ ნაჭერზე ამოქარგული იყო ანგელოსი ჯვრით ხელში. ეს მშვენიერი რელიკვია ლექსომ ერთხელ სამიზნედ აირჩია და დანას ესროდა. რამდენიმე ადგილას ჩაერჭო დანა გობელენს. რაც მთავარია ანგელოსის სახე გადაიჭრა შუაში. მაშინ ლექსო შედარებით პატარა იყო და აპატიეს. ანა ბებიამ სცადა გობელენის შეკეთება, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ანგელოსის გადაჭრილ სახეს.

– ეს გობელენი მაინც შენ უნდა გრგებოდა და აჰა, შენი იყოს, – უთხრა ივანემ შვილიშვილს.

ლექსოს კიდევ ცრემლები წამოსკდა და გაიქცა. ისე, რომ ქ-ნ ელენეს დიდი სადარდებელი უსაფუძვლო არ იყო. დავაუკაცებელი ლექსო ოჯახში დაძაბული ფიქრის საბაბად იქცა. თითქოს, რომელიღაც უცხო და აუხსნელი უბედურება შეიჭრა ოჯახში.

2. პროტესტი

უკვე ჩამოყალიბებულმა ლექსო კარგიშვილმა ბოლოს ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ქ-ნ ელენესაც კი შეეპარა ეჭვი მის ნორმალურობაში. გიორგი კარგიშვილის აკადემიკოსად არჩევის დღეს ოჯახში წვეულება გაიმართა. დაპატიუებული იყვნენ სხვადასხვა დარგის ჩინებული აკადემიკოსები. მათ შორის იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პავლე დოლონაძე. ეს უაღრესად პრანჭია კაცი ძალიან აღიზიანებდა ლექსო კარგიშვილს. პავლე დოლონაძე ყველაფერს, ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანსაც კი მაღალფარდოვან სტილში აკეთებდა. თევზიდან პურს ისე იღებდა, თითქოს ოჯახს პატივს დებდა, აქ პურს რომ ჭამდა. ღვინოს ჩაის მსგავსად ხვრებდა ყლუპ-ყლუპად. ამით იმას მიანიშნებდა, რომ ველური არ იყო და ზედმინევენით კულტურული მანერებით გამოირჩეოდა. ხანდახან შენელებული კადრების ყაიდით შეყოვნებულად მოძრაობდა. ამით ყურადღებას იპყრობდა. ლექსო კარგიშვილზე უჭკუო კაცის ავადმყოფური პრანჭვის შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ასეთი მთრთოლვარე მიხვრა-მოხვრები. მაგრამ ყველაზე მეტად სასაცილო პავლე დოლონაძის სახის გამომეტყველება და ხმა იყო ლექსო კარგიშვილისთვის. რალაცნაირი იმქვეყნიური თავაზიანი დიქციის გამო მისი ხმა ისე ჟღერდა, თითქოს ამბობდა: მე ხომ ქვეყნიერება ვიხსენიო. რაღაც საზიზღრად ნარცისულს, თვითკმაყოფილს, თვითმოალერსეს გრძნობდა ლექსო კარგიშვილი პავლე დოლონაძის ლაპარაკის მანერაში. სიტყვებს იმდენად „აქულტურებდა“, თითქოს მათ რაიმეს შესატყობინებლად კი არ ამბობდა, არამედ ჭამდა და ტკებოდა თავისი დიდმნიშვნელოვანების ლეჭვით. თავიდან ყველაფერი მწყობრად მიმდინარეობდა სუფრაზე. აკადემიკოსები ხუმრობდნენ. სასაცილო ამბებივით ყვებოდნენ არასასაცილო ეპიზოდებს ცნობილი მეცნიერების ცხოვრებიდან. ლექსო კარგიშვილს მოეჩვენა, რომ ამ ეპიზოდების მბობა მიღებული იყო აკადემიკოსების წრეში და ისინი ყველა სუფრაზე ყვებოდნენ ერთიდაიგივე ამბებს. ლექსო კარგიშვილი ცდილობდა თვითონაც მეცნიერული ელიტის სტილში მოქცეულიყო. თავშეკავებით და მონივნებულად იცინოდა აკადემიკოსების მოთხრობილ არასასაცილო სიუჟეტებზე. მაგრამ სულ ცოტა ხანში უყალბეს ტიპად შეიგრძნო თავი. მითუმეტეს უარყოფითად განეწყო აკადემიკოსების მიმართ. პავლე დოლონაძეზე კი შინაგანი უხილავი ხითხითი აუვარდა. როცა პავლე დოლონაძის დღეგრძელობის ჯვრი დადგა, ლექსო კარგიშვილი მისი დღეგრძელობისთვის წამოდგა ფეხზე და იმის ნაცვლად, რომ ზუსტად მის პირდაპირ მჯდომარე აკადემიკოსისთვის რაიმე ეთქვა, გადაიხარა და ღვინო დაასხა ნელ-ნელა მელოტ თავზე. მეცნიერის სადღეგრძელო დიდი ჭიქით ისმებოდა და ლექსო კარგა ხანს რწყავდა პავლე დოლონაძის თავს. ეს სუფრის აფეთქებას გავდა.

– რას სჩადიხართ ყმანვილო?! – ჰკითხა თვალეგაფართოებულმა „დიდმა“ მეცნიერმა ლექსო კარგიშვილს.
– მაინტერესებს ამქვეყნიური შეგრძნებები თუ გაქვთ.
– უპასუხა ლექსო კარგიშვილმა მშვიდად, თითქოს ჩვეულებრივ ლაბორატორიულ ექსპერიმენტს ატარებდა.
– ლექსო!
– ლექსო!
– ღმერთო ჩემო!
– რას აკეთებ.
– გათიშული მთვრალია!

მოსიმა შეძახილები სუფრიდან. მაგრამ ლექსოს ცინიკურ სიმშვიდეზე არაფერი არ ზემოქმედებდა. გიორგი კარგიშვილი განრისხდა. არაფრით არ ელოდა შვილისგან ასეთ ვერაგ საქციელს. სასწრაფოდ მიიბრინა ლექსოსთან. სილა გააწანა და უბრძანა სასწრაფოდ წასულიყო სახლიდან. ქ-ნი ელენე ცუდ დღეში იყო. შეშინებულ თვალეგად იქცა. არ იცოდა რა ექნა. პირზე თითები მიიდო. ლექსო კარგიშვილი ძალიან მშვიდად მიტრიალდა და ნელი ნაბიჯებით გავიდა სახლიდან. პავლე დოლონაძემ კოსტუმიდან ღვინის ნაკადების და წვეთების ჩამონმენდა დაიწყო ხელსაწმენდით. აი, აქ მოეგო გონს ქ-ნი ელენე. მკვირცხლად მოიტანა სუფთა ტილო და მეცნიერს თავი შეუმშრალა ფრთხილად. თან ბოდიშებს უხდიდა:

– ჩამოუყალიბებელია, ნუ მიაქცევთ ყურადღებას! ღმერთო ჩემო, როგორ შევრცხვით! სამუდამოდ დამნაშავეები ვართ თქვენს წინაშე. ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ დამმართა ეს. თითქოს ისეთი ჭკვიანია და მოულოდნელად... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ბატონო პავლე ნუ განაწყენდებით, ძალიან სულელია. სასტიკად დავსჯი ამ საქციელისთვის. მართალი გითხრათ, ხანდახან არ მესმის მისი. მაგრამ ასეთი რომაა, მითუმეტეს მეცოდება.

– იქნებ ექიმთან მიიყვანოთ. – თქვა პავლე დოლონაძემ. ქ-ნმა ელენემ მუდარიანი თვალეები მიაპყრო აკადემიკოსს და მორჩილად უპასუხა:

– მივიყვან, აუცილებლად მივიყვან... ღმერთო ჩემო ეს რა ჩაიდინა. რა ჭირს ნეტავი. ნამდვილად მთვრალი იყო. ვერ იტანს სიმთვრალეს...

– იცით, აჯობებს მე რომ წავიდე. – თქვა პავლე დოლონაძემ. აღარ იპრანჭებოდა. აღარ ტკებოდა თავისი ხმით და სიტყვების კულტურიზებით. აქ გაჯავრებული გიორგი ჩაერთო საუბარში. პავლე დოლონაძეს თხოვა არ წასულიყო, რათა განაწყენებულობის ფორმით არ წარმართულიყო მათი ურთიერთობა. კვლავ შესვა პავლე დოლონაძის სადღეგრძელო. მთელი ოჯახი უხერხულ მდგომარეობაში ჩაჯარდა. იძულებული გახდნენ მლიქვნელურად ელაპარაკათ პავლე დოლონაძესთან და საერთოდ სტუმრებთან. ირინეც კი განაწყენდა ლექსოზე. მის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ასეთი გიჟური გამოხდომები არ ესმოდა. ირინე ლექსოს იმ აზრით განიკითხავდა, რომ თვლიდა – ლექსომ გიორგის საზემო დღე ჩაუშხამა. მაგრამ, როცა თავის ოთახში გავიდა ცოტახნით, მოულოდნელად სიცილი წასკდა. გაუკვირდა თურმე არც ისე მკაცრად ადანაშაულებდა ლექსოს.

სტუმრების წასვლის შემდეგ დიდი მსჯელობა გაიმართა ოჯახში. ვერაფრით ვერ აეხსნათ ლექსოს საქციელი. კონსტანტინეს მეუღლემ თქვა, რომ შემთხვევით მოკრა ყური, რა უთხრა მის გვერდით მჯდომარე ტანმსხვილმა აკადემიკოსმა ხმადაბლა იაკობ სეფექალიძეს. „ამისთანა კაცს ასეთი დამთხვეული შეილი უნდა ყავდესო?“ იაკობ სეფექალიძემ კიდე უპასუხა: „აი, რა მართალი იყო სტალინი 37-ში. ყველა ტიპის ბუნტარები და არასრულფასოვანები ჩამოაცილა ნორმალურ საზოგადოებასო“.

ქ-ნი ელენე აღშოთდა. მოეჩვენა, რომ კონსტანტინეს „კახპა“ სიამოვნებით მოყვა აკადემიკოსების ჩუმი ლაპარაკი. ეჭვიც შეეპარა: იქნებ ასეთი საუბარი საერთოდ არ ყოფილა და თვითონ იგონებსო.

– სიყალბეს ვერ იტანს. – თქვა ირინემ.

რამდენ რამესაც ვერ ვიტან, ყველაფრისადმი ზიზლი რომ გამოვხატო, არ ვიტანე სწორი. საზოგადოებაში ცხოვრება თუ გინდა, კომპრომისებზე წასვლა აუცილებელია. უნდა ავიტანო ის, რაც არ მიყვარს. ელემენტარული კანონზომიერებაა, სიყალბისგან არავინ არ არის დაზღვეული. მართალია ლექსო გვიყვარს და ყველაფერს ვაპატივებთ, მაგრამ ობიექტურად პავლე დოლონაძის სიყალბე უფრო ასატანია, ვიდრე ლექსოს უაზრო საქციელი. – თქვა კონსტანტინემ.

ივანე ბაბუამ თქვა, რომ ლექსო ახალგაზრდების გაუცნობიერებელი ორიენტაციის მკვეთრად გამომხატველი ნიმუში იყო და შეიძლება მისი საქციელი საბჭოურად მოწყობილებისადმი პროტესტს, ბუნტს ნიშნავდა, ვიდრე უბრალოდ უზრდელობასო. მისი საქციელი შეგნებული იყო და არანორმალურ, გაუცნობიერებელ ქმედებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოსო. „ხულიგნური“ უზრდელობით ვერ აიხსნება ასეთი ზღვარგადასული უხეში საქციელი.

– მაშინ, ისე გამოდის, რომ მე მებრძვის, – თქვა გიორგიმ, – თვლის, რომ საბჭოთა წყობილების გამოყენებით ავაგე კარიერა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქ-ნმა ელენემ სულ სხვაგვარი ახსნა მოუძებნა ლექსოს საქციელს.

– თქვენ გავიწყდებათ, რომ ლექსო ახალგაზრდაა. მე მის საქციელში მხოლოდ ახალგაზრდულ თვითგაუცნობიერებლობას, ჩამოუყალიბებლობას ვხედავ.

– პავლე დოლონაძე მართლა ყალბი კაცია. რა გააკეთა ისეთი, რომ ასე უკვდავით იქცევა. – იკითხა ირინემ.

– ცხენის ახალი ჯიში გამოიყვანა, მუშა ცხენის ჯიში.

– ღმერთო ჩემო, რა სისულელეა! – თქვა ირინემ და გაეცინა.

ქ-ნმა ელენემ დატუქსა ირინე.

– მე მაინც მგონია, რომ პავლე დოლონაძე ინვეეს ადამიანს იმისთვის, რომ თავზე ღვინო დაასხან.

– აი ხომ ხედავთ, ირინე თეორიულად იგივეს აკეთებს. – თქვა ივანე ბაბუამ.

– ყველაფერი გაივლის, დაიწყებას მიეცემა. – თქვა ანა ბებია ღიმილით – ნუ ლელავთ.

3. პეპერი პოეტი

სახლიდან წამოსული როცა იყო, სწორედ მაშინ გავიცანი ლექსო კარგიშვილი. ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ რაღაც ისეთი დაინახა ჩემში, რაზეც პირადად მე წარმოდგენა არა მქონდა და სიმპათიით განეწყო ჩემდამი. ნაცნობი ფერმწერის სახელოსნოში ცხოვრობდა იმ დროს. ხითხითით მიამბო პავლე დოლონაძეს რაც გაუკეთა. ამ მეცნიერის სახელი არც მსმენოდა. საერთოდ საბჭოთა ოფიციალურ ასპარეზზე წარმატებულ ტიპებზე წარმოდგენა არა მქონდა. ვიცოდი, რომ ისინი გაყიდულები და უნიჭოები იყვნენ. ეს შეხედულება გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა. ამჟამინდელმა დრომ დამიმონმა, რომ არა ვცდებოდი. ბევრი იყო მაშინ დაუნის გვირგვინოსნებით აღზევებული. არცერთი მათგანი არ წარმოადგენს დღეს ოდნავ მაინც ღირებულს არც კულტურისთვის, არც ისტორიისთვის, არც რაიმესთვის საერთოდ. ლექსო და მე ძალიან სწრაფად დავმეგობრდით. თბილი და ადამიანური იყო ჩემს მიმართ. ჩემზე უფროს ადამიანებთან მომწონდა ურთიერთობა და ბევრთან ვმეგობრობდი. მაგალითად შოთა ჩანტლაძე ბევრად უფროსი იყო ჩემზე. ეს ნიჭიერი „იატაკ-ქვეშელი“, არაოფიციალური პოეტი და უადრესად კოლორიტული პიროვნება 10 წლით უფროსი იყო ჩემზე. როცა 20 წლის ხარ 10 წლის სხვაობა ბევრია. შიო მამაბერიშვილი ბაბუად შემეფერებოდა. ლუკა კარიზიშვილი 12 წლით დიდი იყო. ამიტომ არც ისე მიკვირდა ლექსო რომ დამიმეგობრდა. რა თქმა უნდა ამ ხალხთან შედარებით ძალიან ახალგაზრდა და ჩამოუყალიბებელიც ვიყავი, მაგრამ ურთიერთობა მაინც გამოდიოდა. ლექსომ ძველი მეგობრები გამაცნო. ისინიც, ვისთანაც ბავშვობაში ჰქონდა ახლო ურთიერთობა. აღმოვაჩინე, რომ თბილისში საკმაოდ სახელოვანი ყოფილა. ბევრს სმენოდა მისი გიჟური დებოშების და ჩხუბების შესახებ. სასწრაფოდ დაირხა ხმა ნაცნობების წრეებში ჩვენი მეგობრობის შესახებ. დღედაღამ ერთად ვიყავით. მეგობრები გაკვირვებულები და ოდნავ განაწყენებულებიც იყვნენ ლექსოზე იმის გამო, რომ ჩემთან დაახლოების მერე მათ რამდენადმე ჩამოცილდა. ლექსოს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: არ ვიქცევი სწორად. კარგი ამხანაგები არიან და არ იმსახურებენ ჩემგან ასეთ უყურადღებობასო. რა თქმა უნდა, გულით განვენწყვე ლექსოსადმი. ისიც თბილი იყო ჩემდამი. ერთხელ მოთხრობები გამომართვა წასაკითხად. ცოტა ხნის შემდეგ მითხრა, რომ წერა დაიწყო. ჩემი მოთხრობები უარყოფითად შეაფასა. ნა-

ხატები უფრო მომწონსო. არაფერი ვუპასუხე. მაშინდელი ჩემი ნაწერები ახლა არც მე მომწონს. მათში ძალიან მკაფიოდ ჩანს, რომ მოუმნიფებელი ვიყავი. მე იმ ხელოვანთაგანი არ აღმოვჩნდი, ვინაც ძალიან ადრე მოიწიფებიან და თავის მასშტაბში სრულფასოვნად თვითგამოვლინდებიან მხატვრულად. სრული და მნიფე მხატვრული გამოხატვისთვის რომ მიმეღწია, რთული და ძნელი ხანგრძლივი გზა უნდა განმევლო. ასეთი ტიპი აღმოვჩნდი. მაგრამ იმ მოთხრობებში მაინც იყო რაღაც სწორი და მომხიბვლელი. ლექსო კარგიშვილიმა კი წერა დაიწყო თუ არა, იმთავითვე დასრულებული მხატვრული ფორმა გააკეთა, ნიჭიერი იყო. სულ მალე გამოქვეყნა კიდევ რამდენიმე მოთხრობა. საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ აღფრთოვანებით მიიღო ლექსოს მხატვრული ხედვა, ენა და სტილი. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი უახლოესი მეგობრის გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების დონეზე მომწონდა ლექსო კარგიშვილის მოთხრობები. მათში ის მაფერხებდა თუ მამუხრუჭებდა, რომ მთავარი პერსონაჟის გარდა ყველა სასაცილო ან ნაკლოვანი იყო. ლექსო ცდილობდა მთავარი პერსონაჟი გამორეული ყოფილიყო. ასეთ მხატვრულ ამოცანას ვერ ვიზიარებდი. თანამედროვე ლიტერატურის და ყოფიერების გამოცდილების ფონზე გამირი ტიპი ყალბად ჟღერდა. დადებითი გამირის ინტერესი ლექსოში, ალბათ, საბჭოთა ყოფაში გაბატონებული იდეალიზებული პატიოსანი კომუნისტის გაუცნობიერებელი ზეგავლენით აღმოჩნდა. რა თქმა უნდა ეს არასდროს არ მიტეხამს მისთვის. ასეთ დონეზე ვერც ვაანალიზებდი მაშინ მის მოთხრობებს. მაგრამ მათში უდავოდ იყო სიტყვის ცინცხალი მხატვრული ენერგია, ცხოვრების მოუნყობლობით გამონეგული გამოუვალობის სევდა, სიყალბისადმი მკვეთრი სიძულვილი. გამირის პოზიციიდან ნაკლოვანი ადამიანებისადმი დამცინავი დამოკიდებულება თვითონ ლექსოშიც თვალმისაცემი იყო. განსაკუთრებით მაშინ ჩანდა მისი ეს ხასიათი, როცა უაზრო საქციელს ჩადიოდა. ცოტა ღვინოს რომ დაღევდა, მისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ერთხელ მე და ლექსო შევედით ვერის უბნის ლუდის ბარში, ბაზრის მახლობლად. ერთ-ერთ მაგიდასთან ლუკა კარიზიშვილი და შიო მამაბერიშვილი ლუდს სვამდნენ. ლუკა კარიზიშვილიმა თავისი ჩვეული გულითადი ღმილით გვიხმო. ხელით ცარიელ სკამებზე მიგვანიშნა. სასმელები ავიღეთ და დავესხედით. შიო მამაბერიშვილი შემთვრალი ჩანდა.



– მიყვარს ეს ბიჭი. – უთხრა მან ჩემს შესახებ ლუკა კარიზიშვილს. – თვითონაც არ ვიცი რატომ, მაგრამ მიყვარს. რატომღაც მჯერა, რომ რაღაცას გააკეთებს. აი, ნახავთ.

– ლადო ნიჭიერი ბიჭია. – უპასუხა ლუკა კარიზიშვილიმა თავისი მთრთოლვარე ხმით.

– იშვიათად ინტელექტუალური სახე აქვს. – განაგრძო შიო მამაბერიშვილიმა. – მიყვარს ინტელექტუალური ადამიანები. სამწუხაროდ დღევანდელ თბილისში „ხამები“ მრავლობენ.

შიო მამაბერიშვილი დაახლოებით 65 წლის იქნებოდა. მაგრამ ლოთობდა. ლოთურ ურთიერთობებში რადგან ასაკით განრჩევა არ ხდებოდა, ახალგაზრდებთანაც ამხანაგურად და უბრალოდ იქცეოდა. ახალგაზრდებს უყვარდათ და სიამოვნებით პატიუბდნენ სასმელზე. ვერის უბანში ძალიან ცნობილი იყო. უბრალო კეპიანი ქუდი ეხურა მელოტ თავზე და მიუხედავად იმისა, რომ მუცელი ჰქონდა წამოზრდილი, დახვეწილი და კულტურული პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ძლიერ და აღმოსავლურად რთულ ცხვირზე ძალიან პატარა რგოლებიანი სათვალე ეკეთა და ამით საუკუნის დასაწყისის ანტიკვარულ გადმონაშთს ჰგავდა. მხოლოდ ზედმინეწით ტუტუცებს, ახალი დროის ბრმა „კუკურებს“ ავიწყებოდათ მასთან ურთიერთობაში, რომ განათლებულ, ჭკვიან და ნიჭიერ ადამიანთან ჰქონდათ საქმე. შიო მამაბერიშვილი პოეტი იყო, მაგრამ მისი ლექსები არ იბეჭდებოდა. ზედმინეწით არასაბჭოური, ლოთური სულერთიაობით დაწერილი ლექსები მანანალას ცხოვრებას ასახავდა. საბჭოთა ყოფისგან გამოცალკევებულმა, აზრზე მოსულმა ახალგაზრდებმა ზეპირად იცოდნენ მისი ლექსები. ისინი არაოფიციალურად, კულისურად ვრცელდებოდა. ვინაც პირველად ეცნობოდა შიო მამაბერიშვილის პოეზიას ინერდა, ან რემინგტონზე აბეჭდინებდა მის ლექსებს. ერთმა თვითმოქმედმა გამომცემელმა არასაბჭოური ლიტერატურის აღმანახში დაბეჭდა შიო მამაბერიშვილის ლექსები. პატარა რეცენზიაც დაურთო ლექსებს, რომელშიც პოეტის უკომპრომისო ხედვას ტრაგიკომიკური ეგზისტენციალიზმის ტერმინით ნათლავდა და აღნიშნავდა ლექსების ენის და ფორმის განსაკუთრებულ ორიგინალობას ქართულენოვანი პოეზიის წიაღში. რაც შეეხება ლუკა კარიზიშვილს, ეს ადამიანი კიდევ თავისთავად განუმეორებელი ვინმე იყო. პარადოქსული ხასიათი ჰქონდა. თან თითქოს მორცხვი და ფაქიზი კაცი იყო, თან კი ისეთი უტიფარი საქციელით წარუდგებოდა საზოგადოებას, რომ ბევრს ვერ აეხსნა მისი რთული პიროვნება.

მხატვარი ბადრი გაგნიძე

ფერმწერი იყო, მაგრამ უმეტესად ლოთობდა. კარგ პორტრეტებს კი აკეთებდა. ეს ის ლუკა კარიზიშვილია, ვისზეც 70-იანი წლების დასასრულს თბილისში დიდი მითქმა-მოთქმა შეიქმნა, ნობელის პრემიაზე არის წარდგენილი ფერწერაში ჰუმანიზმის გამოხატვისთვისო. მაშინ საბჭოთა კავშირი „რკინის ფარდით“ იყო „ბოროტად“ იზოლირებული მსოფლიოსგან და ასეთი ფანტასტიკური და გულუბრყვილო ჭორები ხშირად ვრცელდებოდა საქმეში ჩაუხედავ ხალხში. ალბათ, პრიმიტიულმა ლოთებმა გაავრცელეს ეს ხმა იმ საფუძველზე, რომ ლუკა კარიზიშვილის ორი ნამუშევარი უცხოელებმა შეიძინეს. იმასაც ამბობდნენ, რომ რუსი ხელოვნებათმცოდნე იბოლიტ ველმოჟინსკი ლუკა კარიზიშვილზე წიგნს წერდა. ეს ხმა უფრო სარწმუნო იყო, მაგრამ ესეც ტყუილი აღმოჩნდა. იმის შემდეგ 30 წელი გავიდა და დღემდე არავის დაუწერია მისი შემოქმედების შესახებ წიგნი. წიგნი კი არა, პატარა ესეც არავის დაუწერია. წესით კი წიგნი უნდა დაწერილიყო. ლუკა კარიზიშვილის ფერწერა უთუოდ იმსახურებს ამას. მაგრამ ქართველებმა არ იციან თავისი კულტურის მოვლა. საერთოდ აქ კრიტიკულ-შემფასებლური აზრი ძალიან დაბალ დონეზეა და ყოველთვის უნიჭო ხელოვნების გარშემო ატყდება ხოლმე მეტად დროებითვადური ხმაური, ნამდვილი ხელოვნება კი ხანგრძლივად, ნელ-ნელა და უხმაუროდ იმკვიდრებს თავის ადგილს.

ეს ის ლუკა კარიზიშვილია, რომელიც საბჭოთა გამოფენებზე თავმყერილ სოცრეალისტებს და სოციმპრესიონისტებს შორის დაძრწოდა გაუპარსავი და მანანაწალურად ჩაცმული და მანეთს თხოულობდა თვითკმაყოფილი, ფუჭად, იდეოლოგიურად წარმატებული „მხატვრებისაგან“. ვერავინ ვერ ხვდებოდა რა აქციას ატარებდა თავისი საქციელით ლუკა კარიზიშვილი. ბოლომდე რომ გაშიშვლდეს ამ ვითომ მათხოვრობის ქვეტექსტი, იგი საბჭოურად კარგად მოწყობილთა დაცინვას წარმოადგენდა. არისტოკრატული გარეგნობის გონიერსახიანი ლუკა კარიზიშვილი, როგორი ჩამობლანძღულიც უნდა ყოფილიყო, მაინც ღირსეულად გამოიყურებოდა თვითკმაყოფილი, ყყყყი სოცრეალისტების გვერდით. ესენი ღმერთმა დასაჯა და ხატვის უნარი მისცა, მხატვრობის ნიჭი კი არა. მაგრამ ისინი თავს იტყუებდნენ, რომ მხატვრები იყვნენ. თავისი წარმატებაც მართლა წარმატება ეგონათ. ვერ ხედავდნენ რა დარჩებოდა მათგან, საბჭოთა ილუზიური სინამდვილე თუ გაქრებოდა. რადგან წმინდა ხელოვნურ-ფორმალური კუთხით მხატვრობა ასე თუ ისე იცოდნენ, იმასაც გრძნობდნენ, რომ ლუკა კარიზიშვილი ნამდვილი მხატვარი იყო, თვითონ კი... მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ამბობდნენ. ლუკა თავის საქციელით, თითქოს, ეუბნებოდა მათ: აი, მე ნამდვილი თქვენ ყალბებს ფულს გახოვთ, მაგრამ უნდა გესმოდეთ, რომ ლოთური თხოვნა მანეთის ფარგლებშია და მანეთი ფული კი არ არის, არამედ თქვენი წარმატების სიმბოლოა. რატომ ხართ თქვენ წარმატებული და მე წარუმატებელი? ისე, რომ ლუკა კარიზიშვილის საქციელი თითქმის კონცეფტუალისტური ქმედების ხელოვნება იყო. ასეთი შოუს მოწყობა სჩვეოდა ლუკა კარიზიშვილს. ქვეტექსტიანი მსახიობობა, რთული მინიშნებები არანაკლებად იყო მის ხასიათში, ვიდრე ფერწერის უნარი, მაგრამ წარმატებული სოცრეალისტები მხოლოდ იმას ხედავდნენ, რომ საბჭოთა კავშირში ჭკმარიტ მხატვრად ყოფნა დამლუპველი იყო. დალუპულობად აღიქვამ-

დნენ ლუკა კარიზიშვილის სოციალურ მოუწყობლობას. სრული უტვინოები იყვნენ. სოციალურ კეთილმოწყობლობას მიიჩნევდნენ ადამიანის ძირითად და უმაღლეს დანიშნულებად. ბრმები და ჩლუნგები იყვნენ ისეთი მოვლენების მიმართ, როგორებიცაა: ნამდვილი ხელოვნების კეთების სიხარული და ამისთვის აუცილებელი სულიერება, ხელოვნის მიერ თავისთავში ყოფიერებით გაბინძურებული კამკამა შუქის ნვალებით ამოტანის სიხარული და ბოლოს ტალანტით გასხვივონებული მაქსიმალური ხარისხის ძიება.

შიო მამაბერიშვილი და ლუკა კარიზიშვილი, აი, ეს ორი „დალუპული“ ადამიანი დაგვხვდა ლუდის ბარში. მე და ლექსო დავსხედით თუ არა, შიო მამაბერიშვილმა ხუმრობით წარმოგვიდგინა ლუკა.

– გაიცანით ასიზელი გენიალური მხატვარი ლუკა კარიზი. არა ვარ მართალი? არავინ არ დაიჯერებს, რომ კარიზი ქართული გვარია.

ჩვენ გავიცინეთ. ლუკაც გულიანად იცინოდა. ეს ჩვენთან შეხვედრით წარმოქმნილი ხალისი იყო.

– რას ნიშნავს კარიზი? – ჰკითხა ლექსომ ლუკას.

– არ ვიცი. – მორიდებით უპასუხა ლუკამ.

– კართან ზის. – თქვა შიო მამაბერიშვილმა. – შეხედეთ ზუსტად ისეთი ტიპი არ არი, რომ კართან ზის და შემეგებას ითხოვს. პირადად მე არ შემოვუშვებდი.

– რატომ? – ჰკითხა გამხიარულებულმა ლექსომ.

– არავითარ შემთხვევაში არ შემოვუშვებდი. როგორ გეკადრებათ, ამისთანა შეცდომას როგორ დაუშვებდი. არასდროს.

– მაინც რატომ. – გაიმეორა ლექსომ.

– როგორ გეკადრებათ! ნუთუ ვერ ხვდებით მთელ არაყს დაგვიღევდა.

ხითხითი აგვივარდა. ლუკა კარიზიშვილმა გემრიელი სიცილი იცოდა. ბევრი იცინა. მერე თქვა:

– ხუმარა კაცია. მე დღეს პირველად ვსვამ. – ეს ძალიან ნრფელი გამომეტყველებით და მართლმწიფარე ხმით თქვა. გვაგრძობინა, რომ მაგარი თამაში შეეძლო.

ორას-ორასი გრამი არაყი დავლიეთ. ლექსო კარგიშვილი შეთვრა. შიო მამაბერიშვილმა რამდენიმეჯერ კიდევ აღნიშნა ინტელექტუალური სახე გაქვსო. შევატყვევ, რომ ლექსო კარგიშვილს არ ესიამოვნა ეს. შხამიანი ტონი გაჩნდა მის სიცილში. ლუკა კარიზიშვილმაც შემაქო: ლადო ნავრები მართლა მხატვარიაო. მესიამოვნა ასეთი ხალხისგან კომპლიმენტები. პატივს ვცემდი მათ აზრს.

ბარიდან როცა გამოვედით, ლუკა კარიზიშვილმა შემოგვთავაზა მასთან ნავსულიყავით.

– ერთი ბოთლი არაყი მაქვს, მაგონი. – მითხრა მან. კრავივით უწყინარო ლაპარაკი იცოდა. ღია სულიერი სიჩვილით გამოირჩეოდა მისი სახე. იქვე ცხოვრობდა ბელინსკის ქუჩის დასაწყისში. ნავყევით. სახლის ეზოში შემავალი გრძელი გვირაბის ჭიშკარში როცა შევედით, აი, იქ ჩაიდინა სრულიად უაზრო საქციელი ლექსო კარგიშვილმა. ასაკისგან მხრებწახრილი შიო მამაბერიშვილი 7-8 ნაბიჯით წინ მიდიოდა. მე, ლუკა და ლექსო გვერდიგვერდ მივდიოდით ნელ-ნელა. უეცრად ლექსო კარგიშვილი მოწყდა ადგილიდან, წინ გაქანდა და დიდი სკუპით შეახტა ზურგზე მოხუც შიო მამაბერიშვილს. ხითხითიც ატყნა. მოულოდნელი შეხტომისგან შეშინებულმა შიო მამაბერიშვილმა ძლივს შეი-

კავა თავი ნაქცივისგან. წონასწორობა როცა დაიბრუნა, ყელზე შემოჭდობილი ლექსოს მკლავებისგან განთავისუფლება სცადა. მაგრამ ლექსო კარგიშვილი არ აპირებდა მისი ზურგიდან ჩამოხტომას. მოხუცი გაყუჩდა. მერე მაინც ინტელიგენტურად გამოხატა აღშფოთება.

– რა უზრდელობაა! ნუთუ ვერ ხედავ ბაბუად რომ შეგეფერებით! კრეტინი ხომ არა ხართ?!.. არა, ეს წარმოუდგენელია! ახლავე ჩამოდიოთ!.. ჩამოდიოთ. მე ამდენი არ შემოძლია... გული მაქვს ავადმყოფი...

ლექსო კარგიშვილი არაფრით არ ჩამოდიოდა მისი ზურგიდან. ისევ ხითხითებდა.

– რას აკეთებს ეს კაცი. – მითხრა ლუკა კარიზიშვილმა მთრთოლვარე ხმით. მხრები ავიჩიჩი და ვიგრძენი, როგორი უცხო გახდა ლექსო კარგიშვილი.

შოი მამაბერიშვილი დადუმდა. ადგილიდან არ იძროდა. თითქოს შეუგნებელ ძალასთან ჰქონდა საქმე და მიანიშნებდა: აჰა, რაც გინდა, ის გააკეთეო. ძალიან არ მომეწონა ლექსო კარგიშვილის საქციელი. რაღაც ბოროტი დავინახე მასში. ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი თითქოსდა თბილი ადამიანი ასე ავად მოიქცეოდა. გამიკვირდა, რატომ იყო ჩემდამი კეთილგანწყობილი. შოი მამაბერიშვილი და ლუკა კარიზიშვილი ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც ასეთი ძაღვანი სიუხემის გამოვლენა ნამდვილი დევენერატიზმი იყო. ამ სულიერ, ბევრტკივილმაცად ადამიანებს საბჭოური ყაიდის ტლანქი მიუხვედრელობით და გონებაშეზღუდული, პლებეური ძალით ვერ გააკვირვებდი. „ხამებით“ იყო სავსე გარემო. სანყენი იყო, რომ ლექსო კარგიშვილი იქცეოდა „ხამურად“. თითქოს შინაგანი კულტურა უნდა ჰქონოდა და უნდა ცხადად ეგრძნო, რომ ამ სულიერად ძლიერ პიროვნებებთან წაგებას ნიშნავდა ასეთი იაფფასიანი ხერხით ყურადღების მიქცევა. მაგრამ, ალბათ, მაინც პლებეი იყო ბუნებით. არა, არა! გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი.

– მოგწონს, რასაც აკეთებს? – მკითხა ლუკა კარიზიშვილმა. მე კი ლექსო კარგიშვილს გავძახე:

– ლექსო, ძალიან არასწორად იქცევი.

როგორც იქნა ჩამოხტა გვირაბის დასასრულს ლექსო კარგიშვილი მოხუცის ზურგიდან. შოი მამაბერიშვილი სწრაფად შემოტრიალდა და ცრემლნარევი ხმით უთხრა ლექსოს:

– თქვენ პიროვნების არც დანახვა და არც შეფასება არ შეგიძლიათ. მე არ ვიცი რა ქვია თქვენი ტვინის მდგომარეობას. განუვითარებელი ხართ.

ლექსო კარგიშვილმა სცადა ხელი გადაეხვია მხარზე ცრემლმომდგარი მოხუცისთვის.

– დამანებეთ თავი! – იყვირა შოი მამაბერიშვილმა. ადგილიდან დაიძრა ჭიშკრის მიმართულებით. ჩვენ როცა ჩავვიარა, გვიოხრა:

– არ მინდა ამ ვამპირთან ერთად სუფრასთან ჯდომა.

– ნადი, ნადი, შოი, ხვალ გინახულებ. – უთხრა ლუკა კარიზიშვილმა. როცა შოი მამაბერიშვილი ჭიშკრიდან გავიდა, ლუკა კარიზიშვილმა მე მომმართა:

– ახლა გამასხენდა ერთ ავადმყოფ ადამიანს წამალი უნდა მივუტანო. მოდი, გადავდოთ ჩვენი შესვედრა.

ისიც ჭიშკრისკენ წავიდა. კარგი სილუეტი ჰქონდა, მაღალი და დახვეწილი. ფიზიკური ენერჯია სულიერ განწყობას ემორჩილებოდა მის წყნარ სიარულში. მერე მითხრა,

რომ მამაბერიშვილთან წასულა. არ მინდოდა მოხუცის მარტო დატოვებაო.

– რას ერჩოდი ამ მოხუცს. ესეც პავლე დოლონაძესავით ყალბი ვინმე ხომ არ არის. – ვუსაყვედურე მე ლექსო კარგიშვილს. – ძალიან ცუდად გამოჩნდა.

– შენ რა ინტელექტუალურად მელაპარაკები. – მიპასუხა მან ვითომდა ხუმრობით. მივხვდი რატომ მოექცა შოი მამაბერიშვილს უხეშად. არ მოეწონა, რომ მოხუცმა ჩემი ინტელექტი დაინახა და მისი ვერა. მითუმეტეს მდაბიურად ამეხილა მისი საქციელი.

– რა მოხდა ასეთი, ვიხუმრე. – დააყოლა მან.

ხასიათი გაფუჭდა. არაყიც გამოწვლიდა ორგანიზმში და ზანტი მოთენილობა დამეფულა. ლექსო კარგიშვილს მეგობარი შეხვდა ბელინსკის ქუჩის კუთხეში და მასთან ერთად წავიდა.

– ამ დღეებში გნახავ. – მითხრა მან ბოლოს. მე კი მისი დანახვა არ მინდოდა.

ელენე მიქელაძის ოჯახურ პრინციპს უთუოდ დაუპირისპირდა ლექსო კარგიშვილის საზღვარგადასული, რამდენადმე გიჟური პიროვნული თავისუფლება. უდაოდ ნაზად უყვარდა დედა, მაგრამ ეგოთავისუფლებისკენ დაუოკებელი ლტოლვა არაცნობიერად ჯაბნიდა მის ხასიათში ყოველივე ფაქიზს და კეთილშობილს. შეიძლება პიროვნული თავისუფლება არც ერქვას ლექსო კარგიშვილის ყოვლისდამკვეთლობის ძლიერ ინსტინქტს, აბსურდულ ველურობამდე მისულ უაზრო საქციელების ჩადენის მოთხოვნილებას. ეს ადამიანი რომ უაზრო საქციელის ჩადენის სინდრომით იყო დაავადებული, თვალსაჩინო იყო. და მაინც ჩემს მიზანში ამ დაპირისპირებული ძალების ჩვენება არ შედიოდა. მე უბრალოდ მინდოდა იმის თქმა, თუ როგორ რჩებიან ადამიანები უცნობებად მათთან მჭიდრო ურთიერთობის შემთხვევაშიც კი. იცნობ ადამიანს, მაგრამ მაინც უცნობია. შეჩვეული უცნობია. შეუძლებელი იყო უცხოდ არ მეგრძნო უაზრო საქციელებით გამოვლენილი ლექსო კარგიშვილი. მისი ასეთი გამოხდომები ქმნიდა ქაოსს, არღვევდა კავშირებს ადამიანებს შორის, წარმოშობდა სიცარიელის შეგრძნებით გაჟღენთილ გაუგებარ ვითარებას. მაგრამ ლექსო კარგიშვილი ერთმნიშვნელოვანი ხასიათის კაცი არ იყო. როცა უაზროდ მოიქცეოდა, იმის შემდეგ საოცრად ნაზდებოდა. ისე ეჭირა თავი, რომ თანაგრძნობით განვენყობოდი ხოლმე. ვამშვიდებდი ასეთ დროს. ხშირად ამხანაგებს შორის როცა ვისხედით ერთად, ჩუმად იყო ხოლმე, ძალიან მორიდებულად, სევდიანად. ასეთ პერიოდში რამე რომ ებრძანებინათ მისთვის, მორჩილი მსახურივით შეასრულებდა. იქით ბოდიშს მოიხდიდა. ქრებოდა მისი ფიზიკური ძალით მედიდურობა. საერთოდ საამაყის და ცინიკური ყოფილობის პატარა ნიშანიც აღარ იგრძნობოდა მასში. იმის გარკვევა არ შემეძლო, მისი ასეთი მდგომარეობა სინანულიდან გამომდინარეობდა თუ ბრმა და ველური აქტის შემდგომი მოშვეთლობა და შიში იყო საკუთარი შინაგანი სამყაროს ცხოველისადმი. რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული მისი განაზება და მოწყენა, მინდებოდა მენუგეუბებინა, დამეწყნარებინა. თითქოს ვპატიობდი გიჟურ საქციელს. უფრო სწორად, აღარ ვფიქრობდი მასზე, ვივინყებდი, მნიშვნელობას აღარ ვანიჭებდი. სწორედ ეს სევდიანი განაზების განწყობა ანერინებდა, ჩემი აზრით, მოთხრობებს. ერ-

თხელ, როცა ასეთ მორღვეულ მდგომარეობაში იყო და ვამშვიდებდი, მითხრა:

– შენ იდეა გაქვს. მე არა მაქვს იდეა.

– რატომ, თავისუფლების იდეა ხომ გაქვს.

– არა. მხოლოდ თვითდამკვიდრების მიზანი მამოძრავებს. საშუალება როგორი იქნება სულერთია, იმიტომ, რომ იდეა არა მაქვს. არაფერი არ მიყვარს ნამდვილი სიყვარულით. სისწორის მოთხოვნილება არა მაქვს. შენ იდეა გაქვს.

ერთი წამით მომეჩვენა, რომ იგი აღსარების ფორმით მიმტკიცებდა, რომ თანამედროვე ადამიანს არ შეიძლება დაჰქონოდა იდეა. ბრმა უნდა ყოფილიყო. თავისი ინსტინქტების ავტომატიზმით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. თუ ამას მეუბნებოდა, იმანზეც მიმანიშნებდა, რომ იდეით არსებობა ყალბი, მოგონილი, ილუზიური არსებობა იყო. ასეთი კუთხით მეც არაერთხელ მიფიქრია. ხშირად გამიკეთებია დასკვნა, რომ თანამედროვე ყოფიერება ისეთ გარდაუვალ სისტემას წარმოადგენდა, რომ ადამიანს არ აძლევდა საშუალებას გაერღვია იგი და არსებობის უკეთესი ფორმები მოეძებნა. ე.ი. ამჟამინდელი ყოფიერება არ აძლევდა ადამიანს საშუალებას, დადებითად წარემართა თავისი პიროვნების შენება. საერთოდ პიროვნების შენება, როგორც ადამიანის ნების გამოხატულება მცდარი გამოთქმა გამოდგოდა იმის გამო, რომ თვით ნება იყო ინსტინქტების ავტომატიზმით განსაზღვრული. როგორც საკუთარ რაობას ვერ გადაახტება ადამიანი, ისე თავის ეპოქასაც, დროსაც ვერ გადაახტება და უფრო სრულყოფილი დროის წარმომადგენელი ვერ გახდება. მაგრამ ასეთ ფიქრებს ეჭვით ვუყურებდი ხოლმე. მეჩვენებოდა, რომ ადამიანს ყველა შემთხვევაში უნდა ეძია თავისი ნამდვილი დანიშნულება. ინსტინქტებზე მინდობა ცხოველური მდგომარეობისკენ შებრუნებას მოასწავებდა. ცხოველი კი ვერაფრით ვეღარ გახდებოდა, რადგან გონება ჰქონდა და ერთხელ, ოდესღაც უკვე დაიწყო თავისი ადამიანური დანიშნულების ძიება. ამ ძიებას ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებდა.

რადგან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ლექსო კარგიშვილი ინსტინქტებით არსებობის გარდღეულობაზე მიმანიშნებდა, არ შევიმჩინე ჩემი მოჩვენებითი ასოციაცია.

– ამიტომ. რაში მდგომარეობს ჩემი იდეა? – ვკითხე მე.

– შენ სულზე ლაპარაკობ. ჩემთვის ყველაფერი სულერთია. შეიძლება ადამიანიც მოვკლა. ვერ ვიტან ადამიანს. მარტო ჩემი სურვილების აღსრულება მიყვარს. რაში მჭირდება ეს, არ ვიცი.

ეს მიძიმე აღიარებას ჰგავდა. რადგან მღვდლის როლში ჩამაყენა, დასამშვიდებელი სიტყვები ვუთხარი, მაგრამ არ მისმენდა. აიკვირება, რომ იდეა არ ჰქონდა. უცნაური შეკითხვაზე დაამისვა: – საერთოდ, ადამიანი არის ისეთი არსება, რომ მისი სიყვარული შეიძლება იდეაზე? რა უნდა მეპასუხა. ვეზუმრე, ქალიც ხომ ადამიანია მეთქი. არ გაეცინა. სერიოზულად დამიწყო მტკიცება, რომ ადამიანის შეყვარება შეუძლებელია. ეს შენგან ცალკე მყოფი დორბლიანი, მილი-არდლორნოიანი, ტრანაიანი, ჟღინტიანი, ბანჯგვლებმო-პუტული, ოფლიანი და ცხიმიანი კანის ტომარა წარმოუდგენელია გიყვარდეს შენი თავივითო. თან ფლიდი არსება არისო, გამცემელი, დაუნდობელი, მოღალატე, გონებაშეზღუდულიაო, პირუტყვზე უფრო პირუტყვია და მაინც უყვარსო თავის თავი. ვერ დაენდობიო, ვერ დაეყრდნობიო. სიკეთეს გაუკეთებ და ბოროტად გადაგიხდისო. რა უნდა

თვითონ არ იცისო. მოეჩვენება, რომ ქალი უნდა და ქალის ნდობა ვყოფილვარო. მოეჩვენება, რომ თავის გაჩენის მიზეზის გაშიფრვა უნდა და ფილოსოფოსი ვყოფილვარო. მოკლედ შავ ხასიათზე იყო. მერე გადაუვლიდა ეს იპოქონდრიული განწყობა, გამხიარულდებოდა, გააქტიურდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ჩაიდენდა რალაც უაზრობას. ისევ სიუცხოვის განცდა მეუფლებოდა. ყოველ ახალ შემთხვევაში მოულოდნელად ველურად იქცეოდა. მერე ისევ განაზღებოდა და ვამშვიდებდი, ვანუგეშებდი. ისე, რომ რთული ვინმე იყო.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ ლუკა კარიზიშვილს ვესტუმრე. ძალიან ლატაკურად ცხოვრობდა. მოლბერტი, სკამი, ტახტი, მაგიდა და ნიგნების თაროებიანი კარადა. სულ ეს იყო მისი ნივთები. საღებავები, ტილოები, ფუნჯები და ლაკების პატარა ბოთლები ოთახის კუთხეში ეყარა საღებავებით მოსვრილ ფარდაზე. კედლების ძირას თითქმის ყველგან მიყუდებული იყო ძველებური ჩარჩოები და უბრალო, ხის ქვეჩარჩოები. ფიცრის მაგიდა კუსტარულად შეკონინებულ ნივთს წარმოადგენდა. მისი ნაცრისფერ-ყავისფერი ზედაპირი გაჟღენთილი იყო სასმელით და ცხიმით. ტახტზე თხელი ლეიბი იდო. გათხლებული ბალიში საცოდავად ეგლო ტახტის თავთან. ერთადერთი საგანი, რომელიც მოვლილად და სუფთად გამოიყურებოდა ძველებური თლილქელიანი ღია კარადა იყო. მასზე ლუკა კარიზიშვილის ნიგნები და გრამფირფიტები ელაგა მწყობრად, თაროების თავზე გრამაფონი იდო თავისი ფართო და ნახნაგოვანი ხმის გამაღიებელით. ფისპარმონია, რომელიც კარის მარჯვნივ კუთხეში იდგა ხოლმე, აღარ იყო. ლუკა იძულებული გახდა გაეყიდა იგი. არადა ამაყობდა ამ ლამაზი ინსტრუმენტით. მამამ დაუტოვა. ლუკა ცუდ ხასიათზე დამხვდა. დაღვევა უნდოდა და ფული არა ჰქონდა. მეც უფულო ვიყავი. ნაცნობი მყავდა ვერის ბაზრის შიდა სალუდები და იმასთან წავედი. სესხად გამოვართვი ერთი ბოთლი „ზუბროკა“. მენდობოდა. იცოდა, რომ უთუოდ მივცემდი ფულს. ლუკა კარიზიშვილს გაუხარდა არყიანი ბოთლის დანახვა. მეზობელს რამდენიმე წინაკა გამოართვა და არაყში ჩაყარა, როცა ის ბოთლიდან ქილაში გადაასხა. მაგარი ლოთი იყო, ჩემი აზრით იმიტომ სვამდა ბევრს, რომ ქრონიკულად ვერ მუშაობდა. მხოლოდ პერიოდულად შეეძლო ხატვა. მაგრამ შინაგანად ფიქრებში და ინტუიტურ განცდაში განუწყვეტლივ მუშაობდა. მანამ ის ღარიბულ სუფრას აწყობდა მე ნახატებს ვათვალიერებდი. 3-4 ნახატი ეკიდა ხოლმე კედელზე. მეტს არ კიდებდა. შიო მამაბერიშვილის პორტრეტი გაეკეთებინა. მომეწონა პორტრეტი. უსუსურ მხრებიანი შიო ზედმიწევნით მძლავრი პიროვნული ხასიათით იყო გაკეთებული. ეს სიმძლავრე დამაჯერებელი იყო, რადგან თბილი ადამიანური განწყობის უბრალოებაში ვლინდებოდა შეფარულად. ლუკას კარგად გამოსდებოდა გამოსახულების დეფორმაციაში მსგავსების შენარჩუნება. ღიმილი მომგვარა შიოს ფიგურის ფიქრიანმა გამოხედვამ და სითბომ. შევუქე ლუკას პორტრეტი. ლუკამ ამოიხსრა და თქვა:

– ცუდად არის შიოს საქმე.

– რატომ?

– მაგარი ავად არის. ფილტვში სიმსივნე აღმოაჩნდა. დიდხანს ვეღარ გასტანს.

ძალიან მეწყინა. სინანული გამოვთქვი. მერე ვთხოვე შენთან ერთად წამოვალ ერთხელ მის სანახავად-თქო. დამეთანხმა. მერე მაგიდასთან მიმიხმო. დავსხედით.

– უაზრობაა ცხოვრება, – თქვა მან – მოდი ცოტა დავლიოთ, იქნებ დავგავინწყდეს ცუდი ამბები.

ჭიქები მივაჯახუნეთ და შიო მამაბერიშვილის სადღეგრძელო დავლიეთ. არაყს უკვე დაკრავდა წინაკის გემო. ლექსო კარგიშვილის შესახებ ველაპარაკე რამდენადმე მორიდებულად ლუკა კარიზიშვილს. მისი საქციელის შერბილება ვცადე. ვუამბე მისი განაზების პერიოდების შესახებ. მის მოთხრობებზეც ვთქვი რამდენიმე სიტყვა. ლუკა მშვიდად მისმენდა. გამომცდელ ყურადღებას არ მაჩვენებდა. ნაღდად ვიცოდი, რომ მსინჯავდა თავისი მშვიდი სმენით. აინტერესებდა, რა დონეზე გავარბილებდი ლექსო კარგიშვილის უხემ გამოხდომას. დროულად გავჩერდი. ლუკამ იგავი მითხრა:

– ერთი კაცი ჯერ სცემდა ადამიანებს და მერე მათზე ლექსებს წერდა. ჰკითხეს რატომ აკეთებ ამასო. თუ არა ვცემე, ისე არ მიყვარდებაო, უპასუხა.

გამეღიმა. აღარაფერი მითქვამს ლექსო კარგიშვილის შესახებ. როცა ვიხსენებდი რა გააკეთა, ვერც მე ვამართლებდი. ალბათ, შემატყო ეს ლუკა კარიზიშვილმა. მაგრამ არც იმის შესახებ მითქვამს რაიმე, ერთხელ თვითონ ლუკამ როგორ აიგდო საზოგადოება. თბილისში ჩამოვიდა ლენინ-გრადელი ებრაელი ფსიქიატრი-ჰიპნოზიორი. ერთ-ერთი ხელოვანის სახლში შეხვედრა მოუწყეს. დაბატიყეს ხალხი. მე და ლუკა კარიზიშვილი ერთად წავედით. აბსოლუტურად ფზიხელი იყო. სიფხიზლეში სიტყვაძუნწი ხდებოდა. მასპინძლის კარგად მოწყობილ უზარმაზარ სახელოსნოში, უფრო სწორად სასტუმრო სალონში უამრავი ხალხი იყო თავშეყრილი. სულ სხვადასხვა შრის წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ. კომპოზიტორები, ოფიციალური მხატვრები და არქიტექტორები, რამდენიმე პროვინციალურად მოლაპარაკე მწერალი. ხელოვნებათმცოდნეები, რუსულენოვანი თბილისელი სომხები, კინორეჟისორები, მსახიობები, მეცნიერები, დოცლანთა ქართველი ქალიშვილები და სხვ. ებრაელმა ჰიპნოზიორმა ჯერ სიტყვა თქვა, რომელშიც ხაზი გაუსვა ჰიპნოზის სამკურნალო დანიშნულებას და თავის დამსახურებას ამ დარგში. მერე გამოაცხადა, რომ იგი მზად იყო ჩაეტარებინა სეანსი. მსურველები უნდა გასულიყვნენ მეზობელ ოთახში. საკმაოდ ბევრნი გავიდნენ. მე უნდა ვეპყრობოდი ამგვარ კონცერტულ თამაშებს. გამიკვირდა, როცა ჩემს გვერდით ჩვილი გამომეტყველებით მდგარი ლუკა კარიზიშვილი დაიძრა ადგილიდან და სხვებთან ერთად გავიდა სალონიდან. დარბაზში ვინც დარჩნენ, მშვიდად ელოდნენ რა მოხდებოდა. ზოგ-ზოგან ხმადაბლა საუბრობდნენ. ორი წუთიც არ იყო გასული, როცა ოთახში მახინჯად დაბრეცილმა მუხლებჩაკეცილმა, თავუკანგადაგდებულმა, თვალებატრიალებულმა და ენაგადმოგდებულმა ლუკა კარიზიშვილმა შემოაღაჯა. მახინჯი ობობასავით მობაჯბაჯებდა. სიუშნოვე გათამაშებული არ იყო, მართლა ცუდი შესახედი იყო. მოხერხებულად უჩვენებდა ხალხს სხეუ-

ლის ზიზლით აღსაქმელ მდგომარეობას. მახსოვს, გავიფიქრე: არ ვიცი როგორი მხატვარია, მაგრამ უეჭველად დიდი მსახიობიათქო. კარგა ხანს იბაჯბაჯა ასე დავგრეხილმა და უტრირებულად დასახიჩრებულმა ხალხს ჩამოუარა, მერე დარბაზის შუაგულისკენ გაემართა. ეს ადგილი სცენასავით გამოიყურებოდა. ხალხი ირგვლივ იდგა. ყველა მას შეაჩერდა. საზიზრობისალმქმელი სახის გამომეტყველებები გაჩნდა დარბაზში. მხოლოდ რამდენიმე გაიცინა მოკლე და მშრალი სიცილით. „ეს კაცი ყველაფერს იკადრებს“ – ასეთმა ფიქრმა გამიელვა. სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ იგრძნო, რომ ლუკა კარიზიშვილი მასხრად იგდებდა ჰიპნოზსაც და ხალხსაც. ჰიპნოზისგან დაზარალებულს კარგად ასახიერებდა, მაგრამ ბიოლოგიურად აპათიური იყო. როგორც იქნა დაასრულა დარბაზის „სცენაზე“ თავისი ტანდანგრეული და სახედაბრეცილი „ვოიაჟი“. წელში გაიმართა და ხალხს შესცინა: ვხუმრობ, გამიგეთო. ჩემსკენ წამოვიდა მორცხვად, კრავივით, ჩვილი და უმნიკვლო გამომეტყველებით. ერთი-ორმა ტაში დაუკრა. ლუკამ ისევ შესცინა ხალხს. ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეეძლო ამისთანა მორიდებულ და თავმდაბალ კაცს ასეთი ურცხვი ოინბაზი ყოფილიყო. მაშინ პირველად გავიფიქრე, რომ მისი მორიდებულობა და თავმდაბლობა იმდენად ოსტატურად იყო გათამაშებული, რომ რეალურსახასიათო ნიშნებად აღიქმებოდა. მაგრამ რას გაიგებ. ვერ დავინწყე იმაზე მარჩიელობა, თუ რატომ მოიქცა ასე. ძალიან მრავალნიშვნელადი იყო მისი „აქცია“.

მეზობელ ოთახში კი ერთ-ერთი დოცლანთა ქალიშვილი ცუდად გამხდარიყო და ჰიპნოზიორს ველარ გამოყავდა ჰიპნოზის მდგომარეობიდან.

ისე რომ ლუკა კარიზიშვილი უფრო თვინიერი სულაც არ იყო, ვიდრე ლექსო კარგიშვილი.

ის კია, ლექსო კარგიშვილი კერძო პიროვნებას შეურაცხყოფდა, ლუკა კარიზიშვილი კი საერთოდ ადამიანებს.

ერთი შეხედვით გაუგებარია, რითი სჯობს ერთის თავხედობა მეორის უტიფრობას. და მაინც, ლექსო კარგიშვილი უფრო უხემად მოიქცა. ის, რომ ლუკა კარიზიშვილი საზოგადოებას დაემახინჯაყანა თუ დაემახინჯლრიჯა, არ ნიშნავდა იმას, რომ მას სულიერება აკლდა. პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ სულიერი პიროვნება იყო, თავისებურად ურევდა კიდეც, უფრო სწორად შინაგანი შუქის ძიების სირთულის და სიძნელის გამო ბორგავდა რთულად.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და ლუკა კარიზიშვილმა შიო მამაბერიშვილი ვინახულეთ. მართლა ძალიან ცუდად იყო. გათამაშებული სიმხნევით მითხრა ერთი-ორი წინადადება.

ლექსო კარგიშვილს ვუთხარი შიო მამაბერიშვილის ავადმყოფობის შესახებ. ლექსო დაიძაბა. თითქოს სახეც კი დაუპატარავდა პირქუში კრიჭაშეკრულობის გამო. მისულა შიო მამაბერიშვილის სანახავად, მაგრამ მოხუცი უკვე გათიშული დახვედრია. არავინ იცის, იცნო თუ არა ლექსო კარგიშვილი.

სამშაბათს, 26 დეკემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
ნარდგინება
ლაშა იმედაშვილის
ნიგნისა
**„სამი მკვლელობა
კველ თიბილისში“**
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41



ლია სტურუა

* * *

ზაფხულისგან ვიქირავე ოთახი.
რამდენი ხანია, ვაპირებდი
ჩემს თავში ჩახედვას,
რა მეგონა? იქაც
ბორჯომის ხეობა დამხვდებოდა,
მთელი წლის მონატრებით შელამაზებული?
„შინაგანი სამყარო“ სიტყვებია,
აქ ნაღმები იდო – თრომბები,
ანევრიზმები, დეპრესია,
განსაკუთრებით, კაშკაშის მერე.
თავდაცვა შეუძლებელია,
გინახავთ, ვინმეს
უარი ეთქვას კაშკაშზე?
ზაფხულისგან ვიქირავე ოთახი,
მაგიდასთან ვზივარ,
ჩემს თავში ვიხედები,
თვალეები დამიელამდა,
პურის ნაფშხვენები
იდაყვებს მიკანრავენ...

სად არის საბუთი?

ჩემი სამზარეულოს გაზქურა –
რალაც, უცნობი შენადნობებისგან
დამზადებული ძროხა, თბილი გვერდებით,
ასეთივე რძით,
რაც ადულებსას გადმოვა,
იმის შარავანდედით თავზე...
ოთახებში ცივა, გათბობა გაძვირდა,
გაყიდვას გადარჩენილი ფაიფურის ბუკოლიკა
ყინულივითაა და თვალს აღარ ახარებს,
ქურის გარშემო ვცხოვრობთ:
ბავშვები გაკვეთილებს სწავლობენ,
მე ხელებს ვითბობ, ჩემი ქმარი,

საიდანღაც, ჭერიდან, ფაფას მოხოვს,
თუნდაც, კორკოშელებიანს,
ამდენი უსაგნობის მერე...
ბურღული რაა,
მიზიდულობის კანონს მოვუხარშავ,
შეუძლებლობიან-ჩემიანად,
დანარჩენზე ის იზრუნებს,
ჩემი ცივილიზებული ძროხა,
არც ახალი მინდორი უნდა საზღაურად,
არც ორატორობა
უფსკრულის პირას,
უმწეო მტკიცება,
რომ ხელნაწერები არ იწვიან!
სად არის საბუთი?
თუნდაც, ისეთი რეალური,
როგორც რძე, ან ფაფა, ან გაზქურა,
ჩემი ერთი ტონა სიყვარული...

**მარტივი მოქმედებები:
გამრავლება, გაყოფა და სხვა**

ზემგრძნობიარე ფოტოაპარატი თვალეებში!
ხე იშლება ფოთლებად,
ფოთლები ქლოროფილის მარცვლებად,
სიტყვა „სიმწვანე“ – შემადგენელ ნაწილებად
და ყოველი ბგერის ბოლოში
ზარი კიდეა, რომელიც
სმენის რუტინას ამხოვს:
სად სამრეკლო ყურში,
სად ჩვეულებრივი მენიერი!
ცა რომ დაშალო, იმასაც,
რომელიღაც კედელი მინანქრის ექნება,
სიცხადისთვის, სიმყარისთვის,
სულებს შორის ოქროს ტინრებისთვის,
მათი ყოფილი ემოციებისგან
ცეცხლი რომ არ გაჩნდეს!
მხოლოდ, სისხლს ვერ გამოხატავს
მინანქარი, შიგ თუ ხელი ჩაყავი,
პირველი ხარისხის დამწვრობას მიიღებ,
ვერ გააშეშებ, ვერ გაასლიპინებ,
სამუშაო მასალად ვერ გამოიყენებ
აქედან არ მინათებენ
დედაჩემი – მკერდით,
ბებია – როიალის კლავიატურით,
მამა – წყალ-ღვინით,
ასეთი პროფექტორების წნეხის ქვეშ,
სულ ცოტა, მნითური მაინც, უნდა
გამოვსულიყავი, ჭორფლით მანათობელი
და არა ფოტოაპარატი, რომელიც
ქვეყანას საანგარიშოს ჩარჩოში აჯენს,

არითმეტიკის მარტივ ჩუქურთმებში.
 ღმერთო, დამიბრუნე ჩემი ბეცი თვალები,
 რომლებიც ვერ ხედავდნენ იმას,
 რაც არ უნდა დაენახათ...

* * *

მოკვდა კაცი,
 რაღაც ელემენტარული ანთებისგან,
 სული ჯერ იქ იყო, სადაც ტკიოდა,
 მერე გულში ავიდა, მერე თავში,
 შუბლიდან წავიდა, ვაშლები ყვაოდნენ.
 კიდეც, თუ იფიქრებს
 დუმილის ოქროს კლიტეზე,
 უსაღებავებოდ გაცივებულ ფუნჯზე,
 ყოვლისმცოდნე ვაშლის ხეებზე,
 აქ რომ უმანკოდ ყვავიან?
 რა დარჩება მისგან?
 აპოკრიფული ლიტერატურა...

* * *

იდაყვი, ჩამორტყმული მაგიდაზე,
 თვალებიდან ნაპერწკლები...
 ტკივილიც შუქით თავდება,
 როგორც ყვირილი რომელიმე
 ქართული ხმოვნით?
 ამ შუქიდან იმ შუქამდე
 ერთი დერეფანი მარტოობა,
 ბოლოში ცოდვილები გახეურით ხელში,
 უცოდველები ნარგიზის ego-თი,
 აქეთ – ღვინიდან ამოსული მეტაფორა:
 – ნათელში ამყოფოს ღმერთმა!
 მინა შავია და ტალახიანი,
 პოეზიისთვის, მაინც, მაღლობელი ვარ.

ცისფერი, ლურჯი, ალისფერი...

ზეთის ფერები მე დამიტოვა,
 მე, რომელმაც ხატვა არ ვიცო
 ალბათ, გრძნობდა, რომ
 საყრდენის ძეხნას დავინყებდი
 შვილს არ სცალია, შვილიშვილი
 ცისფერი საღებავითაა დახატული,
 ეს ფერი კი, მფრინავი,
 ერთ ადგილას ვერ გაჩერდება,
 სკირაც მე მერგო, თავისი
 იმპრესიონისტი შვილებით,
 ისინი მამობას ვერ განევენ,

უმწეოები ყველაფერში, ხატვის გარდა,
 სამაგიეროდ, ისეთი ღონიერი
 იზმის შემქმნელები, რომელზეც
 ცხვირს ვერავინ აიბზუებს,
 არავითარი ნოვალისი და სენტიმენტები!
 არაფერი, იმ კაცის გარდა,
 რომელიც იცდის, სანამ
 ცისფრად დახატულ ბავშვს
 ლურჯი მონიფულობა შეეპარება,
 ამ დამჯდარ, წყალგაურეველ ფერთან
 დატოვებს, როგორც ძიძასთან,
 თვითონ კი წავა იქ, სადაც
 ეპითეტებს იარლიყებივით აგლეჯენ,
 მაგ. თვითმყოფადობას,
 წითელ-ყვითელი, ადღევეებისას,
 ალისფერში ისევ გადადის,
 ოღონდ, მისი მონანილეობის გარეშე...

ასეთი საღამოს

კი არაფერი შეცვლილა,
 არც არავის ველოდები,
 დაღლილი ვარ, ლიმონივით გამონწურული,
 მისივე ფერის,
 ყვითელი ძლიერი ფერია,
 ყავარჯენივით მაქვს შედგმული,
 კიდეც, სიცხე იცის, თითქოს,
 ვეფხვმა შემოგასუნთქა,
 ფოლკლორული დედაჩემიც აქვე არ არის!
 თანაუგრძნობს და თანაუგრძნობს ყველას,
 ჩემს გარდა.
 რა სიმბოლოები ამიტყდა ამ უდროობაში?
 ეტყობა, მაინც, მიხარია,
 რომ ცოცხალი ვარ
 ზაფხულის ასეთ საღამოს!

* * *

ბრმა რომ მიხვდეს,
 როგორია ცისფერი,
 ვიოლინო უნდა მოასმენინო,
 შაქარი ჩაყარო ცაში,
 რაფინირებული – რა ზუსტი სიტყვაა
 ყურისთვის, მუსიკისთვის,
 ინსტრუმენტის ფორმისთვის,
 თან, ამდენ დახვეწილობაში,
 ვინ გაიგებს, რა პილპილიან-ნივრიანი
 ძეხვი გაქვს ნაჭამი,
 რა წითლად ბრდღვიალებს მუცელში!
 რენტგენზე ხომ არ ნაგვიყვანენ.

ადამიანის ხმა

ცნობათა ბიუროში ვრეკავ,
რომ ადამიანის ხმა გავიგონო,
არავის არ ვბაძავ, არავითარ კოკტოს!
ყველას თავისი სიჩუმე აქვს,
მეტ-ნაკლები სიმწარის ხარისხით.
ჯერ მრავალსიტყვაობა, ენამჭევრობა,
ლექციები კათედრების ბარიკადებზე,
ზედ, სისხლის წვეთებივით,
ციტატები ლექსებიდან,
მერე მისი მარტოობა ბეჭდებიანი თითებით
ეხება ეგზისტენციას,
მე სარეველა ბალახს ვებლაუჭები,
ის ურეკავს კაცს, რომელმაც მიატოვა,
მაგრამ სადღაც არის, ყავას სვამს,
იასამანზე ლაპარაკობს, როგორც ქალზე
და, პირიქით, ესთეტიკას ეთამაშება!
მე ცნობათა ბიუროში ვრეკავ,
სადაც, მხოლოდ,
ცოცხლების ტელეფონების ნომრებს იძლევიან...

ხე ფანჯრის წინ

ეს ვან-გოგობა რისი მაქნისია?
შვილს ვერ იყოლიებ, ხეს – სიხარულით,
უფრო რომ ყვითელია, მნათობივითაა,
მერე შემოდგომის სევდა?
როცა ქვევით იყურები,
ჩამოღვეთილი დადიხარ,
ისიც ხომ შეგიძლია, ტუჩების კუთხეები,
სახის გამომეტყველება, ზევით ასწიო,
მოსპო კლიშე!
ქსეროქსზე გადაიღო ის ხე
და ფანჯრის წინ დააყენო...
კარგი ასლი გამოდის,
სიპრიალეს ხორკლი უჩანს,
მსხვილ ფუნჯებს გაგრძნობინებს,
ცოტა, ლვიძლიც აწუხებს,
40 წლის მერე რალაც
ხომ უნდა გეტკინოს,
სათბური დაიდო, ამასობაში,
უყურო, როგორ აჭმევს მზე
თავისთავს ხეებს,
საიდან ეს თვისება არხეინ სტიქიას?
თავგანწირვა, რომელიც შენ დაგაკლო,
მხატვრის მოსეირნე თვალივით
ბუდიდან ამოვიღო, შიგ მელანი ჩაასხა,
წერე მყეფარ ბულებულეებზე
და ვარდების უკვე ეპიზოდურ როლზე!
ხატე, მკრთალი აკვარელი რომ
სისხლს ამოახველებს, ისეთი ფერის
ცოფიანი პეიზაჟები, რომლებიც იკბინებიან
ტილოდან, მუზეუმიდან, აუქციონიდან...

ვან-გოგები და კლიშეები!
მარცხნივ წახვალ, ინანებ,
მარჯვნივ – მშვიდად და მაძლრად იქნები.

* * *

სულ რამდენიმე გამის ფარგლებში
გიჟდებიან თითები
და ეს მოცარტია –
პარიკი, ლამის, ყიფლიბანდებზე
ჩამოცმული, ბემოლებით მოპირკეთებული სევდა,
მაჟორი – ყაყაჩოები რძეში
და ჩვეულებრივი მუშა-ბავშვი,
ვისთვისაც გამები შავი პურია,
რალაც სიტკბოს ჩაავლებს კონცერტზე,
რის მერეც, სულ მოცარტს თხოულობს
შიმშილის მოსაკლავად...
არ წაიყვანოთ ბავშვი კონცერტზე!
რადგან არასდროს აღარ შეჭამს
შავ პურზე წასმულ
მოხრაკულ ხახვს, რომლის სუნი
ალიზიანებს მდიდარ მეზობლებს
ისედაც, რა გემოცარტებათ?

ფანჯარა დამიკეტეს

აუცილებელი ნუნუნნი, რომ
ყოველდღიურობა მოგებზრდა:
სახლი, ჩაი, სამსახური და პირიქით,
შუაში – ტაფაზე მოცურავე კარაქივით,
ქორწილები, დაბადების დღეები,
სიმღერები, რომლებშიც
ნაღველს აქცევ
და შემსუბუქებული ამოდიხარ,
განურჩეველი,
ორშაბათის მოლოდინში:
მერე:
– ცოტა ხნით კიდევ გამიგრძელეთ ჩაისსმა!
თხელი ფინჯნიდან ქარვების ყლაპვა,
ჩინური ბალიშების და მუთაქების
პრიალი, ანუ სახლი,
სამსახურის ფანჯარაში ეკლესია –
ერთი აგური, ერთი მტრედი,
ასე აშენებული.
ორი აგური ერთად არ დაუნყვიათ,
არც ორი ჰაერი,
შუაში – სინათლე,
აქეთ-იქიდან ჩემი იდაყვები...
ფანჯარა დამიკეტეს,
იმ ქუჩაში გავლა აღარ მინდა,
ასეთ უბრალო რალაცებშიც
მექცევა ნაღველი
კიდევ ერთი კვირა გადავავაგორე,
ორშაბათს ველოდები...

ელოდეთ რილკეს ხუთტომეულს

კარგა ხნის წინათ უკვე იყო გამზადებული გამოსაცემად რაინერ მარია რილკეს, XX საუკუნის ამ ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედის ტომეულები ქართულ ენაზე მწერლისა და მთარგმნელის ნაირა გელაშვილის საერთო ხელმძღვანელობით. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ნამოწყება ძალიან დაბრკოლდა. და, აი, შევიტყვეთ, რომ „კავკასიური სახლი“ დაძრავს ამ „გაყინულ“ საქმეს. გამოცემის წინ ტექსტებს კიდევ ერთხელ გადაიკითხავენ და საბოლოო სახეს მისცემენ.

ჩვენი რედაქცია დაუკავშირდა ამ საქმის ერთ-ერთ მონაწილეს, ლიტერატორსა და მთარგმნელს თამარ კოტრიკაძეს და სთხოვა წინასწარ მიეწოდებინა ზოგიერთი ცნობა მკითხველისათვის.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ამ რთული და მრავალმხრივი ავსტრიელი ავტორის თხზულებათა ქართული კრებული მალე იხილავს დღის სინათლეს. მისი ისტორია, შეიძლება ვთქვათ, ისეთი რთული და წინააღმდეგობრივია, როგორც ეს რილკეს სწორედაც რომ შეეფერება. ყოველ შემთხვევაში, მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები კარგა ხანია, რაც ქართულ ენაზე ითარგმნა, სრული აკადემიური სახით მათი გამოცემა კი დღემდე ვერ მოხერხდა. ამაში, შესაძლოა, რაღაც პოზიტიურიც უნდა დავინახოთ, რადგან ჩვენს ეპოქას, ჩვენს საზოგადოებას, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად სჭირდება ისეთ პოეტთან შეხვედრა, როგორც რილკეა. ეპოქის ყველა იმ პრობლემამ, რაც ამ შემოქმედს გასული საუკუნეთა მიჯნის გადასახედიდან აღელვებდა და აშინებდა, დღეს კიდევ უფრო მკვეთრად იჩინა თავი. მე მგონია, რილკეს შემოქმედება მიგვიბრუნებს მრავალ იმ ადამიანურ, შინაგან თუ სოციალურ სირთულეზე, რომელსაც დღეს ვხვდებით და იქნებ გარკვეულწილად მათ დაძლევაშიც კი დაგვეხმაროს.

ეს ამბავი კი იმით დაიწყო, რომ (უკვე გასული საუკუნის) 80-იან წლებში მწერალმა და გერმანისტმა ნაირა გელაშვილმა მაშინდელი მთარგმნელთა კოლეგიის ბაზაზე რილკეს ტექსტებზე სამუშაოდ საციალური ჯგუფი შექმნა. მისი ხელმძღვანელობით ამ საქმეს მოეკიდნენ როგორც გერმანისტები, ისე ცნობილი მთარგმნელები და ლიტერატორები. სწორედ ამ ადამიანებმა შეადგინეს საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის – „კავკასიური სახლი“ – ბაზაზე დღემდე არსებული რაინერ მარია რილკეს საზოგადოების ბირთვი.

ზოგიერთი თარგმანი – როგორც ლექსები, ისე მხატვრული თუ ესეისტური პროზა – ბნკარედით შესრულდა. თითოეულ ნიმუშს დაერთო კომენტარები, ითარგმნა გერმანულ მკვლევართა უმნიშვნელოვანესი წერილები რილკეს

შესახებ. 1988 წლისათვის ეს – მოცულობითა და სირთულით – გრანდიოზული სამუშაო დასრულდა და რილკეს თხზულებათა ოთხტომეული არსებითად მზად იყო გამოსაცემად. სამწუხაროდ, მომდევნო წლების პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ხელი შეუშალა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. ჩვენს საზოგადოებას ფიზიკური თვითგადარჩენისათვის ბრძოლის წლები დაუდგა. ძველი ინგეროდა, მას ნელა, მძიმედ ცვლიდა ახალი...

„კავკასიური სახლი“ მთარგმნელთა კოლეგიის მემკვიდრეა და, ბუნებრივია, მან განაგრძო რილკეს შემოქმედების პოპულარიზაცია. ტომეულის გამოცემა მატერიალური სიძნელების გამო ვერ ხერხდებოდა, სამაგიეროდ, ამ ორგანიზაციის მიერ გამოცემულ სალიტერატურო, რელიგიურ-ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ ჟურნალ „აფრაში“ 1997-98 წლებში დაიბეჭდა რილკეს ზოგიერთი თარგმანი ნაირა გელაშვილის კრიტიკული წერილების თანხლებით. რილკეს საზოგადოების ეგვიდით ამ და მომდევნო წლებში ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები თუ სემინარები, მიძღვნილი ზოგადად XX საუკუნის დასავლელ ავტორთა შემოქმედებისადმი. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია რილკეს „დღინური ელეგიების“ შესახებ პროფესორ გურამ ლებანიძის ლექცია-საუბრების ციკლი. ამ საუბართა ჩანაწერიც, იმედია, მალე გამოქვეყნდება წიგნად.

დღეს „კავკასურმა სახლმა“ და რილკეს საზოგადოებამ გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს განახორციელოს ის, რაც ამდენი წლის განმავლობაში არ დასცალდა. დაიწყო თარგმანების ხელახალი გადასინჯვა, რედაქტირება, კომპიუტერულად დამუშავება. გამოვქმენით რამდენიმე უცხოელი სპონსორიც, რომლებმაც ტომეულის გამოსაცემად აუცილებელი თანხის ნაწილი გაიღეს. ესაა როგორც გერმანული, ისე ავსტრიული საქველმოქმედო ორგანიზაციები (რილკეს ლიტერატურული დანატოვარი ხომ გერმანულენოვანი სამყაროს ერთობლივ საუნჯეს წარმოადგენს, თუმცა ის მაინც ავსტრიელად ითვლება, რადგან ავსტრიის იმპერიის ტერიტორიაზე, პრაღაში დაიბადა). ძალზე ამაღელვებელი და სასიხარულო ფაქტია, რომ ერთ-ერთი ტომის ფინანსური მხარდაჭერა საკუთარ თავზე აიღო გერმანელმა პროფესორმა, ქალბატონმა ურსულა ლეონჰარდმა, რომელსაც საქართველოსთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

ძალიან გვიწოდდა 2006 წლის ბოლომდე პირველი ორი ტომის გამოცემა მოგვესწრო, რადგან ნელს რილკეს გარდაცვალების მეოთხმოცე წლისთავი სრულდება, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, მთელი ტომეული ერთბაშად გამოცემულიყო. მასალა კი უფრო ვრცელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოველოდით.

თავდაპირველად დაგეგმილი ოთხტომეულის ნაცვლად ხუთტომეული მზადდება. პირველ ორ ტომში შევა პოეზია (თავდაპირველი ჩანაფიქრით ის ერთ ტომში უნდა ჩატეულიყო), თარგმნილი ვახუშტი კოტეტიშვილის, ზურაბ კაკაბაძის, ჯემალ აჯიმაშვილის, თამაზ ბაძაღუას, ნაირა გელაშვილის, ლია ჯაყელის, გივი აღზაზიშვილისა და სხვათა მიერ. ეს ტომები მოიცავს როგორც ყველა მნიშვნელოვანი ლირიკული კრებულის რჩეულ ლექსებს, ისე უმნიშვნელოვანეს გვიანდელ ნაწარმოებებს – „დღინური ელეგიებსა“ და „სონეტებს ორფევსისადმი“ – სრული სახით. რაც შეეხება „ელეგიებს“, – ამ აზრობრივად და ესთეტიკურად რთულ,

ფილოსოფიურ ტექსტს, – ის ჩვენს გამოცემაში ორი სხვადასხვა თარგმანის სახითაც კია წარმოდგენილი: ისინი ლულუ დადიანმა და ვახუშტი კოტეტიშვილმა შეასრულეს.

მესამე ტომი პოეტის პროზას მოიცავს: ერთადერთი რომანის, „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერების“ გვერდით აქ შევა ადრეული და შუა პერიოდის მოთხრობები და ლექსები პროზად (მთარგმნელები: ნაირა გელაშვილი, ნათელა ხუციშვილი, ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი და სხვ.).

მეოთხე ტომს შეადგენს თხზულებები და წერილები ხელოვნების შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი მონოგრაფია „როდენი“ (ეს თარგმანები შეასრულეს ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანმა, მზია გელაშვილმა და ლამარა ნაროუშვილმა).

დაბოლოს, მეხუთე ტომში რილკეს პირადი (მოცულობით ძალზე ვრცელი) მიმოწერის ყველაზე საინტერესო ნიმუშები იქნება წარმოდგენილი: მისი მიმოწერა მეგობარ მწერალ

ქალთან, ლულუ ანდრეას-სალომესთან, რომელმაც ასე დიდი ადამიანური და შემოქმედებითი გავლენა მოახდინა ჭაბუკ პოეტზე და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მის ახლობლად დარჩა; ასევე მიმოწერა რუს პოეტებთან – ბორის პასტერნაკსა და მარინა ცვეტაევასთან (რილკეს სიცოცხლის უკანასკნელ წელს შორ მანძილზე გაბმული ეს სამთა მეგობრობა) და სხვა წერილები, რაც დუინოსა და მიუზოს ციხეკოშკებს შეფარებული განდევნილი შემოქმედის ყოფისა და ლიტერატურული შრომის შესახებ მოგვითხრობს...

ყოველ ტომს დაერთვის რილკეს შემოქმედების ამა თუ იმ მომენტისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები და, რა თქმა უნდა, კომენტარები.

ხუთტომეულის მთავარი რედაქტორია ნაირა გელაშვილი, თანარედაქტორი და პროექტის კოორდინატორი მე გახლავართ. იმედი ვიქონიოთ, რომ ხელს არაფერი შეგვიშლის და 2007 წელს ჩვენი მკითხველი ამ წიგნებს მიიღებს.

ალიონიდან ალიონამდე

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

ქართული მოღარნისტული რომანი: ისათი, რომორიც არის

კიდევ ერთი ჩანანერი ჩემი არქივიდან.

დანერბილი საოპონენტო რეცენზიად მაია ჯალიაშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე – 1999 წლის 8 დეკემბერს.

ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო დისერტაციის დაცვა, რომელსაც დავსწრებივარ – საუკეთესო თავისი სისავსით, სიღრმით, მასშტაბურობით, თავისი დინამიურობით. და ეს შემთხვევითი, ცხადია, არა ყოფილა, რადგანაც კათედრაზე იდგა ჩვენი სალიტერატურო და სამეცნიერო ცხოვრების უკვე თვალსაჩინო მონაწილე, ბევრი რომ მოესწრო სასიკეთო და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტს გვპირდებოდა.

ეს წლები ამის დასტურია.

შემდგომი წლებიც ამის დასტური იქნება.

მაია ჯალიაშვილის ანალიტიკურ ძიებათა ღირსება ისაა, რომ წინასწარ მომარჯვებულ თარგზე კი არ იჭრება მოვლენები თუ მასალა, არამედ მათ გულისგულში აღწევს და ყოველთვის ყველაფერი წარმოჩნდება ისე, როგორც სინამდვილეშია.

ამ მხრივაც გასათვალისწინებელია მისი ლიტერატურული მონაპოვარი, ერთ-ერთი ხელშესახები დასტური, რომ ქართული კრიტიკა არსებობს და ღირსეულადაც იხდის თავის უმნიშვნელოვანეს და უმაღურ ვალს.

როგორც იქნა ცალკე წიგნადაც გამოჩნდა მისი ის დისერტაცია.

და მკითხველთან პირველ მაცნედ დაე ის მაშინდელი სარეცენზიო ჩანანერი გაჰყვეს.

„მაინც რა არის ქართული მოღარნისტული რომანი?“

არის თუ არა ის იმ ნაკადის უშუალო მონაწილე, რასაც განახლების სალიტერატურო პროცესები ერქვა იმდროინდელ ევროპასა თუ ამერიკაში?

დღესდღეობით ეს თითქოს საძიებელი და სარკვევი აღარ გვაქვს, რადგანაც არსებობს საკმაოდ დამაჯერებელი პასუხები ამის თაობაზე და ქართული მოღარნისტული რომანის არსებობა არ არის ახალი აღმოჩენა, მაგრამ აუცილებელი იყო ისეთი მონოგრაფიის შექმნა, რომელიც კიდევ უფრო სახიერად გამოაჩენდა თუნდაც 20-იანი წლების ქართული რომანის პოეტიკასა და თავისებურებებს, გაითვალისწინებდა მიღწეულს, გამოიჯნავდა მართებულსა და მცდარს, დასახავდა ახალ პერსპექტივებს. გამოაჩენდა, როგორც თვითმარ, თავისთავად მოვლენას, მაგრამ იმავდროულად როგორც მნიშვნელოვან რგოლს იმ ჯაჭვისა, ქართული მოღარნისტი რომი ჰქვია და ჯერაც ბევრი რამ გვაქვს მისაკვლევი, ასახსნელი, გასაშიფრი, შესაფერისი ადგილის მისაჩენი.

გრიგოლ რობაქიძე ამ ხანას ქართული მწერლობის რენესანსის სახელით იხსენიებდა და საკუთარ თავსა და თავის ლიტერატურულ შეგირდებს სრულიად ახალი სიტყვის მაუწყებლად მიიჩნევდა.

ცხადია, ყოველგვარ ჰიპერბოლიზებას აქვს თავისი რეალური საფუძველი და ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რა დასტურდება და რა უარყოფა, ერთი სიტყვით, როგორ მოჩანს ის ყოველივე საუკუნის მიწურულიდან.

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა ჯერაც ძლიერია ძველი ინერციები, არამარტო საბჭოური სტერეოტიპები, არამედ გამოგონილი, შეთხზული სქემები და მწერალთა რეიტინგ-ლისტის ის ვარიანტები, ლიტერატურაზე მალლა ლიტერატურულ ურთიერთობებს რომ აყენებს.

ვცხოვრობთ დროში, როცა მალეა მოსათავებელი ლიტერატურულ გადაფასებათა პროცესი.

უშუალო მონანილენი ამ მეტად მტკივნეული პროცესისა გახდებიან ის ადამიანები, ვინც კვალდაკვალ მიჰყვებიან სამწერლო ცხოვრებასაც და ცდილობენ ამოავსონ ის ხარვეზებიც, რაც ასე აშკარაა ჩვენი უახლესი ლიტერატურის ადრეული ხანის ანალიზისას.

ხშირად გაისმის ხმები, რომ ბევრი თხზულება ხელახლა გვაქვს წაასაკითხი, ბევრი მოვლენა ხელახლა გასაზრებელი. მოთხოვნა, მონოდება თავისთავად ურიგო არ გახლავთ, მაგრამ, ცხადია, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, როცა ესა თუ ის პიროვნება თვითონვე ცდილობს განახორციელოს ის მიზანი, რაც თუნდაც ახლებურ ნაკითხვას უკავშირდება.

ვინც თვალს ადევნებს ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებას, ყველასათვის ნათელია, რომ თუ ვინმე გამოირჩა კრიტიკოსთაგან და ლიტერატურისმცოდნეთაგან, ერთი უეჭველად მიაა ჯალიაშვილიცაა. იგი აქტიური მონანილეა თანადროული კრიტიკულ-ესთეტიკური ძიებებისა. მისი რეცენზიები და კრიტიკული სტატიები არის არა ცალკეული ნიმუშები, არამედ ნაწილები კარგად გააზრებული ციკლისა, საბოლოოდ ყველაფერმა ერთად რომ უნდა მოიყაროს თავი და საკმაოდ ნათელი და დამაჯერებელი სურათიც გამოიკვეთოს.

„ქართული მოდერნისტული რომანიც“ ამ განზრახვის ნაწილად წარმოგვიდგება და დანერვილია იმ სიღრმით, რასაც მოველით მიაა ჯალიაშვილისგან. ეს მონოგრაფია არის ცოცხალი ორგანიზმი, საგსე საგულისხმო დაკვირვებებით, კარგად გააზრებული ფონით და მსჯელობისა და კომპოზიციის აგების იმ მანერით, რაც თვითონვე გვევლინება ესთეტიკურ ღირებულებად.

ნაშრომში მოხმობილია უამრავი ავტორი და ციტატა, მაგრამ მათგან ერთიც კი არ არის ზედმეტი, დამონმებული ნაკითხობის ილუზიის შესაქმნელად, რისგანაც ბევრი დისერტანტი არ არის დაზღვეული.

ეს ყოველივე მკვლევარს შესწავლილი და შეთვისებული აქვს და ბუნებრივად ამიტომაც უსადაგებს ლოგიკურსა და ნათელ მტკიცებებს.

ქართული რომანისტიკის სამი ნიმუში („გველის პერანგი“, „დიონისოს ღიმილი“ და „სანავარდო“) გამოყენებულია ქვაკუთხედად განზოგადებული დასკვნებისათვის და მსჯელობისას ისახება ის პერსპექტივა, რაც შემდგომი კვლევის სანიდარი უნდა გახდეს.

შემდგომი კვლევა თავისთავად გულისხმობს ქართული მოდერნიზმის სათავის გამოძიებას და ამ მიმდინარეობის მეთაურებად ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვის დასახვას. თეზისი, რომელიც დიდძალი საილუსტრაციო მასალით დადასტურდება და კიდევ ერთხელ გამოიკვეთება, რომ ლიტერატურას აქვს შინაგანი განვითარების კანონები და ისინი თავს იჩენენ მაშინაც, როცა ესა თუ ის ქვეყანა აცდენილია ბუნებრივი განვითარების გზას.

ესაა იდუმალებით მოცული სფერო, მიუნწდომელი ჩვენი გონებისათვის. ჩვენ ეს მოსაზრება უნდა მივიღოთ, როგორც რეალობა და არ გაგვიკვირდეს, რომ საქართველოში იმ დროს ხდება დიდი შემობრუნება, როცა იწყება



ევროპაშიც. იქ ეს განახლება უილიამ ბატლერ იეიტსის სახელს უკავშირდება, ჩვენში – ვაჟა-ფშაველასა და ვასილ ბარნოვის სწორედ ასეთივე ყაიდის ძიებებს.

სტილურ ცვლილებებს ევროპელ მწერალთა შემოქმედებაში მოჰყვა კომპოზიციის დაშლაც, რაც უკვე უცხოა ქართული რომანისათვის – პირნიმნდად მხატვრული ძიებების გზას ვერ გაჰყვებოდა ქართული რომანი ქვეყნის ტრაგიკული ბედის გამო – ჩვენში ეს ფუფუნება იქნებოდა. ამიტომაცაა თუნდ ამ სამ რომანში კომპოზიციის ხელახლებული და კლასიკურ ქარგაზე აგებული.

ამ გარემოებაზე ნაშრომში საგანგებო ყურადღება არ არის გამახვილებული, თუმცა მსჯელობისას აშკარად იგულისხმება, ყოველ შემთხვევაში, ნიგნად გამოცემისას კარგი იქნება თუ ეს თეზისი თვალსაჩინოდ გამოიკვეთება.

ანტიკურობისა და თანამედროვეობის შორეული პარალელის მონაცვლეობა – იეიტსმა რომ გამოიყენა პირველად, ჯოისის წყალობით დიდი გავრცელება მოიპოვა და ელიოტი სამეცნიერო აღმოჩენის ტოლფასად მიიჩნევს – მოდერნისტული რომანის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანია და დამახასიათებელი გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და დემნა შენგელაიას მხატვრული ქმნილებებისთვისაც, ოღონდ ამ პარალელის გამოყენებაც საფრთხილოა და მასზე მსჯელობაც. მხატვრული აზროვნება ვერ ჩაიჭედება წინასწარ მომარჯვებულ სქემებში და ამიტომაც მოხდა, რომ ჯოისმა „ულისეში“ შეცვალა თავდაპირველი დასათაურება, პირდაპირ რომ მიჰყვებოდა „ოდისეას“. ამ ორი თხზულების სიახლოვე უფრო შინაგან შრეებშია საძიებელი, ენათესავება ზოგადი ასპექტების და არა სიუჟეტის ნაბიჯ-ნაბიჯი განვითარება.

ამის ხაზგასმა აუცილებელია, რადგანაც პარალელების ძიებამ, მითოსური პლასტების აღმოჩენა-გამოვლინების ჟინმა ჩვენში მაინც განსაკუთრებით მიიღო ერთგვარი ავადმყოფური ხასიათი და ნაწარმოების შეფასება სრულიად აცდა კრიტიკული ანალიზის პროფესიულ, ბუნებრივ გზას. ითქვას პირდაპირ, კუროიზულიც კი გახდა. დღესდღეობით ეს არაჯანსაღი აჟიოტაჟი უკვე მოთავებულია, მაგრამ ინერცია მაინც გრძელდება და აქა-იქ თავს იჩენს ხოლმე. მიაა ჯალიაშვილის „ქართული მოდერნისტული რომანი“ შესაძლოა სრულიად თავისუფალი არ იყოს ამ ინერციისაგან, მაგრამ არც ისეთი აშკარა შეუსაბამობა თუ ხელოვნური დაკავშირება გვხვდება, აღნიშნვად ღირდეს. ნიგნად გამოცემისას ავტორი ხელახლა რომ გადახედავს ნაშრომს, ოდნავ რედაქციულ ცვლილებებს თვითონვე დასაჭიროებს და ეს გარემოებაც ნუ გამოორჩება.

თუ შენიშვნის გამოთქმა თვითმიზანია, ამ მონოგრაფიაშიც შესაძლოა დაიძვნოს ცალკეული პასაჟები, კრიტიკულად რომ განგანყობს, მაგრამ თუ შენიშვნა თვითმიზანი არ არის, მაშინ მხოლოდ სიხარული უნდა გამოითქვას, რომ შეიქმნა კიდევ ერთი არაორდინარული ნაშრომი იმ პროფესიონალის მიერ, ვინც ამის მერეც არაერთი სასიკეთო საქმე უნდა აღასრულოს ჩვენი ლიტერატურისათვის.

**სელინჯერი –
ირონიაც და ლირიზმიც**

ჯერომ სელინჯერის რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ ხელახალი თარგმნის აუცილებლობას – ახლებური სახელწოდებით „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...“ – გააჭუმბურიძე საჯარო თუ რადიოგამოსვლისას იმით ახსნის: ადრინდელი თარგმანი ცოტა არ იყოს მოძველდა და დღევანდელი ახალგაზრდობის ლიტერატურულ გემოვნებას ნაკლებ შეეფერება.

რაიმე სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობა, ახალი თაობის გემოვნების უცთომელი სიზუსტით განმსაზღვრელისა, თუ პირად დაკვირვება-შთაბეჭდილებებს განაზოგადებს ხელალებით, ამას ამჯერად ნუ გამოვედევნებით და იმ შეხედულებას ჩავუკვირდით, ქართული მწერლობის კლასიკოსის, ვახტანგ ჭელიძის თარგმანი ცოტა შეუფერებლად რომ გამოგვიცხადეს ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისათვის.

ამ თარგმანმა გამოჩინისთანავე მოხიბლა მკითხველი და მარჯვედ მიგნებულ ტონალობითა და სტილური დახვეწილობით სანიმუშოდაც კი წარმოგვიდგა, თუ რა ხელოვნებით უნდა გახსნოდა გზა თანადროულ ამერიკულ მწერლობას ქართულ სინამდვილეში.

მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო-ჟამს ულმობლად მიაქვს ბევრი რამ, ხუნდება არაერთი სიახლე-მიმზიდველობაც და, რაც თავის დროზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, შესაძლოა ახალი ეპოქის გემოვნებასა და მოთხოვნებს ისე სახიერად და ზუსტად ვეღარ ესადაგებოდეს.

თუმცა ესეცაა:

არის კი ვახტანგ ჭელიძე ის მოვლენა ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებაში, ვისი მიღწევანიც შესაძლოა გახუნდეს? და ვისი მთარგმნელობითი მემკვიდრეობის ენობრივი აქტუალობაც უკვე მართლა შეფასდეს ამ საბედისწერო განსაზღვრებით: მოძველებული?

ცხადია, ეს სულაც არა ნიშნავს, თითქოს მის მიერ გადმოქართულებულ მსოფლიო შედეგებს ახალი მთარგმნელებიც არ გამოუჩინდნენ, და ის თარგმანებიც ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდეს – არ განიდევენოს სალიტერატურო ცხოვრებიდან ვახტანგ ჭელიძის მიერ დანატოვარი ძვირფასი მემკვიდრეობა და, მასთან ერთად, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობა ნამოღვაწარიც დატრიალდეს სამწერლო მიმოქცევაში.

ჯერომ სელინჯერის რომანი იმ მხატვრულ ქმნილებათა შორისაა, რომლის გადმოღებაც შესაძლოა ყველა თაობას მოუნდეს და ამ მხრივ სულაც არ გვიკვირს გააჭუმბურიძის მონადინება და მაინცდამაინც არ ვსაყვედურობთ: იქნებ სელინჯერის იმ თხზულებათა გადმოქართულება სჯობდა, რაც ჩვენი მკითხველისათვის ხელმიწვდომელიაო.

ზოგადად შესაძლოა ასე მართლაც უმჯობესი იყოს, მაგრამ შემოქმედებითი პროცესი ისეთი იდუმალი და

აუხსნელი მოვლენაა, ვერ ჩაერევი და კანონებს ვერავის დაუდგენ. იქნებ თვითონ მთარგმნელმაც ვერ განგიმართოს, რატომ ჩაუჯდა უკვე თარგმნის და გვერდით გადადო უცნობი თხზულება, რაც მკითხველის მეტ ინტერესს გამოიწვევდა.

ასეა თუ ისე, ხელთ გვაქვს სელინჯერის რომანის ორი განსხვავებული თარგმანი.

როდესაც თავის დროზე ვახტანგ ჭელიძემ ხელი მოჰკიდა ჯეკ ლონდონის რომანის – „მარტინ იდენი“ – ამეტყველებას ქართულ ენაზე, უკვე არსებობდა სოლომონ თავაძის მიერ შესრულებული ნიმუში, რომელიც მთლად ურიგოც არა ყოფილა, მაგრამ აკლდა ის დახვეწილობა და დინამიზმი, რაც ნიშანდობლივია იმ ხელმეორე თარგმანისათვის.

იქნებ ამჯერადაც რალაც ასეთი მოხდა?

იქნებ – გამოცდილების გათვალისწინებით – გააჭუმბურიძემ მეტ დახვეწილობას თუ არა, დინამიურობას მაინც მიანია და „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...“ რალაც მხრივ წასწია წინ ოსტატობის თვალსაზრისით?

იქნებ ის ჟარგონი, რითაც გადავსებულა მისი თარგმანი, მისი წინამორბედის ხელში – გარემოებათა გამო – სალიტერატურო სიტყვებითა და გამოთქმებით შეიცვალა და, გინდა-არ გინდა, მთავარი პერსონაჟის – იგივე მთხრობელის – მეტყველება და რომანის საერთო სტილისტიკა საგრძობლად დაზარალდა?


მაგრამ... ამ რომანში სელინჯერის სტილური მანერის არსებითი ნიშანი სულაც რომ არ არის ჟარგონი თუ ვულგარიზმი?

მაშ ცოტა თვითმიზნური ხომ არაა ქართული ორეულის განწყობა პირწმინდად ჟარგონულ და ვულგარულ მეტყველებაზე?

ამ თვალსაზრისით სელინჯერის რომანი სრულიად განსხვავდება ენტონი ბერჯესის რომანისაგან „მექანიკური ფორთოხალი“, რომლის ჩინებულ ქართულ ვერსიასაც წლების წინათ სწორედ გააჭუმბურიძის მეოხებით გავეცანი და ისე ზუსტად დაეჭირა ბერჯესის პერსონაჟის – იგივე მთხრობელის – მეტყველება და, შესაბამისად, თხზულების სტილისტიკა, წიგნი ერთბაშად მოექცა ჩვენი სამწერლო ცხოვრების შუაგულში. დასანანია, რომ მკითხველის ცნობისწადილი და მოწონება აღარ ასახულა სალიტერატურო კრიტიკაში და მხოლოდ ლევან ბრეგაძემ დააფასა მთარგმნელის გარჯა თავის „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ ამ რომანის სტრიქონთა უხვად ციტირებით.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ გააჭუმბურიძე ამჯერად შეგნებულად უმზადებს ლექსიკონის შემდგენელს ახალ-ახალ მასალას, თავისთავად მდიდარსა და ეფექტურს, მაგრამ სელინჯერის რომანის სტილისტიკისათვის ცოტა არაბუნებრივს.

ეტყობა, მთარგმნელი ზედმეტად დაენდო სნობურ-ტუსოვკური წრის ლიტერატურულ გემოვნებასა და ინ-



ტერესებს და მათ თარგვზე მოჭრა რომანის ქართული სტილი. ამის გამოისობით კი დაიკარგა სელინჯერის გმირის მეტყველების ფაქიზი ლირიზმი, რაც შეფარულად თავიდან ბოლომდე გასდევს თხრობას, დროდადრო საკმაოდ მკვეთრად იჩენს თავს (საყვარელ გოგონასა და გარდაცვლილ ხმაზე ფიქრისას, უმცროს დასთან ურთიერთობისას). ეს ის მეორე პლანია რომანისა, რომელიც გვაგრძნობინებს ჰოლდენ კოლფილდის მდიდარ, მრავალნახნაგა ბუნებას, მისი სულიერების სიღრმესა და მოვლენებისადმი ირონიულ-კრიტიკული დამოკიდებულების სანყისს – არა ყმანვილური გაუცნობიერებელი ამბოხი ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ, არამედ ნაადრევად მომნიფებული ახალგაზრდა კაცის საკმაოდ ჩამოყალიბებული შეხედულებანი, მისი სულის ის ფარული შრე, რომელიც პიროვნულ ბირთვს ქმნის და ვერაფრისდიდებით ვერ შეიძენ, თუკი დაბადებითვე არ დაგყოლია.

ერთი სიტყვით, ახალ თარგმანში დაკარგულია ის, რაც ასე ხელშესახები და სახიერია ვახტანგ ჭელიძის ვერსიაში და სელინჯერს წარმოგვიდგენს დიდ მწერლად და არა მეტექსტედ თუ მოდურ ავტორად, ერთი დღის ბუზად, რომლის ბუზილიც ისე შეიძლება გაქრეს, მომდევნო თაობებს სასაცილოდაც არ ეყოთ, რას აეყოლიებინა ასე მისი თაყვანისმცემელი.

სამწუხაროდ, ვახტანგ ჭელიძის მიღწევა შეუმჩნეველი და გაუზიარებელი დარჩა.

ნაცვლად იმისა, შენარჩუნებულიყო ლირიზმისა და ირონიის ოსტატური და შთამბეჭდავი ნახავი, ურთიერთმონაცვლეობის ფაქიზი ხვეულები, ერთი პლანი უკიდურესობამდე გამკვეთრდა მეორის ხარჯზე; და ამიტომაცაა, რომ გია ჭუმბურიძის ეს ახალი ნამუშევარი სალიტერატურო ცხოვრების უშუალო ნაწილი კი აღარ ხდება, არამედ საკუთრება ერთი მცირე წრისა, რომელსაც ყალბი ბრწყვიალება ძალიან ჭრის თვალს და ზანზალაკების ჟღარუნით დაბანჯულს ველარ გაურჩევია ერთმანეთისაგან ჭეშმარიტი ლიტერატურა და მისი ცრუ-ნარეკლი.

„კლდის პირას, ჭვავის ყანაში...“ არ არის პირველი თარგმანის არამცთუ ტოლფასოვანი მოვლენა, არამედ აცდენილია ჯერომ სელინჯერის ესთეტიკასა და სტილისტიკას. მთარგმნელს ხელიდან კი არ გაუსხლტა თხრობის ძაფი, განზრახ გააგდო ხელიდან. ადაპტირებული ვერსია უფროა, თუმცა... გაუმართლებელი მაინც არ უნდა იყოს ეს ცდა და იმ მხრივ გამოადგებათ ჩვენს მთარგმნელებს, რომ აერიდონ სნობურ-ტუსოვკურ გემოვნებას და ორიენტირად ის კი არ დაისახონ, არამედ თვითონ შეუქმნან იმ გემოვნების ადამიანებს ჭეშმარიტი ორიენტირი.

თვითონ კი არ დამდაბლდნენ, მკითხველის ამაღლება სცადონ.

და სელინჯერიც იყოს ის, რაც არის სინამდვილეში, ცოდვაა პროკრუსტეს სარეცელისათვის; და თუ მთარგმნელობითი ხელოვნება არ გეყოფა სრულფასოვანი ორეულის შესაქმნელად, განზრახ მაინც ნუ ამოუყენებ გვერდით გადასხვაფერებულ, ადაპტირებულ ვერსიას და სელინჯერს ნუ გაუთანაბრებ ლიტერატურის მიღმა მდგარ, დასავინყებლად განწირულ ქართულ ტექსტებს.

ნურც ვახტანგ ჭელიძისა თუ სხვა ამ რანგის მთარგმნელთა ღვაწლის დამცირებას მოინდომებ. ისინი მოძველებულად არასოდეს გადაიქცევიან და ყოველთვის სასიკეთო ზეგავლენას მოახდენენ ყოველი თაობის სულიერ დახვეწაზეც და ცნობიერების თვითდადგინებაზეც.

შეგონება და მისი ალტერნატივა

სენტენციასავით დამკვიდრდებოდა გურამ რჩეულიშვილის ის ფრაზა:

– ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში.

არც სისხარტე აკლია, არც ღრმა აზრი და, რა გასაკვირია, სალიტერატურო-ჟურნალისტურ მიმოქცევაში ასე რომ დატრიალებულიყო.

ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სენტენციას, შეგონებას, ანდაზას შესაძლოა აღმოაჩნდეს თავისი ალტერნატიული ფარდი თუ გამოძახილი, არანაკლებ ღრმა-აზროვანი და შთამბეჭდავი.

მთავარია, ჩვენი მზერა არ მიეჯაჭვოს ამა თუ იმ სენტენციას და, როგორც უნდა მოგვწონდეს, მის მიღმა გახედვასაც შევეცადოთ. მოუძებნოთ ფარდი შეგონება. და თუ მოძებნა გაგვიძნელდება, გული გვკარნახობდეს, რომ შესაძლოა არსებობდეს ალტერნატიული ვერსიაც, და დავაფასოთ მისი გამოჩენა, სადაც კი წავაწყდებით.

აუცილებელი სულაც არ არის, რომ ავტორი ამა თუ იმ შეგონებას თავის ალტერნატივას წინასწარგანზრახვით უფარდებდეს, ხშირად ესეც ისევე გაუცნობიერებელია, როგორც მხატვრული თხზულების შექმნა, მაგრამ ყოველი ასეთი ნიმუში რელიეფურად აირეკლავს ავტორის გონების სიმახვილეს.

მაშ ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში?

და თუკი ასეა, აშენებულთ ტკბობა პიროვნულ ნაკლადაც კი გამოიყურება და ხელისშემშლელად, შემოქმედებითი აღმაფრენისათვის ფრთების შემკვეცივლად და ადამიანის ადამადუნებლად?

მაქსსაც ასე ჰგონია და სულაც განაზოგადებს: გაკეთებულთ ტკბობა ქართული ჭირიაო.

მაქსი მაკა გოგუაძის რომანის პერსონაჟია – „ერზაცი ისევ ხუმრობს“, რუსეთიდან საქართველოს შემოფარებული ახალგაზრდა მხატვარი, ვისაც კოტე მარჯანიშვილთან დაახლოება და გაკვირება გადაუწყვეტია. ამიტომაც ჩავიდოდა საგანგებოდ ქუთაისში 1929 წელს „ურიელ აკოსტას“ პრემიერაზე დასასწრებად და მის დასასურათებლად. თეატრში რომ შეაბიჯებს, გამაოგნებელ შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე პეტრე ოცხელის ხელოვნება, მაგრამ განზრახვიდან უკან არ დაიხვევს და სულსა და გულს გამოახვევს ისეთი ფერწერული ციკლის შესაქმნელად, რასაც, მისი აზრით, ვერ შეძლებდნენ ოცხელ-მარჯანიშვილი.

– თქვენ არ გესმით თეატრის არსი, – პირდაპირ მიახლის რეჟისორი, როდესაც მაქსი წარუდგება.

– არც მაქვს პრეტენზია, – მიუგებს ახალგაზრდა მხატვარი, – ვნუხვარ, თუ ასე იქნა გაგებული. ახლავე მო-

ვიდრეკ მუხლს ოცხელის ნიჭის წინაშე. მას მაინც არ აჩვენოთ, გთხოვთ.

– ახლა არ ვაჩვენებ, ჯერ დატკბეს თავისი წარმატებით, – ეტყვის თუ არა მარჯანიშვილი, მაქსი უკვე შეეპასუხება:

– ტკბობა რად უნდა. ტკბობა შემდეგი სასწაულისგან მოაცდენს. გაკეთებული ტკბობა ქართული ჭირია.

თითქოს სიტყვა მოუჭრა საკმაოდ ეფექტური ფრაზით და უნდა ანანებინოს, ტკბობის აუცილებლობა რამ დამაცდენინაო. მაგრამ მოსწრებულ სიტყვას არანაკლებ მოსწრებული სიტყვა უნდა შეეგებოს და დაფარული მხარე მოულოდნელად ააღვაროს:

– მთლად ასეც არაა. მხოლოდ ტკბობაში ცნობიერდება მთლიანად საკუთარი შექმნილი, ზუსტდება მითამდე და შეიგრძნობა დაკვეთა მომავლის.

ესეც ის ალტერნატივა – შეგონების საპასუხო შეგონება, სენტენციის საპირისპირო სენტენცია, რომელიც თავისი ეფექტურობით მკითხველსაც ისევე ააფორიანებს, როგორც მაქსი: უნდა ნავიდე, მომიტევეთ. მე თქვენთან ლაპარაკი არ შემიძლია, ვერ გელაპარაკებთ.

მოხდენილად ჩაქსოვება ეს სენტენცია ეპიზოდსაც და მთლიანად თხრობასაც და გამოცალკეებითაც გამოცალკევდება სალიტერატურო-ჟურნალისტურ მიმოქცევაში საბრუნად, ოღონდ ჯერ... ავტორის სახელი უნდა გახმაურდეს შესაფერისად, ამ არაორდინარული რომანის შემქმნელისა, რაც კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ჩვენი ახალთაობის სამწერლო ღვაწლზეც და მომავლისაკენ თავდაჯერებულ სწრაფვაზეც, გაუძლოს უმძაფრეს, საკმაოდ ძლიერ კონკურენციას ევროპული კულტურული ლიტერატურული სივრცის არეალზე.

„ერზაცი ისევ ხუმრობს“ – ახალგაზრდა კაცის სულიერ ძიებათა ანალიტიკური სურათი, მისი აქეთ-იქით მინყდომ-მონყდომის შეგნებულ თუ გაუცნობიერებულ საწყისთა ღრმა და შეუფერადებელი ანალიზი და მიმზიდველი სიუჟეტური ქარგა, რომელიც თითქოს სრულიად დაშლილია და ცალკეული ხაზები ერთმანეთს აცდენილი, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მარჯვედ იკვრის და ქართული ინტელიგენციის თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების ფრაგმენტული სურათები ამოეხვევა დავით გარეჯის გადასარჩენად გაშლილი სტუდენტური მოძრაობის ირგვლივ.

ერზაცი, სათაურად გატანილი იდეა, განსაზღვრავს რომანის მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკას, რადგანაც, მწერლის თქმისა არ იყოს: ადამიანს, მეტადრე შემოქმედს, არა ჰყავს ერზაცზე – არანამდვილზე, სუროგატზე – დიდი მტერი.

ეს სიტყვები ჩართულია დიალოგში, რომელიც მაკა გოგუაძესთან მოუმზადებია ხათუნა მაისაშვილს („ახალი 7 დღე“, 2006, 1 სექტემბერი) და გამოირჩევა იმ პროფესიონალიზმით, რაც არსებითსა და მნიშვნელოვანს აგრძნობინებს მკითხველს და ძალდაუტანებლად არწმუნებს, რომ რომანის გაცნობით ნამდვილ ლიტერატურასთან მოელის შეხვედრა.

რადგანაც მწერლობა უმაღლესი რანგის ფსიქოთერაპიაა, საჩემო ფსიქოთერაპიის თვისებამ უბიძგა მხატ-



ვრულ სპეციფიკურ მიზანსო, – იქვე განაგრძობს ავტორი, – უკიდურესად დახვეწილი მიმენოდებინა ერზაცი ანუ მით განმსჭვალულიყო მთავარ პერსონაჟთა არსების მაღალინტელიგებელური არეები, რადგანაც თხზულების პათოსი ასეთია: თუ ამ გმირთა ნატიფი სულების ნაცოფი ერზაცია, რა არის ის, რაც ჩვენს სინამდვილეში მოღაერობსო?!

ეს დაწურული დახასიათება გამჭვირვალედ მიანიშნებს მკითხველს მთავარ გმირთა გახლენილ შეგნებასა და თვითგვემაზე, და რეალობის ტრაგიზმზე, რაც ოსტატურად წარმოაჩენს პერსონაჟთა სულის შეფარულ დანაშრევებსაც, და ავტორის პირდაპირობა და გულგახსნილობა იმითაც მკაფიოდ ცნაურდება, როდე-

საც არ მოერიდება გაცხადებას: ლეო მე თვითონ ვარო. ეს იმის პასუხად, ჟურნალისტი თავის ვარაუდს რომ გაუზიარებს: წიგნის პირველი თავი საკმაოდ უშუალო ასოციაციებს აღძრავს საქართველოს პირველ პრეზიდენტთანო.

მაგრამ მოჩვენებითი ყოფილა ასეთი ასოციაციები, რაკილა მთავარი გმირის საწყისი ავტორისავე ბუნებაში ჩაბუდებულა, ვიდრე განაზოგადებდეს „თანამედროვე პროგრესის ზღვრულ სახედ, იმდენად გართულებულად, რომ სულთამხილავი მაქსიც ველარ იტევს მას, ვერ აუდის მის ენერგეტიკას – ამაშია პირადად მაქსის ერზაციც და ტრაგედიაც“.

ჟურნალისტი იმ მოსაზრებასაც გაუზიარებს: „ერზაცი ისევ ხუმრობს“ აშკარად ამოვარდნილია ქართული ლიტერატურის უკანასკნელი 15-წლიანი ყალიბიდან, რაც მე ძალიან მომწონს. მაგრამ ის ალბათ ენათესავება ქართული პროზის უფრო ადრინდელ ნაწარმოებებსო, – რის პასუხადაც მაკა გოგუაძე ასეთ ფორმულირებას ამჯობინებს: „ერზაცი“ ენათესავება ქართული მწერლობის ყველა იმ ძეგლს, რომელშიც ქართველი საღმრთო მადას და სიმშაგეს ამჟღავნებსო, – და ზედმეტად მიაჩნია დაზუსტება, თვითონაც მართლა ამოვარდნილი ერვენება თუ არა თავისი რომანი ქართული ლიტერატურის უკანასკნელი 15-წლიანი ყალიბიდან.

„ერზაცი ისევ ხუმრობს“ ამოვარდნილი მარტოდენ მაშინ შეიძლება გვეგონოს თანამედროვე ქართული სამწერლო პროცესიდან, როდესაც მკაფიო წარმოდგენა გვაქვს ამ პროცესის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებზე და არა მის მთლიან მდინარებაზე, რის სისხლხორცეულ ნაწილადაც გამოჩნდა ეს რომანიც და მისი ავტორიც, ჯერჯერობით ერთი ლიტერატურული დიალოგის ანაბარა დარჩენილი. და ასე უჩუმრად ამ წიგნს არ უნდა ჩაევილო, სამწერლო ცხოვრება ისე რომ გვექონდეს მონესრიგებული, როგორც გვეოცნება და საითაც ნამდვილად მივისწრაფით.

ისე –

თავისი ვნების სიმძაფრე აქვს შენებას.

თავისი – აშენებული ტკბობას, რათა მთლიანად გაცნობიერო საკუთარი ქმნილება, დააზუსტო მითამდე და შეიგრძნო მომავლის დაკვეთა.

ლალა ავალაინა

რეზო ინანიშვილის „ბრძნული გულუბრყვილობა“

ბრძენი სიტყვითა დარჩების,
ოსტატი თავის ხელითა.

დავით გურამიშვილი

„ყოველგვარი ოსტატობა სიცივეს აფრქვევს“, – სტეფან მალარმეს ეს პარადოქსული გამონათქვამი მიზნად „წმინდა ხელოვნების“ აპოლოგიას ისახავდა: ამ ფრაზაში ოსტატობა პოზიტივია მხოლოდ იმიტომ, რომ სიცივეს აფრქვევს.

„ხელოვნების დეჰუმანიზაციის“ (1925 წ.) ავტორს, ეს-პანელ ფილოსოფოსსა და მოდერნისტული ხელოვნების მეტრს ხოსე ორტიგა ი გასეტს მალარმეს ეს სიტყვები ახალი, მოდერნისტული ხელოვნების ადეპტთა საზრისის საილუსტრაციოდ ჰქონდა მოხმობილი: ესთეტიკური ტკბობა რაციონალური უნდა იყოს, მშვენიერების გამოხატულებამ ღიმილისა თუ სევდის საზღვარი არ უნდა გადალახოს, „ხელოვნება არ შეიძლება ფსიქიკურ განწყობაზე იყოს დაფუძნებული, – ეს ინსტინქტური, არაცნობიერი ელემენტია, ხელოვნება კი სრული სიცხადე, გონიერების შუადღე უნდა იყოს“ (ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

რეზო ინანიშვილისადმი მიძღვნილი ოტია პაჭკორიას ერთი მშვენიერი წერილი ასეა დასათაურებული, – „ოსტატი“. მალარმეს სიტყვების პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, უნდა ვთქვათ, რომ რეზო ინანიშვილის ოსტატობა მუდამ სითბოს აფრქვევს.

„ხელოვნების დეჰუმანიზაციის“ ავტორის მოხმობა დიდ ქართველ მწერალთან მიმართებით იმიტომაც დამჭირდა, რომ ამთავითვე მეთქვა: რეზო ინანიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა პირწმინდად აქარწყლებს ხელოვნების დეჰუმანიზაციის ყოვლისმომცველობის დოგმატს.

მწერალი არ ცდილა ელაღატა თავისი ესთეტიკური მრწამსისათვის და მისი მანერისათვის მიუღებელ ნოვატორულ ძიებებს დასწავებოდა („ბალახის ვალია, რაც კი ძალი და ღონე აქვს, შეისრუტოს ფესვებში გამოსაკვები წვენი, რათა თავის ადგილზე ბალახად ამოიზარდოს. იგი არ ცდილობს ბანიანგის ხედ გადაიქცეს და ამის გამო დედამინა მომხიბვლელი მწვანით იმოსება. რა ცუდია, რომ ასეთ რამეებს ყოველ დღე არ ვასწავლით, ამ ორიგინალურობისათვის დაფეთებულ გოგო-ბიჭებს“).

რეზო ინანიშვილის შემოქმედების ღომის წილი იმისი თვალსაჩინოებაც იყო და არის, რომ უმძვინვარესი ტოტალიტარიზმის პირობებშიც კი ყვავის ხელოვნების ცისფერი ყვავილი.

ღვთის მადლით, რეზო ინანიშვილი XX საუკუნის II ნახევრის ქართულ მწერლობაში უკანასკნელი ჰუმანისტი არ არის; მაგრამ თუკი მისი პროზა დღეს კლასიკად აღიქმება, ამას, ჰუმანისტურ მსოფლხედვასთან ერთად, მისი სხვა თავისებურებანიც განსაზღვრავს: ბუნების გამძაფრებული განცდა, სამყაროს თითქოსდა რელიქტური აღქმა, სიტყვის გამორჩეულად მკვეთრი შეგრძნება, პროზის შესაშური პოეტურობა.

რეზო ინანიშვილი იმ იშვიათ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც, ვაჟა-ფშაველას შემდეგ, კვლავ გვაზიარეს პირველქმნილი ბუნების მშვენიერებას, მთისა და ბარის, წყალ-ჭალის ფერებს, ხმებსა და სურნელს, წელიწადის დროთა განუმეორებელ ხიბლს: „ბუნების სურათების ხატვისას მწერალი მაღლდება ბუნებაზე, რამდენადაც, სწორედ მწერალი ანიჭებს მას ისეთ სახეს და ზემოქმედების ისეთ ძალას, რომელიც ბუნებას, თუ მას პოეტი არ შეეხებოდა, შესაძლებელია, არც ჰქონოდა. ბუნების ამ სურათებში უფრო სრულად მჟღავნდება მისი ტალანტი, რომელიც იძლევა ბუნების ახლებურად დანახვის საშუალებას და ამით ამდიდრებს მკითხველს“ (გრიგოლ კიკნაძე).

ბუნება რეზო ინანიშვილთან აბსტრაქტულიც არის და „ლოკალურიც“: ის უპირატესად სოფელთან ასოცირდება (ძველ ქართულში „სოფელი“ და „მსოფლიო“ სინონიმებია; „სოფელი“ სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი სოფელი და წუთისოფელი და კაცის ბუნებაც სოფლად ითქმის) – განმარტავს საბა). რეზო ინანიშვილი თავისებურად, სიყვარულით, „მსოფლიო-სოფელსაც“ შეეხმიანა და საქართველოს „სოფელსაც“, – მის ყველა კუთხეს (ფშაველესურეთი, თუშეთი, ქართლი, გურია, სამეგრელო...); თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ილიასა და გოგლა ლეონიძის შემდეგ, კახეთს მისდარი სწორუპოვარი მხატვარი არ მოვლენია.

რეზო ინანიშვილისათვის ღვთის მიერ შექმნილი საოცრებანი, – უთვალავი ფერის ბუნება და მისი შვილები ერთი გაუბზარავი მთლიანობაა. იშვიათი დამაჯერებლობით, თანაბარი „უსაყვედურო სითბოთი“, ფილიგრანული ოსტატობით ძერწავს იგი პერსონაჟებს, სულერთია, ვისთან აქვს საქმე, – ადამიანებთან, ხარ-კამეჩთან, გარეულ თუ შინაურ ცხოველებსა და ფრინველებთან; ფლორისა თუ ფაუნის ასეთი სიმდიდრით, ბევრი მწერალი ვერ დაიკვეხნის.

აზვირთებული იორი, ყვავები, სიზმარში ნანახი ნიჟარები, მარტოსული შემცივნული მელია, მოყინულ აღმართზე მუხლებგადაყვლეფილი კამეჩები, მიტოვებული ბალის ბოქლოშიც კი, – ზოგჯერ უფრო სისხლსავსე პერსონაჟებია რეზო ინანიშვილის მოთხრობებისა, ვიდრე მათ გარშემო მოფუთფუთე უფერული ადამიანები... რა თქმა უნდა, ეს „უფერულობა“ ავტორის ჩანაფიქრის განსხეულებია; თორემ მწერალი რომ საკმაოდ ძუნწი საღებავებით, ზოგჯერ ერთი-ორი მონასმით, პერსონაჟთა ტოლუპოვარ, თითქოსდა ხელშესახებ ხატს ქმნის, მრავალგზის არის აღნიშნული.

რეზო ინანიშვილის მხატვრული სამყარო ნათელი, პასტორალური, პატრიარქალური არის და არც არის. სიკეთისა და სიყვარულის მარადიულობის განცდას ხშირად უეცარი ელდა, შიში და უბედურება ჩაენაცვლება. მწერა-

ლი მძაფრად განიცდის ბედის მუხანათობას, ადამიანთა მოდგმის ზნეობის დაკნინებას, ვერცხლისმოყვარეობასა და გაუმაძღრობას, „დაკანონებულ“ თალღითობასა და გულქვაობას, უდარდებლობას საკუთარი ფესვების მიმართ... ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული მიტოვებული სოფლის თემასთან, რაც ტრაგიზმით მსჭვალავს მწერლის ბევრ საუკეთესო მოთხრობას.

მიტოვებული სოფელი რეზო ინანიშვილის პერსონაჟებისათვის მარტო „მცირე სამშობლოს“ განირვა კი არ არის, – საკუთარი თავის ლალატი და საკუთარი მეობის დათრგუნვაა.

ამიტომაც გვხვდება ინანიშვილისეულ ქალაქში უილაჯო, ძალადამრეტილი, სულის შფოთვით ან სევდიანი გარინდებით შეპყრობილი პერსონაჟები, რომელნიც, უფესვლო ქარქვეტას მინამგვანნი, უმწვავეს ნოსტალგიას განიცდიან. „ქალაქში დაკარგული შვილები“ (პაოლო იაშვილი) უნიჭო ან ხელმოცარულნი სულაც არ არიან, მაგრამ, მშობლიურ გარემოს ნებით თუ უნებლიეთ მოწყვეტილნი, ანთეოსივით უძლურნი ხდებიან და ზოგჯერ სიციხის ზღვარზე დგანან. თავის დროზე ერთმა კრიტიკოსმა, რეზო ინანიშვილის, – ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერლის, – ნიჭის სათანადო დამფასებელმა, შენიშნა ე.წ. ქალაქურ თემატიკაზე შექმნილი მისი ზოგი თხზულების არადამაჯერებლობა; დღევანდელი დღის სამზერიდანაც შეიძლება ითქვას, რომ მწერალს მართლაც ჰქონდა თითო-ორო-ლა სუსტი ნაწარმოები, პროზის ვრცელ ჟანრებსაც ხომ ჯეროვნად ვერ გაართვა თავი; მაგრამ ზემოთქმული ოდნავადაც არ ბლაღავს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის განუზომელ მნიშვნელობას ზოგადად და, კერძოდ, XXI საუკუნის დამდეგს, როცა გლობალიზაციამ ყოფნა-არყოფნის ზღვარს მიუახლოვა საქართველოს კულტურული თვითმყოფობა.

უმცროსკლასელთათვის („ტელეთაობისათვის“) გამიზნულ ახალ სახელმძღვანელოებში, საბედნიეროდ, რეზო ინანიშვილის ბევრი პატარა შედეგები მოხვდა. ინტერნეტის ზეობის ხანაში თავისი საქმის ჩინებული მცოდნე მასწავლებლები თბილისისა და სერულიად საქართველოს პატარა მოსწავლეებს თავანკარა ქართულის წყაროს აწავებენ, სოფლის (ანუ პირველქმნილი მამულის) სიყვარულსა და ჰუმანიზმს უნერგავენ.

კლასიკოსის ნათქვამია, – ბავშვებისათვის უნდა წერო ისევე, როგორც დიდებისათვის, ოღონდ უფრო კარგადო. ამ მაქსიმას ზედმიწევნით იზიარებს რეზო ინანიშვილიც; მისი ბავშვი-პერსონაჟებიც ისევე სრულყოფილად არიან გამოძერწილნი, როგორც მოზრდილები, ოღონდ... უფრო კარგად (თუ ეს შესაძლებელია!).

თით რეზო ინანიშვილის მხატვრული აღქმისთვისაც დამახასიათებელია „ლამაზი გაკვირვების“ (ბესიკ ხარანაული) უნარი, ბავშვური უშუალობა და სიცინიცხლე; უფრო მოხდენილად რომ ითქვას, – „ბრძნული გულუბრყვილობა, ... თავდავიწყებული, უანგარო, რაინდული ლამაზური ზნე და ბუნება“ (გურამ ასათიანი).

2006 წლის მიწურულს რეზო ინანიშვილს 80 წელი შესრულდებოდა. რომ დასცლოდა, რას ეტყოდა იგი დღევანდელ ქართველობას? იქნებ გალაკტიონის სიტყვები გაემეორებინა, ეპიგრაფად რომ წარუმიძღვარა „მწვანე ბურუსს“:

ეს ყვავილები, ეს ცა, მოთხროთ, არავის თქვენგანს არ ენანება?

მწერალს ერთნაირად „ეცოდება“ („ენანება“), როგორც დავით კლდიაშვილი იტყოდა, – „ყოველივე ღვთის გაჩენილი“. „უასაკოთა და უსულთაც“ ხვდება წილად მისი თანალმობა, ავტორი მათ „საიდუმლო ენასაც“ ფლობს („მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის“ – ნიკოლოზ ბარათაშვილი).

თანაგრძნობა პერსონაჟებისადმი ცნაურდება მოთხრობათა ეპიგრაფებშიც. მოგვხსენებათ, რომ ეპიგრაფს დიდი აზრობრივი და ემოციური დატვირთვა აქვს. გარდა იმისა, რომ ტექსტის ძირითად კოლიზიას ეხმიანება, ის ერთგვარად შეამზადებს მკითხველს ავტორისეული ჩანაფიქრის იმთავითვე ზიარებისათვის, თხზულების სულისკვეთების უკეთ აღსაქმელად.

ეპიგრაფი შეიძლება იყოს ირონიულიც და პაროდულიც, ან ტექსტის ანტითეზაც კი; ზოგჯერ ავტორი მისტიფიკაციას მიმართავს და მის შეთხზულ ეპიგრაფს სხვას მიაწერს.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ზედმიწევნითი სიზუსტით არის გამოთვლილი პირველ ეპიგრაფთა თარიღი, – XV საუკუნე (ფრანგი ფრუასარისა და იტალიელი რეჯიმონტანოს თხზულებანი). XVIII-XIX საუკუნიდან შეინიშნება განსაკუთრებული ლტოლვა ეპიგრაფებისადმი (ბიბლიური ციტატები, ძველ ავტორთა გამონათქვამები, ანდაზები, აფორიზმები და სხვ.). აღნიშნავენ იმასაც, რომ ეპიგრაფთა სიუხვე, უპირატესად, უაღრესად წიგნიერ, განსწავლულ ავტორებთან გვხვდება: ჟან-ჟაკ რუსო, გოეთე, სტენდალი, ვიქტორ ჰიუგო, უოლტერ სკოტი, ფრიდრიხ შილერი, ანატოლ ფრანსი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტოლსტოი, ბლოკი, ახმატოვა... ამ თვალსაზრისით არც ქართული მწერლობაა უინტერესო, – ილია ჭავჭავაძიდან დღემდე.

რეზო ინანიშვილის ეპიგრაფებისადმი ლტოლვა, ჩემი აზრით, იმპულსურიც არის, სპონტანურიც და გაცნობიერებულიც; მის წიგნიერებასაც უკავშირდება (უფრო ზოგადად, – სწრაფვას ინტერტექსტუალიზაციისადმი, რაც საინტერესოდ წარმოჩნდა ლევან ბრეგაძის ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში). და, ზოგჯერ, კვიმატ იუმორსაც.

„ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“ – ერთ-ერთი იმ მოთხრობათაგანია, ძლიერ რომ წააგავს პოსტმოდერნისტულ ტექსტს. ის რეზო ინანიშვილისათვის სრულიდ უჩვეულო, არისტოკრატიულ-რომანტიკულ ინსტიტუტს, „რასის“ აპოლოგიას განასახიერებს და იმთავითვე მიგვანიშნებს უმაღლესი ჯიშის წარმომადგენლის თანდაყოლილ „მძიმი ნაღველზე“, იმავდროულად, წინასწარ განსაზღვრულ ბედისწერაზე, „რალაც ყმანვილური ჟინით“ ატაცებაზე (სწორედ ეს უკანასკნელი შეინიარავს კიდევ მას).

ახალგაზრდა თავადი ვიტგენშტიინი ნიკოლოზ II-ის ახლო ნათესავი და სამეგრელოს მთავართა ჩამომავალია; უფრო ზუსტად, – გერმანული წესრიგის, წესიერების, პედანტიზმისა და ქართული სილამაზის, სილალისა და რაინდობის უცნაური ნაზავი. მისი სახე (ვგონებ, ავტორის მიერ სავსებით გაცნობიერებულად) ერთგვარი

სიმბოზია პუშკინისა და ლერმონტოვის, ტოლსტოისა თუ კუპრინის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, გრიგოლ რობაქიძის თუ სხვა ქართველ კლასიკოსთა რაინდი გმირებისა, რომელთაც, ბედისწერის გარდუვალობით დალდასმულთ, არად უღირთ საკუთარი სიცოცხლე და დაუფიქრებლად, ანგარიშმიუცემლად ენიშნებიან ღირსების მათეულ კოდებს.

უჩვეულოა ეპიგრაფიც, – „პროზაული“ რეკვიემი უაზროდ დალუპულ გმირზე: „Витгенштейн – русский княжеский род (ныне угасший)“... ბროკჰაუზი და ეფრონი. ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. VI ა, ს. -პეტერბურგი, 1892 წ.“

მოთხრობის ენობრივი ქსოვილი იმაზეც მეტყველებს, რომ უზაოდ მოქართულე ავტორს სრულიადაც არ უჭირს შეგნებული სტილიზაცია (მოთხრობა ამით პოსტმოდერნისტულ ტექსტს უახლოვდება). ეს ნატიფი, თითქოს განზრახ უემოციო, რაფინირებული სტილი ინანიშვილისეული რომ არ არის, ამას თვით ავტორი გვიდასტურებს მოთხრობის ფინალში, რომელშიც რომანტიკული ეპოქის ირონიული „დასამარება“ და რაციონალური თაობის ეჭვი წარმოჩნდება:

„დავუსვი ამ ამბავს ბოლო წერტილი, დავუძახე ჩემს ქალიშვილს, რომლის თვალეზე ვამონმებ ხოლმე, როგორ მოქმედებს ჩემი დანერვილი ამბები სხვებზე, წავუკითხე მთელი მონდომებით, ყოველი სიტყვის მკაფიო გამოთქმით, მეგონა, თვალეები გაბრწყინებული ექნებოდა ალტაცებით. მან კი შეეჭვებულმა მკითხა:

– ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა? (გამოძახილი ფრაგმენტზე: „გენერალმა დამბაჩა ნელა დაუშვა ძირს და ისროლა. ხეებზე ყვავები აფათქუნდნენ, აჩხავდნენ“ – ლ.ა.).

ეგ იყო და ეგ“.

დღევანდელი მკითხველის ეჭვს ავტორიც იზიარებს. ამას მიგვანიშნებს სათაურში ჩაბუფებული ირონიაც: „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“

ამკარად იუმორისტულია სათაურიც და ეპიგრაფიც მოთხრობისა „დედაბოძი“: „ე ჩემ ცოლს გაუმარჯოს – ჩემი ოჯახის დედაბოძსა. კახელი კაცის სადღეგრძელოდან“.

არადა, მოთხრობაში ყველაფერი თავდაყირაა: ოჯახის „დედაბოძი“ (სიმაღლით, „ერთი მტკაველა“), კაპარჩხანა, სადღერის ძირით შავი ქალი, ქმარს თაღლითობისკენ – ღვინის „გაკეთებისკენ“ მოუწოდებს და ბაზარში საუკეთესო ღვინის გაყიდვას არ ანებებს. საბედნიეროდ, ქმარი არ შეისმენს ცოლის ქოთქოთს და, რის ვაივრავახით, მაგრამ მაინც თავისას გაიტანს.

ესეც შენი დედაბოძი! ავტორს მაინც ეცოდება მუსხლჩაუხრელად მოფუსფუსე, უქნარა შვილებისა და „ვირის მუშა“ და ვირივით ჯიუტი ქმრის გადამკიდე, დუხჭირიცხოვრებისაგან დაბეჩავებული ქალი.

მოთხრობა „მზიას“ რეზო ინანიშვილმა ეპიგრაფად ბუნიინის სიტყვები წარუმიძღვარა: „Прелестная и печальная, как грузинская царица“. მარწყვზე წასული სოფლელი გოგო-ბიჭებისაგან მზია მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ თანატოლებზე ადრე იგრძნო საკუთარი სილამაზე, რომ „ახლადწვიმაგადავლილი ზაფხულის დასაწყისს“ ჰგავს, რომ მაინცდამაინც იგი გადააწყდე-

ბა ტყეში წყლის პირას ხარირემს, ბედნიერების გრძნეულ მინიშნებას („ვინ გამოგზავნა ირემი მაინც ჩემთან?!“); შემდეგშიც, უკვე ზამთრის პირზე, მოლუშულ დღეებშიც ჩაესმის მზიას ირმის ხმა, – „ბედნიერი იქნები, მზია“, – და მის ნათურებივით ანთებულ თვალეებსაც ხედავს... თუმცა მალევე, „გაელიმება თითქოს მძინარის ღიმილით და ამ ღიმილში დაინახავს სხვა რამესაც, – დარდს“...

მზიასავით ცისკენ მომზირალია 18 წლის შიო, ასტრონომობაზე მეოცნებე სოფლელი ბიჭი. იგი იძულებული გახდა ომში დალუპული მამის მაგივრობა გაენია და ოჯახი ერჩინა: მდინარის გაღმით მომუშავეს, ყოველდღე დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. აპრილის ერთ დღეს პატარა მდინარე გავეშდა და გადაირია, ვერავინ გაბედა გაღმა გასვლა, მხოლოდ შიომ აიხირა, ჩათქმული მაქვს, უნდა გავიდო! ახსენა ღმერთი და ლამის ბიბლიურ წარღვნაში მოექცა: მისი სიცოცხლე ბუნზე ეკიდა. ბიჭი, ღვთის შეწევნით, სასწაულებრივ გადარჩა, საკთარ ბედკრულობას გაექცა, უიღბლობას შეებრძოლა და, ამგვარად, სატანას სძლია.

„... ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“, – ეს რუსთველური ფრაზა აქვს წამძღვარებული რეზო ინანიშვილის ზემოხსენებულ მოთხრობას, – „ადიდებული მდინარის ხმები“.

რალა დარჩა შეურყენელი XX საუკუნის მიწურულს, ჩვენს არეულ და გადარეულ, ტექნიციზმის გლობალური ზეობის ეპოქაში, როცა მხოლოდ ადამიანის ზნეობას არ განუცდია პროგრესი? იქნებ „პატარა წყალი“?! ამ მოთხრობის „ირაციონალური“ დატვირთვა ეპიგრაფშივე ძევს: „რა არის წყალი? H₂O თუ ალმასები ბალახზე? დონალდ ბისეტი“.

„უცხო ქვეყანაში, უცხო ქალაქში წავადექი განიერ ფერდებჩაგლუვებულ ხევს. ორივე ფერდზე ჩაფენილი იყო ხმელი ფოთლები, იდგნენ ხეები, ამომწვანებულიყვანენ იებიც, დაბლა კი არ მიდიოდა, მიბრწყინავდა პატარა წყალი“... როგორც ცეცხლმა იცის თვალის მიტაცება, ისე მიიზიდა წყალმა იქაური ბებერი და ახალგაზრდა წყვილების და შუახნის ქართველი ავტორის მზერა, კეთილი ნათელი გადააფარა იქაურობას: „ვიგრძენი, რომ გულიდანაც გადაამვარდა სიმძიმე. თითქოს უკვე შინაც ვიყავი, ჩემს ქვეყანაში, ჩემს ტყეში“.

მცირედი გადახვევა ანუ უცნაური პარალელი: სულ ახლახან წავიკითხე რუსული ემიგრანტული მწერლობის ერთი პატარა შედევერი „ნოსტალგია“. მისი ავტორი ტყევი მარტო სატირიკოსი კი არა (კრაზანასავით რომ იკბინებოდა: „Почему вы такая злая?“ – უკითხავს მისთვის ახალგაზრდა თავყანისმცემელ გოგონას...), მშვენიერი ნოველისტიც იყო. ჰოდა, „ნოსტალგია“, რომელიც რევოლუციისშემდგომი რუსული ემიგრაციის ტკივილს გადმოგვცემს, თავისებურად ეხმიანება „პატარა წყლის“ თემას: „Конечно, и здесь есть трава. И очень даже хорошая. Но ведь это ихняя l'herbe, а не наша трава-муравка. И деревья у них, может быть, очень даже хорошие, да чужие, по-русски не понимают.“

... Помню, в начале революции, когда стали приезжать наши эмигранты, один из будущих большевиков, давно не бывший в России, долго смотрел на маленькую пригородную речонку, как бежит она, перепрыгивая с камушка на каму-

шек, струйками играет, простая, бедная и весёлая. Смотрел он, и вдруг лицо у него стало глупое и счастливое:

– Наша речка, русская...
Фью! Вот тебе и третий интернационал!
თურმე რა ცოტა უნდა ადამიანს!

„დიდ ცხოვრების უარმყოფი, მცირედითაც კმაყოფილი“ – აკაკის ეს სიტყვები რეზო ინანიშვილის სამწერლო კრედოა. „ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“: „შენ იყავი პირველი მწერალი ქვეყნიერებაზე, შენსკენ იშვერდეს ყოველი გამველელი თითს, – აგერ ის, აგერ ის! შენ იყავი უმდიდრესი, უბედნიერესი ამ სიმდიდრით. მე მიჩრევიან, უცნობად ვიჯდე ვაგონის ფანჯარასთან და, როგორც ირგვლივ ყველას, რაღაც პატარათა ცნობისნადილი მედგას თვალეში“.

მოთხრობაში „დე თებერვალში“ ორი თბილისელი ძმაკაცის „ველად გასვლა“ ანუ ერთდღიანი ლაშქრობის მარშრუტი ზუსტად არის გადმოცემული: „სადგურ გრაკალში ჩამოვხდებოდით, იქიდან ხოვლემდე მანქანას გავეყვებოდით, ხოვლედან მთას გადავივლიდით, თემის ხეობას ჩავუყვებოდით და კასპის სადგურით უკან გამოვბრუნდებოდით“.

მართლაც „პატარათა ცნობისნადილით“ აღსავსე ავტორი, დაგემოვნებით, უამრავი უტყუარი და ზუსტი წვრილმანის მოხმობით აღწერს ამ მოგზაურობას: პირქუში ამინდის თავისებურ ხიზლს (შდრ. ზაბოლოცკი: „У природы нет плохой погоды...“), ზამთრის ცივ მშვენიერებასაც და წუნწახიან გზებსაც, მგზავრებსა და სოფლის მკვიდრთ, ხეებსა და მდინარეებს, ტყესა და ნახნავეებს, ანც და ცნობისმოყვარე ბავშვებს, გზად გადაწყდომილ მოხუცებს, ძველ ციხეებსა თუ თავადთა იავარდქმნილ სასახლეებს... „მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ მოთხრობა შფოთითა და წუხილით თავდება: „შინ ჩემს პატარა ბიჭუნას ოცდაცხრამეტი აქვს სიცხე. დამარებულნი, დაღუბჩირებულნი სხედან ჩემი მეუღლე, დედაჩემი, ჩემი მეზობლები“.

ასეთია ერთი საოცნებო დღის ფინალი, – მოულოდნელი სევდა და სატიკივარი, – თითქოსდა ბუნებრივი შედეგი ადამიანთა ყოფისა. ამაზე მიგვანიშნებს მოთხრობის ეპიგრაფიც, ისიკავა ტაკუბოკუს ტანკა:

**თუკი მკითხვენ,
რა არისო ჭმუნვა, ნალველი,
მე ვუპასუხებ,
რომ ესაა საგანთა გემო.**

ცნობისათვის: XX საუკუნის დიდებით მოსილი იაპონელი მწერალი ისიკავა ტაკუბოკუ (1885-1912 წწ.) მთელი ცხოვრება უსახსრობას ებრძოდა, ქლეპით დაავადდა და 27 წლისა გარდაიცვალა.

„პატარათა ცნობისნადილი“ და სევდანარევი მონატრება მსჭვალავს ბავშვური თვალთ ალქმულ სამყაროს: „მე მაშინ პატარა ვიყავი და კარგად აღარ მახსოვს – ნამდვილად იყო ასეთი რამ თუ არა. მაგრამ ახლა მაინც ასე მეჩვენება, რომ ჰყარი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ცისარტყელებითაც იყო სავსე, მთებიდან მობრუნებულ ძახილს ჰქონდა ფრთები და იგი მოდიოდა, თეთრი მტრედით მოფარფატებდა ამ ცისარტყელების მალალი,

მალალი თაღების ქვეშ“ („ძახილი მთაში“). მოთხრობის ეპიგრაფად კონსტანტინე გამსახურდიას ლექსია მოხმობილი:

**მეც მყავდა დედა, ის წავიდა,
მარტო დამტოვა, სად მივაკითხო?
აღარ არის ამ სააქაოს...**

კვლავ მცირე ნიაღვრეა: დიდი ხნის წინათ, არცთუ ახლო მეგობარმა ბიჭმა (მთელ თბილისთან ამხანაგობდა, უცნაური და არაორდინარული პიროვნება იყო, ხიბლიანი, განათლებული, საინტერესო მოსაუბრე), სრულიად უადგილოდ და მოულოდნელად, ასეთი რამ მითხრა: „როცა დედა მოგიკვდება, ჩათვალე, რომ უპატრონო ხარ და არავის ენაღვლებიო“. სახტად დავრჩი (მაშინ დედ-მამა ორთავეს გვყავდა); დღემდე გულისტკივილით ვიხსენებ ამ სიტყვებს, მით უმეტეს, რომ უბედური დედამისი ერთადერთი შვილის უდროო გარდაცვალებას მოესწრო, მე კი „უპატრონობის“ („უდედობის“) ეს გაუსაძლისი გრძნობა გაცილებით გვიან გამოვცადე.

„ბავშვები რეზო ინანიშვილის შემოქმედებაში“, – ეს მადლიანი და ბარაქიანი თემაა; სამწუხაროა, რომ ამით ჯერ არავინ დაინტერესებულა.

„ჩანაწერები სამაგიდო რვეულებიდან“: „ხოლო თუ მწერლობა მიატოვებს ბავშვებს, მოხუცებს და უმწეოებს, იგი მოსწყდება მიწას, ვითარცა ანთეოსი და დაკარგავს თავის კეთილშობილურ ძალას“.

XX საუკუნის დასაწყისის პროზა პირველად დაინტერესდა „უმწეოებით“, – „პატარა ადამიანებით“. რეზო ინანიშვილი, რომლის მხატვრული სამყარო სწორედ „პატარა ადამიანებითაა“ დასახლებული, არ იზიარებს ძველ დეფინიციას: იგი არც ადამიანებს, არც შემოქმედებს არ განახვავებს ამ ნიშნით. მოთხრობას „პატარა პოეტის გზა“ ეპიგრაფად ავტორისეული ფრაზა წარუძღვის: „ეს უკვე ზღაპარია, ძველებური, ბუხრისპირული ზღაპარი“...

მოთხრობებს „დიდ ბავშვებზე“ – ფიროსმანსა და ლადო ასათიანზე – ავტორმა რობერტ ბერნსის სიტყვები მიუსადაგა ეპიგრაფად:

**მდიდარს ოქრო აქვს – ჩვენ კი
თვითონ ვართ ოქროს ბიჭები...**

ეპიგრაფებით რეზო ინანიშვილის თხზულებათა მხოლოდ მცირე ნაწილია აღჭურვილი, მაგრამ მათი სახელდახელო მიმოხილვაც ცხადჰყოფს, რომ ავტორის მსოფლალქმა ერთიანი და გაუზზარავი.

ისევ „სამაგიდო რვეულებიდან“: „ბედნიერი მწერალი... ცოცხალი ბედნიერი მწერალი უკვე საცოდაობაა. იგი უკვე მოწყვეტილია მთავარს – ქეშმარიტების ტანჯვით მაძიებელ სულს, იგი უკვე აღარ განიცდის სხვათა მოთქმა-გოდებას, აღარ განიცდის მათ მარტობას“.

რეზო ინანიშვილის ჰუმანიზმის ბუნების დასახასიათებლად ერთი ძველი ინდური ანდაზაც გამოდგება: „ადვილია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც უშურველად გასცემს ოქროს, საქონელს, მიწას; ძნელია ჰპოვო კაცი, – ყოველივე ცოცხალისადმი თანალობით განმსჭვალული“.

ცისანა კვინტრადე-გოძიაშვილი

როგორ გვიყვარდა ერთმანეთი

რეზო ინანიშვილის ყოველ მოთხრობას ქართული მიწის სურნელი ასდის, ყოველი სტრიქონიდან თითქოს მშობლიური მთების ბუბუნის და ნაკადულების ჩხრიალი ისმის. მწერალს ყველა და ყველაფერი უყვარს, რაც მის მიწა-წყალს ამშვენებს, რაც ცხოვრებას შნოსა და ლაზათს აძლევს.

აკაკი ბაქრაძე რეზო ინანიშვილის მოთხრობებს ადამიანთა „სულის პურს“ უწოდებს (რა კარგია, რომ ახლა „სულიერი სიმშლის“ პერიოდში ასე გვეხმარება მწერალი!) და მათში ხედავს „პატარა ადამიანის ძალას“, რაც მდგომარეობს ბუნებრიობასა და უშუალობაში, პატარა ადამიანების სიყვარულით გამთბარ გულში, სინმინდესა და სიხალისეში.

რეზო ინანიშვილი იყო ადამიანი, ვისაც ვაჟასავით ბუნების ენა ესმოდა. ყვავილებს, ხეებს, ხავსიან ლოდებს ცოცხალ არსებასავით ეფერებოდა, კოცნიდა, ათას რამეს უამბობდა. ცივგომბორის ქედზე ერთი უზარმაზარი ლოდი უყვარდა, იმის სანახავად დადიოდა თეიმურაზ მალღაფერიძესთან ერთად.

უყვარდა ნიჭიერი გლეხიკაცი. მისი ნაჯაფი, დაკოჟრილი ხელების იმედი ჰქონდა და სჯეროდა, რომ ჩვენი ტრადიციები გაგრძელდებოდა. ხშირად დადიოდა სახელოვან ნიკო კეცხოველთან ერთად ფოლკლორულ ექსპედიციებში მთებში დარჩენილ მელექსეებთან შესახვედრად. მათთან ერთად ფეხით აქვს მოვლილი სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი... მოგზაურობა შემოქმედებად მიაჩნდა და სჯეროდა, რომ „ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა-წყალისა“.

ბავშვობა მძიმე ჰქონდა. უმამოდ გაიზარდა.

რეზოს მეუღლე, სათნო ქალბატონი როზა იგონებს: „რეზოს ხაშში პატარა, ლამაზი სახლი ჰქონდა, ნუშის ხეებითა და ვაზის ხეივანებით დამშვენებული. მისი მამა 1937 წელს გადაუსახლებიათ. ჩემს დედამთილს სამი შვილი დარჩენია გასაზრდელი. რეზოს ძალიან უყვარდა თავისი და-ძმა. იგი თბილისში დასთან ცხოვრობდა. ჩემი დედამთილი ოთარაანთ ქვრივივით ქალი იყო, მკაცრი, მაგრამ კეთილი. ღირსეულად დაუზრდია ობლები. ჩვენ შესანიშნავი დამოკიდებულება გვქონდა: ათი წელი ჩემს მულთან ვიცხოვრეთ – პატარა ოთახში. რეზოს იქ სამუშაო ადგილი არ გააჩნდა და ბიბლიოთეკაში დადიოდა საწერად. ხელმოკლედ ვცხოვრობდით, მაგრამ ტკბილად“.

რეზო ინანიშვილი ველარ უძლებდა, ვერ ეგუებოდა ქალაქურ ყოფას და კახეთს მიაშურებდა ხოლმე, ხან მშობლიურ ხაშში იყო, ხან უჯარმაში. მხოლოდ აქ აღიქვამდა

სრულად პირველყოფილ მშენიერებასა და ჭეშმარიტი მეგობრობის განცდას. ჩვენმა მეგობარმა, პოეტმა გივი გეგეჭკორმა რეზოს გარდაცვალების შემდეგ მიუძღვნა შესანიშნავი ლექსი:

შენ არ ჩანხარ, სად წასულხარ,
ხაშში ხარ თუ უჯარმაში?
მამა-პაპის ნასახლარში
ფუსფუსმა და ბუჯარმა
რა ნაყოფი გამოილო?
იშრომე თუ იზარმაცე?
როგორ დაგხვდა ზამთრის ხაშში
თუ ზაფხულის უჯარმა?

ახლაც თვალწინ მიდგას საშუალო ტანის, ქარში ლომის ფაფარივით აწენილი თმით, თვალელები სევდა-ნალველ ჩაგუბებული, სათნო და კეთილღიმილიანი, სათუთი გრძნობისა და ხშირად ბავშვური უშუალობით აღსავსე.

რეზო ინანიშვილი მდიდარი ბუნების პიროვნება იყო და მის ირგვლივ მრავალი ადამიანი იყრიდა თავს. ბუნებრივია, მისი მეგობრობის მსურველნი ბევრნი იყვნენ, მაგრამ რეზოს, როგორც ჩანს, მეგობრების შერჩევის უტყუარი ალლო და მკაცრი საზომი ჰქონდა.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე მეორე კურსზე შემოგვიერთდა ასაკით ჩვენზე უფროსი რეზო ინანიშვილი. ზოგი უკვე იცნობდა, ზოგი – არა. განა შემთხვევითი იყო, რომ ღირსეულთა მოღვაწემ შენიშნა რეზო ინანიშვილის „ქართული უნარი და ნიჭი“.

„ასაკით უფროსის“ მიმართ იმ დროისათვის ჩვეულ მორიდებასა და მოკრძალებას ვიჩენდით. ვიცოდით, რომ რეზოს ერთი-ორი მოთხრობა ჰქონდა გამოქვეყნებული. ამავე დროს მშვენივრად ხატავდა. დღე არ გავიდოდა, რომ ჩანახატი არ გაეკეთებინა. ძალიან ვნანობთ, რომ ფურცლები ვერ შევინახეთ. მხოლოდ ერთმა ჩვენმა მეგობარმა, ცნობილმა ფოლკლორისტმა, ფიქრია ზანდუკელმა სათუთად შემოინახა რეზოს დახატული პორტრეტი, რომელსაც აწერია: ძალიან კარგ გოგონას, ფიქრიას. რეზო ინანიშვილი.

სარეცელს მიჯაჭვულმა ფიქრიამ დაგვიბარა: მხოლოდ ეს სურათი დაკიდეთო. მართლაც, ასე მოვიქცით. აკი, დაამშვენა იქაურობა.

ბევრი რამ შემიძლია მოვიგონო... უნივერსიტეტი დავამთავრეთ და აქა-იქ დავიქსაქსეთ. ბედმა თუ შემთხვევამ მოგვიანებით მაინც შეგვახვედრა. ვიკრიბებოდით ხან ერთთან, ხან მეორესთან. რეზოს ძალიან ახალისებდა ეს შეხვედრები. გამორჩევით გვიყვარდა რეზოს დაბადების დღე – 20 დეკემბერი.

რა დამავინწყებს: მე და რეზო ვმუშაობდით ერთ შენობაში, მარჯანიშვილის ქუჩაზე, წიგნის სახლში. რეზოს სამსახური იყო გამომცემლობა „ნაკადული“, ჩემი – „განათლება“.

რედაქციაში შემოვიდა ერთი ქალი და მითხრა: დერეფანში რეზო ინანიშვილი გელოდება, ვთხოვე, მაგრამ არ შემოდისო. საზოგადოდ, რეზო დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. გამოვედი: რეზო, რაზე შენუხებულხარ? ახლაც ჩამესმის მისი ბუბუნა ხმა: ზეგ ჩემი დაბადების დღეა და ყველანი დამიპატიჟეთო. სათითაოდ

ჩამოთვალა წყვილები, მერე სამი შინაბერაც მიაყოლა – ესენი არ დაგავიწყდესო. მივეფერე, ვაკოცე და შევპირდი: ყველაფერს მოვავგარებ, შენ სუფრას მიხედე-მეთქი. დამშვიდობებისას მომძახხა: „ხაშლამა“ და „ჩაქაფული“ მექნებაო.

რადგანაც საორგანიზაციო საქმეების მოგვარება მეხერხებოდა, რეზომ დამნიშნა უფროსად (ხან შტაბის უფროსი ვიყავი, ხან პრეფექტი და ხანაც რაზმის უფროსი).

ჩვენს სამეგობროში გაერთიანებული იყო 25 ადამიანი – ყველა პოეტი და ბელეტრისტი. თავდაპირველად მყავდა ორი მოადგილე: ჟოზე ახვლედიანი და ცისანა ქოჩიაშვილი (ალარაა ცოცხალი). გამოხდა ხანი. მოვითხოვე მესამე მოადგილე. რეზოს გაეცინა და მითხრა: ცისო, რა დაგემართა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს არ ჰყავს ამდენი მოადგილეო. რა თქმა უნდა, სურვილი შემისრულა და ავირჩიეთ მედეა კეკელიძე.

გვიყვარდა, როცა სუფრის თამადა რეზო იყო. ეს არ იყო თამადაობა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ერთი გაბმული ღალადისი თავის მიწა-წყალზე, თავის ხალხზე, ენაზე, სიტყვა და ფიქრი ადამიანზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცისა. რეზოს ნათამადევი სუფრა ყოველთვის განსაკუთრებული ხალისით იყო გამორჩეული. კურიოზების მოყოლა შესაშური იუმორით გამოსდიოდა. მეზობელ პელოზე ამბებს გვიყვებოდა, სიცილით ვიხოცებოდით.

მშობლიურ სოფელში რეზო პატარა, დანჯღრეული ავტობუსით მგზავრობდა. ტევა არ იყო. ვის არ შეხვდებოდით აქ? სასაცილო ამბები ხდებოდა. ყველაფერს გვიყვებოდა და მერე გადაჰქონდა ქალაღდზე. ასე იქმნებოდა შედეგები.

რეზო არაჩვეულებრივად მომლხენი იყო. ჭამაც უყვარდა და სმაც. მის ერთ დაბადების დღეზე ძალიან ბევრნი ვიყავით: პოეტები, მხატვრები, თანაკურსელი მეგობრები. რეზოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თამადაობა და უზომოდ დათვრა. თავის საყვარელ ტახტზე მოკალადა და მიიძინა. სუფრა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. რეზო ისეთ საყვარელ პოზაში იჯდა, გადავწყვიტეთ, არ გაგვეღვიძებინა. ისე ტკბილად ეძინა, რომ მივუახლოვდი და ჩუმად ვაკოცე. არაფერი გაუგია. ალბათ, სიხმარში ლამაზი მოთხრობა ეზმანა. არ გასულა რამდენიმე დღე და რეზოს შევხვდით ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღეზე. მას ყველაფერი ახსოვდა: „გოგოებო, მაპატიეთ, ეს რა დამემართაო“.

იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემიის რექტორის გიორგი შათირიშვილის მოგონებიდან: „რევაზ ინანიშვილი „სულ სხვა თარგისაგან გამოჭრილი“, ნამდვილი ეროვნული მწერალი გახლავთ. რა დამავინყებს... სიხარულსა და აღფრთოვანებას ვერ ფარავ-

და, როცა იყალთოს საპატიო მოქალაქედ ავირჩიეთ – რუსთაველის პრემიის ლაურეატობასთან ერთად ეს ჩემთვის დიდი პატივი და ჯილდოაო“.

ბევრი რამ შემიძლია მოვიგონო: ბოლო დროს რეზო ხშირად ავადმყოფობდა. სამკურნალო კომბინატში იწვა და ისე მოხდა, რომ ვერ ვნახეთ. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ მისი მონახულება. მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, ქალბატონი როზა შინ არ დაგვიხვდა. სამზარეულოში წავაწყდი ასეთ სურათს: ჩვენი მეგობარი ლავანდა კანკავა (ულამაზესი ქალი, უნივერსიტეტის ლექტორი გახლდათ, ალარაა ცოცხალი) მოსულყო, თან მოეტანა კარგი ყველი (ეს ის დროა, როცა უკვე შიმშილობა იწყება საქართველოში!). რეზოს ამოვლო კახური შოთის პურები და მაღიანად შეექცეოდნენ. ვიცოდით, რომ მკაცრ დიეტაზე იყო.

მალე შემოვეციერთდნენ სხვები: ჟოზე ახვლედიანი, მედეა კეკელიძე, ცისანა თოდუა, ცისანა ქოჩიაშვილი და გურამ კარტოზია.

ჩვენმა მოულოდნელმა სტუმრობამ რეზო დიდად გაახარა და ალტაცებული იმეორებდა: „რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთო“.

შეიქნა ერთი ჩოჩქოლი. სახელდახელოდ გავაწყვეთ სუფრა. ზოგმა ნამცხვარი ამოალაგა, ზოგმა ხაჭაპური, ზოგმა შოკოლადი, ზოგმა კონიაკი.

– ეს რა ამბავია, რა გიქნიათ, ოჯახი დაგიტყვევიათ! – ნამოიყვირა რეზომ. ისეთი კმაყოფილი და ბედნიერი იყო იმ ნუთებში! როგორც ყოველთვის, სიკეთე და სითბო იღვრებოდა მისი თვალებიდან.

– ჩემო გოგოებო, ერთი თხოვნა შემისრულეთ, ცოტა დამალევიანეთ, რა იქნებაო, – გვითხრა. ისეთი მუდარა იყო მის სიტყვებში, უარი ვერ ვუთხარით. შევუნახეთ საიდუმლო ჩვენს საყვარელ რეზოს.

ბოლოს ერთ თეფშზე დავალაგეთ ყველაფერი ცოცხალი. სასმელი აღარ გვქონდა და ბოთლში წყალი ჩავასხით. ვიხუმრე: დიასახლისმა ხომ უნდა ნახოს, რაც მოვიტანეთო. თურმე რა ბედნიერები ვიყავით.

1991 წლის დეკემბერი იდგა. ულმობელმა სენმა დარია რეზოს ხელი და ლოგინს მიაჯაჭვა. შევეხმიანე როზას. ასე მითხრა: დაბადების დღეზე აუცილებლად უნდა მოხვიდეთ, თორემ ეჭვს შეიტანსო. თანაც დაამატა: ვაიმე, ძალიან ცუდად არის და არც კი მინდა, ასეთი ნახოთო.

პირველი მივედი. ყველაფერი მზად იყო. გავიგე, რომ ჩამოსულ გერმანელ ექიმებს უთქვამთ: მდგომარეობა ძალზე მძიმეა, მცდარი მკურნალობის შედეგად არის აქამდე მიყვანილი, და თუ ჩვენთან ჩამოიყვანთ, ავადმყოფს ჯერ კიდევ ეშველებათ. ასე რომ, ემზადებიან გასამგზავრებლად, მაგრამ რეზოს მაღალი სიცხე აქვს. როზა წამდაუნუნე იმეორებს: ჩემი რეზო კარგად იქნებაო.

სუფრის გაშლას შევუდექი. რეზოს სძინავს მეორე ოთახში. უცებ მესმის ხმამაღალი ლაპარაკი. გავიფიქრე:



რევაზ ინანიშვილი

დიდი მწერლის სამყაროში ვიმყოფები და ყურს დაუფგებ-მეთქი. გარკვევით გავიგონე: „შე არამზადა! შე ვაჭრუკანა! რას სჩადით!“ რეზო უკანონობას ებრძოდა ძილშიც.

ამასობაში გამოიღვიძა კიდევ. ჩვენი მეგობრებიც მოვიდნენ და ერთად შევედით. რეზოს სიხარულს საზღვარი არ გააჩნდა. თვალებიდან ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები: ხომ ხედავთ, რა სუსტად ვარო. შემდეგ მიუბრუნდა როზას: გოგოებს პირის გასასველებელი მიაწოდეთ. მე დავაწყნარე: იცი, რა სუფრა გვაქვს გაშლილი, არაფერი გვაკლია-მეთქი. მერე ნამცხვარი მოითხოვა. ესეც შევესრულეთ.

ნალღლიანები შემოვუსხედით სუფრას. შემოგვიერთდა ტარიელ ქანტურია და ცოტათი გაგვაგმობიარულა.

დადგა გამომშვიდობების წუთები, რომელიც ძალიან მძიმე იყო ყოველი ჩვენგანისათვის. რეზომ დიდი მადლობა გადაგვიხადა. იგი ღრმად ჩაფიქრდა. ჩვენც დავდუმდით. მერე მე წამოვიძახე: რეზო! გერმანიიდან რომ ჩამოხვალ, უნდა აღვნიშნოთ, კარგად უნდა ვიქეიფოთ.

– ოჰო! – ამოილულულა რეზომ (ეს სიტყვა ახლაც ჩამესმის). ამ ერთი სიტყვით გამობატა დიდი სევდა, მწუხარება, თითქოს გვითხრა: მე დავამთავრე ჩემი ცხოვრების გზა, თქვენი კი არ ვიციო.

ქალბატონი როზას ინტერვიოდან: „თბილისი ინვოდა და ინგროდა. რეზო ინვა. არც გაზუთებს ვაძლევდით და არც ტელევიზორს ვაყურებინებდით, რომ არ გაეგო, რა ხდებოდა. ძალიან განიცდიდა და იმიტომ. მახსოვს, გაიღვიძა ერთხელ და მითხრა: სამი ლამაზი ქალი ვნახე, აქ, ჩემს სასთუმალთან ისხდნენ, ნეტა, შენც გენახაო. გაკ-

ვირვებული ვიყავი, რადგან მაშინ არავინ ყოფილა ჩვენთან სტუმრად. ვიფიქრე: ალბათ, დაესიზმრა-მეთქი. ალტაცებული იყო; ღმერთო, ეს რა სილამაზე მანახეო! – მერეღა მივხვდი, ალბათ, სიკვდილის წინ ანგელოზები იხილა რეზომ. ალბათ მის სარცელოდან მოვიდნენ ისინი...

ერთხელ, როდესაც მისი და ადგა თავზე, უცებ უკითხავს: ქართველები ხოცავენ ერთმანეთს? – ჩემი მული დაბნეულა. არ ეგონა, თუ მან იცოდა გადატრიალების ამბავი, თურმე, ტყუილად ვუმალავდით. ალბათ, ყველაფერს გრძნობდა და არ ამხელდა, როგორც იცოდა ხოლმე, ერთი ამოუოხრია და დადუმებულა“.

თბილისში ხმა გავრცელდა: რევაზ ინანიშვილი გარდაიცვალაო. ტყვიების ზუზუნში ძლივს მივალნიეთ სახლამდე. როზამ შემოგვტირა: როგორ უყვარდით, მხოლოდ ექვსი დღით გაუხანგრძლივეთ სიცოცხლე თქვენი მოსვლითო.

31 დეკემბერი რევაზ ინანიშვილის დაკრძალვის დღე იყო. დიდუბის პანთეონში მოვიდა ორად გახლეჩილი, ცოდვითა და ბრალით დამძიმებული საქართველო. უჩვეულო რამ მოხდა: რეზოს დიდმა სიყვარულმა თითქოს გაგვავერთიანა, სიძულვილითა და სისასტიკით აღვსილები არ ვიყავით ერთმანეთის მიმართ.

ჭირის სუფრა უშველებელი იყო. არავის ეჩქარებოდა შინ, მიუხედავად იმისა, რომ 31 დეკემბერი იყო, არ გვიხაროდა ახალი წლის მოსვლა, საცივი არ გვქონდა გასაკეთებელი. ვეთხოვებოდით სასიქადულო მწერალსა და მეგობარს. ვისხენებდით იმ წლებს, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი.

კრიტიკა

დავით ჩიხლაძე

ირმა ტაველიძის სამწერლო ინოვაციისთვის უახლეს ქართულ ლიტერატურაში

ახალი პროზა საქართველოში საეჭვო საკითხია. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე თანამედროვე პოეზიის ეკვივალენტი, ახალი სინტაქსის და მეტყველების მხრივ ალბათ არ გავაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის მინურულისთვის საქართველოს ოფიციალური კულტურა ჯერ კიდევ თითქმის არ ცნობს რაიმე მოკრძალებულ ადგილს მოდელისთვის ხელოვნება ხელოვნებისთვის“, ან ენობრივ ლიტერატურას, მაინც მისი პროზის (ასევე ფილმის) ენა, პარადოქსულია, არ არის რეალისტური და სიმბოლოებით არის გადატვირთული. შედეგად, შე-

უძლებელი ხდება ისტორიის თხრობა, ამბავი, როგორც უბრალოდ ყოველდღიური ცხოვრების სილამაზე და ის ევფემისტური ორნამენტული ფორმებით არის მოწოდებული.

რამდენიმე პათეტიკური პასაჟი საკმარისი არ არის, პროზას ისტორია და ისტორიები სჭირდება, ხოლო ისტორიები კი ცოტა უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე უბრალოდ ინფანტილური ფილოსოფიური მაქსიმა ან სტუდენტური სტუდიუმი. ანუ, ისტორიები, როგორც ფაქტების წყება, საკმარისი არ არის. აუცილებელია მათი ეკვივალენტის მოძებნა ენის ბუნებაში. რომანის, მითუმეტეს თანამედროვე რომანის (კლასიკური უკვე აღარც არსებობს შემოქმედების თვალსაზრისით) შეუძლებლობა ენის ვერგამონახვის, მისი ავტონომიურობის სრული იგნორირების და მისი მხოლოდდა მეორადი იარაღის თვალსაზრისით გამოყენების შედეგია. განა არის უფრო დიდი პარადოქსი, რომ ლიტერატურა ენას მეორად იარაღად მიიჩნევდეს, თითქოს ამა თუ იმ ნაწარმოების ორიგინალური მდგომარეობა ზეპირსიტყვიერება ყოფილიყოს?!

ერთი შეხედვით, დღეისთვის თითქოს პარადოქსულია, რომ სწორედ სტალინს ჰქონდა ერთი საყურადღებო მოსაზრება, რომ ენა არ არის ზედნაშენი, როგორიცაა, ვთქვათ, საზოგადოების პოლიტიკური, ფილოსოფიური, მხატვრული შეხედულებები. მეორეს მხრივ, თუ გავიხსენებთ, რომ სტალინი მარქსიზმის გამორჩეული თეორეტიკოსი იყო, დავინახავთ კავშირს მის ამ პროპოზიციასა და

მთელი თანამედროვე ხელოვნების მარქსისტულ საფუძვლებს შორის, ბერტოლტ ბრეხტიდან დაწყებული და ჟან-ლუკ გოდარით დამთავრებული, რომელთა ავტორიტეტი ახალი ხელოვნების ისტორიაში არათუ უდაოა, არამედ აქტუალურიც (განსხვავებით ჰიტლერის კიჩური, პომპეზური რეალიზმისა, სადაც ხელოვნება ნაციონალური იდეების გადმოსაცემად მოიაზრება). ზედნაშენი ბაზისის მსახურის პოზიციამა და მხოლოდ ამით ეძლევა არსებობის უფლება. სხვაგვარად მას უბრალოდ ფუნქცია დაეკარგება. მაგალითად, რომელიმე საზოგადოებრივი წყობის ბაზისი წარმოქმნის საკუთარ პოლიტიკურ, იურიდიულ, ფილოსოფიურ ზედნაშენს, რომელიც სწორედ ამ წყობას ემსახურება. ენა კი ყოველ ასეთ ბაზისთა ჯამზე მალლა დგას და არ ემორჩილება მათ მოთხოვნებს და არც მათი მემკვიდრით განიცდის ფორმირებას. ის მრავალი თაობების, ისტორიების და ყველა კლასების მონაწილეობით არის ჩამოყალიბებული. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ ენა არის არა ზედნაშენი, არამედ იარაღი.

ენა, როგორც იარაღი, აქტუალური ალბათ ყოველთვის იყო, უახლეს ისტორიაში კი მისი აქტუალობა განსაკუთრებით დაკავშირებულია ფრანგულ ტელ-კელის ჯგუფთან, „ახალი რომანის“ მიმდინარეობასთან და ისეთ მეცნიერებთან, როგორცაა როლან ბარტი, იულია კრისტევა, ჟორჟ ბატაი და საერთოდ, სტრუქტურალიზმის, პოსტ-სტრუქტურალიზმის და შემდგომ კი, დეკონსტრუქტივიზმის მიმდინარეობებთან საფრანგეთში.

ირმა ტაველიძის პროზაში ვერსად შეხვდებით ჟარგონს, რაც ენობრივი, წმინდა ლიტერატურის პირველი ნიშანია. მხატვრული აზროვნების სწორედ ასეთი პოლიტიკური აქცენტი ხდება დამახასიათებელი საგანგამო მდგომარეობების დროს, როგორც ერთი რომელიმე ქვეყნის ან მთელ რიგ ქვეყანათა ფარგლებში. საქართველო, უბრალოდ ასეთ ქვეყნებს, კომუნისტური ბლოკის მფარველობის შედეგად, გვიან შეუერთდა. სიურრეალისტური ფრივოლურობა არა იმდენად და არა მხოლოდ ავანგარდის, არამედ ჯერ კიდევ უზრუნველი ბურჟუაზიულობის ნიშანია, ხოლო განვითარებული კაპიტალიზმის ერაში, როდესაც ბურჟუაზია ბუნებრივად უახლოვდება სოციალისტურ დიფუზიას და თან არც ძალუძს ეს, რამდენადაც შეუძლებელი ხდება სახელმწიფოს გაქრობა ტოტალური და მზარდი გლობალისტური სახელმწიფოს პირობების შედეგად, კულტურის გადამრჩენელად და საერთოდ მის აღმნიშვნელად არა მხატვრული აზროვნება, როგორც ზედნაშენი, არამედ ენამდე დაყვანილი მხატვრული აზროვნება გვევლინება.

ირმა ტაველიძის აპოლიტიკური მოთხრობები სულაც აღარ არის ასეთი სწორედ მათი ენობრიობამდე დაყვანის გამო. ისინი არცთუ იმდენად პოსტმოდერნისტული მოდური სტუდირებებია, რამდენადაც პოლიტიკური მოთხოვნილება. აქ, ამ დიფუზიურ დროში, აღმნიშვნელის ფუნქციით მწერალი აღიჭურვება და არა ნაწარმოები; სწორედ მწერალი, მომსახურე ამ ენის, თვითონ გადაიქცევა მხატვრულ ხერხად, მხატვრულ ელემენტად და მისი თხრობის საგანი მისივე ლიტერატურაა. ის არის ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ ენობრივ ლიტერატურას, არამედ ლიტერატურული ენის მანქანას ემსახურება. მოკ-

ლედ, მოქმედებას იწყებს საგანგებო მდგომარეობაში ენის გადარჩენის გეგმა.

ირმა ტაველიძე ახალი მწერალია, რომლის ადგილი შეიძლება ან არ იყოს დღევანდელ საქართველოში, ან წარმოადგენდეს პრეცედენტს, რომელსაც უკვე თეორიული შეუძლებლობის ლოგიკა ვეღარ გააბათილებს. დღეისთვის მოდური ის ქართული პროზა, რომელიც ჟარგონზე მუშაობს და რომელსაც მიაჩნია, რომ ეპოქა (ვთქვათ, ბარბაროსული) მხოლოდ მექანიკური ლექსიკური ლიბერალიზაციით, ანუ ლიტერატურული პროფანიზებით შეიძლება გადაიქცეს მხატვრულ ნაწარმოებად, მხოლოდ კულტურული სტაგნაციის არაცნობიერი პრეტენზიის მქონედ უნდა ჩაითვალოს.

შეხედულება, რომ ნაწარმოების სტილი, მისი ონტოლოგია მისსავე იმანენტურობაშია, რომ ფორმა არის არა მხოლოდ აღმნიშვნელი, არამედ აღსანიშნიც, ლიტერატურული მწერლობის კრიტერიუმად გვევლინება. მაგ., როდესაც ფრჩხილებში მოცემული წინადადებები, მათი განმეორადობის სიხშირე წარმოქმნის აზრის დაზუსტების, რემარკების და კონტრ-რემარკების, საუბრის დაკონკრეტების ტონს; და აქ ტონი, ტონალობის პლანები ხდება მნიშვნელოვანი და არა მსჯელობის თუ წინადადების დაზუსტებული შინაარსი („ჩემი სურვილის თევა“).

ინტერტექსტუალობა დიალოგში ირმა ტაველიძის მოთხრობების მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რასაც მისი პროზა პოეტურობაში გადაჰყავს, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე. ეს ტექსტები თითქოს ემოციების პარადიგმატული კოლექციაა, ავტორის მიერ მათი თავისუფალი არჩევისა და ოპერირების დიდი სვედრით.

ტაველიძის გმირები ალექსანდრის დროსაც ნორმირებული ლიტერატურული ენით მეტყველებენ, მაგალითად რქიანი მძღოლი, კლოდი. ამ მოთხრობაში, „ავტობიოგრაფია ფრანგულად“ ორი უხილავი დისკურსი იკითხება - ქალის პირადი თავისუფლების და პოლიციის, ჟანდარმი მამის. თანაც მოთხრობელი 12 წლის გოგონაა და ასაკიც აქ ალბათ შემთხვევითი არ არის. ფსიქოანალიტიკური ანალიზის კუთხით აქ პაციენტის სექსუალურ თავისუფლებაზე გაუბედავი განაცხადი და ამავე დროს, თვითგამოხატვის მყარი ეთიკური ნორმები იკვეთება. მაგრამ მხოლოდ ეს ორი აქცენტი არ არის მნიშვნელოვანი: ნაწარმოებს ხომ ავტობიოგრაფია ჰქვია, სადაც თხრობა ძალიან მკრთალად, მაგრამ მაინც აღიქმება არა პირველ პირში მოთხრობელი პერსონაჟის, არამედ ავტორის მხრიდან; აქ ვხვდებით სხვადასხვა, ასევე ჩვენთვის უცნობი დისკურსების ნარჩენებს, დაბოლოებებს, ფრაგმენტებს; და ეს კალეიდოსკოპურობა ამბებისა, მათი კონცენტრირება, ისევე ფსიქოანალიტიკური ბიოგრაფიის ერთიანი ნიმუშს ქმნის. სწორედ ეს არის ჩვენს მიერ თავიდანვე შემჩნეული იმანენტურობის სიყვარული ირმა ტაველიძის პროზის - სადაც ლიტერატურა მხოლოდ ენა ან გადარჩენა.

პასტიმის გარდა ირმა ტაველიძის პროზას ყველა პოსტმოდერნისტული ატრიბუტი აქვს. სწორედ ეს ნაკლებობა პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის მთავარი ცინიკური დეტალისა საშუალებას აძლევს შექმნას ლირიკული დისკურსი და ამავე დროს აწარმოოს მოდერნისტული ენობ-

რივი პოეტიკის ძიება. აქ არ არის არცერთი ციტირება ან პარაფრაზი ინტერტექსტუალობის კონტექსტში, აქ ავტორის საზღვრები, რომელიც თითქოს არ ჩანს, სინამდვილეში, მყარია. შეხედულება, რომ სხვადასხვა კრიტიკოსს სხვადასხვანაირად შეუძლია ერთიდაიგივე ნაწარმოების წაკითხვა ან ერთიდაიგივე კრიტიკოსს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ანალიზი შეიძლება გააჩნდეს, ინტერტექსტუალობის უტყუარი დადასტურებაა. მაგრამ თანამედროვე პროზის ეს ესთეტიკური და მოდური პრიორიტეტი ირმა ტაველიძისთან არანაირად არ იკითხება. აქედან ჩანს თხრობის, ისტორიის საკრალურობა.

„მწარე კანფეტები“ თითოაბზაციანი პარაგრაფების სტრუქტურისაა, რაც გალერეის, სურათების სახეს ქმნის. ეს გალერეა პარაგრაფებისა სინამდვილეში სუნთქვავა მწერლის და მისი მონოლოგია. ამ მონოლოგის სიმძიმეს, მისი ემოციის მორიდებულობას სწორედ ეს ხშირი და დეკორატიულად განლაგებული პარაგრაფი-პაუზები გვაჩვენებს. ამიტომაც ხდება შესაძლებელი ირმა ტაველიძის მოთხრობების განხილვა მათი შინაარსების გარეშე, უბრალოდ მათს ფორმებზე, როგორც სრულფასოვან აღსანიშნებზე დაყრდნობით.

ზოგჯერ ამ ნოველებში რადიკალური ფორმა - ინვენტარიზაცია გვხვდება („მოქმედი პირები“, სადაც პიესის კლასიკური ექსპოზიცია აქ მოთხრობის ერთადერთი პლატფორმად გამოდის. პორტრეტები და მათი საანკეტო ისტორიები ნაწარმოების კომპოზიციას წარმოადგენს და, რაც უნდა მოულოდნელი იყოს, ამბავსაც მოგვითხრობს - ამბავს, განგაშის და გამოუთქმელობის შეფერილობით).

მოთხრობა „მზის მათრახის ქვეშ“ ისევ ფორმალურ ნოველებად არის დაყოფილი, სადაც თითოეულის მოცულობა აბზაცს არ აჭარბებს:

„იქნებ არ უნდა გიყვებოდე ამ ყველაფერს, არ უნდა ვცდილობდე დაგანახო როგორი ლამაზი ხელწერა მაქვს, როგორ ფაქიზად გამომყავს ასოები ნიგნის ყდაზე. თუ გინდა, თავს ოდნავ გაწევე და წერილშიც ჩაგახედებ. მაინც შენ გწერ. ისევ ისე ან სხვანაირად“.

ხელითგადაწერილი ნიგნის ფაქტურა აქვს ამ მოთხრობას, სპარსულ თუ იტალიურ იგავ-არაკებზე მსუბუქი და სევდიანი ირონიით; ირონიით ნიგნზე, რომელიც აღარ არსებობს და რომლის თანამედროვე ექვივალენტებისგან მართლაც შეიძლება უბრალოდ დაიღალა:

„- თბილისში დაბრუნებისთანავე ნიგნებს გვერდით გადავდებ, მკითხაობას დროებით შევეშვები. არც ახალ ჩანანერებს გავაკეთებ. ოთახში გამოვიკეტები, თვალებს დავხუჭავ და ყურებზე ხელებს ავიფარებ. ფრთხილად უნდა ვიყო - მზის დარტყმა მელის.“ (მოთხრობის დასასრული).

ასეთივეა „თამაში თავშესაფრის თოვლით“ და აქაც, ზემოთ განხილული მოთხრობის მსგავსად, პარაგრაფთა სათაურებს გამოკვეთილად პოეტიკური შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება.

„თბილისი საქართველოს დედაქალაქია, რომელიც თავშესაფრის ჭიმკართან იწყება და მხოლოდ რუკების შემდგენლებმა იციან, სად მთავრდება. ქუჩების დათვალიერება, დასახელებების სწავლა, ჩრდილოეთის და სამხრეთის პოვნა სხვების დახმარების გარეშე გადაწყვეტილი“.

თუ დავიკარგები, საფრთხე მაინც არ მელის - დინებები თავისთავად მიმიყვანენ მის ხისაივნიბიან შუაგულთან.

თავშესაფარში აღარასდროს დავბრუნდები.

გოგონა, მოგონა, ხანძარი...“

(პოსტკრიპტუმი, „თამაში თავშესაფრის თოვლით“).

ხისაივნიბიანი შუაგული, თავშესაფრიდან წამოსვლა, იქ გადარჩენის იმედი. გოგონა, მოგონა, ხანძარი - აქ განგაშის და ენის დაპირისპირების გარდა რამის დანახვა შეუძლებელიც კი ხდება.

ტაველიძის პროზის რადიკალური მაგალითია მოთხრობა „კონფლიქტის ზონა“, სადაც ინვენტარიზაციას უკვე რიტორიკა განიცდის. აქ დაჯგუფებულია შეკითხვები ერთ პარაგრაფში („თავი პირველი, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის კითხვა, რომელიც ირაკლი ტ. - მ საკუთარი მანქანის სარკეს დაუსვა (თანმიმდევრობა დაცულია“). მეორე თავში ჩამოთვლილია ნივთები - („თავი მეორე, სადაც დასახელებულია ყველა ის ნივთი, რომელიც ირაკლი ტ.-მ უცნობი ქალის ჩანთაში იპოვა“), შემდეგ მოდის „თავი მესამე, სადაც აღწერილია ყველა ის კადრი, რომელიც ცისფერმაისურნიანი ქალის ციფრულმა ფოტოაპარატმა შემოინახა“. ცოტა ქვემოთ ნაჩვენებია ნაპოვნი უბის ნიგნაკის შინაარსის აღწერილობა, თუნდაც თვითონ ავტორისეული ელექტრონული ფოსტის ნამდვილი მისამართით: ტაველიძისაპო.ფრ

რომელ კონფლიქტის ზონაზეა აქ საუბარი? იზოლაციის და ადამიანის საგნად გადაქცევის ზონაზე ხომ არა, ვაკუუმზე, რომელსაც მხოლოდ ეს ელ-ფოსტის მისამართები ჰკიდია, როგორც სიცოცხლის აღმნიშვნელი იარაღი-ყები?

ბოლოს კი, ალბათ, „შიში და პროფესიული ჩვევები“ უნდა დაგვეტოვებინა, როგორც ერთადერთი გამოკვეთილი შინაარსის ისტორია ტაველიძის სხვა ფორმალისტურ მოთხრობებს შორის. თხრობის ელემენტი აქ შედარებით მეტია, თორემ მთელი ტაველიძისეული არსენალი მაინც სახეზეა (რვეულის პირველი გვერდი, მეორე გვერდი, კითხვები, რომლებიც თვითმფრინავის რყევაზე მეტად მანუხებს, მარკიზ დე სადი, პაულ ცელანი, კაბის ბოლო, სადაც შიშის დასასრულია). ტაველიძის ეს მოთხრობა ჰგავს დანარჩენ მოთხრობებს იმით, რომ აქ ეროსის და სიკვდილის (ჟორჟ ბატაის ტერმინოლოგიით ორივე შემთხვევისთვის - გამოუცალკევებლობის, სხვა დანარჩენი ცხოვრების გამოცალკევებულობასთან კონტრასტში) დისკურსი პოეტური ფორმით არის მოცემული. აქ ამკარაა სექსის არსებობის საკითხი დოგმატურ და კატასტროფულ სიტუაციაში, როგორც საერთოდ ქალის და ეროტიული წყურვილის და მისი დაბრკოლებულობის მეტაფორა („ფრენის სიკვდილივით მემინია...“). აქ, თვითმფრინავით ფრენის სცენაში სწორედ სიკვდილის და ეროტიკის შიშის თემაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული და აქედან გამომდინარე ჩნდება თითქოს წინააღმდეგობრივი შეკითხვები, როგორცაა თემა ერთგულების და ბუნებრივი ანუ თავისუფალი სიყვარულის. მომდევნო ნაწილში, „ჟუსტინა, ანუ უმანკოების უბედურებანი“, ტექსტი პუნქტუაციას ანუ სუნთქვას კარგავს. ეს არის უაღრესად ადეკვატური მონოლოგი ნეტარი გამოუცალკე-

ვებლობის ("ჩვენ გვიძინავს, როგორც ღვინოს - ჭურჭელში" (პაულ ცელანი), რაც სიკვდილს და ეროტიკას ერთმანეთს ამსგავსებს და რაც ვილჰელმ რაიხს შრომის, ცოდნისა და სიყვარულის წყაროდ მიაჩნია წიგნში „ორგაზმის ფუნქცია“. აქ, როგორც ნებისმიერ გამოუცალკევებლობაში, წინადადებებს არც დასაწყისი, აქვს არც დასასრული და ისინი ერთმანეთს ეკუთვნიან. შემდეგ პარაგრაფში კი ავტორი მიგვანიშნებს, რომ უკვე გამოცალკევებულ მდგომარეობაშია, რადგანაც კვლავ დაკვირვებას იწყებს, უერთდება ჩვეულ და მტიკივნიულ არსებობას:

„გაკვირდები. ვამჩნევ: შენელებულ სუნთქვას, შუბლზე გამოყოფილ სიზმარს, თითებს, რომლებსაც თავისი ისტორიების მოყოლა სურთ, მარცხენა ყურს, რომელიც ძილშიც ფხიზლობს, ტუჩებს, სხვადასხვა შეთქმულებებში რომ ყოველთვის ხალისით მონაწილეობენ, კეფასთან გადანახულ რჩევა-დარიგებებს – ჩემთვის, სხვებისთვის,

ნამწამებზე ჩამოკიდულ გამჭვირვალე სიტყვებს, რამდენიმე წამის წინ ფარდასავით რომ ჩამოვობი.“

„სოდომის ასოცი დღე“, ლიზა სიზმარში, მწერლობისთვის თავის დანებება“ - ეროტიკა და მწერლობა სხვა კუთხიდან შეიძლება მართლაც მხოლოდ წარმოსახვას; და ალბათ ლიზა ყველაზე მყარი და ყველაზე სიზმრისეული სახეა ტაველიდის მოთხრობებში.

როდესაც ავტორი აღნიშნავს, რომ რთულია ექსტრემალურ პირობებში მუშაობა, ეს უკვე აშკარა მინიშნებაა, რომ უსიყვარულობა ექსტრემალურ პირობებზე გადაქცეულა, ხოლო სამწერლო მუშაობა საფუძვლად სწორედ სიყვარულს და მეტიც, ეროტიკულ სიყვარულს მოიაზრებს. ეს კი, ისევე, როგორც ენა და ტაველიდის პროზა, მექანიკურ გადარჩენაზე ოდნავ მეტია.

„მართალია, სახეზე მელანი მისვია, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ“.

დოკუმენტური პროზა

ელგუჯა თავბერიძე

აირევი ივერია

აქა ამბავი 1900 წელს გათავადაზნაურებულთა როგორც თქვით, სოლომონისა და მისი დამქაშების სიყალბე 1900 წლის იანვარში გამჟღავნდა, დაიწყო ძიება, მაგრამ ამას აზნაურობის მოსურნეთა რიცხვი არ შეუმცირებია, ზოგიერთმა წინა წლებში, ზოგმა კიდევ ამ თვეებში შეიტანა საბუთები თავადაზნაურთა საკრებულოში. და კიდევ ერთი, მნიშვნელობა არა აქვს, სცნო თუ არა სენატმა, ე.ი. საბოლოოდ დამტკიცდა თუ არა ამა თუ იმ პიროვნების კეთილშობილური წარმომავლობა, რადგან საბრალდებო საქმეში მოხვედრილებს ყველა პრივილეგია და წოდება ჩამოართვეს. ამიტომ ჩვენთვის მთავარი საკრებულოსგან დამტკიცებული ხალხია, ხალხი, თავადობას ან აზნაურობას რომ წაეპოტინა.

მთელი ხუთი წლის მანძილზე სოლომონმა და მისმა მეგობრებმა ყველაზე მეტი ადამიანი სენაკის მაზრაში აამალღეს წოდებრივად, მათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ ზუგდიდელები – 1900 წელსაც ასე იყო. ისევ სენაკელებმა დაჯაბნეს სოლომონის მშობლიური ქალაქის მკვიდრნი. ძველ-სენაკელებმა ისიდორე საბას ძე ქავთარაძემ და სოკრატ ლევანის ძე ჭკადუამ სწორედ ამ წელს გაინაღდეს ჭკადუათა და ქავთარაძეთა სურვილი – გახდნენ აზნაურები. სოფელ ეკში მცხოვრებ მანუჩარ, გვატა და ანტონ ვახტოს ძე და პავლე გოგიტას ძე ადამიებს რა უნდა გაჭირვებოდათ – ერთი გამორჩეული აშორდიელთაგანი ადამია იყო, ის კიდევ სხვა გვარის წარმომადგენლებს ათავადაზნაურებდა და ამათ რატომ ეტყოდა უარს. არც უთქვამს – ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა

საკრებულოში დავით დადიანის 1851 წლის 23 მარტის გადაკეთებული ბრძანება წარადგენინა და მორჩა. მათ აუბეს მხარი ნესტორ და ივანე კოხოს ძე ხახუბიებმა (ალბათ უფრო ხახუბაიებმა). მერე მათ ამავე სოფლელი ზებელო ბატას ძე გიგიბერიაც მიემატა.

ბესარიონ გიორგის ძე კაპანელი, ნიკოლოზ ყარამან და ჯამლეთ ლევანის ძე ცომაიები და ნიკოლოზ პეტრეს ძე თოფურია დიდხანს ელოდნენ იმ დღეს, როცა აშორდიელები კეთილი თვალით გადმოხედავდნენ, საქმის გამჩალიჩებლები არა ჩქარობდნენ, ამათ სული კბილით ეჭირათ. როგორც იქნა, გასრულდა ლოდინი – გახდნენ აზნაურები. თოფურიამ ლევან დადიანის 1852 წლის 20 მაისის ბრძანებაცა და 1849 წლის 20 ივნისის ბილეთიც წარადგინა თავადაზნაურთა საკრებულოში, ცომაიები კიდევ დავით დადიანის ბრძანებების ჩასწორებული ვარიანტის წყალობით გახდნენ ისეთნი, რასაც ესწრაფოდნენ.

შუბუკელ ხოფერიებში ადრე ერთ-ერთი ციხის აზნაური გამხდარიყო, მაგრამ არა შემკვიდრებოდა, მარტო მას რგუნებოდა ეს წოდება. რა გასაკვირია თეიმურაზ კიმოტეს ძე ხოფერიასაც ნდომებოდა პაპის პაპის დიდებასა და პატივში ყოფნა. უნდოდა და მიაღწია კიდევ – აშორდიელთა შემწეობით გააზნაურდა. მასვე მიბაძა პორფირ იაკობის ძე მხეიძემ, რომელმაც თვითონაც არ უწყოდა, საიდან და რატომ ატარებდა თავადის გვარს. ონტოფოელი (ესეც სენაკის მაზრაა) პეტრე უჩას ძე, მიხეილ და სოლომონ ბეჟანის ძე ხინტიკირიებში კი ყველამ იცოდა, რომ აზნაურები არ იყვნენ, მაგრამ ეს არ გახლდათ მთავარი, სურდა ამ ხალხს აზნაურობა და თუ ფულს გაიღებდა, სოლომონის მოძმეები ადვილად მოუგვარებდნენ საქმეს..

ჭალადიღშიც რამდენიმე ოჯახი ელოდა აშორდიელთა წყალობას, ეგონათ ადრე, მაგრამ გვიან გახდნენ აზნაურები. ჯავრობდნენ, ფიქრობდნენ, ფული ხომ არ შეგვიჭამეს ამ ოხრებმა, ხომ არ გადაგვაგდესო, მაგრამ 1900 წელს მათ დარდაც მოელო ბოლო: ჯერ სამსონ ნიკოს ძე ჩაჩავა გათავადდა, მერე კონსტანტინე და მალხაზ კოხტას ძე, ბიქტორ და ილია თომას ძე შელიები, შემდეგ კი ისევ ჭაბუკის ძე გულუა.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №23, 24, 25

ენრელები არც ამ წელს ყოფილან გულხელდაკრე-ფილნი. ათასნაირ გზებსა და საშუალებებს ეძებდნენ სა-ნუკვარი მიზნის მისაღწევად. ხანდახან ერთი ადამიანი იხდიდა მთელი საბიძაშვილოს გააზნაურების საღირას. ამორდიელებსაც უხაროდათ, სანათესაოსაც, ერთნი უფ-რო მეტ ფულს იჯიბავდნენ, მეორენი, რაც არ იყო და შე-საძლოა ვერც ვერასდროს გამხდარიყო, ის ხდებოდნენ. დავით ზურაბის ძე, თენგიზ კოსტას ძე და მიხეილ გიტოს ძე მარინავებიც სწორედ ამ წელს გახ-დნენ აზნაურები.

მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე გა-აზნაურებულთაგან ერთადერთია ქალი, ბუნებრივია, ვინმე თავადად ან აზნაურ-რად რომ გადაიქცეოდა, მისი ასულიც, ძეც ან, უფრო სწორად, ასულ-ძეებიც თავადაზნაურდებოდნენ. ერთი სიტ-ყვით, უმრავლესობა მემკვიდრეობით ღებულობდა მაღალ წოდებას. მთელ ხუთწლეულში ერთადერთი ქალია ამ სურვილით ალტკინებულ საკაცეთში და ესაა წალენჯიხელი მართა გვაჯავა-ჩახვავასი. ჩანს, ქვრივი იყო ან ქმარს გა-ცილებული, მშობლის გააზნაურება რა ჩირად უნდოდა, ქმარი არ ჰყავდა ან კი-დეც მიწა მიეყარა და ახლა აზნაურად გა-მოცხადებოდა. ერთ შემთხვევაში გულში ეთქვა იმქვეყნად გადასახლებულისათ-ვის – იცი რა, აზნაური გავხდი სხვათა და სხვათა ჯიბრზეო, მეორეში კი ამპარტა-ნულად შეეხედა გლეხუჭა ქმარყოფილი-სათვის.

ვინ თუ არა ჩვენ, ჩვენ თუ არა ვინ – ამ სიტყვებს ატრიალებდნენ წალმა-უკულ-მა, ნაცვალსახელებს უნაცვლებდნენ ად-გილს და იქადნებოდნენ ცაიშელი ქი-რიები. პეტრე (იგივე იორდანე), ივანე და ნიკიფორე გვაჯის ძეებმა საქმედ აქციეს ეს დანაქადნები. მერე მათ დუტუ პუგუს ძე, ალექსი და ერისტო გაბრიელის ძე, ტარიელ და პარმენ მაქსიმეს ძე გვეგეჭკორებიც შეუერთდნენ.

რამდენჯერმე ვთქვით, მსგავსად სენაკისა, ზუგდიდ-შიც რომ ცვიოდა და ცვიოდა წოდებები. კიდეც ათი წელი გაგრძელებულიყო თავადაზნაურთა საკრებულოში საბუ-თების წარდგენა და ამ ორ მაზრაში თითქმის აღარავინ დარჩებოდა გლეხი – ყველა ერთნაირი გახდებოდა, უფრო ზუსტად, დაახლოებით მსგავსი – თავადი ან აზნაური. სო-ციალური მდგომარეობა ხომ შეიცვალა, ადამიანებიც სხვანაირნი გახდნენ, ბუნებრიობა დაკარგეს, იმას ნაეპო-ტინენ, რაც მათ ხასიათში, აღზრდაში, ბოლოსდაბოლოს, გენში არ ყოფილა, სრულყოფილად ვერც ის შეითვისეს, ძველიც დაკარგეს და იყვნენ ასე, გახიდულნი.

გააზნაურებული სილიბისტრო კვაჭანტირაძის მიხე-ილ ჯავახიშვილისეული დახასიათება გავისხენოთ:

იმის შემდეგ, რაც სილიბისტრო კვაჭანტირაძემ აზნა-ურობა დაიმტკიცა, მის ხასიათსა და ოჯახსაც ელფერი გამოეცვალა. ყველანი გაიბლინდნენ, გაამპარტავანდნენ, გაკეთილშობილდნენ.“ წინანდელ მეზობლებს ან აღარ

ჰკადრულობდნენ ან ისეთი მედიდურობით და მფარვე-ლობით ექცეოდნენ, თითქოს მათ შორის ხიდი ჩამტყდა-რიყო და ახალი კედელი ამენებულიყო“.

სილიბისტროს მსგავსი გახდა უამრავი, გაბლინძულ-გაყოყონებულ-გამეტიჩრებულ ამორდიას აზნაურთა ჟა-მი ჩამოდგა. ზუგდიდელი ალექსი ვახტოს ძე ოდიშარიას გათავადების ამბავი მთელ მაზრას მოედო, ჩვენ გავაზნა-ურდეთ მაინცო – გაიფიქრეს სხვებმა და სინამდვილედ აქციეს ფიქრი და სურვილი ესე. ოდიშა-რიას მიბაძა ივანე თოთიას ძე აფაქიძემ და ამაღლდა წოდებრივად, მერე გუჯმა-ხან გიორგის ძე საჯავაძე ასე მოიქცა – გათავადდა. მურზა და დიანოზ ხიტუს ძე და ნიკოლოზ ვასილის ძე გაგუები კი აზ-ნაურობას დაყაბულდნენ. თავმდაბლო-ბა გამოიჩინეს, აგრეთვე, ნიჩვია, ბასა და ლევან ხუტუს ძე კვალანდარიებმა, პეპო კოკის ძე და ხითო ბოშას ძე ნაჭყებიებმა – მაღალ წოდებას არ გამოკიდებიან, აზ-ნაურობაც საკმარისი და სასურველი იყო მათთვის.

1900 წელს გათავადდნენ ან გააზნა-ურდნენ, აგრეთვე, ნოქალაქეველი გი-ორგი და პეტრე მოსეს ძე, ნიკოლოზ, ნესტორ, ლავრენტი და თედორე ლუკას ძე ბალათურიები; ფოთელი პეტრე კუ-კოს ძე ჟვანია; ქვატანელი გიგო ანდროს ძე ჭანტურია; ნიქოსელი მიხეილ იტუს ძე ხვიტია; მაცხოვრისკარელი ილარიონ, დომენტი და კირილე ალექსის ძე ჭანტუ-რიები; ყულისკარელი სიმონ თავკოჩას ძე ბერაია; გუძემელი ივანე გუტას ძე და ალექსი სიკოს ძე სოსელიები; ალავერ-დისკარელი კოსტა კუჩუს ძე, გვათუ გი-ორგის ძე, დავით, ლუკა (იგივე კაცია), გაბრიელ და ანდრია გოჩას ძე, ლევან და იულონ ბურდლუს ძე ჭურჭულიები (ალ-

ბათ ჭურღულიები); კოდორელი ილია ბეჟანის ძე და კირი-ლე პეტრეს ძე შელიები; კოტიანეთელი გიორგი და ანტონ როსტომის ძე, ივანე ბაკჩას ძე, პეტრე და სერგო მანუჩა-რის ძე ჭუბაბრიები; ნოსირელმა ივანე და იულონ მანუჩა-რის ძე გამსახურდიებმა ერთი კინკილა საბუთი – დავით დადიანის 1849 წლის 20 აპრილის გაყალბებული ბრძანე-ბის ასლი წარადგინეს ქუთაისის თავადაზნაურთა საკ-რებულოში და გახდნენ აზნაურნი. ასევე მოიქცნენ მათი თანასოფლელები – ალექსი, ფარნაოზ, იოსებ ივანეს ძე, მარკოზ სიმონის ძე, თადეოზ და დიმიტრი მათეს ძე ოდი-შარიები; არც ნოგახაშელი თევდორე და სოფრომ ბეჟანის ძე და ანდრო პეტრეს ძე ცომაიებისათვის შეუდგენიათ ამორდიელებს დოკუმენტების დასტა – წინა გადასწო-რებული წყალობის სიგელი კიდეც ერთხელ გადაასწორეს, კიდეც ერთხელ აღადგინეს ისტორიული სამართლიანობა და მორჩა, მიღწეული გახლდათ სასურველი, თხოვნა – შესრულებული, ნადილი – მოკლული.

ხოროშელი ალექსი და ნესტორ ხოსიკას ძე, გიორგი და ნიკო ბესარიონის ძე ადონაიებსა და თეკლათელ სტეფანე ვასოს ძე გვათუას რა გაუჭირდებოდათ, ორივე გვარს



სოლომონ ამორდია
(ჯული ამორდიას არქივიდან)

ჰყავდა ამორდიელებში თავიანთი მოგვარე, მხსნელი და მფარველი. ამიტომაც მალე გახდნენ აზნაურნი.

სილიბისტრო კვაჭანტირაძეზე დიდხანს ელოდნენ ხიბულები გოგია ხიტუს ძე, როსტომ ქველის ძე, აქვსენტი ზუთუას ძე, სილოვან თოთიას ძე სიჭინავები სოლომონისა და ძმათა მისთა დანაპირებს. როგორც იქნა, მათთვისაც გამოანათა მზემ, გვიან აუხდათ სანატრელი ოცნება, მაგრამ ამას რალას ჩიოდნენ. მთავარია, ქარავანს არ ჩამორჩნენ, ფეხი აუწყვეს გაცუდებულსა და გამრუდებულ დროებს.

მაიდანახეში (ზუგდიდის მაზრა) როდონაიებმა ნათესავებისაგან შეიტყვეს, რაც ხდებოდა ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოში, როგორ მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ ზოგიერთნი ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად და მათ ვინ ან რა დააკავებდათ – ყარამან როსტომის ძე, გიორგი, გიგო და ონისიმე ოტიას ძე როდონაიებიც არ ჩამორჩნენ ნათესავებს, გააზნაურდნენ.

ნაესაკოვოელ ესტატე გიორგის ძე ფალავას კიდევ ფარატინა ქალაღიცი ვერ მოეძებნა შინ მისი თავადობის დამამტკიცებელი. იყო (თანაც ყველამ იცოდა) ბრწყინვალე ნოდების წარმომადგენელი, მაგრამ რად ღირდა ასეთი ყოფნა – იყო, მაგრამ არ იყო. ამიტომ სოლომონმა და მისმა მოძმეებმა მასაც გაუწვდინეს დახმარების ხელი, რა თქმა უნდა, გასამრჯელოს გაღების მერე – ნამდვილი თავადი ამორდიას თავადად აქციეს.

ბედიელმა (სოხუმის ოლქია) ქუთელიებმაც გამოიღეს თავი და დედანულიანად გააზნაურდნენ. გიორგი, ივანე, ალექსი და პავლე გურის ძე, გიორგი და ბესარიონ პაშუტიას ძე და ანდრო დავითის ძე ქუთელიები დავით დადიანის ბრძანების გადაკეთებული ვარიანტის გამო გახდნენ ისეთნი, რაც სურდათ.

1900 წელი მიიწურა, ახალი საუკუნე, ახალი ასწლეული ჩამოდგა, გათენდა. ამორდიელთათვის ჩამოლამდა, ჩამოხედა, რომ ეგონათ, გაამართლა აფიორამ, თავადაზნაურთა საკრებულომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება, აწი ვინდაა ამ საბუთების მომძებნი და შემომნმებელი, სწორედ მაშინ გამოჟღავნდა ყველაფერი. როგორც იტყვიან, ძროხის კუდზე გადატყდა დანა.

საქმეს იძიებდნენ, დამნაშავეებს ეძებდნენ, ესენი ისევ ძველ წყალობის სიგელებსა და ბრძანებებს აყალებდნენ. ყველას ეგონა, ისე პროფესიულად ვაყალებ, ვერავინ მიმიხვდებაო. ცდებოდნენ, ყველაფერს მიუხვდნენ.

თუმცა მართლმსაჯულების აღმსრულებლებიც არ აქარებულან, გვერდზე არ გადაუდვიათ სხვა საქმეები და ამას არ ჩაგულისძირებიან, მდორედ, ზოზინით დაიწყეს ძიება. კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა, ერთ დღე-ღამეში გათავადაზნაურებულთა ამბავიც მოეხსენებოდათ, მაგრამ ზემოდან არავინ არაფერს ავალებდათ, აბა, რისთვის აქტივებიანთ აუტიკვარი თავი.

კიდევ ვიმეორებთ – რუსეთისათვის გლეხთა გათავადაზნაურება და მერე ამ ამბის გამჟღავნებაც ხელსაყრელი იყო. იბლალებოდა ღირსება ნამდვილი თავადისა, აზნაურისა, უგვარონი გვარიანდებოდნენ, ორდარი ჟამის შესაფერი ადამიანები ყელყელაობდნენ.

ვინ ხართ თავადი ან აზნაური, ის ვერ გაგირკვევიათ, თქვენვე გაგიცუდ-გაგიტახსირებიათ ისტორია თქვენიო – იტყოდა დამპყრობელი და გულში ჩაილიმილებდა. ერ-

ჩივნა, ასეთთათვის ეპატრონა, ვიდრე ერის თავისუფლებითა და სიყვარულით გულგასერილ ჭირისუფალთათვის.

დადიანო, დადიანო...

ამორდიელებში ერთ-ერთი აქტიური კაცი თავადი ბესარიონ დადიანი იყო. ძველ დოკუმენტებზე, წყალობის სიგელებზე, ბრძანებებზე ხელი მიუწვდებოდა, აძლევდა გამყალებლებს, ისინი, როგორც სურდათ, „ასწორებდნენ“ და ათავადაზნაურებდნენ მსურველს, ფულის გადამხდელს...

ბესარიონი, მეტსახელად ბესა, მდივანბეგ ალექსი გიორგის ძე დადიანის (1848 წ.) და ხვარამზე მიქელაძის შვილი და იმ კაცია დადიანის შვილთაშვილი იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 1803 წელს დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე. როგორც ვთქვით, მამამისი ალექსი საბუთების გამწვანებელი კაცი, მდივანბეგი გახლდათ და შვილიც ნამეტან სარგებლობდა მამის ყოფილი მდგომარეობით. ამოჰქონდა და ამოჰქონდა ზანდუკიდან მტვერნაყრილი, ვითომ ლევან და დავით დადიანებისაგან ხალხისათვის დამალული წყალობის სიგელები, ბრძანებები და აყალებდა და აყალებდა.

მისი მოგვარე ნიკოლოზ დადიანი სოლომონ ამორდიას დაუდგა თავებში 5 ათას მანეთად, იქნებ სულაც ბესარიონ-ბესას რჩევითა და თხოვნით, ვითომც არაფერი, თვითონ სულაც არ ყოფილიყო ამ საქმეში გარეული, შეეცოდა დასაჭერად გამზადებული კაცი და თვითონ დასაჭერმა, მომავალში სათავებომ, სხვას მოუძებნა თავმდეები.

ზემოთაც ვთქვით, ნიკოლოზ დადიანს თავებობის პირობა არ შეუსრულებია. გელოდათ სოლომონ ამორდია, – უთხრა დასაჭერად მისულებს, თქვენზე მეტადაა დაინტერესებული სიმართლის გარკვევით, – ეს უთხრა, გულში სხვა გაიფიქრა, მშვენივრად იცოდა, სადაც და როგორადაც იყო ათესილი გვაჯის ყმანვილი. ბესარიონი კი ამ დროს არსად ჩანს, არც ამორდიას ეძებს, არც მოგვარეს ამშვიდებს, სასამართლოსთვის ამოდენა თანხა რომ უნდა გადაეხადა. მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ თუ ყოველივეს მოეფინება ნათელი, მასაც მოთხოვენ პასუხს. ერთი სიტყვით, მისი ჯერიც დადგა, ვერც დადიანობამ უშველა, ვერც ბრწყინვალე ნოდებამ, ვერც იუნკრობამ. გაირკვა, უიმისოდ ვერაფერს გააყალებდნენ გამყალებლები. როგორც იტყვიან, ფარდა აეხადა მის ნამოქმედარს, ყველა მიხვდა, ის რომ არა, იქნებ ამორდიასაც გაჭირვებოდა, ვერ დაეგვირგვინებინა წარმატებით ძნელად წარსამატებელი, სათავე იგი იყო – ბესარიონ დადიანი, ძველ საბუთებში ჩახედულ-ჩაყურყუმალავებული თავადი.

სასამართლო 1907 წლის 5 ნოემბერს იყო დანიშნული. მოწვევა მიიღო, მოწმედ კი არ იბარებდნენ, დამნაშავედ სცნობდნენ, შეჩქვიფდა თავადი, კი უწყოდა, რასაც იქმონდა, მაგრამ ასე თუ გამოაშკარავდებოდა ყოველივე, ძნელად წარმოედგინა. ამორდიასი, მისი კალიგრაფიული, უფრო ნაწერს მიმგვანებლობის ნიჭისა, სჯეროდა, საბუთს ნახულობდა მის შედგენილ-გადანერჩილ, ნამდვილზე ნამდვილს ჰგავდა, ქალაღი ძველი, ხელწერა იგივე,

ბეჭედი ნაღზე ნაღს დამსგავსებული. მეტი რა უნდოდა, ამიტომაც სჯეროდა, სულ უფრო ეთრევიებოდა და ეთრევიებოდა გვაჯის ბიჭს ამ საქმეში. მაგრამ ახლა ფიქრის დროც აღარ იყო, უნდა ემოქმედა, სასამართლოსთვის როგორმე აერიდებინა თავი, ამისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი ავად გახდომა ჩანდა. ერთხელ გაუმართლა ამ ფანდმა, გაჭრა სენაკელი ექიმის ცნობამ, სასამართლომ სანდოდ მიიჩნია. ახლაც ავად გახდომა ერჩივნა, გახდა კიდევ, წავიდა თუ არა თბილისში, იმკურნალა თუ არა, ძნელი სათქმელია, ცნობა დაითრია – კერძო კლინიკაში ვინეციო, – ესეც სიმართლეა ან ტყუილი, უფრო მეორე, ერთხელ ნაცადის განმეორება ან კიდევ: მე შენ გეტყვი, შედგენა გაუჭირდებოდათ. ეს ცნობაც არ გამოუჩენია, სასამართლოსათვის არ გაუგზავნია. ამიტომ, ვფიქრობთ, ყალბი იყო, როცა ძალიან მოუჭირეს ხელი, მერე გააკეთებინა ვილაცხას, არც თბილისში ჩასულა, არც სანოლში მწოლიარეს უცქერია მავჯის შემტყობარისათვის.

საოლქო სასამართლოც არ ყოფილა გულხელდაკრეფილი, ბესარიონ დადიანი პროცესზე არ მივიდა და, წესით და რიგით, რაც უნდა მოჰყოლოდა ამ ამბავს, ის მოჰყვა.

1907 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ქუთაისის საოლქო სასამართლომ ქალაქის პოლიცემისტერს გაუგზავნა თხოვნა, უფრო მოთხოვნა, სასწრაფოდ მოეძებნათ და დაეპატიმრებინათ თავადი ბესარიონ იგივე ბესა დადიანი, რომელსაც ძველი საბუთების გაყალბებაში ედებოდა ბრალი. პოლიცემისტერიც არ დაბნეულა და ხუთი დღის მერე მიმართვას, უფრო მოთხოვნას რომ ჰგავდა, მიმართვით უპასუხა, ქალაქის ცენტრალური ნაწილის პრისტავს დაავალა ბესარიონ დადიანის მოძებნა და გაკოჭვა. სამი დღე ეძება აქაურმა პოლიციელმა და „რომ ვერსად ნახა, მდინარის იქითა მხარის პრისტავთან აფრინა ასეთივე მიმართვა, საოლქო სასამართლოდან პოლიცემისტერის სახელზე და თვით პოლიცემისტერისგან მისთვის გამოგზავნილი წერილიც შედ დაუსართა სათანადო განმარტებით – ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არ იძებნება და თქვენთან ეძებეთო.

ამასობაში კიდევ გავიდა სამი დღე და ეს პრისტავიც წინანდელივით მოიქცა, არქიელის გორის პრისტავს მისწერა იგივე. იმანაც ეძება 3 დღეს და ქუთაისის პოლიციის სამმართველოში გაგზავნა ცნობა – არც ჩვენთან არაა ბატონოო, ეძება ერთმა, მეორემ, მესამემ... სულ პირველმა პირველს დაავალა, ამ პირველმა კიდევ ერთს, მეორეს, მესამეს, მაგრამ ვერცერთმა ვერსად აღმოაჩინა: – ქუთაისში ბესარიონ დადიანის ცხოვრების კვალს ვერ მიაგნო. არც ბესა-ბესარიონი გახლდათ ისეთი ბრიყვი, ქალაქში გაჩერებულიყო, სამიზნეზე დაჯდომოდა პოლიციელებს – ეძებეს, ვერ ნახეს. ამის შემდეგ თვენახევარზე მეტი გავიდა და 1908 წლის 20 იანვარს ნოქალაქევის პრისტავმა უშაფათის თემის სოფელ ბეთლემში, საკუთარ სახლში აღმოაჩინა ბესარიონ ალექსის ძე. იჯდა იუნკერი დადიანი ბუხრისპირას, თავის სახლში, ბევრი ბეთლემელი გლეხი აქცია აზნაურად, ხშირად მთელი მოდგმაც აამალა ნოდებრივად, ისინი ეიმედებოდა, ამიტომ ხიფათს ნაკლებად ელოდა, იჯდა, ფიქრობდა, ეგონა, გააზნაურებულები შეატყობინებდნენ მოსალოდნელ საშიშროებას და მიიმა-

ლებოდა. იჯდა, ფიქრით დადიოდა, იხსენებდა ძველს, სასიხარულო არაფერი აგონდებოდა, – იჩუჩები ნამდვილ აზნაურებად ვერ იქცნენ, უფრო დაგლეხავდნენ, ვიდრე გააზნაურდნენ. ხასიათი, მოქცევა ისეთი დარჩათ, როგორიც იყვნენ სინამდვილეში, უარესიც, აღარც ისეთი იყვნენ, რასაც ენუკვოდნენ, აღარც ისეთი, რასაც გაურბოდნენ და თავილოდნენ.

იჯდა ბესარიონი, ფიქრით დადიოდა. ერჩივნა, ფეხით ევლო-ერბინა, ვერ ახერხებდა, ჯანი შერყეოდა, ფიქრით დარბოდა, ფეხით, ცხენით გაჯირითება უჯობდა ათასწილ, სურდა სხვა, აკეთებდა სხვას. შიში ჩასახლებოდა მზერაში, დამჭერის მოლოდინში გამტერებოდა თვალები, გაკუშტებოდა სახე, ფიქრით სირობილი ადარდიანებდა. ცალკერძ საქვეყნოდ გამოტყენებისა რცხვენიოდა, დადიანი იყო ბოლოს და ბოლოს. მას უნდა დაეცვა, ეპატრონა წინაპართა სიგელ-გუჯრებისათვის, პირიქით კი მოხდა, გააყალბა, გააცუდა კარგი, საუკეთესო, შერყვნა, შებლალა ნამდვილი, მეორეკერძ ჯანი გასტეხოდა, ჩადენილი ჩადენილი იყო, მოსახდენი მომხდარი, ოთხკედელთან გამკლავების შიში ანაღვლიანებდა.

იჯდა, ფიქრით დადიოდა, ცხენზე შემოხტომას და გაგელვებას მონატრული.

ხანდახან ეშმაკები გაუხტებოდა თვალეში, სახე გაუხალისდებოდა. ამ დროს იფიქრებდი, საბუთებს გააცულებს კი არა, ყველაფერს მოიმოქმედებსო, სახის ერთი ნაწილი უღიმოდა, მეორე ასაკისდარად შემსჭვალვოდა, იყო ისეთი, როგორიც იყო, მაგრამ დიდხანს არ გრძელდებოდა ასე, წამიერი იყო დაბრუნება წარსულში. თუმცა, ამ დროს რომ შეძლებოდა, გაიქცეოდა, მსგავსად სხვათა და სხვათა, მიიმალებოდა, მიიყუყებოდა თვალმიუნვდენლად, მზერაშეუტყორცნელად. არ შეეძლო.

იჯდა, ფიქრობდა და პრისტავიც წამოადგა თავზე! არ გაძალიანებია, ერთ დროს რუსეთის არმიის იუნკერი, მისთვის უჩვეულო თმენით დაყვა, დანებდა. არც გააზნაურებულებს შეუტყობინებიათ რამე, არც სხვებს. ეს ბუხრისპირას იჯდა, ფიქრით მორბენალი და საიდანლაც გამოტყვრა ნოქალაქეველი მართლამსრულელებელი. იცნობდა შორიდან, მისი სიჯიუტის, გაუტანლობის, უნდობლობის ამბებიც ჩანვდენოდა ვილაცხებისაგან. იდგა ის, იჯდა ეს, თავმდგმური იარაღით, ეს – უიარალოდ, მსხდომი ათასი, ფეხზედგომელა ერთი ფიქრით შეპყრობილი. შეუმჩნევლად შემოხეტებულმა დადიანის ნახვა და დაპატიმრება ერთი ქნა, გაკოჭილი სენაკის მაზრის უფროსს კაპიტან მიტკევიჩს მიჰგვარა. მიტკევიჩი, როგორც უმეტესი რუსი სამხედრო, შემსრულებელი კაცი იყო და ძველ დადიანთა შთამომავალს სენაკის ციხეში ამაყოფინა თავი, ქუთაისის საოლქო სასამართლოში კი აფრინა დეკუმა – დავიჭირეთ, ციხეში გვყავს, რასაც გვიბრძანებთ, შევასრულებთო.

სხვისთვის თავმდებების მპოვნელი, სხვის დაჭერაზე მოდარდე ბესარიონ დადიანი ახლა თვითონ დაიჭირეს, ამას ეცოდებოდა ისინი, საშუალებებს ეძებდა მათ გასათავისუფლებლად, მას ვინღა წაემეველებოდა, ზოგი გადაკარგულიყო, ბევრი ციხეში აღამ-ათენებდა. მაინც არ შემდრკალა, ფარ-ხმალი არ დაუყრია – ერთი კვირის მერე ქუთაისის საოლქო სასამართლოში აფრინა თხოვნა – 5 ნოემბრის სასამართლოს სხდომაზე იმიტომ ვერ გა-

მოცხადდი, თბილისში ვიყავი, კერძო კლინიკაში ვმკურნალობდი, ის კი არა, პირველი ნოემბრიდან 16-მდე იქ ვინეკ დაუძღვრებულნი, დაძაბუნებული, ვითომ გამოვკეთდი, იმქვეყნად მიმავალმა საამქვეყნოდ მოვიხედე, ცნობა მკურნალობისა თან მაქვს, ვფიქრობდი, გამოვმჯობინდები, ვეახლები მართლმსაჯულებას-მეთქი, მაგრამ მე ვფიქრობდი ასე, სხვები – სხვაგვარად. ოთხმოცი წლის ბერიკაცი ახლა სენაკის ციხეში ვარ დაყუდებული, უპატრონოდ, უყურადღებოდ მიგდებული. ავადმყოფს ძალა არ მომდევს, გეახლოთ და, თუ დამნაშავე ვარ, ვალიარო თქვენი მსჯავრი. გეხვეწებით, სასამართლოზე გამოუცხადებლობას დანაშაულად ნუ ჩამითვლით, საპატიო მიზეზი მქონდა. სად გავიცქვევი სამარის პირას მისული ბერიკაცი, გეაჯვებით, ნუ მომკლავთ აქ, ვინმეს თავდებით გამათავისუფლეთ, რომ მითხრათ, თუნდაც მიბრძანოთ, ვერსად წავალ, არც წავევალ განაჩენს თქვენსას...

უფრო სიბერეს, სიძაბუნეს უჩიოდა, დანაშაულის გამო სინანულს არ იმჩნევდა, წლებმა მომტეხაო – იმეორებდა.

ყურად იღეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს მესვეურებმა ოთხმოცი წლის თავადის თხოვნა, იმსჯელებს, იფიქრეს მის დროებით თავისუფლებაზე და გადაწყვიტეს – ჩადენილი დანაშაულისათვის ციხეში უნდა იჯდეს, მისი ბრალეულობა ამას მოითხოვს, მაგრამ 1000 მანეთად გავუშვათ თავდებში, იმ პირობით, გამოძახებისთანავე გამოცხადდება, მართლმსაჯულებას არ დაემალებაო.

გაჭრა ბესარიონის აჯამ, გაჭრა, მაგრამ ახალი თავსატეხი გაუჩნდა – სად ჰქონდა ათასი მანეთი?!

მეორე დღესვე ქუთაისის საოლქო სასამართლომ მიიღო ბესარიონ ალექსის ძე დადიანის მეუღლის – ნიშფადორა კონსტანტინეს ასულ ჩხეიძე-დადიანისას თხოვნა, სადაც იგი უმორჩილესად თხოვდა მართლმსაჯულების აღმსრულებლებს, გაეთვალისწინებინათ – მის ქმარს განზრახ არაფერი დაუშავებია, სასამართლოზე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა, ცნობაც აქვს, უბედურს, ამის დამამტკიცებელი. საცოდაობაა, სიცოცხლის მიწურულს მცხოვრანი თავადი ციხეში იჯდეს, შეიცოდეთ საბრალო, ან ვინმეს თავდებობით გამოუშვით, ან კიდევ 1000 მანეთის საფასურად ჩვენი მამულის შესაბამისი ნაწილი ჩაითვალეთ. მნამს, გავგიგებთ, ჩვენს უბედურ ყოფასა და გაჭირვებას ყურად იღებთო. კიდევ თხოვდა, ნამუსზეც აგდებდა სასამართლოს თავკაცებს ჩხეიძის ქალი.

1908 წლის 17 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლომ ქალბატონ ნიშფადორას თხოვნაც განიხილა და დაადგინა: იმის გათვალისწინების მიუხედავად, რომ ბესარიონ დადიანის მეუღლე ქმრის დანაშაულებრივ საქმეებში არ ყოფილა გარეული, დაპატიმრებული თავადის თავდებობის საკითხი დარჩეს ისე, როგორც წინათ იყო გადაწყვეტილი და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს მთხოვნელს.

ხორავასა და გეგეჭკორს თავადი ს. წულუკიძე, სიმონ შელიას – ს. დგებუაძე, სიმონ ბარკალაიას – სალომე ბარკალაია, სურგულაძეს – ევარიანი და ა.შ. გაუთავდებდა, ბესარიონ დადიანს – არავინ.

აშორდიასთვის 5 ათასმანეთიანი თავმდეები მოიძებნა, ახლა ბესარიონს ათასი მანეთის შოვნა აღარ შეეძლო, ან

პირიქით, შეეძლო, მაგრამ სურდა იოლად დაეძვრინა თავი, საფიქრებელია, არ შეეძლო, მისი მოძმენი, ძმანი აშორდიასნი, ან სადღაც გადაკარგულიყვნენ, ან კიდევ წინა დანაშაულისათვის ახალიც მიემატებინათ და ციხეში ისხდნენ.

სოლომონ აშორდია ამ დროს ვლადივოსტოკის ციხეში კლავდა დროს, სათაღითოდ განკუთვნილ ნიჭსა და ღონეს განცხადებების, თხოვნების წერაში ფლანგავდა, მისი ძმა – მიხეილიც იქ იყო, მახლობელი ქალაქის სხვა კამერაში, თვედორე გეგენავა, ანდრონიკე სალაყაია, დიონისე ჯინორიძე, ვასილ ხორავა, გრიგოლ ბოკუჩავა, ალექსი ადამია და სხვები დაჭერილ-დაპატიმრებულნი, გარეთ დარჩენილი მცირე ნაწილი მიმალული და მიყუჟული დამჭერის მოლოდინში.

ბესარიონ დადიანი ამათთან ძმაკაცობდა, ძმაკაცობდა რაა, საქმიანობდა, ესენი იყვნენ მისიანები, სხვა ვინ წაეშველებოდა, უცხო რატომ და რისთვის გახდებოდა მისი თავმდეები?!

არადა, სასამართლოზე ბესარიონ დადიანს ბოლმა მოწმებმა დაადეს ხელი – ამისგან მივიღეთ თავდაზნაურობის საბუთები, ფული გადავიხადეთ, თუ ყალბი იყო, რა ვიცოდითო.

ბეჟან ნადარეიშვილის ჩვენებიდან:

„ჩემი შვილი ხელში მძიმედ დაიჭრა და ცნობილ ექიმ ყარამან სურგულაძესთან მკურნალობდა. იქ გაიცნო მისი სიძე ლავრენტი ხუნდაძე, რომელმაც შეთავაზა აზნაურის საბუთების მოძიება. ამისათვის მან გადაიხადა 200 მანეთი, არ ვიცით, ბატონმა ლავრენტიმ სად მოძებნა ეს საბუთები.“

ბეჟან ნადარეიშვილის ვაჟის – ალექსანდრეს ჩვენებიდან:

„ბათუმში მძიმედ დავიჭერი ხელში. ვმკურნალობდი ექიმ ყარამან სურგულაძესთან, აქ გავიცანი ლავრენტი ხუნდაძე, რომელმაც შემომთავაზა აზნაურობისათვის საჭირო საბუთების მოძიება თავდაზნაურთა საკრებულოში. ჩემი ბიძაშვილი გლეხი იყო და ასეთნაირად გააზნაურდა. მეც მიწოდდა აზნაურობა. ლავრენტის ამისათვის 200 მანეთი გადავუხადე, მერე მამაჩემი აძლევდა კიდევ თანხას, როცა მოთხოვდა.“

ანა რუხაძის – ლავრენტი ხუნდაძის ნათესავის ჩვენებიდან:

„ერთხელ ქალაქის ბაღში ვიჯექი ყარამან სურგულაძის მეუღლესა და ალექსანდრე ნადარეიშვილთან ერთად. ეს უკანასკნელი წავიდა და მალევე ნიკო გვათუასთან ერთად დაბრუნდა. მოსვლისას გვითხრა, რომ იგი შეპირდა აზნაურობისათვის საჭირო საბუთების მოძიებას, მართლაც მოუძებნა, მაგრამ რალაცატომ უვარგისი აღმოჩნდა. მერე ნადარეიშვილი ფულის დაბრუნებასაც ითხოვდა ყარამან სურგულაძისა და ლავრენტი ხუნდაძისაგან.“

სასამართლოზე გ. ბარკალაიამ პირდაპირ განაცხადა, ნადარეიშვილისათვის საჭირო საბუთი ბესარიონ დადიანმა გაამზადა, მოსამართლემ კი უვარგისად ცნო. ყარამან ხორავამაც დაალო პირი და თქვა, საბუთში ბესა, იგივე ბესარიონ დადიანს 50 მანეთი გადავუხადეო. მურზაყან ბარკალაიას კი ბეთლემში მცხოვრები თავადისაგან 30 მანეთად დაუთრევია აზნაურობის საბუთი. ალექსი ბარკალაიამ ისიც ნათელი გახადა, დავით დადიანის წყალობის

სიგელებსა და ბრძანებებს ბესარიონ დადიანი რომელ არქივში პოულობდა, არ ვიცი, ის კი ნაღდა, ერთი კაცის საბუთში 30 მანეთი გადავიხადეო.

ერთი სიტყვით, ძირითად საბუთს ბესარიონ დადიანი იძლეოდა, მერე მას ასხვაფერებდნენ სხვები, გამცემსაც და მიმღებმაც მშვენივრად იცოდნენ, რასაც იქმოდნენ. პირველი დამნაშავე ანუ რალაც წყალობის დოკუმენტის მომძებნი ბეთლემელი თავადი ბესარიონი ფულსაც არ ითხოვდა ბევრს, 30-50 მანეთს ჯერდებოდა, მერე ეს სიგელი სხვების ხელში ხვდებოდა, მერე კიდევ სხვების და რამდენადაც მეტი ადამიანის ხელში გაივლიდა, მით მეტად ძვირდებოდა.

ხომ დავინახეთ, ალექსანდრე ნადარეიშვილი ყარამან სურგულაძესთან მკურნალობდა, იქ გაიცნო მისი სიძე ლავრენტი ხუნდაძე, რომელიც ნიკო გვათუას დაუკავშირდა, ეს კიდევ სხვას (ალბათ ერთ-ერთ ამორდიელს), ის სხვა ბესარიონ დადიანს, ამის შემდეგ გუბერნიის კანცელარიის მოხელეებიც ჩაერთვნენ საქმეში და გამოცხვა გამოსაცხობი. ახდა ოცნება ალექსანდრესი, ბიძაშვილი გააზნაურდა, ეს როგორ ჩამორჩებოდა, გულს უღრღნიდა მისი ნოდებრივი აღმასვლა, თვითონაც ენია სანადელს, ერთხელ 200, მერე ნანილ-ნანილ სხვა ფულიც გადაიხადა, გახდა აზნაური ლავრენტი – ნიკო – ბესო და სხვათა წყალობით.

ზღაპრულ სკივრში ძველი წყალობის სიგელების მპოგნელი ბესო დადიანი, ისე, როგორც ყველა მსჯავრდებული, დანაშაულს უარყოფდა – ჩემი ბრალი არაფერია, საერთოდ, ვერ გამიგია, რა შუაში ვარო, – აცხადებდა. მაგრამ ექსპერტებმა – პეტრიაშვილმა და ლორთქიფანიძემ – თავადაზნაურთა საკრებულოში წარდგენილ საბუთებში მისი ხელწერაც ამოიკნეს, სალაყაიასიც, ბარკალაიასიც, – სამივენი მაინც თავისას გაიძახოდნენ – უდანაშაულონი ვართო. გრიგოლ ბოკუჩავამ ისიც კი თქვა, რომ არქივიდან გამოტანილი საბუთები კვირებით და თვეებით ენყო გუბერნიის სამმართველოში, ვისაც სურდა, ნახულობდა, რაც უნდოდა, იმას წერდა და ასწორებდა, იქვე განმარტა – მიხილ გრიგორაშვილს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამ ნიგებში ჩაკერებული და ჩასმული ახალი ფურცლების შემწვევაო. ერთი სიტყვით, დაინდო, ფიქრობდა, გუბერნიის სამმართველოში მომუშავე კაცი ამით გადარჩებოდა, მაგრამ სასამართლომ გაარკვია, რომ მიხილიც იყო გარეული ამ საქმეში. უფრო მეტიც, ზოგიერთ გადანყვეტილებაში პირდაპირაა აღნიშნული, რომ ეს იყო ბესარიონ დადიანის კანტორა, სადაც ყველას თავისი ფურქცია ჰქონდა. ოლონდ დაბადების მოწმობებს, სოლომონ ამორდიას გარდა, სხვები ვერ „წერდნენ“. ეს იყო ერთი გამორჩეული, რომელსაც ყველანაირი დოკუმენტის შედგენა და ნამდვილს მიმსგავსება შეეძლო – დანარჩენები, დაბადების მოწმობების გარდა, სხვა საბუთებს ახლაფორთებდნენ, მაგრამ მათი შექმნილ-დანერვილი ნახელავს ჰგავდა, ამორდიასი – ნახელოვნებს.

სასამართლომ მიხილ გრიგორაშვილი დამნაშავედ ცნო, ჩამოართვა ყველა უფლება და ქონება (სახლი არქივლის გორაზე) და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ლავრენტი ხუნდაძესაც ჩამოართვა უფლებები, ქონება და ციხეში 8 თვით გაუშვა.

მოკლედ, ბესარიონ დადიანის ბრალი აშკარა იყო. თავმდებს ეძებდა, ვერ იპოვნა, ციხეში მოდებულმა ტიფმა

უშველა, შეამონმეს მდგომარეობა, მართალი გამოდგა და გაუშვეს დროებით, ხელწერილით. თუმცა ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია 1908 წლის 5 მაისს გარდაიცვალა. ასე დამთავრდა ერთი ამორდიელის ბესარიონიანადა.

ადამია ვიატკის ციხიდან აითესა, სოლომონი და მისი ძმა ვლადივოსტოკში გაკოჭეს – ამათი საქმე სასამართლომ ცალკე გამოჰყო, აქ დარჩენილებისა – ცალკე თუმცა ამაზე ქვემოთ.

ნამდვილი ძმა

ხალხის გათავადაზნაურებაში სოლომონ ამორდიას მისი უმცროსი ძმა – მიხილიც ეხმარებოდა. ქუთაისის ცენტრალური საპოლიციო ნაწილის მწერალი ძმის შედგენილ სიგელებსაც გადაწერდა ხოლმე, გადაწერდა ისევე სოლომონის რჩევითა და თხოვნით, უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, იმას აკეთებდა, რასაც უფროსი დედამამიშვილი ეტყოდა და უბრძანებდა. ამიტომ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი ისიც იყო. ექსპერტმა წყალობის სამი სიგელი აღმოაჩინა მიხილისაგან გადაწერილი – ერთი ადამიას, მეორე არჩაიათა, მესამე კიდევ გელოვანების გაკეთილშობილებისათვის იყო გაკეთებული. პირველი ორი ბულვარში, სალდაძის აღმოჩენილ ფუთაში იპოვეს, მესამე თავადაზნაურთა საკრებულოში მიეტანა სოლომონის ძმასა და დამხმარეს.

მიხილ ამორდიას ბრალდებას სხვადასხვა დოკუმენტზე სოლომონის მინაწერი ტექსტებიც ადასტურებდა – მიხა, ეს გადაწერეო.

ამორდიელთა საბოლოო განაჩენში ეს ამბებიც დეტალურადაა აღწერული.

და კიდევ დეპეშები:

ზუგდიდში, გვაჯის სახლსა და მისი შვილის ქუთაისურ ადგილსამყოფელში აღმოჩნდა სოლომონ ამორდიასაგან სხვადასხვა ქალაქებიდან მისი ძმის სახელზე გამოგზავნილი დეპეშები, ეს ასე, ის ისეო, ამ დროს ვიქნები აქ, ნაწილად პეტერბურგიდან და ა. შ. ატყობინებდა სოლომონი მიხილს. გამოძიებამ ესეც ერთ სამხილად ჩათვალა – ძმამ ძმის ასავალდასავალი დეტალურად უწყოდა, რადგანაც მისი თანამზრახველი და თანამონაწილე იყო თავადაზნაურთა საბუთების გაყალბების საქმეში.

იკრიბებოდნენ ქუთაისში, სოლომონ ამორდიას ბინაზე გათავადაზნაურების მსურველნი, უმეტესად მეგრელები, გვარდებოდა, ერთი შეხედვით, ძნელად მოსაგვარებელი საქმეები, მიხილიც იქ იყო, იქ ტრიალებდა, გვერდით ედგა ძმას.

ჯარში უნდა წაეყვანათ, სოლომონმა ლაზარეთში დანაწინა სალსალამათი კაცი, გლეხს აზნაურად აქცევდა და ჯანმრთელი ავადმყოფად მიეჩნია, ვინ დაუშლიდა. მამას – გვაჯის უდეპეშა – მშვენივრადაა, მაგრამ ჯარში რომ არ წაიყვანონ, საავადმყოფოში დავანვინე, სულ თუ არ გაათავისუფლებენ, ერთი წლით მაინც გადაუწვევენ განვევას, ესეც შედევითა, მერე კიდევ რალაცას მოვიფიქრებ, ვუსაშველებ, არ იჯავროთო.

მოიფიქრებდა, აბა, რას იზამდა.

ჯარს თავი აარიდა, ძმის საქმეებში აქტიურად ჩაერთო და ჩაგულისყურდა, ისიც ჩათვალეს დამნაშავედ. ამიტომ 1906 წლის აგვისტოდან უკვე მიხილ ამორდიას

ექებდნენ. იყო ბევრი მინერ-მონერა, ქუთაისის ერთი ნაწილის პრისტავი მეორეს აცნობებდა, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს ეუბნებოდა წერილობით – აქ არ არის, დავით ძონენიძესთან ცხოვრობდაო. ერთი სიტყვით, არსად იყო, ან უფრო სწორად, პირველი მეორეს ეუბნებოდა შენს საპოლიციო ტერიტორიაზე უნდა იყოსო, მეორე კიდევ უარს ამბობდა, მესამე ზუგდიდისკენ იშვერდა ხელს, ზუგდიდელი პრისტავი ამორდიათა მშობლებთან გარბოდა და, რასაც ისინი ეტყოდნენ, იმას დაწერდა ქალაქზე და გამოაფრენდა ქუთაისში, აქ ხელახლა დატრი-ალდებოდა კარუსელი, ერთი მეორეს აცნობებდა, მის სიძეს, დგებუაძეს ეცოდინება, რომელიც ბალის ქუჩაზე, ბოლქვაძის სახლში ცხოვრობსო.

დგებუაძეც ნახეს, ბოლქვაძეც, მიხეილ ამორდიას კვალს ვერ მიაგნეს.

იყო თუ არა ამ დროს ქუთაისში?!

ან იყო, ან – არა. უფრო არა. სარწმუნოა – მცირე ხნით ჩამოვიდა და ისევ აითესა, ვილაც-ვილაცებმა ისიც თქვეს, თბილისის ქალაქის მმართველობაში მწერლად მუშაობსო, მიაკითხეს, ვერ იპოვნეს.

ამ ცნობების, მინერ-მონერების წაკითხვისას იფიქრებ, აქ რომ იყო, იქ ექებდნენ, იქ რომ ცხოვრობდა, აქ ანიოკებდნენ და აკითხავდნენ მავანსა და მავანს – შენთან არის, გამოაჩინეო, არ იყო იქ და რას იზამდა სახლის პატრონი, ვთქვათ, ბოლქვაძე, სიძეს ანახვებდა ამორდიათა, ა, ბატონო, აგერაა, თვით მიხეილი არ ვიცით, არ გვიანახავს, არ შევხვედრივართ, როგორ გამოვაჩინოთ, როცა კარგა ხანია თვალთ არ შეგვიხედავს, ყურით არ გვსმენია, არ გაგვიგონია, ვინმეს დაენახოს. ამ ქალაქში ვინ ან რა დაიმალება, ყველამ ყველაფერი იცის, ვინ სად წევს და ხვრინავს, იმასაც გეტყვიან, მიხეილ ამორდია არ უნახავთ მათ, არც ჩვენ, არც სხვებს, როგორ გამოვაჩინოთ, თუ არ არის, გამოჩენით შეიძლება დამალული, კუთხეში მიყუჟული კაცი ან ნივთი გამოაჩინო, არ დაგვიმალავს, არ მიგვიჩქმალავს, საიდან, როგორ მოგიყვანოთ, უჩინნაჩინობას ნუ მოგვთხოვთ, ვერ შევძლებთ, იმედს გაგიცუდებთო – პასუხობდნენ მოსაძებნად მისულ პრისტავებს და ჩაფრებს. მისულები ჯიუტობდნენ, დამხვდურები მშვიდად, წყნარად ესაუბრებოდნენ – არ არის, ბატონო, აქ, სავარაუდოა, იყოს იქ, ან კიდევ იმას ეცოდინება, სადაა, ის გეტყვით, დაგაკვალინებთ, გზაზე დაგაყენებთ.

მიდიოდნენ პრისტავნი და ჩაფრები იმასთან, უფრო იმათთან, გზაზე დასაყენებლად, ვერაფერს არკვევდნენ, უკვირდათ, ხარჯავდნენ ძალ-ლონეს ფუჭად, უშედეგოდ, გზას ვერ ადგებოდნენ გაკვალულსა და საიმედოს.

მიხეილ ამორდია ქუთაისიდან ზუგდიდში ჩადიოდა, იქიდან აქეთ მოუწევდა გული, აქედან თბილისისკენ იზამდა პირს, აქ რომ ექებდნენ, იქ იყო, იქ რომ მივობდნენ, აქ ათენ-ალამებდა. პოლიციელები წერილს წერილზე წერდნენ – ზუგდიდის მაზრის უფროსმა ისიც აცნობა აქაურებს ანუ ქუთაისელ პოლიციელებს – გამოკითხვით გავარკვიეთ, იყო ქუთაისში, ჩამოვიდა ზუგდიდში, წავიდა თბილისში, სად, რომელ უბანში ცხოვრობს, ვერ დავადგინეთ. ვფიქრობთ, იციან, არ გვეუბნებიან, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ არ იცოდნენ ზუსტი საცხოვრისი მიხეილისა, თბილისი დიდია, ვერ იპოვნი, შენს ნება-სურვილზე ვერ დაადგები თავზე, შენ ექებ, ის გარბის, კარგად

უნყის, რომ ექებ, ნადირვით ფრთხილია კაცი ასეთ დროს. ამიტომ ჭირს მიგნებაო.

ექებდნენ, ვერ პოულობდნენ. ექებდნენ აქ, იყო იქ. აქოთებდნენ აქაურობას, არ ჩანდა, რადგან იქ იყო ამ დროს, ჩხრეკდნენ საგულდაგულოდ იქაურობას და ვერ აგნებდნენ, რამეთუ ნებივრობდა ამ დროს აქ. ქუთაისელი პრისტავი რომ დაილღებოდა ძებნით, ცხენს არაქათს რომ ნაართმევდა წაწნალითა და ჭენებით, ხალხს თავს რომ მოაბეზრებდა ხშირი მიკითხვითა და გამოკითხვით, ხელს რომ ჩაიქნევდა სანახევროდ დარწმუნებული მის არყოფნაში და პატაკს დაწერდა – ჩემს სამოქმედო ტერიტორიაზე არ არისო, ამ დროს ჩამოდიოდა ქალაქში, ცხოვრობდა ჩვეულებრივად, არავინ აკითხავდა, ჩაფარ-პრისტავი დალღილი იყო, მისავათებული. ამ დროს ზუგდიდში ექებდნენ გამალებით, მიდიოდნენ მშობლებთან, ახლობლებთან, სხვათაშორის ჩამოუგდებდნენ სიტყვას სხვებს მიხეილ ამორდიაზე, მხრებს იჩეჩავდნენ ისინი, ჰყავდათ მოენეები, მომსმენები, ყურებდაცქვეტილი ხალხი, აგენტები – სარწმუნო და სანდო, მაგრამ ამ საქმისთვის გამოუსადეგარნი, რადგან ისინი, იქაურნიც და აქაურნიც და კიდევ იქაურნიც ანუ ქუთაისელ-ზუგდიდელ-თბილისელები მაშინ ექებდნენ, როცა აქ არ იყო, იქ იყო, ან კიდევ იქაც არ იყო და იყო იქ.

მიხეილ ამორდიას თავდებად თავადი ბესარიონ ლორთქიფანიძე დაუდგა 1000 მანეთად, ვერ შეასრულა პირობა, ვერ მოახერხა სასამართლოზე, 1907 წლის 1 ნოემბერს რომ იყო დანიშნული, მიყვანა სოლომონის ნამდვილი ძმისა და ამიტომ ის ფული გადაახდევინეს. გადაიხადა თავადმა, რა უნდა ექნა, ჰქონდა, არ ჰქონდა რაიმე სხვა გარიგება მიხეილთან, არ ვიცით, თანხის გადახდა აღნიშნული მხოლოდ სასამართლო საქმეში. გავიდა ერთი თვე და გვაჯის მეორე ყმანვილი ვლადივოსტოკში გაკოჭეს. ამ ამბის შეტყობისთანავე ლორთქიფანიძემ მართლმსაჯულების მესვეურებს მიმართა, გავიგე, დაუჭერიათ, მისი თავდებობიდანაც გამათავისუფლეთ და ფულიც და მიზრუნეთო, მაგრამ თავადის თხოვნა ქუთაისის საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა – გვევლებოდა მისი სასამართლოს სხდომაზე მოყვანა, ვერ მოახერხე, ამიტომ დაჯარიმდი კანონიერად, წესის დაცვით, აწი კი გათავისუფლებული ხარ მისი თავდებობისაგანო. ლორთქიფანიძემ თბილისის სასამართლო პალატაში იჩივლა, სადაც მისი სურვილი ყურად იღეს, ფულიც დაუბრუნეს, მიხეილ ამორდიას აპეკუნობაც გაუქმეს.

ექებდნენ ქუთაისში, ზუგდიდში, თბილისში, დაიჭირეს ვლადივოსტოკში. და მანაც, იყო თუ არა ამ დროს ქუთაისში, ან იყო, ან არა, უფრო – არა. ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია, მითუმეტეს, ძმები ამორდიების ავანტიურისტულ ბუნებასა და ხასიათს როცა იცნობ.

მიხეილ ამორდია 1910 წლის ივლისში თავდაზნაურობისათვის საჭირო საბუთების გაყალბების გამოც გაასამართლეს და მ თვით გაუშვეს ციხეში. ჩამოართვეს ყველა პრივილეგია და წოდება და აკმარეს მცირე სასჯელი.

ასეთი იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მსჯავრი.

ვლადივოსტოკში სხვა სასჯელი ელოდა.

და იყო სასჯელმისჯილი მიხეილ ამორდია ახალი სასჯელის მოლოდინში.

მაია ვარამაშვილი

ხალიჩების გზითაჲ

სიღნაღიდან... პარიზში

ჯერ დანაა. გამოთლი და კეთილშობილ იარაღად იქცევა – უკვე ხალიჩის საქსოვია. ეს საქმეოდ ძველი კულტურა დღეს მოკრძალებით გვახსენებს თავს...

ვიგონებ „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერებს“. გოგონები წუთით შეირბენენ მუზეუმში, რათა მოქარგულ ორნამენტებს შეხედონ – მხოლოდ წუთით. რადგან ისინი ოჯახებს გამოექცნენ და ამისთვის გვარიანი გაბრძოლებაც მოუწიათ. ახლა მოუცლელი არსებანი არიან და ასეთ ორნამენტებთან წუთზე მეტხანს ვერ გააჩერებ. გოგონები ოჯახშიც აღარ რჩებიან დიდხანს, რადგან ოჯახისაკენ მიმავალი გზა ღვთისკენ მიდისო – დასძენს რაინერ მარია რილკე.

ეს ამბავი გამონაგონს არა ჰგავს. ავტორმა კი არ შეთხზა, თვითონვე თუ ნახა და ალბათ გულისტკივილმა დაანერინა... და მაინც, ყოველთვის ჩნდებიან ის ადამიანები, ვისაც სიძველე გადასადგებად ენანება, ძველი კულტურის გადარჩენა აფიქრებს.

ახლა სხვა დროა. მივყვები სიღნაღის ქუჩებს, ისტორიულ ქალაქს უცნაური ფერებით მოხაზულს. აქ რამდენიმე ოთახი მეგულება, სადაც დროსთან გაიყარნენ და ხალიჩებს ქსოვენ. საგულდაგულოდ გამოჰყავთ ძველისძველი სახეობანი. მინდოდა რაღაც ახალი შემეტანა, მაგრამ გავჩერდი – განა შეიძლება ისტორიას რაიმე შეუცვალო? ის მთელი სიზუსტით უნდა გადაეცეს საუკუნეებს.

თითოეული ფერი, ძაფი განსაზღვრულია – ხალიჩას სხვაგვარად ვერ მოქსოვ, თუ შენი ბუნება ისტორიას არ შეერწყა. მაშინაც ასე იყო – ისხდნენ და ქსოვდნენ საკუთარ დარდებს, ფიქრებს, სიხარულს. დღესაც ამ დროს განრიდებულ ოთახში ისევ ისე აგრძელებენ ისტორიას...



მინდა მცირედი მაინც მოგიტხროთ სიღნაღურ ხალიჩებზე. შინამქსოველები ყველგან იყვნენ, მაგრამ ხალიჩების სანარმო საქართველოში პირველად სიღნაღში გაიხსნა 1929 წლის 1 იანვარს. 1934 წელს მას ხალიჩების არტელი „მისწრაფება“ დაერქვა. 1941 წელს წარმოება შეჩერდა და მხოლოდ ფრონტისთვის მუშაობდნენ. ომის შემდეგ მუშაობა განახლდა.

სიღნაღური ხალიჩები მხოლოდ საბჭოთა კავშირს არ აოცებდა. 1937 წელს პარიზში ნუკრიანში მოქსოვილმა ხალიჩამ პირველი ადგილი მოიპოვა. 1948-50 წლებში კი მოსკოვში ორჯერ გაიმარჯვა გამოფენებზე.

ხალიჩების წარმოება ხელახლა აღდგა (ხელმძღვანელი გელა ჯავახიშვილი). ჩემი მასპინძელი ადგილობრივი ექსპერტი ნინო დარჩაშვილია. ყოველ შესწავლის მსურველს გულითადად ხვდება. დიდი მოთმინებით, დიდი რუდუნებით უხსნის თითოეულ დეტალს. შესწავლა არც ისე ადვილია. დიდი ნებისყოფაა საჭირო. ამიტომაც ასე იშვიათად აკითხავენ ამ უძველეს კულტურას. ჩვენს საუბარში კი სინანული ყველაფერს სჭარბობს: ადრე ხუთასი მუშა ვიყავით, მოითხოვდნენ ხალიჩებსაც, დეპეშა დეპეშაზე მოდიოდაო – დასძინა.

ლალი ჩახნაშვილი, დარეჯან მირიანაშვილი, მერი ლუაშვილი, ზაირა ოზგელდოვა – ეს ქალბატონები ჩემი მასპინძლები არიან ხალიჩის სამყაროში. აქ სულ სხვა დროა, სხვაგვარი დიალოგები, შეძახილი, თავის გამხნეება, შეფასება. ბანარს უცნაური ჩვევა აქვს: ალერგიულია შესუნთქვისას, მაგრამ აქედან წასვლა ყველას ენანება. ქსოვაში ყოველი დეტალი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს: შრომას, ესთეტიკას, და კიდევ ხალიჩის სიყვარულს.

მაღლიერების გრძნობა არ მტოვებს: ოდესღაც მოკრძალებული პოეტესა ნინო თარიშვილი გულდანყვებით ამოთქვამდა: „ვიცი, რომ მზითვად არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანსო“. აქ კი სიამაყით აღნიშნავენ, როგორ გააზრთივებს ქალიშვილები ხალიჩებით. და მიხარია, რომ დღეს კიდევ იქსოვება ხალიჩა, ფარდაგი, გობელენი, ხურჯინი. ისინი ახალი თაობის სიყვარულსაც იმსახურებენ. ვსწავლობთ ხელახლა, რათა ისტორიას „შიგნიდან მოვექცეთ“, რომ ჩვენი ბებიების, მათი ბებიების დარდი ჩვენში განსხეულდეს იმავ ხალიჩებად, იმავ ორნამენტებად და იმავ მშვენიერებად.

ჯონ სტაინბეკი

მკვლელობა

ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ მოხდა მონტერეის ოლქში, ცენტრალურ კალიფორნიაში. დელ კასტილიოს კანიონი – ერთია იმ ალაგთაგან, სანტალუჩიას ურიცხვ ქედებსა და განტოტებებს შორის რომ განოლილა. ყოველი მხრიდან მასთან თავს იყრიან დამშრალ მდინარეთა მრავალრიცხოვანი კალაპოტები, შეჭრილი კლდეებში და გავსებულნი მუხის, თუთუბოსა და საღბის ამონაყარით. ხეობის განაპირას დგას ვეებერთელა ციხედარბაზი ქვისა, ჯვაროსნების ციხე-სიმაგრეთა დარად რომ აღმართულა. ახლო მანძილიდან თუ შეატყობ, როგორ დაუჩანანაკებია იგი დრო-ჟამს, წყალსა და შრეების გადაადგილებას რბილი, ფენოვანი ქვიშაქვის ქვეშ. შორიდან კი გეგონება, რომ დანგრეულ ნაგებობებში, კარიბჭის, კოშკებისა და ისრულ სარკმლებს მიღმა ჯერ კიდევ ბუჭავს სიცოცხლე.

ქვემოთ, ციხე-დარბაზის ჩრდილში, მთლად ხეობის სიღრმეში მდებარეობს რანჩო – ავდრისაგან გაქუცული, ხავსმოკიდებული ბელელითა და დაღრეცილი ბოსელით პირუტყვისათვის. სახლი ცარიელია; როდესაც დამით ციხე-სიმაგრედან ქვევით დაჰბერავს ქარი, კარნი ჭრიალითა და ჯახუნით ქანაობენ დაჟანგებულ ანჯამებზე. მიტოვებულ საცხოვრებელს ნაკლებად ეტანებიან. ხანდახან ბიჭების ბრბო თუ აბაკუნდება ოთახებში, იჭყიტებიან ცარიელ საკუჭნაოებში და ხმამაღლა დასცინიან მოჩვენებებს, რომელთა არსებობა არცა სჯერათ.

ჯიმ მურს, ამ მიწის მფლობელს, არ უყვარს, ძველ სახლში რომ შეიჭრებიან ხოლმე. ცხენს მოახტება, ახალი რანჩოდან ხეობაში დაეშვება და ბიჭებს მიერეკება. ცნობისმოყვარეთა თუ შერეკილთა მოსაშორებლად ყოველ ღობეზე მიმაგრებულია ფირფიტები ასეთი წარწერით: „სდექ! კერძო საფლობელოა“. ჯიმი ზოგჯერ შეფიქრიანდება, ეს ძველი ფერმა ხომ არ გადავწვავო, მაგრამ გაუგებარი და იდუმალი ძალით შესჩვევია ამ მოქანავ კართ, უსინათლო, გამომსხვრეულ ფანჯრებს და ყოველთვის იძულებული ხდება, გაურკვეველი ვადით გადასდოს განზრახული. სახლი რომ გადაწვას, ამით ხომ მისი ცხოვრების დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდება. ფერმერმა იცის, როდესაც ქალაქს მიეშურება თავის ფაშფაშა და ჯერ ისევ სიმპათიურ ცოლთან ერთად, შემხვედრნი მობრუნდებიან და ოდნავ უნდობლად, მაგრამ მოკრძალებით აყოლებენ თვალს.

ჯიმ მური დაიბადა და გაიზარდა ძველ სახლში. იქ ზეპირად იცის ყოველი გამოფშენილი ფიცარი ბელელში, ლოკვით მოსარკული ყოველი გობი ბაგაში. ოცდაათი წლისა იყო, როდესაც თითქმის ერთდროულად მოუკვდა მამაც და დედაც. ჯიმი მამულის დაპატრონების ნიშნად წვერი მოუშვა. მერე ღორები გაყიდა, აღარასო-

დეს აღარ შევინახავო. ბოლოს ჯიმიანი ხარი იყიდა ნახირის გასაგვარებლად. მერე შაბათსალამოობით მონტერეიში სიარულს დაეწვია – დასალევადა და „სამ ვარსკვლავში“ მობინადრე ქოთქოთა გოგოებთან დროის გასატარებლად.

ერთი წლის შემდეგ ჯიმ მურმა ცოლად შეერთო იუგოსლავიელი ელკა სეპირი, შვილი შეძლებული ფერმერისა ფიჭვთა კანიონიდან. ჯიმს მისი



უცხოური გვარი ანდა ძმების, დებისა და სხვა ნათესავთა სიმრავლე როდი ეამაყებოდა, ელკა სილამაზის გამო უყვარდა. ქალს ჰქონდა დიდრონი, გაცეცხული თვალები, ფურირემისას რომ მიუგავდა. თხელი ცხვირი ბოლოში ნანვეტებოდა. ფაფუკი და ფუნჩულა ტუჩები ამშვენებდა. ელკას ნაზი კანი მუდამ აღელვებდა ჯიმს, ერთი ლამიდან მეორე ღამემდე თითქოს ავინწყებოდა, რა ლამაზი ცოლი ჰყავდა. ისეთი მშვიდი, წყნარი და ლმობიერი იყო, ისეთი საუცხოო დიასახლისი, რომ ჯიმი ხშირად ზიზლით იხსენებდა იმას, რაც ურჩია მამამ ქორწინების დღეს. საქორწილო ლუდით გამომთვრალმა და გაბეყილმა მუჯლუგუნი ჰკრა ჯიმს და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიციინა ისე, რომ მუქი ფერის, ისედაც პანია თვალები მთლად ჩაეკარგა ნაოჭებში.

– დიდი სულელი არ გახდე, – უთხრა შვილს. – ელკა სლავი ქალია. ამერიკელი ქალივით არ არი. თუკი ცუდი გახდა, მიტყეპე. თუკი კარგი გახდა ბევრი ხანი, მაინც მიტყეპე. მე დედაშენს ვცემდი. მამაჩემი დედაჩემს ცემდა. სლავი ქალი! მაგათ არ უყვართ ის კაცი, ვინც ქალიდან ეშმაკს არ გამოაგდებს.

– მე არ გავლახავ ელკას, – მიუგო ჯიმი.

მამამ ჩაიხითხითა და ისევ გაჰკრა მუჯლუგუნი ჯიმს.

– დიდი სულელი არ გახდე! – გაიმეორა მან. – როდისმე შენ მიხვედრილი გახდები. – და კვლავ დაენაფა ლუდით სავსე ტოლჩას.

ჯიმი მალე დარწმუნდა, რომ ელკა მართლაც არა ჰგავდა ამერიკელ გოგოებს. ძალიან წყნარი იყო. პირველი არასოდეს ამოიღებდა ხმას, მხოლოდ შეკითხვებზე სცემდა პასუხს, მოკლედ და თავაზიანად. ელკა შეისწავლიდა თავის ქმარს ისევე, როგორც შეისწავლიდა საღვთო წერილის ტექსტს. გარკვეული დრო რომ გავიდა, საკმარისი იყო, ჯიმს რამე მოენდომებინა და, ვიდრე თქმას მოასწრებდა, ცოლი მანამდე მიართმევდა საჭირო ნივთს. ნამდვილად კარგი ცოლი იყო, მაგრამ პირწმინდად აკლდა ადამიანებთან ურთიერთობისა და მასლაათის გაბმის ნიჭი. თავის დიდრონ თვალებს ჩაცვივებით აყოლებდა ქმარს და მხოლოდ მაშინ, როცა ის გაუღიმებდა, ქალსაც აუთამამდებოდა მორცხვი ღიმილი პირზე. ელკა განუწყვეტილად რაღა-

ცას ქსოვდა, კემსავდა ან კერავდა. აგერ ზის და გეგო-
ნება, რომ გაოცებითა და ამყად შეჭხარის თავის პა-
ნია, თეთრ ხელებს, რომელთაც ასეთი ლამაზი და სა-
ჭირო ნივთების კეთება ემარჯვებათ. ისე ჰგავდა შინა-
ურ ცხოველს, რომ ზოგჯერაც ჯიმი თავსა და კისერზე
ხელს მოუთათუნებდა იმგვარად, როგორც ცხენს ეფე-
რებოდა ხოლმე. მხურვალე, ხრიოკი მთიდან ბარში რა
დროსაც უნდა ჩამოსულიყო, ნიადაგ ელოდა ცხელი
სადილი. ცოლი თვალდასმით შეჰყურებდა, თუ როგორ
შეექცეოდა ქმარი საქმელს, ახლოს მიუნევდა ხოლმე
სასურველ კერძს; ფინჯანი რომ დაიცვებოდა, მაშინ-
ვე უვსებდა.

როგორც კი დაქორწინდნენ, ჯიმი ცოლს უამბობდა
ყველაფერს, რაც ფერმაში ხდებოდა, მაგრამ ელკა ული-
მოდა იმ უცხოელივით, რომელსაც სწადია მხარი აუბას
საუბარს, თუნდაც არ ესმოდეს, რას ლაპარაკობენ.

– ულაყი ეკლიან მავთულზე დაიჭრა, – თქვა ჯიმმა.

და ქალმა მიუგო:

– ჰო, – თითქოს კვერი დაუკრაო, არც შეკითხვა გას-
ჩენია და არც ინტერესი გამოუჩენია.

ჯიმი მალე მიხვდა, რომ ცოლთან კონტაქტს ვერ ამ-
ყარებდა. ელკას თუკი ჰქონდა პირადი ცხოვრება, იქ ვე-
რასდიდებით ვერ შეაღწევდი. ჯიმს ვერ გადაელახა მათ
შორის არსებული ბარიერი, თუმცა იგი არც მტრული
ყოფილა და არც შეგნებული.

ლამლამობით ეალერსებოდა მის სწორ, შავი ფერის
თმას და დაუჯერებლად გლუვ, ბრინჯაოსებრ მხრებს,
და ქალი სიამოვნებით კენესოდა ხმადაბლა. მხოლოდ
უაღრესი ტკობის მომენტში თითქოსდა მჟღავნებო-
და მისი სული, ძლიერი და ვნებიანი. მაგრამ მერე ელკა
ერთბაშად გადაიქცეოდა ისევ ფრთხილ და ავადმყოფუ-
რად თვინიერ ცოლად.

– რატომ არასოდეს არ მელაპარაკები? – ჩაეკითხე-
ბოდა ქმარი. – ჩემთან ლაპარაკი არ გინდა?

– როგორ არა, – პასუხობდა ცოლი. – რა გინდა, რომ
გითხრა? – ისე მეტყველებდა ქმრის ენაზე, თითქოს უც-
ხოელი არც იყო.

ერთი წელიწადი რომ გავიდა, ჯიმს მოენატრა ქა-
ლაქში ტრიალი, მხიარული ყბედობა და ესოდენ გემრი-
ელი, თუმცა ხმაურიანი კინკლაობა, ურცხვი უხამსობა-
ნი. ისევ მოუხშირა სიარულს ქალაქში – სვამდა და ეარ-
შიყებოდა ნიოკა გოგოებს, „სამ ვარსკვლავში“ რომ ბი-
ნადრობდნენ. იმათ კი მოსწონდათ ჯიმის ვაჟკაცური,
ნებისყოფით აღსავსე პირისახე და სიცლიანობა.

– სად არის შენი ცოლი? – გამუდმებით ეკითხებო-
დნენ.

– შინ არის, ბოსელშია. – პასუხობდა. ეს იყო მორიგი
ობუნჯობა.

შაბათობით ცხენს შეკაზმავდა და შამხანას ნაილებ-
და, ეგებ ირემს გადავეყაროო. ნიადაგ ეკითხებოდა
ცოლს:

– მარტოდმარტო რომ გტოვებ, არაფერია?

– რა მოხდა. არა უშავს-რა.

– და ვინმე რომ მოგადგეს?

ქალს თვალეზმა გაუელვა; მერე გაილიმა.

– ყველას გავეყრი, – დაჰპირდა ქმარს.

– ხვალ, შუადღისას დავბრუნდები. ძალზე შორს უნ-
და ნავიდე და დღესვე დაბრუნება ვერ მოხერხდება. –
ჯიმი გრძნობდა, ელკამ იცის, სადაც მივდივარო, მაგ-
რამ ცოლი არასოდეს, პროტესტი რა სათქმელია, იოტი-
სოდენა უკმაყოფილებასაც კი არ გამოხატავდა.

– ბავშვი უნდა გააჩინო, – უთხრა ერთხელ ქმარმა.

ქალს სახე გაუნათდა.

– თუკი ღმერთი ინებებს, – უპასუხა მღელვარედ.

ჯიმს გულსა სტკენდა ცოლის მარტობა. კანიონში
მცხოვრებ სხვა ქალებს რომ ხვდებოდეს ხოლმე, ასე ეუ-
ლი აღარ იქნებოდაო, მაგრამ რას იზამ, ისინი აღიზიან-
ებდნენ ელკას თავიანთი ფუჭიტიყვაობით. ეგ იყო,
რომ თვეში ერთხელ ცხენს შეკაზმავდა და ერთი დღით
გაემგზავრებოდა თავის დედასთან და იქ დაბინავებულ
უთვალავ ნათესავებთან.

– დიდებულად გაატარებ დროს! – ეუბნებოდა ჯიმი.

– მთელი დღე პირს აღარ მოკუმავ და შენს იდიოტურ
ენაზე ისე ილაქლაქებ, იხვები რომ ყიყინებენ. გაერთო-
ბი იმ შენს აყლაყუდა ბიძაშვილთან – თვალებს აქეთ-
იქით რომ აცეცებს. შენში რაიმე ხინჯი რომ მეპოვა,
წყეულ უცხოელს დაგარქმევდი, – გაახსენდა, მარად-
ყამს პირჯვარს ინერდა, ვიდრე ცომს ღუმელში მოათავ-
სებდა და ყოველ საღამოს მუხლმოყრილი ლოცულობდა
საწოლის სასთუმალთან.

მცხუნვარე და მტვრიანი ივლისის ერთ შაბათ დღეს
ჯიმი მინდორში შვრიას მკიდა. დღე უსასრულოდ გაიჭი-
მა. როდესაც სათიბელამ შვრიის უკანასკნელი კონა ჩა-
მოჭრა, უკვე შვიდი იყო დანყებული. ფერმერმა ტკაცუ-
ნა სათიბი მანქანა გაიყოლა და ბაკში მოათავსა, ხელ-
სანყოთა ჩარდახქვეშ. მერე ცხენები აუშვა და კვირამდე
გაისტუმრა საძოვრად გორაკებზე. როდესაც სამზარე-
ულოში შეაბიჯა, ელკა სუფრას აწყობდა. ჯიმმა ხელ-პი-
რი დაიბანა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

– ძან დავილაღე, – თქვა მან, – მაგრამ მაინც უნდა
ნავიდე მონტერეიში. ბადრი მთვარე იქნება.

ელკამ თვალებით გაუღიმა ქმარს.

– თუკი საყიდლები გაქვს, ცხენებს შევკაზმავ და ნა-
გიყვან, – დასძინა ჯიმმა.

ელკამ კვლავ გაიღიმა და თავი გააქნია.

– არა, დუქნები უკვე დაკეტილი იქნება. სჯობს, შინ
დავრჩე.

– კეთილი, მაშინ ცხენს მოვაჯდები. ეგრე არ ვაპი-
რებდი და მთელი რემა საძოვარზე გავუშვი. ეგებ მოვა-
ხერხო ცხენის დაჭერა უხათაბალოდ. ნამდვილად არ
გინდა წამოსვლა?

– ადრე რომ წავსულიყავით, დუქნებს ჩამოვივლიდი,
მაგრამ ახლა იქ რომ ჩავალთ, უკვე ათი საათი გახდება.

– არა მგონია, ეგრე დაგვაგვიანდეს. ცხენი ჩამიყ-
ვანს, ცხრას რომ ცოტა გადასცდება.

ქალს მორცხვი ღიმილი დასთამაშებდა პირზე,
თვალს ყურადღებით ადევნებდა ქმრის გამომეტყველე-
ბას. ეგებ დაღლილი იყო ხანგრძლივი მუშაობით და ამი-
ტომაც ჰკითხა:

– რაზე ფიქრობ?

– რაზე ვფიქრობ? მახსოვს, რომ დავქორწინდით,
ამას ლამის ყოველდღე მეკითხებოდი.

– და მაინც? – ოდნავი გაღიზიანებით გაუმეორა.

– ო... შავი დედლის წინილებზე ვფიქრობ, – ზეზე წა-
მოდგა და მოზრდილ კედლის კალენდარს მიუახლოვდა,
– ხვალ გამოიჩეკებიან ანდა, შესაძლოა, ორშაბათს.

თითქმის სულ ჩამობნელდა, როდესაც ჯიმი პირის
პარსვას მორჩა, თავისი ცისფერი, სარჟის პერანგი და
ახალთახალი ფეხსაცმელი ჩაიცვა. ელკამ თეფშები გა-
რეცხა და ააღაგა. სამზარეულოში გავლისას ჯიმმა და-
ინახა, რომ ქალმა მაგიდაზე დადგა ლამპა ფანჯარას-
თან და იქვე ჩამოჯდა, ქმრისთვის შალის წინდების ქსო-
ვა რომ მოეთავებინა.

– მანდ რატომ დაჯექი? – ჰკითხა ჯიმმა. – მუდამ
აქეთ ზიხარ ხოლმე. ხანდახან უცნაურ რაღაცეებს სჩა-
დისხარ.

ქალმა თვალი გაუსწორა ქმარს.

– ახლა მთვარე ამოვა, – წარმოთქვა წყნარად, – შენ
ამბობდი, დღეს ბადრი მთვარე იქნებაო. მინდა შევხე-
დო, როგორ ამოვა მთვარე.

– სულელი ხარ. ამ ფანჯრიდან არ გამოჩნდება. მე-
გონა, რომ ეს იცოდი.

ელკას გაეცინა.

– კეთილი, საძილე ოთახში გავალ.

ჯიმმა თავისი შალის შლიაპა დაიხურა და გარეთ გა-
ვიდა. ბნელსა და ცარიელ ბედელში რომ გაიარა, თარო-
დან ავშარა აიღო. ბალახოვანი გორაკის მწვერვალზე
ხმამალლა და გამგმირავად დაუსტვინა. ცხენებმა ძოვა
შენწყვიტეს და ნელ-ნელა მოადგნენ პატრონს ოციოდე
ფუტის მანძილზე. ჯიმი ფრთხილად მიუახლოვდა თავის
იაბოს და ხელი გადაუსვა გავის ძელიდან ზურგის გას-
წვრივ და კისერზე. აბზინდამ დაიტკაცუნა ავშარის
თასმაზე. ჯიმი შებრუნდა და ცხენს ნაუძღვა თავლაში.
უნაგირი დაადგა, მჭიდროდ მოუჭირა მოსართავი, ვერ-
ცხლის ბალთებით მორთული ალვირი დაცქვეტილ ყუ-
რებზე გადაუგდო და აბზინდა შეუბნია კისერზე. უნა-
გირს მოახტა, სადავე მოზიდა და ნება-ნება დაძრა სახ-
ლისაკენ. ფანჯრებიდან აღმოსავლეთით განლაგებული
გორაკების მიმართულებით მონითალო ფერის ღბილი
შუქი იღვრებოდა. ბადრი მთვარე ამოვა ჯერ კიდევ მა-
ნამდე, სანამ დაისის უკანასკნელი ანარეკლი ჩაქრება
ველზე.

სამზარეულოში ფანჯარასთან მჯდომი ელკა ისევ
ქსოვდა. ჯიმმა ოთახის კუთხეში აიღო თავისი კარაბინი.
სავაზნეს ვაზნებით რომ აესებდა, წარმოთქვა:

– მთვარე უკვე ამოდის გორაკებს ზემოთ. თუკი გინ-
და, რომ ამოსვლას შეხედო, სჯობს გარეთ გახვიდე.
მთვარე ძალიან ნითელი იქნება.

– ამწუთას, – თქვა ელკამ, – ამწუთას მოვრჩები.

ჯიმი მიუახლოვდა ცოლს და სწორ თმაზე ხელი გა-
დაუსვა.

– ღამე მშვიდობისა. ხვალ დავბრუნდები, შუადღი-
სას.

ქალის სევდიანმა, შავმა თვალებმა კარამდე მიაცი-
ლეს ქმარი.

ჯიმმა შაშხანა ჩაარჭო ხურჯინში, ცხენს მოახტა და
გააჭენა ქვევით, კანიონის გზაზე. მისგან ხელმარჯვნივ,
ჩაშავებულ გორაკებს მიღმა, ამოდოდა ვეება ნითელი

მთვარე. დაისისა და მთვარის ორკეცმა შუქმა ხეთა კონ-
ტურები შეამჭიდროვა და ახალი, უცნაური იერი მიანიჭა
გორაკებს. შემოსული შვრია ციმციმებდა და კიაფობდა,
ჩრდილი კი ხავერდოვანი შავი ფერისა ჰქონდა. ცხენის
უზარმაზარი, გრძელფეხა ჩრდილი და ნახევარკაცი მი-
ისწრაფოდნენ ჯიმისგან მარჯვნივ და ოდნავ წინ უს-
წრებდნენ. ახლომდებარე თუ შორეული რანჩოებიდან
ისმოდა ძაღლების ყეფა, ღამეულ სიმღერას რომ გა-
ლობდნენ. მამლებმა ყვირილი გააბეს, ეგონათ, უკვე თენ-
დებო. ჯიმმა ჩორთით გააჭენა იაბო. ფლოქების თქა-
რუნი ექოს გამოსცემდა ციხე-დარბაზის ნანგრევები-
დან. ჯიმს თვალწინ დაუდგა ქერათმიანი მეი – მონტე-
რეიში „სამი ვარსკვლავის“ ბინადარი. „დამავიანდება.
უკვე სხვა ვინმე ეყოლება ნაღდად“, – ასე დაასკვნა. ამა-
სობაში მთვარე მთლიანად ამოცურდა გორაკებს ზემოთ.

ერთი მილი რომ გაიარა, ჯიმს მოახლოებული
ფლოქების თქარათქური მოესმა ზურგიდან. ცხენი ნე-
ლი ჩორთით მიუშვა და მერე შეჩერდა.

– ეს შენა ხარ, ჯიმი?

– ჰო, სალამი ჯორჯ.

– სწორედ შენთან მოვდიოდი. შენთვის უნდა მე-
ქვა... ჩემი ნაკვეთის ზემო ბოლოში წყარო რომ არის,
ხომ იცი?

– ჰო, ვიცი.

– ჰოდა, დღეს იქ ვიყავი, დღისით. კოცონის მუგუზ-
ლებს და ხბოს თავ-ფეხს ნავანყედი. ნახევრადმეტრუსუ-
ლი ტყავი ეგდო ნაცეცხლარში, იქიდან გამოვადქვინე,
ზედ შენი დამლა აზის.

– ჯანდაბა! – თქვა ჯიმმა. – კოცონი როდის დაუნთი-
ათ?

– ნაცარი ჯერ კიდევ თბილი იყო. ალბათ, წინა ღამით
დაანთებდნენ. მისმინე, ჯიმი, მე ვერ წამოგყვები. ქალაქ-
ში უნდა ვიყო, მაგრამ, მე მგონი, შენ მარტოც მოივლი
იქაურობას და მოძებნი არამზადებს.

ჯიმმა ჩუმად ჰკითხა:

– როგორ გგონია, რამდენი კაცი იქნებოდა?

– არ ვიცი.

– მე მგონი, ყველაფერს ის აჯობებს, რომ იქ წავიდე
და ჩემი თვალით ვნახო. მეც ქალაქში მივდიოდი. მაგრამ
აქ თუ ქურდები დათარეშობენ, კიდევ რომ დავკარგო
საქონელი, ამას ვერ შევეგუები. შენს მამულს კარგად
მოვჩხრეკ, თუკი არ გენყინება, ჯორჯ.

– მომიტევე, ძმაო, რომ ვერ მოგყვები. თოფი გაქვს?

– რა თქმა უნდა. აგერ აქვეა, უნაგირთან. მაღლობე-
ლი ვარ, რომ მაცნობე.

– კეთილი. ეძებე, სადაც გაგიხარდება. ღამე მშვი-
დობისა. – მეზობელმა ცხენი მიაბრუნა და მსუბუქი ოთ-
ხით თვალს მიეფარა იმ მხარეს, საიდანაც მანამდე გა-
მოჩნდა.

ჯიმი ერთხანს მთვარის შუქქვეშ იჯდა და თავის უძ-
რავ ჩრდილს დაჰყურებდა. მერე შაშხანა დაითრია ხურ-
ჯინიდან, საკეტი გადატენა, ვაზნა მიაწოდა სავაზნეში
და თოფი უნაგირის ტახტას დაუდო. გზიდან ხელმარ-
ცხნივ გადაუხვია, ტანმორჩილ მთაზე ავიდა, აბალახე-
ბული უღელტეხილი და შვრიის ყანა გადაიარა და მეო-
რე კანიონში დაეშვა.

ნახევარი საათის შემდეგ მიაგნო მიტოვებულ ბანაკს. გადააბრუნა მძიმე თავი ხბოსი, თითები მოუფათურა ენაზე, რომ გაეგო, როდის მომკვდარაო. ასანთს გაჰკრა და ნახევრადგახრწნილ ტყავზე თავისი დამლაშენიშნა. მერე ისევ ცხენზე შეჯდა, გაიარა გლუვი, ბალახით შემოსილი გორაკები და საკუთარ ტერიტორიაზე ამოჰყო თავი.

მწვერვლებიდან თბილი ნიაქი ქროდა. მთვარეს ცის მეოთხედი გაეგლო, თავისი სინითლე დაეკარგა და მაგარი ჩაის ფერი შეეძინა. გორაკებზე კოიოტები ყმუოდნენ, ძაღლები რანჩოებიდან სულისშემძვრელი ყმუილით ბანს აძლევდნენ. მუქმწვანე შვრიას და მოყვითალო ბალახს მთვარის შუქზე ისევ დაბრუნებოდათ თავისი ფერი.

ჯიშმა ზანზალაკების ჟღერა დაიმეგზურა და მალე თავის ძროხებს მიადგა. დაინახა, რომ ისინი მშვიდად იცოხნებოდნენ, გვერდით კი რამდენიმე ველური ირემი სძოვდა ბალახს. მიაყურადა, ეგებ ფლოქების თქარუნი გავიგონო ანდა ქარმა კაცის ხმა მონაწვდინოსო.

თერთმეტ საათზე მეტი იქნებოდა, როდესაც ცხენი შინისაკენ მიაბრუნა. ქვიშაქვისგან აგებულ დასავლეთის კოშკს ჩაუარა და ჩრდილში აღმოჩნდა, მერე ისევ მთვარის შუქქვეშ მოხვდა. ქვემოთ მქრქალად ციმციმებდნენ მისი სახლისა და ბელის სახურავები. საძილე ოთახის ფანჯარა ანარეკლი სინათლის ზოლს უკან ისროდა.

საძოვარი რომ გაიარა, ცხენებმა თავი მალლა ასწიეს. ჯიში უკვე თითქმის მიადგა საქონლის ბაკს, როდესაც მოესმა, როგორ ფრუტუნებდა ცხენი თავლაში. ერთბაშად შეაჩერა იაბო. ყური მიუგდო. ფრუტუნი განმეორდა. ჯიშმა თოფი აღმართა და ჩუმად ჩამოქვეითდა. ცხენი გაუშვა და თავლას მიეპარა.

სიბნელეში მკაფიოდ ისმოდა, თუ როგორ ახრამუნებდა თივას ცხენი. ჯიში კედლის გასწვრივ მიაბიჯებდა და დაკავებულ ბაგამდე მივიდა. წამით ისევ მიუგდო ყური და ასანთს გაჰკრა თოფის კონდახზე. შეკაზმული და ნიკაპქვეშ ლაგამამოდებული ცხენი ბაგაში მიებათ. მოსართავი მოშვებული იყო. ცხენმა ხრამუნი შეწყვიტა და თავი სინათლისკენ მიაბრუნა.

ჯიშმა ასანთი ჩააქრო და სწრაფად გამოვიდა გარეთ. ცხენების საწყურების კიდეზე ჩამოჯდა და წყალს მიაშტერდა. ფიქრები ისე ნელა მიიზღაზნებოდნენ, რომ სიტყვებით შემოსა და ჩაიჩურჩულა:

– ეგებ ფანჯარაში შევიხედო? არა. ჩემი თავის ჩრდილი გაჩნდება იატაკზე.

თვალი შეავლო შაშხანას, ხელში რომ ეჭირა. ხშირ ხმარებას ზოგან გადაეცილებინა შავი საღებავი და გაეშვივლებინა ვერცხლისებრი ლითონი.

ბოლოს და ბოლოს ყოყმანი დასძლია, ფეხზე წამოდგა და სახლს მიუახლოვდა. ვიდრე თავის წონას გადაიტანდა მორიგ საფეხურზე, გაჭიმული ფეხით ფრთხილად ამოწმებდა. მისი სამივე ძაღლი გამოძვრა პარმალს ქვეშიდან. გაიზმორნენ, ტანი შეიბერტყეს, ნაიფრუტუნეს, კუდები გააქნიეს და ისევ დასაძინებლად გასწიეს.

სამზარეულოში ბნელოდა, მაგრამ ჯიშმა იქ კარგად იცოდა ყველაფერი. განვდილი ხელით ეხებოდა მაგიდის კუთხეს, სკამის ზურგს, პირსახოცების საკიდარს. ისე უჩუმრად გადაჭრა სამზარეულო, რომ თვითონაც კი მხოლოდ თავისი სუნთქვა ესმოდა, შარვლის ტოტების ერთმანეთზე ხახუნის ხმა და საათის ნიკნიკი ჯიშეში. საძილე ოთახის კარი გაღებული იყო, იქიდან მთვარის სხივთკონა ეცემოდა სამზარეულოს იატაკს. ჯიშმა, როგორც იქნა, მიაღწია იქამდე და ოთახში შეიხედა.

სანოლი ქათქათებდა მთვარის შუქზე. ჯიშმა დაინახა ელკა, გულაღმა რომ იწვა, შუბლი და თვალები შიშველი მკლავით დაეფარა. გვერდით მამაკაცი ეწვა, სახე არ უჩანდა.

და, რადგანაც თავი კედლისაკენ ჰქონდა მიბრუნებული. ჯიში სულგანაბული ელოდა. მერე ელკა ძილში აწრიალდა. კაცი მოტრიალდა და ამოისუნთქა – ეს იყო სწორედ ის ბიძაშვილი ელკასი.

ჯიში სწრაფად გაიპარა იმავე გზით, სამზარეულო გაიარა და ქვემოთ ჩავიდა. კვლავ მიადგა გობს და მის კიდეზე ჩამოჯდა. ცარცივით თეთრი მთვარე წყალში ცურაობდა და ანათებდა ჩალას და ქერს, პირიდან შემთხვევით რომ გადმოცვენოდათ ცხენებს. ჯიში ხედავდა კოლოს მატლებს, რომლებიც მალაყებს გადადიოდნენ ზევით და ქვევით, და ტრიტონს, მყუდრო ადგილი რომ ამოერჩია გობის ფსკერზე.

„რატომ?“ – ჯიშს მძიმე, ყელში წაჭერილი ქვითინი აღმოხდა. მსუბუქი ღამის ნიავი შრიალებდა ბალახით შემოსილ გორაკებზე.

უეცრად გაახსენდა დედა. როდესაც მამა ღორსა კლავდა, დედას ვედრო ეჭირა ყელიდან წამოდენილი სისხლის ჩასაღვრელად. ისე შორს იდგა, როგორც ხერ-



მზატვარი დიმიტრი ერისთავი

ხდებოდა, და ხელები წინ ჰქონდა გამვერილი, შხეფები რომ არ შესხურებოდა ტანსაცმელს.

ჯიმმა ხელი ჩაჰყო გობში და მთვარე დაამსხვრია სინათლის ტეხილ, მბრუნავ ხაზებად. სველი ხელებით შუბლი გაიგრილა და ზეზე წამოდგა. ამჯერად ისე უჩუმრად აღარ მიაბიჯებდა, მაგრამ სამზარეულო კი ფეხაკრეფით გადაჭრა და საძილე ოთახის კარში ჩადგა. ელკამ ხელი შეარხია და ოდნავ გაახილა თვალი. მერე ფართოდ გაახილა. ჯიმი ჩააცქერდა არაფრის გამომხატველი მზერით. ელკას ცხვირიდან პანანკინტელა წვეთი გამოედინა და ზედა ტუჩის ფოსოში ჩაეშვა. ცოლი მიაშტერდა ქმარს.

ჯიმმა ჩახმახი შეაყენა. წყნარი ტკაცანი გახშირდა მდუმარე სახლში. კაცი მოუსვენრად შეინძრა სანოლში. ჯიმი ხელები უკანკალეზდა. თოფი აღმართა და მაგრად მიიკრა მხარზე, ტყვია რომ არ აეცდინა. სამიზნის განაქერში მოჩანდა პატარა, თეთრი მართკუთხედი კაცის ნარბეზსა და მისი თმის საზღვარს შორის. სამიზნე ოდნავ შეტოკდა და მერე გაირინდა.

თოფის გრიალმა სიჩუმე გახეთქა. ჯიმმა, ისევე რომ შეჰყურებდა ლულას, თვალი მოჰკრა, როგორ შეტოკდა სანოლი. მნოლიარე კაცის შუბლში პანია ნახერეტს შავად დაელო პირი. სისხლი არა ჩანდა, ოღონდ თავს უკან მდებარე ბალიში მოსვრილი იყო ტვინითა და ძვლით, ტყვიას რომ გამოეგლიჯა.

ელკას ბიძაშვილი ახროტინდა. ხელები, ორი დიდი ობობის მსგავსად რომ ლამობდნენ დასხლტომას საბინიდან, შეუტოკდა და უმწეოდ გაუშეშა.

ჯიმმა ნელა გადაიტანა მზერა ცოლზე. იგი ცხვირით სრუტუნებდა. მისი მზერა შამხანიდან ჯიმის პირისახეს ეხეთქებოდა. ჩუმად ანკმუტუნდა გათოშილი ლეკვივით.

ჯიმი პანიკამ შეიპყრო და გარეთ გავარდა. ფეხსაცმლის ლანჩები ააბაკუნა სამზარეულოს იატაკზე, მაგრამ სახლიდან რომ გავიდა, ნაბიჯი შეანელა და გობს მიადგა. პირში სიმლაშეს გრძნობდა, გული საშინლად უცემდა. შლიაპა მოიხადა და თავი ჩაჰყო წყალში. მერე დაიღუნა და აღებინა. ესმოდა, როგორ დადიოდა სახლში ელკა და ნკმუტუნს არ წყვეტდა. ჯიმი ნელში გაიმართა, ღონეგაცლილს თავბრუ ეხვეოდა.

ქანცმიხდილმა, ბაკის გავლით, საძოვარს მიაშურა. დაუსტვინა და შეკაზმული ცხენი ეახლა. მექანიკურად მოუჭირა მოსართავი, აბობლდა უნაგირზე და ხეობაში მიმავალ გზას გაუდგა. ქვემოთ მიჰყვებოდა ჩასკვნილი, შავი ჩრდილი. მთვარე მაღლა ავიდა და კიდევ უფრო გათეთრდა. მოუსვენარი ძაღლები მონოტონურად ყეფდნენ.

განთიადისას რანჩოს ეზოში ორცხენშემბული ფურგონი შემოგრიალდა და წინილები დააფრთხო. ფურგონში ისხდნენ შერიფის თანაშემწე და გამომძიებელი. ჯიმ მური ინახით იჯდა ძარაში. შერიფის თანაშემწემ მუხრუჭის სახელური შეატრიალა და თოკი შემოუჭირა. ყველანი გადმოძვრნენ ფურგონიდან.

ჯიმმა იკითხა:

– მე უსათუოდ უნდა შემოვიდე? არაქათი აღარა მაქვს და აგზნებული ვარ, ეს კიდევ ერთხელ როგორ ვნახო?!

გამომძიებელი ჩაფიქრდა და ტუჩი მოინინკნა.

– ოჰ, მე მგონი, არაა საჭირო. ჩვენ მხოლოდ დავათვალე რეზტ შემთხვევის ადგილს.

ჯიმი აუჩქარებლად გაემართა გობისაკენ.

– ჰეი! – მიუბრუნდა სტუმრებს. – ცოტაოდენს ხომ არ გადაკრავდით?

ისინი სახლში შევიდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ საბანში გამოხვეული გაშეშებული სხეული გამოასვენეს და ფრთხილად დაასვენეს ძარაში.

– უნდა წამოგყვით?

– მისტერ მურ, სად არის თქვენი ცოლი? – ჰკითხა შერიფის თანაშემწემ.

– არ ვიცი, – უნიათოდ მიუგო ფერმერმა. – სადმე ახლომახლო იქნება.

– თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ისიც არ მოგიკლავთ?

– არა, ხელიც არ მიხლია. ვიპოვი და დღესვე მოგიყვანთ. რა თქმა უნდა, თუკი არ გნებავთ, რომ ახლავე წამოგყვით.

– ჩვენ გვაქვს თქვენი განცხადება, – თქვა გამომძიებელმა, – და, ეშმაკმა წაილოს, ჩვენ თავად ვნახეთ ყველაფერი, უილ, განა ასე არ არი? ცხადია, ადგილი ექნება ფორმალურ ბრალდებას მკვლელობაში, მაგრამ ბოლოს გააუქმებენ. ამ მხარეში ყოველთვის ასე ხდება. მისტერ მურ, ყურადღება გამოიჩინეთ ცოლისადმი.

– შევეცდები არ გავტანჯო, – მიუგო ჯიმმა.

იდგა და უცქერდა დაძრულ ფურგონს. მერე უხალისოდ გაეშურა შინისაკენ. ივლისის მწველი მზე გამოჩნდა გორაკებს ზემოთ და საძილე ოთახის ფანჯარაში აცა-ბაცად აირეკლა.

ჯიმი აუჩქარებლად შევიდა შინ და გამოიტანა ცხრა-ფუტიანი შოლტი, ხარების გასარეკად რომ ხმარობდა. ეზო გადაჭრა და ბელელში შეაბიჯა. კიბით აძვრა სათივეში და ისევე მოესმა უღონო ზღუქუნი, ლეკვისას რომ ნაავავდა.

როდესაც ბელელიდან გამოვიდა, ელკასთვის მხარზე ჩაეჭიდა ხელი და ასე მოჰყავდა. გობის მახლობლად ფრთხილად დასვა მინაზე. ქალს ხმელი ბალახის ღერები აბურდოდა თმაში. ბლუზა ზურგზე სისხლიანი ზოლებით იყო აჭრელებული.

ჯიმმა თავისი ყელსახვევი დაასველა კასრში და ელკას მოუბანა დაკვნეტილი ტუჩები და პირისახე. მერე თმა დაულაგა. მისი ამომშრალი შავი თვალების მზერა ქმრის ხელების ყოველ მოძრაობას მისდევდა.

– შენ ბევრი მატკინე, – თქვა ქალმა. – ძალიან მატკინე. ქმარმა მკაცრად დაუქნია თავი.

– ყველაზე უარესი გავაკეთე, რაც შეიძლებოდა, თუკი არ მოგკლავდი.

მზე კაშკაშებდა. ბზუოდნენ გულისამრევი ბზუები, სისხლის სუნს რომ მოეზიდა.

ელკამ უბადრუკი ღიმილი გამოხატა შეშუპებული ტუჩებით.

- რამე ჭამე?
- არა, - უპასუხა ჯიმმა, - არაფერი მიჭამია.
- კეთილი, მამინ ერბოკვერცხს შეგინვა, - ძლივ-ძლივობით წამოდგა ზეზე.
- მე დაგეხმარები, - წარმოთქვა ჯიმმა. - ეს ბლუზა უნდა გაიხადო. ქსოვილი მიგახმა ზურგზე. გეტკინება.
- არ მინდა, მე თვითონ მოვუვლი, - მისი ხმა უცნაურად აჟღერდა. მუქი ფერის თვალები წამით გულთბილად მიაჩერდნენ ჯიმს, მერე ელკა შებრუნდა და კოჭლობით შევიდა სახლში.
- ჯიმი იჯდა გობის კიდეზე და ელოდა. მალე დაინახა კვამლი, საკვამურიდან რომ ამოდიოდა და ცისკენ მიემართებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ელკა გამოჩნდა სამზარეულოს კარში.
- მოდი, ჯიმი. შენი საუზმე.
- ოთხი კვერცხი და ბეკონის ოთხი სქელი ნაჭერი იდო შემთბარ ლანგარზე.
- ყავა ერთ ნუთში მზად იქნება, - თქვა ელკამ.
- შენ არაფერს შეჭამ?

- არა. ახლა ვერ შევჭამ. ტუჩები მტკიავა.
- ჯიმი მადიანად შეექცეოდა ერბოკვერცხს. ცოლს თვალი შეავლო - ახალი, თეთრი ბლუზა ეცვა. შავი თმა გულდასმით დაევერცხნა.
- დღეს ქალაქში წავალთ, - აუნყა ჯიმმა. - მორები და ფიცრები უნდა შევუკვეთო. ქვემოთ ავაშენებთ სახლს, კანიონში.
- ქალს თვალი გაექცა საძილე ოთახის მოხურული კარისკენ და მერე ისევ ქმარზე შეაჩერა მზერა.
- ჰო, - თქვა მან. - ეს კარგი იქნება, - და იმავე წამს დასძინა:
- შენ კიდეც გამლახავ ამის გამო?
- არა, ამისთვის აღარ გაგლახავ.
- ქალის თვალები სათნოდ ანათებდა. ჩამოჯდა ქმრის გვერდით. ჯიმმა ხელი ასწია და თმაზე გადაუსვა - თხემიდან კეფამდე.

თარგმან
ლევან ინაშვილმა

გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი (1902-1968) დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. 1939 წლის აგვისტოში, როდესაც მოსკოვში ხელს აწერდნენ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს თავდაუსხმელობის თაობაზე და საცაა უნდა დაწყებულიყო მეორე მსოფლიო ომი, საბჭოეთის უპირველესი ოფიცირი, გაზეთი „პრავდა“ ბეჭდავდა მისთვის უჩვეულო მასალას, მხატვრული პროზა რომ ჰქვია, სახელდობრ - ნაწყვეტებს სტაინბეკის რომანიდან „მრისხანების მტევნები“ (1939), რომელიც პულიცერის პრემიით იყო დაჯილდოებული და, საბჭოთა პროპაგანდის გასახარად, ასახავდა სოციალურ ბრძოლას შეერთებულ შტატებში. მაგრამ სიცოცხლის მიწურულში ამერიკელი მწერალი მოსკოვმა ანათემას გადასცა ვიეტნამური რეპორტაჟის გამო.

სტაინბეკის ნაწარმოებთა ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა... შევახსენებ მკითხველს, რომ 1962 წელს სტაინბეკს ნობელის პრემია მიენიჭა.

სხვათა შორის, ორჯერ არის ნამყოფი საქართველოში (1947, 1963) და თავის წიგნში „რუსული დღიური“ (1948) ორ თავს უთმობს ჩვენს სამშობლოში მიღებულ შთაბეჭდილებებს. იგი, კერძოდ, წერს: „საქართველო ზღაპრული ქვეყანაა და იმ ნუთიდანვე, როდესაც ჩვენ დავტოვეთ იქაურობა, იგი დამესგავსა სიზმარს. საოცარი ადამიანები ცხოვრობენ საქართველოში. ეს ქვეყანა მართლაც ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესი ადგილია მთელი დედამიწის ზურგზე და ეს ადამიანები ღირსნი არიან მისი. ჩვენ მშვენივრად მივხვდით, თუ რატომ ჩაგვიჩინებდნენ რუსები: ვიდრე საქართველო არ გინახავთ, ჩათვალეთ, რომ ჯერ არაფერი გინახავთ“.

როგორც აღნიშნავენ, „მკვლევრობა“ სტაინბეკის ერთადერთი მოთხრობაა, დეტექტივს რომ ენათესავება. გამოქვეყნებულია მისი მოთხრობების კრებულში „დიდი ველი“ (1938) და მოხვედრილა დეტექტიური ჟანრის რამდენიმე ანთოლოგიაში.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ სტაინბეკს „დეტექტივის მონათესავე“ მოთხრობა დაუწერია და, ამგვარად, მცირედი ხარკი გადაუხდია ფრიად პოპულარული ჟანრისათვის. ნამდვილად არ არის გასაკვირი! განა მისი სახელგანთქმული რომანი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ (1961) დეტექტივის ელემენტებს არ შეიცავს?

ამ ნაწარმოების მთავარი გმირი, წარჩინებული ოჯახის შვილი ითენ ჰოული, თავგაბეზრებული ნოქრის გაჭირვებული

მთარგმნელისაგან

ცხოვრებით (ხუთი კოსტუმის მფლობელი, ამერიკული სტანდარტების კვალობაზე, გაჭირვებულ კაცად ითვლება!), გადაწყვეტს ბანკის გაძარცვას. ხელი მოეცარა, ოღონდ ხათაბალამიც არ გახვეულა. მერე, ანგარების მოტივით, აბეზღებს დუქნის პატრონს - იტალიელ მარულოს, კარგა ხნის წინათ არაღეგალურად რომ ჩამოსულა შეერთებულ შტატებში. მერე თავისი ყრმობის მეგობარს - გალოთებულ დენი ტეილორს გვარიან თანხას ასესხებს ალკოჰოლიზმისგან განსაკურნად, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მისი მეგობარი ამ ფულს მხოლოდ და მხოლოდ მომაკვდინებელ სასმელში დახარჯავს. ითენი იმასაც განჭვრეტს, რომ სასიკვდილოდ გადადებული მეგობარი სწორედ მას დაუტოვებს თავისი მინის ნაკვეთს, რომელიც ერთადერთი გამოსადეგი ადგილია ქალაქის მესვეურთა მიერ დაგეგმილი აეროდრომისათვის და კარგი ფასი დაედება.

ითენ ჰოული, ერთდროულად, დამნაშავეც არის, თავისი დანაშაულის გამოძიებელიც, მსაჯულიც და, დასასრულ, პროკურორიც. უღმობელი განაჩენი გამოტანილია. კეთილშობილი კაცი, გარემოებათა წყალობით ბოროტ სულად რომ გარდაიქმნა, უფსკრულისაკენ მიექანება.

ძნელია აუღელვებლად ნაიკითხო დამაგვირგვინებელი აზრები რომანის ბოლო გვერდზე:

„სინათლე რომ ჩაქრება, ერთბაშად ისეთი წყვდიადი ჩამონვება, რომ იფიქრებ, ნეტა სულაც არ ანთებულყო. ქვეყანა დაღუპული ხალხითაა სავსე. დაჰკრავს ყამი, როცა ადამიანი უნდა აღესრულოს, ღირსეულად წავიდეს ამ ქვეყნიდან - არავითარი დრამები, არავითარი დასჯა არც საკუთარი თავისა, არც ოჯახისა, და ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ამ დროს (ეს კარგად იცოდნენ მარულოს იმ წინაპრებმა, რომლებიც ძველ რომში ცხოვრობდნენ): სიჭკვი მშვიდობით და თბილ აზრანაში ვენები გადაიხსენი, ან თბილი ზღვა და სამართებელი!“ (თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა).

სწორედ თბილ ზღვაში შეუტოპავს ამ მწარე ფიქრებით შეპყრობილ ითენს და გალესილი სამართებელიც უძვეს ჯიბეში, მაგრამ, საბედნიეროდ, თავისი ქალიშვილის სიყვარული აუქმებს ზემოთქმულ განაჩენს.

რომანს წერტილის ნაცვლად მრავალწერტილი უნდა დავუსვათ.

ითენ ჰოულის ხვალინდელი დღე, ალბათ, თვითონ სტაინბეკმაც არ იცოდა.

ეკა ბუჯიაშვილი

ოი, საბრალო, საბრალო ჰამლეტი!

*

ზურაბ კანდელაკის რადიოსპექტაკლი

„ეს პიესა შეიქმნა ანონიმი ავტორის დაუმთავრებელი მოთხრობის მიხედვით. მოთხრობა ფსიქიატრმა ალექსანდრე ზუბიაშვილმა გადმოგვცა და მის პაციენტს ეკუთვნის“ – ასეთია P.S. ზურაბ კანდელაკის რადიოსპექტაკლისა „საბრალო, საბრალო ჰამლეტი“ რომლის მოსასმენადაც რეჟისორმა ტელერადიოკომპანიის შენობაში მიგვიწვია.

ეს ყველაფერი მართლაც ასეა თუ, უბრალოდ, შემოქმედებითი მისტიფიკაციაა, ამის შესახებ ზუსტად ვერაფერს გეტყვით, მითუმეტეს, რომ თვითონ რეჟისორი ამ კითხვაზე მხრებს იჩენავს: თქვენ როგორც გინდათ, ისე გაიგეთო. თუმცა, მხოლოდ ამაზე კი არა, კიდევ ბევრ რამეზე დაგაფიქრებთ რადიოპიესა, რომელიც დანყვეტილ დროში დაინერა.

დროთა კავშირი დაირღვა.

ირგვლივ აჩრდილები დადიან – წარსულის აჩრდილები, რომლებსაც გათენების ეშინიათ, რადგან დღის შუქზე ქრებიან.

ერთი და იგივე მეორდება, ერთი და იგივე...

სწორედ ამაზე სწუხან პიესის გმირები.

დროის ქარტეხილები ქრიან და ყველაზე მეტად ხელოვანის სულს არხევენ.

გიჟი უნდა იყო, რომ ამ რეალობაში გადარჩენა შეძლო.

გიჟი უნდა იყო, რომ სიმართლის თქმაც შეგეძლოს.

საგიჟეთში ცხოვრობენ პიესის გმირებიც, რომლებიც თავიანთი ცხოვრების როლებს ინანილებენ – უკვე მერამდენედ?

ისევ რეპეტიცია!

ისევ სპექტაკლი!

კიდევ – ცოტა სევდა და ცოტაც სიყვარული...

ოღონდ ესეც შემღვრეული დროების ქარებისაგან.

ერთი და იგივე მეორდება – ისევ! მერამდენედ!

აჩრდილები დადიან ირგვლივ – იმ ავბედითი რეჟიმის აჩრდილები.

ჰოდა, „იყივლე, იყივლე, მამალო, რომ იმ ბნელეთთან ერთად გაქრენ. თუ დროზე არ იყივლებ, ისინი ცარიელ კვარცხლბეკზე შემოსხდებიან!“

ოი, საბრალო, საბრალო ჰამლეტ, XXI საუკუნეშიც გაუმარგლავ ქვეყანაში და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე რომ გინევს ცხოვრება!..

ცნობისათვის:

რადიოპიესა მუსიკალურად გააფორმა **ზურაბ ნადარეიშვილმა**;

ტექსტს კითხულობდნენ მსახიობები: **ნინელი ჭანკვეტაძე, ზურაბ ყიფშიძე, გიზო სიხარულიძე, რეზო თავართქილაძე, ზაზა ლებანიძე, გოგა გორგასანიძე.**

რადიოსპექტაკლის შესახებ კი შეკრებილები ასე საუბრობდნენ:

როსტომ ჩხეიძე:

„ვინც ზურაბ კანდელაკის შემოქმედებას იცნობს, გაახსენდებოდა მისი რადიოპიესები: „რეპეტიცია“ და „კურდღლები“... ეს იმიტომ, რომ რეჟისორი ისევ და ისევ იმ ტკივილებს უტრიალებს, დღევანდელი რადიოსპექტაკლიც გადაძახილია ტრაგიკულ ჟამთან, რომელიც ჩვენს სინამდვილეშიც ისევე არ მთავრდება და მეორდება, როგორც, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში. ეს ხერხიც – სპექტაკლი სპექტაკლში (ამ შემთხვევაში სპექტაკლი საგიჟეთში), ახალი და ორიგინალური არ არის, ის არაერთხელ გამოუყენებიათ. ბატონი ზურაბიც შეგნებულად მიმართავს მას, რადგან იცის თავისი ძალა, როგორც რეჟისორისა.

სპექტაკლი ძალზე დინამიურია, ღრმაა და ნიუანსებზეა აგებული ისე, რომ ზოგიერთი ბანალური ხერხი უკან ინაცვლებს და წინ მოდის ცნობიერების ნაკადი, რომლის შექმნაც ურთულესი მისაღწევია რადიოსპექტაკლში.

რაც შეეხება სიგიჟის ნიღბით სიმართლის თქმის თემას, ერთი ამბავი გამახსენდა:

80-იანი წლებია. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებთან ერთად ცეკაში დაიბარეს და უთხრეს: ძალზე დიდი მოძალბაა ლიტერატურაში გიჟის დახატვისა, ეს რაღაც ანტისაბჭოთა ტენდენციაა და ყურადღება მიაქციეთ, თქვენს ჟურნალ-გაზეთებში მსგავსი არაფერი გაიპაროსო.

იცინოდა, თურმე, ვახტანგ ჭელიძე: პირდაპირ ვერაფერს გამოაპარებ, გიჟს დახატავ და თავიანთ რეჟიმს სცნობენო.

შემთხვევითი ნამდვილად არ იყო, რომ იმ დროს გიჟის ნიღბით ლაპარაკობდნენ სიმართლეს, შემთხვევითი არც ბატონი ზურაბის არჩევანია, როცა პიესის მოქმედება საგიჟეთში გადააქვს. მთავარი სათქმელი კი ის არის, რომ ჩვენ მოვალენი ვართ საკუთარ სულში ჩავკლათ დიქტატორული სანყისი და გზა უნდა მიეცეს ხელოვანს, რომელიც უმწეოა სისასტიკის წინაშე“.

– მე კი მგონია, რომ დროთა კავშირი დაირღვა, – ამბობს **ლევან ქურციკაშვილი**, – დაირღვა არა მხოლოდ მაშინ, არა მხოლოდ ჰამლეტის ქვეყანასა და ეპოქაში, ეს პროცესი გრძელდება ყველგან, ყველა დროში და ჩვენს სინამდვილეშიც. ეს პლასტები რეჟისორმა კარგად ჩასვა რადიოპიესაშიც, ჰამლეტის მონოლოგებსა თუ პიესის, პერსონაჟთა დიალოგებში... და ჩემში დატოვა განცდა: მართლაც რა საბრალონი ვართ, რადგან ასეთ არეულ დროში მოგვინია ცხოვრება. წარმოიდგინეთ, დროის ქარტეხილებმა რომ თვით ეს უფაქიზესი ადამიანი, შექსპირის მიერ დახატული, ზვავით ჩაჩუმქრა და გაახუნდა...

ძალზე მთამბეჭდავი სპექტაკლი იყო და ახლა ვიფიქრე, რომ მეტად საინტერესო იქნებოდა, თუკი შემდეგში ბატონი ზურაბ კანდელაკი ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცის“ მიხედვით დადგმულ რადიოპიესის მოსასმენად მოგვინვევდა.

ლია ანდლულაძის აზრით კი „საბრალო, საბრალო ჰამლეტი“ არ შეიქმნებოდა არც 30 წლის წინათ და არც 30 წლის მერე, ეს რადიოპიესა მხოლოდ თავის დროზე უნდა

დანერილიყო. მისი ავტორის დამსახურება კი ის არის, რომ მას არ გაეპარა დრო, ის დრო, რომელიც სწორედ იმ მომენტში, ისეთი სახით უნდა ასახულიყო. ბატონმა ზურაბმა დაგვანახა ქაოსი, სადაც ისეთი ტრაგიკული პიროვნებაც კი, როგორც ჰამლეტი იყო, ორმაგად საბრალოა, რადგან მისთვის ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა ჩვენს სინამდვილეში გარკვევა.

„ხომ მშვენიერი ხელოვნებაა ადამიანი, ჭკუით დიდებული, სრული ნიჭიერებით, აგებულებით. ახოვანი, მიხვრა-მოხვრით – საოცარი; საქმით – სწორი ანგელოზისა, გონიერებით ღვთისა...“ – ამბობს მსახიობი რადიოპიესაში, სპექტაკლის შემდეგ კი **მაია ჯაღიაშვილი** იტყვის:

„პიესაში უპირველეს ყოვლისა, წარმოჩენილია ხელოვანის ბედი ამ წუთისოფელში. პოლიტიკურ ქართველებში განსაკუთრებით შემოქმედს უჭირს, ვერ პოულობს თავის გზას. „ჰამლეტის“ ძირითადი არსიც ეს არის – ადამიანი ღმერთმა შექმნა როგორც სრულქმნილი არსება... და საკითხავიც სწორედ ეს არის – რა უნდა ქნას ამ სრულყოფილებამ ქართველიდან დროში? უნდა იტანჯოს თუ თავი მოიკლას? ჰამლეტმა თავი არ მოიკლა და მოიგიჟიანა. ამ რადიოპიესაშიც მოქმედება ფსიქიატრიულში ხდება...“

საერთოდ, ასეთ არეულ დროში, ხელოვანი იძულებულია იმ საზოგადოების სიმალეზე დადგეს, რომელშიც ცხოვრობს, რადგან უნდა გადარჩეს. მას ამის გაკეთება არ სურს, სწორედ ამიტომ ხელოვანი ყოველთვის გადარჩენის, ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. ეს ყველაფერი კარგად არის ასახული პიესაში, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ზურაბ კანდელაკმა კარგად იცის რადიოპიესის ჟანრის კანონები, თანამედროვე ქართულ სინამდვილეში ხომ ის ქმნის და ამკვიდრებს მათ“.

მაკა ჯოხაძე:

„XX საუკუნის 60-იანი წლებიდან განსაკუთრებული სიმძლავრით გამოჩნდა ერთი ტენდენცია – დაიწყო კულტურის ათვისების პანიკური პროცესები. ამის კლასიკური მაგალითია ჯეიმზ ჯოისის, უმბერტო ეკო... როცა ამ პროცესებს გადაავლებ თვალს, ფიქრობ: რაზე მეტყველებს ეს ყველაფერი – ხელოვნების კრიზისსა თუ განვითარებაზე? ვფიქრობ, ხელოვნების – არა, მაგრამ სამყაროს კრიზისი კი შესამჩნევია, რადგან დაიკარგა ის ინტიმი, რომლითაც სამყაროს ესაუბრებოდა ადამიანი. ამიტომ ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია რეჟისორის არჩევანი – გულისტკივილი, გამოწვეული ეპოქალური დინებებიდან, მან არ დაამინა და გააცხადა. ამის გამოძახილად კი შეარჩია ამაღლებული ლიტერატურა. ის ერთი ფრაზაც – ყოფნა-არყოფნა – ხომ საბედისწერო აღმოჩნდა ყველა ეპოქაში.“



„ჰამლეტის“ ილუსტრაცია მხატვარი დიმიტრი ერისთავი

რადიოპიესაში არის კიდევ ერთი ხაზი – სიყვარული, რომელიც ასევე დეფიციტია ჩვენს სამყაროში. უსმენ სპექტაკლის გმირებს და თან გჯერა, თან არ გჯერა მათი სიყვარულის, რადგან ისიც შემღვრეულია – დროსავით და ეს კარგად ჩანს ხმით, ინტონაციით, მუსიკით...“

ძალზე საინტერესო სპექტაკლი იყო და ამ შთაბეჭდილებას უთუოდ მსახიობთა ოსტატობაც განსაზღვრავდა“.

– ეს არის მეტაპიესა, სადაც ლიტერატურულ ჟანრებს შორის საზღვრები მოშლილია, – ასე აფასებს რადიოსპექტაკლს **შოთა ზოსტანაშვილი** და მიიჩნევს, რომ მთავარ ეფექტს რეჟისორი გროტესკის, თვითირონიის და დესაკრალიზაციის ხერხთა დინამიკური მონაცვლეობით აღწევს. ამასთან, ნაედავება როსტომ ჩხეიძეს: ცნობიერების ნაკადს ამჯერად გადამეტებული მნიშვნელობა მიანიჭაო.

თემურ ნადარეიშვილის თქმით, კლასიკა იმიტომაც არის კლასიკა, რომ ყველა დროში აქტუალურია, რადგან დასაბამიდან სამყაროში ერთი და იგივე მეორდება – ეს არის სიკეთის ბრძოლა ბოროტებასთან. სწორედ ამიტომ ჩემთვის გასაგებია, რატომ დაინერა ეს რადიოპიესა რევოლუციიდან ორი თვის შემდეგ.

ცისანა გოძიაშვილ-კვინტრაძემ საგანგებოდ აღნიშნა მსახიობთა ოსტატური თამაში, განსაკუთრებით ნინელი ჭანკვეტაძისა და ზურაბ ყიფშიძის.

ნინო ვახანიამ სპექტაკლის იშვიათ დინამიურობაზე გაამახვილა ყურადღება.

ივანე ჯაფარიძემ თავისი გამოსვლისას ქებით მოიხსენია დრამატურგისა და რეჟისორის შეუპოვრობა, მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, მტკიცედ მიჰყვებს ერთხელ არჩეულ გზას.

რაც შეეხება თვითონ **ზურაბ კანდელაკს**:

– ყველას ყველაფერში გეთანხმებით, თუმცა... მე კიდევ ჩემსას ვფიქრობდი, როცა პიესაზე ვშუშაობდი... ისე კი... ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ცენზურას შეუძლია აკრძალოს „საბრალო, საბრალო ჰამლეტი“, რადგან ამ ნაწარმოებში თავის თავს იპოვნის...“

P.S.-ის P.S.:

რადიოსპექტაკლის ბოლოს მთხრობელი ამასაც გვამცნობს:

პიესა უკვე მზად იყო, როცა ბატონმა ალექსანდრემ კიდევ ერთი ფურცელი გადმოგვცა, რომელზეც ძალიან დიდი ასოებით ერთადერთი წინადადება ეწერა:

„ღმერთო, ისეთი რა ცოდვა გვაწევს, რომ ქარი სულ ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავსო!...“

გოფრედო პარიზე

ორი ნოველა

ფული ყველაფერია

ჩემი სამუშაო სავსებით მაკმაყოფილებს; მაქვს საკმაოდ კარგი ანაზღაურება, მყარი საზოგადოებრივი მდგომარეობა, დიდებულიც კი-მეთქი, ვიტყვოდი, ჩემს მეტიმეტ ოპტიმიზმს ხვალინდელი დღის სრულიად ბუნებრივი შიში და იმაზე ფიქრი არ მინელბედეს, რომ ამქვეყანაზე ყველაფერი საალბათოა. და მაინც ჩემი შესაძლებლობის საზღვრებში უკვე მივალნიე, როგორც იტყვიან, მწვერვალს.

ვცხოვრობ მილანში, ქალაქის ცენტრში, მაგრამ მყუდრო უბანში; მაქვს საკუთარი ბინა, რომლის ღირებულება მილიონ ორმოც-ორმოცდაათზე ნაკლები არ იქნება, სანაპიროზე კი – ოთხოთახიანი საზაფხულო კოტეჯი. ჩემ შემოსავალს არავის ვუმალავ, თვეში მილიონ ლირაზე ნაკლებს არ ვიღებ; მაქვს აგრეთვე ორი მანქანა, ერთით მე ვსარგებლობ, მეორეთი – ჩემი ცოლი; მეტი სიცხადისთვის იმასაც დავძენდი, რომ თავად უბრალო, მცირელიტრაჟიანი მანქანით დავდივარ, ჩემმა ცოლმა კი თავისთვის უფრო ძვირფასი, ინგლისური მარკის მანქანა აიჩრია.

მყავს ორი ვაჟიშვილი, საუკეთესო სკოლაშიც სწავლობენ და სულ პატარაობიდანვე მაღალი წრის ოჯახისშვილებთან მეგობრობენ. არა მგონია, ჩემს ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს; იმას რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ, თავისუფალი პროფესიის ადამიანებს, როგორც იტყვიან, ღმერთი გვმფარველობს; თუმცა წინასწარ ამის თქმა ძნელია, მაგრამ სანამ ძალა და უნარი შემწევს და ალბათ არც მომავალში მიმტყუნებს ბედი, საკუთარი თავისა და ჩემი ოჯახის რჩენას ყოველთვის შევძლებ.

ერთი სიტყვით, მე გახლავართ ბურჟუა, ძლიერი, საშუალო ფენის წარმომადგენელი და იმ სერიოზულ, პატიოსან და შრომისმოყვარე ადამიანთა კატეგორიას ვეკუთვნი, ვისაც ბევრი, თავისი სიბრიყვის გამო, ალმაცერად უყურებს და სძულს კიდეც; კი არ ვიცი ამ სიძულვილის მიზეზი, ეგებ შური, ანდა სულაც კლასობრივი მტრობაა, – რასაც ბევრი ამტკიცებს, – მგონი, სინამდვილეში ასეცაა.

ის „საფეხური“, რომელზედაც ფეხი შევდგი და ის მდგომარეობა, რაც ჩემი კლასის ცხოვრებაში მოვიპოვე, მუდამ ოცნების მწვერვალად მიმაჩნდა და ორმოცი წლის ასაკში მაინც ავისრულე. მე ეგრეთ წოდებული განათლებული ბურჟუების ფენას ვეკუთვნი, თუნდაც იმიტომ, რომ გამწარებით არ ვებლაუჭები კერძო საკუთრებას და არც ქონების დაგროვების მანიით ვარ შეპყრობილი. ბინა აუცილებელი იყო, ვილა ზაფხულში

დასასვენებლად გვჭირდებოდა, მაგრამ ჩემთვის სულ არა აქვს მნიშვნელობა, ვისი საკუთრება იქნებოდა, ამიტომ ჩემი ცოლის სახელზე დავწერე, მითუმეტეს, რომ იგი ამისთანა რამეებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს; მის სახელზეა აგრეთვე, ორივე მანქანა, უფრო სწორად, ერთი მის სახელზე, მეორე – ჩემი სიმამრისა, რომელმაც მილანში პატარა საქმე წამოიწყო.



ავეჯი ძველებური გვაქვს, ხარისხიანი, მე თვითონ შევარჩიე; საერთოდ, ძველებური ნივთების კოლექციონერობა ჩემი ყველაზე დიდი გატაცებაა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ ავეჯს დავკანკალებდე, ბინის მოწყობა ხომ საჭიროა, მეც სხვა რა უნდა მექნა, ერთი კია, ამა-საც საკუთრებად ჩამითვლიან; მაგრამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო ზუსტად ასეთი ავეჯის შექმნა განვაღებთ, უარს რატომ ვიტყვოდი!

სურათებიც ასევე შევიძინე; ძალიან მიყვარს ხელოვნება, მაგრამ აზრადაც არასდროს მომსვლია, რომ ეს ფულის დაბანდების საუკეთესო გზა იყო; ასეა თუ ისე ჩემი ცოლი მაინც ამ საზომით ზომავს სურათებით ჩემს გატაცებას და ძალიან უხარია, როცა შინ ახალი შენაძენით გამოვეცხადები ხოლმე; ოღონდ ერთ რამეში მაინც არ მეთანხმება, არა, გემოვნებას კი არ მიწუნებს, პირიქით, ჩემს გატაცებას კიდეც იზიარებს და აფასებს, მაგრამ მისი აზრით, თურმე არცთუ „პერსპექტიულ“ მხატვრებს ვირჩევ, ანუ ისეთებს არასოდეს ვყიდულობ, რომელთა სურათები დღეს შეიძლება ძალიან იაფია, მოკლე ხანში, სულ რამდენიმე წელიწადში კი მათი ფასი საგრძნობლად მოიმატებს.

ამ თვალსაზრისით მე უფარგისი კოლექციონერი ვყოფილვარ. მე კი უმეტესად იმ სახელოვანი მხატვრების სურათებს ვყიდულობ, ვინც ყოველთვის მიყვარდა და დაუფიქრებლადაც ვიხდი საკმაოდ დიდ თანხას, ასეთები კი თურმე სარფიანი არა ყოფილა.

ეს საუბარი საგანგებოდ იმისთვის წამოვიწყე, რომ ერთი ფრიად ყურადსაღები ფაქტი აღმენიშნა და აი, კერძოდ, რა – თუმცა კი ბურჟუა გახლავარ, კერძო საკუთრების გრძნობა მაინცდამაინც ჰიპერტროფირებული არ უნდა მქონდეს, ყოველ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ ადამიანი არ უნდა განსაჯო მისი ფულისა და საერთოდ სიმდიდრის მიხედვით. ადამიანის უპირველესი ღირსება და ჭეშმარიტი სიმდიდრე მისი ჭკუაგონება და გამძლეობაა, ანუ მისი შრომისუნარიანობა და საკუთარი თავის მუდმივ გადახალისებაზე ზრუნვა.

ასეთია ერთი ხელის მოსმით დახატული ჩემი ავტოპორტრეტი, ოღონდ აქ მთავარი ისაა, რომ ამ დროს საკუთარ თავს გარედან, ასე ვთქვათ, სხვისი თვალით ვუყურებდი და არა წინასწარ შექმნილი აზრით, რაკი ჩემი

მიზანი იყო საკუთარ თავს დავლაპარაკებოდი და ბოლოს და ბოლოს ის მიზეზებიც გამერკვია, რაც ასე რიგად უღრღნის გულსა და ტვინს ჩემ ცოლს და წარმოიდგინეთ, ჩემ შვილებსაც. ამიტომ ერთ დღესაც პირდაპირ ვკითხე, რა იყო მისი გამუდმებული ნუხილისა და უგუნებობის მიზეზი. და აი, რა პასუხი მივიღე:

– ფული, ჩემო ძვირფასო, ყველაფრის მიზეზი ფულია!

კარგად იცი, რომ ყოველთვის გულწრფელი ვიყავი შენთან და არ ვითვალთმაქცებ, ცხოვრებაში მთავარი ფულია და მეც ყველაზე ძალიან ფული მიყვარს.

– ჩემზე მეტად? – ხუმრობით კი ვკითხე, მაგრამ წყენა და შეშფოთება მაინც ვერ დავმალე.

მან შემომხედა ნათელი, ცასავით კრიალა თვალებით და მტკიცედ გამომიცხადა:

– დიახ, შენზე მეტად! – მერე კარგა ხანს დადუმდა, თუმცა ღიმილითა და გამომცდელი თვალით გადმომხედავდა ხოლმე; მე გვერდით ვეჯექი და სახეში შეხედვასაც ვერ ვუბედავდი, – აი, ხედავ, ჩემო კარგო, სიმართლე რომ გითხარი, გენყინა; შენ გგონია ტყუილის თქმა გამიჭირდებოდა და ეშმაკურად, ენის მოჩლეკით ვერ გეტყვოდი, არა, შენ უფრო მეტად მიყვარხარ-მეთქი? მაშინ ხომ დამიჯერებდი! ქალების უმრავლესობა აკი ასეც იქცევა და მიზანსაც აღწევს; მაგრამ მე ასეთი არ გახლავარ, ამიტომ ალალი გულით გითხარი ფული შენზე მეტად მიყვარს-მეთქი, თუმცა შენც კარგად იცი, როგორ მიყვარხარ და ახლაც ამის დამტკიცება მინდა...

სიტყვა აღარ დავამთავრებინე.

– მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, არც ფული მქონდა და არც ის ვიცოდი, თუ ოდესმე მექნებოდა, შენ კი მაინც გამომეყვი ცოლად, თან არც არანაირი პირობა არ წამოგიყენებია!

მან გულიანად გაიცინა და თავზე ხელი გადამისვა.

– მართალი ხარ, სწორედ ასე იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ შრომისმოყვარე იყავი და ფულსაც რალა თქმა უნდა, იშოვიდი!

– საიდან იცოდი?

– ვიცოდი, რა ძნელი მისახვედრი ეს იყო; ჯერ ერთი, შენ მე გიყვარდი, მერე შენ მამაკაცების იმ მოდგმას ეკუთვნი, რომელთაც თვალის ერთი შეველებით ამოიცნობ. მიჭირს ამის ახსნა, ვთქვათ, თუნდაც შენი

სახის გამომეტყველება, შენი ჯგაგარივით ურჩი თმა, სიმაღლე, საერთოდ, მთელი შენი იერი იმის გარანტია იყო, რომ ფულის შოვნა არ გაგიჭირდებოდა; ესეც არ იყოს, ძლიერი ხარ, ამტანი, თანაც კეთილი, ოღონდ, რასაკვირველია, კეთილი ჩემი და შენი შვილებისთვის და არა სხვებისთვის, მათთან მკაცრიც ხარ და მტკიცეც; ისიც ვიცი, რომ ფიქრით სულ ჩვენ დაგვტრიალებ და ჩვენი კეთილდღეობის მეტი საზრუნავი არა გაქვს, მთელ შენ ცხოვრებას მე და ჩვენი შვილები ვავსებთ; ყველაზე მთავარი კი ესაა, რადგან იმის პირობაცაა, რომ შენ არც პოლიტიკა გაგიტაცებს და არც კულტურასა თუ ხელოვნებაზე ფიქრით აიტკივებ თავს, თუ

მხედველობაში არ მივიღებთ სურათებითა და ძველებური ნივთებით შენს გატაცებას, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ჩემთვის მთავარია, ფიქრებმა არ აგიყოლიოს.

– ეს რალას ნიშნავს, რას ამბობ, ჩემი პროფესიის ადამიანმა ხომ შეუძლებელია არ იფიქროს, რა გგონია, მე ქირურგს, ოპერაციის გასაკეთებლად თუ დიაგნოზის დასასმელად მარტო ხელები მჭირდება და თავი არაფერ შუაშია?

– ვერ გამიგე, სულელო! – არხეინად გაიცინა მან, – გჭირდება, როგორ არ გჭირდება და ფიქრობ კიდევ, ტყუილად მყავხარ ასეთი ჭკუის კოლოფი? მაგრამ ფიქრიც არის და ფიქრიც! ჩემისთანა ცოლისა და ასეთი შვილების პატრონმა, ასეთი ძვირფასი ავეჯის, სურათების, ბინების, მანქანებისა და კიდევ სხვა და სხვა ქონების პატრონმა იმდენი უნდა იფიქრო, რამდენიც შენს ოჯახს სჭირდება, „ფიქრსა“ და „თავის ატკივებაზე“ რომ გელაპარაკებოდი, სულ სხვა რამ მქონდა მხედველობაში...

– მაინც რა, ნება მიბოძე ცნობისმოყვარეობა გამოვიჩინო!

– დიახ, მხედველობაში მქონდა უსარგებლო, ფუჭი ფიქრი... როგორ გაგაგებინო, ესე იგი იმაზე კი არ უნდა იფიქრო, რაც თავისთავად, შენს მიღმა არსებობს და ოჯახს არაფერში გამოადგება...

– მაგალითად?

– მაგალითად ის, რომ სხვანაირი ფიქრი და, საერთოდ, ამდაგვარი რამეები მამაკაცს დალუპვის გზაზე აყენებს, უვარგის ქმრად და უსულგულო მამად აქცევს, საბოლოოდ კი მთლად ჯიბეგაფხეკილს ტოვებს.



მხატვარი ლალი ზამბახიძე

ახლა მაინც თუ გაიგე? მოგესხენება, დიდი ფილოსოფოსი არ გახლავარ და არც მე ავიტყვივებ დიდად თავს ფიქრით, მაგრამ მგონია რალაც მაინც შეგასმინე; ერთი სიტყვით, იმაზე არ უნდა იფიქრო, რასაც ოჯახისთვის სარგებელი არ მოაქვს...

– ვერა, ვერაფერი შემასმინე, მაპატიე, მაგრამ ბარემ პირდაპირ თქვი, რისი თქმაც გინდა, მაინც რა გაქვს მხედველობაში – მორალი, რელიგია, სილამაზე, თავისუფლება თუ რა?!..

– ეს ყველაფერი ხომ ძალი და კატასავით ეწყობა ერთმანეთს!

აი, რა აზრები გადმოაფრქვია ჩემმა ცოლმა. ერთი შეხედვით, თითქოს მისი სიტყვები, მისი მსჯელობა სულაც არ ეწინააღმდეგებოდა ჩემსას, თითქოს არც თვითონ და არც შვილები უკმაყოფილონი არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი პირიქით ჩანდა; ამას გულიც მიგრძნობდა და ყოველდღე საკუთარი თვალითაც ვხედავდი ამის მაგალითებს; განა ერთხელ და ორჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, როცა ჩემი ცოლი, როგორც იტყვიან, აინყვეტდა ხოლმე, გაღიზიანებული თუ გაბოროტებული აქეთ-იქით აწყდებოდა, ანდა დივანზე რომ იწვა გარინდებული და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა... ხანაც ფანქარსა და ქალაქს აიღებდა და გამალებული ანგარიშობდა, თუმცა მალევე კარგავდა მოთმინებას და აღშფოთებული განზე მოისროდა. რაკი ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირად მეორდებოდა, გადავწყვიტე, ერთხელაც გულახდილად უნდა დავილაპარაკოთ-მეთქი და ვკითხე, რა გემართება, მაინც რა განუხებს ისეთი, ეგებ მე მაინც გამანდო, შენი ასეთი დაღვრემილობისა და გუნება-განწყობის მიზეზი რა არის-მეთქი.

– თუ გგონია ეს მარტო გუნება-განწყობაა, ღრმად ცდები! – ცივად მიპასუხა მან, – მეცა მაქვს ჩემი საფიქრალი და საზრუნავი და საკმარისზე მეტიც, სწორედ ამან დამიკარგა მოსვენება!

გამიკვირდა, ასეთი მაინც რა უნდა სტანჯავდეს-მეთქი; თითქოს ყველაფრით უზრუნველყოფილია, იმისთანა არაფერი აკლია, რაც შეიძლება ქალმა ინატროს; უკმაყოფილების მიზეზი თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეს, ფული იმაზე მეტი აქვს, რამდენიც უნდა, სხვა რა უნდა იყოს მისი გაუთავებელი უგუნებობის მიზეზი. ნუთუ მიხვდა, რომ მისი აკვიატებული „ფული ყველაფერია“ ჭეშმარიტება არ ყოფილა-მეთქი და ბოლოს ესეც ვკითხე. ერთი კი შემომხედა გაკვირვებით და თქვა:

– აბა, რას ამბობ, რასაკვირველია, ფული ყველაფერია და სწორედ ეს მაშფოთებს, ძვირფასო, სწორედ ამან დამიკარგა მოსვენება!

– ველარაფერი გამიგია! – ახლა მე აღვშფოთდი, – ფული ხომ თავზე საყრელი გაქვს, მეტი რა გინდა, რა გაფორიაქებს?

– ეეჰ, მაინც ვერ გაიგე! გონებაშეზღუდული ხარ თუ უბრალოდ არ გინდა, რომ გაიგო? ჰო, მართალია, ფული კი მაქვს, როგორ არა, მაგრამ დღეს მაქვს, ხვალ, ერთი წლის მერე, ხუთი, ათი წლის მერე კიდევ მექნე-

ბა? მატერიალურად მთლიანად შენზე ვარ დამოკიდებული, აბა, მითხარი, ხვალ რომ მოკვდე, მე რა მეშველება? შემიძლია ისე ვიცხოვრო, როგორც დღეს ვცხოვრობ? მეორეჯერ მე ვერ გავთხოვდები, ჩემი ასაკის გამო, სპეციალობა მე არ გამაჩნია, არც სხვა რამ განსაკუთრებული!

იგი გაჩუმდა, ღანვებზე ორი მსხვილი კურცხალი ჩამოუგორდა, უდავოდ წრფელი დარდის მანიშნებელი და უსაზღვრო სასონარკვეთილებამ ერთიანად შეუცვალა საყვარელი სახის ჯერ კიდევ ლამაზი ნაკვთები.

ჩემი სიტყვის პატრონი თავად გახლავარ

მდიდარი კაცი ვარ; ცხოვრებაში თავად გავიკვლიე გზა, კაცად ვიქეცი. ჩვეულებრივად არც არაფერს ვწერ და არც არაფერს ვკითხულობ, მხოლოდ ვლაპარაკობ. ახლაც ჩემდაუნებურად ავიღე კალამი, რადგან უცებ ვიგრძენი, რომ ფრაზამ „ცხოვრებაში თავად გავიკვლიე გზა“, კინაღამ ჭკუიდან შემშალა, მგონი ამ ქალაქსაც დავხევე და კალამსაც ფანჯრიდან მოვისვრი.

ასე მაინც რატომ მალიზიანებს და მაშმაგებს ეს ფრაზა? ასეთ აბდაუბდას ხომ ისევ ჩემისთანა ადამიანები თხზავენ, ისინი, ვინც საკუთარი ხელით შეაკონინეს თავიანთი ქონება. სხვათა შორის, ეს გამოთქმაც, „საკუთარი ხელით ქონების შეკონინება“ საკმაოდ გაცვეთილი, უხამსი და სასაცილო მეჩვენება, პირდაპირ ყელში მეჩხირება.

ისე ამიყოლია ამ ფიქრებმა, რომ ბოლოს დავასკვენი ყოველი სიტყვა ასე თუ ისე, მაინც გაცვეთილი, ბანალური და სასაცილოა-მეთქი.

შეიძლება შემედავონ, თვითონ სიტყვები კი არ არის გაცვეთილი, უხამსი და ბანალური, არამედ ის, თუ როგორაა განლაგებული და ერთმანეთთან შეწყობილი ეს სიტყვები ფრაზაში.

მე დადებითი ადამიანი ვარ, ასაკოვანი; ისე გამიტაცა ფიქრებმა ჩემი მდიდრული კაბინეტის სიმყუდროვეში, – დიდებული ცათამბჯენის ნახევარი სართული რომ უკავია, – რომ ბოლოს ამ დასკვნამდე მივედი – ადამიანმა ცალკეული სიტყვებით უნდა ისარგებლოს და არა ამ სიტყვებისგან შეკონინებული ფრაზებით. მაშასადამე, ცივილიზებულ საზოგადოებაში სიტყვები საერთოდ უნდა გაქრეს და ადგილი დაუთმოს უფრო უშუალო, მინაარსიან, „სინთეტურ“ და, რაც მთავარია, ინდივიდუალურობის მაჩვენებელ, საურთიერთო საშუალებებს. სიტყვებით ისედაც ყველა სარგებლობს, ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ისინი ასე გაუფერულდა. როცა განურჩევლად ყველას აქვს უფლება თავისი შეხედულებებისამებრ გამოიყენოს ისინი, სწორედ ამამა მთელი ბოროტებაც. უკულტურობაა და სირცხვილი, როცა ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად იმისა, მაღალია თუ დაბალი, მსუქანი თუ გამხდა-

რი, ლამაზი თუ უშნო, ძლიერი თუ სუსტი, ჭკვიანი თუ სულელი, შეუძლია ერთნაირი სიტყვებით ისარგებლოს, თანაბარი უფლება აქვს მიუხედავად სიმაღლისა, სიმსუქნისა, მიმზიდველობისა, ძალისა თუ ჭკუისა! აბა, ერთი წარმოდგინეთ, მე, საშუალო სიმაღლის კაცმა, ჩასკვნილმა, საკმაოდ გონიერმა, მდიდარმა, ბუძგურად გაკრეჭილმა, სათვალისა რაიმე ნივთი იმავე სიტყვით ვახსენო, რომლითაც ვილაყ აყლაყუდა, გაძვალტყავებული, უჭკუო, მელოტი, უსათვალო და ჯიბეგაფხეკილი ბოგანო ახსენებს! ეს მარტო სოციალური თვალსაზრისით კი არ არის სამარცხვინო, ამავე დროს სალი აზრის საწინააღმდეგოცაა. სინამდვილეში, ვინ დადგება იმის თავდებად, რომ გამხდარი ზუსტად ისე და იგივე თვალსაზრისით უყურებს მოცემულ საგანს, როგორც მე, მსუქანი კაცი. ერთი და იმავე ნივთმა შეიძლება მასში სრულიად სხვა ფიზიკური, ქიმიური, ფსიქიკური თუ ინტელექტუალური რეაქცია გამოიწვიოს, ჩემში კი სხვა! ან რა სავალდებულოა ერთი და იგივე სიტყვა გამოვიყენოთ ერთი და იმავე საგნის დასახელებისას. მისი სიტყვა ხომ მასავით ანონილი, მჭლე, ბოგანო, მელოტი და სულელი იქნება, ჩემი კი, შესაბამისად – მსუქანი, ჩასკვნილი, გონივრული, მდიდარი, მოკლედ შეკრეჭილი, სათვალისა. ვთქვათ, გვინდა რაიმე სიტყვით განვსაზღვროთ ხე; დაე, ყველამ ის სიტყვა გამოიყენოს, რომლითაც გამოხატავს საკუთარ არსსაც, თავის ფიზიკურ, ქიმიურ, ფსიქიკურ თუ ინტელექტუალურ რეაქციასაც, რათა ამ სიტყვამ შეიძინოს ინდივიდუალური შეფერილობა და უშუალოდ გამოხატოს მისი საკუთარი, პირადი დამოკიდებულება მოცემული ნივთის მიმართ.

ალბათ კვლავ შემეკამათებინ: „ისე გამოდის, რომ ყოველ ცალკეულ ადამიანს თავისი კერძო, „პირადი“ ენა უნდა ჰქონდესო?“ დიახ, ყოველ ცოცხალ არსებას თავისი ენა უნდა ჰქონდეს! წინასწარ ვიცი, რომ თავს დამესხმიან და საყვედურებით ამავსებენ, ყველა სხვადასხვა ენაზე რომ ალაპარაკდეს, ბაბილონის გოდოლი მონაგონი იქნებაო.

მე კი მათ ასე ვუპასუხებდი: ამის მაგალითად ცხოველებიც კმარა, მათ სიტყვები არა აქვთ, მაგრამ ერთმანეთს მშვენივრად აგებინებენ; თუნდაც სუნით! მათ ხომ სულ სხვანაირი და სრულიად განსხვავებული ბგერები და სუნი აქვთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ

ადამიანთა საზოგადოებაში სწორედ დანაწევრებული მეტყველების წარმოშობამ მიგვიყვანა იმისთანა მავნე შედეგამდე, რაც ბუნებაში არ არსებობს.

აბა, ერთი მიბრძანეთ, გეთაყვა, მე, მდიდარმა, გავლენიანმა კაცმა, რატომ უნდა გავუტოლო თავი ჩემ შიკრიკს და იმავე ენით ვილაპარაკო, რითიც ის ლაპარაკობს, ასე ხომ მე და ის თანასწორები გამოვიდვართ, რაკი ისეთი რამ გვათანაბრებს, მეტყველების უნარს რომ უწოდებენ! ჩემი აზრით, ეს მართებული არ უნდა იყოს! ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ მე მდიდარი ვარ და ძალაუფლება მაქვს, მას კი სხვა არაფერი გააჩნია, გარდა ამ ყბადაღებული „მეტყველების უნარისა“, ძალაუფლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

უთუოდ ამაზეც შემედავებინ, ვითომ ჰაერიც, რითიც ვსუნთქავთ, და თვით სიცოცხლეც აკი ყოველ ადამიანს აქვს ბოძებული და არა ცალკეულ პიროვნებებს, ვინც ტოლს არავის უდებსო. ეს შეიძლება ასეც არის, მაგრამ გაუგებარია, რატომ და თანაც უსამართლოა. აბა, განსაჯეთ, ყველა განურჩევლად რატომ სუნთქავს? მადლობა უფალს, ამქვეყანაზე ადამიანის სამართლის გარდა, ღმერთის სამართალიც არსებობს და ეს დება ბუნებამაც გაითვალისწინა, როცა ჰაერიც

დოზირებული გახდა ავადმყოფობებისა და სიკვდილის მეშვეობით. მე, მაგალითად, 75 წლის კაცი, სრულიად ჯანმრთელი გახლავართ და მთელი მკერდით, რამდენიც მინდა და როგორც მინდა, ისე ვსუნთქავ. სხვები კი ძლივძლივობით სუნთქავენ და უფრო ადრეც იხოცებიან.

თუმცა ისევ სიტყვებს დავუბრუნდეთ, სიტყვები სოციალური მოვლენაა და არა ბუნებრივი, ამიტომ უსამართლოდ მიმაჩნია და უხამსობადაც კი, რომ ჩემს შიკრიკსა და მე ერთნაირი უფლებები გვაქვს. პატიოსნად რომ ვთქვა, – ჩემი უსინდისობა არავის უთქვამს, – მე ყველა სიტყვას არც ვიჩემებ. არც მე მმართებს შიკრიკის ლექსიკონის გამოყენება. მაშინ ხომ ისე გამოვა, თითქოს ყველა ცდილობს დაისაკუთროს ის, რაც სინამდვილეში არ ეკუთვნის, ამას კი ნამდვილი ქურდობა ჰქვია. ამას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მთლიანად მოვსპოთ უხამსი, გაცვეთილი და უაზრო სიტყვები და სამაგიეროდ, ყოველმა ჩვენგანმა გამოვიგონოთ ჩვენი საგანგებო ბგერები, სუნი, ხმა, რაც ჩვენ პირად განცდებსა თუ ნააზრევს გამოხატავს.

„ნეშენალ გუქის“ ახალი ლაპარაკები

ახალგაზრდული ლიტერატურა – **მ. თ. ანდერსონი**, „ოქტავიანე არარაობა“.

პოეზია – **ნათანიელ მექი**, „უშნო ჰომინი“.

დოკუმენტური პროზა – **ტიმოთი ივანი**, „ყველაზე უარესი, მძიმე დრო“

პროზა – **რიჩარდ პაუერსი**, „ექოს გამომცემი“.

ამერიკულ მწერლობაში განსაკუთრებული წვლილისათვის – **ედრიენ რიჩი**.

ამერიკული სამწერლო საზოგადოების სამსახურში განუღწევი განსაკუთრებული წვლილისათვის – **რობერტ სილვერსი და ბარბარა ეპშტაინი**.

ამას ზოგიერთ სხვა მოსაზრებებსაც დავუმატებდი, კერძოდ, ხელნაწერისა და ნაბეჭდი სიტყვების შესახებ; ცალ-ცალკე იმიტომ აღვნიშნავ, რომ ეს ერთი და იგივე არ არის, დაწერილ და ნაბეჭდ სიტყვებს შორის სხვაობა იგივეა, რაც ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტს შორის; ხელნაწერი იმდენად ინდივიდუალურია, რომ ორ, ერთნაირს ვერ ნახავთ, მაშინ როცა ნაბეჭდი ტექსტი მუდამ ერთნაირია. ცნობილია, რომ წერა უფრო ადრე დაიბადა, ვიდრე სიტყვა. თავდაპირველად ადამიანები სიტყვებით კი არ აღნიშნავდნენ საგნებს, არამედ ნიშნებით, რაც ამ ნივთებს გულისხმობდა. ერთი სიტყვით, ჩემი თეზისების გასამყარებლად მინდა ვთქვა, რომ აუცილებელია სიტყვა შეცვალოს ბგერამ, ანდა რაღაც ნიშანმა; ქალაქის ფურცელზე დაწერილი სიტყვები წარმომიდგება ხოლმე სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფების ხროვად. თუ სათითაოდ ყველა ასოს დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ თქვენ თვალწინ ნამოიშლებიან ორივე სქესის ანონილი, ჩია, კუზიანი, მოღრეცილი, აღსასრულის ჟამის დადგომის მომლოდინე ადამიანები. და აი, აღსასრულიც დგება! მაგალითისთვის თუნდაც ისიც კმარა, რომ გაზეთებს ყოველთვის ცეცხლში ყრიან. ასეთ დროს ისეთი გრძნობა მომერევა ხოლმე, თითქოს კაცები, ქალები და ბავშვები ინვიან, რადგან მანამდე ასოები იყვნენ და ადამიანებს აღნიშნავდა, მაშასადამე, ინვიან თვითონ ადამიანები. ასე მგონია, ამასვე ფიქრობდნენ ისინი, ვინც კრემატორიუმის ლუმელებში სწავდნენ ადამიანებს – კაცებს, ქალებსა და ბავშვებს; ჯერ სიტყვები ინვოდა, მერე ამ სიტყვებით გამოთქმული იდეები, მაგრამ იმდენად, რამდენადაც სიტყვებსაც და იდეებსაც თვითონ ადამიანები საუნჯესავით ინახავდნენ გულში, ისე ვერ განადგურებდნენ სიტყვებსა და იდეებს, ადამიანები, მათი პატრონები, რომ არ დაეწვათ.

რაც შეეხება წერილობით სიტყვას, რომელსაც ადამიანი ადამიანებთან ურთიერთობის დროს იყენებს, თუკი პირისპირ შეხვედრას ვერ ახერხებს, ისიც განადგურებისთვისაა განწირული იმავე მიზეზით, რაც ზეპირი სიტყვა. მოცემულ შემთხვევაში კვლავ საკუთრების უფლება იგულისხმება. თუკი გაზეთი ან წიგნი სარგებლობს ჩემი, თუნდაც სხვისი, სიტყვებით, ეს ნამდვილი ქურდობაა, მაგრამ ამას ხომ მოძველებული და უნიჭო სისხლის სამართლის კოდექსი არ აღიარებს.

ერთი სიტყვით, შეგვიძლია აქედან გამოვიტანოთ დასკვნა – ყველას თავისი ენა უნდა ჰქონდეს და დაიცვას კიდეც ქურდებისგან კერძო საკუთრების წმინდა პრინციპის სახელით. მეც ავდექი და ჩემი პირადი, სასაუბრო ენის ისეთი

საშუალება გამოვიგონე, რომელიც ამ ქვეყანაზე არც ერთ არსებულ, გაცვეთილ და მოძველებულ ენებს არა ჰგავს და არც სხვა საშუალება არსებობს, საკუთარი სიტყვები სხვათა ხელყოფისაგან დაიცვა; და რამდენადაც ვერ ავიტან, რომ ჩემი სიტყვებით ყველამ ისარგებლოს, ვისაც მოუნდება, ამდენად აუცილებლად და საჭიროდ მივიჩნე თავადვე შემექმნა ურთიერთობისა და თვითგამოხატვის სრულიად განსხვავებული საშუალება.

რა აზრი არ მომდიოდა თავში, როცა ჩემს მყუდრო კაბინეტში ვიჯექი და ვფიქრობდი! რა ცდები თუ ექსპერიმენტები არ ჩავატარე! რამდენიმე ლექსიც კი შევთხზე, თან ისეთი ხერხები გამოვიყენე, რომ ჩემი სათქმელის კვინტესენცია ყოფილიყო. რაღა თქმა უნდა, ვერავინ ვერაფერი გაიგო, ჩემმა მდივანმაც კი, რომელიც მთელი ოცდაათი წელი ერთგულად მემსახურებოდა და ახლობლებზე ხომ აღარაფერს ვიტყვი! მაშასადამე, ეს ლექსები ურთიერთობის საშუალებად არ გამოდგებოდა, სამაგიეროდ, თვითგამოხატვის უკეთეს ხერხს სხვა ვერავინ მოიფიქრებდა. ეს ცდები მალევე შევწყვიტე, თუმცა იმის იმედი არ დამიკარგავს, რომ დროთა განმავლობაში ჩემი მდივანიცა და ნათესავებიც, ასევე სხვები, ამ ლექსების გაშიფვრასაც შეეცდებოდნენ და ზეპირადაც კი ისწავლიდნენ, თუ არ გამოიყენებდნენ. ასე რომ, ამ ჩვეულებრივი სიტყვების მსგავსად მეც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

მაგრამ ამით არ დამიშთავრებია, ახლა სრულიად განსხვავებული და უფრო რთული ექსპერიმენტი წამოვიწყე, რისთვისაც კარგა დიდი დრო დამჭირდა და მხოლოდ დღეს, ახლა გამომყავს ამ ქალაქზე ჩემს ცხოვრებაში, ჩემი უკანასკნელი სიტყვები; დიას, მაინც ვიპოვე, აღმოვაჩინე ჭეშმარიტად ჩემი, მხოლოდ ჩემი, საკუთარი ენა! ამას ხომ მაინც ვერავინ და ვერასოდეს მომპარავს! ის მთლიანად და ერთიანად მე გამომხატავს და საერთოდ, ვფიქრობ, თვითგამოხატვის ბრწყინვალე ნიმუშადაც გამოდგება; უფრო სწორად, მე კი არ მიპოვია ის, თვითონ გამომეცხადა, გეგონებოდათ, ციდან ჩამოვარდაო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველაფერი გენიალური სადაა, უბრალო; ამ ენას სულაც არ სჭირდება სიტყვები თუნდა წერილობითი იყოს და თუნდაც ზეპირი, მდებარებითი თუ მამრობითი სქესისა, სულელური, ოკრობოკრო, კუზიანი, მობრეცილი, მოუქნელი, ყურპანტურა თუ პირდაფჩენილი. ჩემი ეს ახალი სიტყვა პირადად მე მეკუთვნის, ჩემია და ეს გახლავთ – დუმილი.

სამშაბათს, 26 დეკემბერს
ქართული ლიტერატურის მუზეუმში
გაიმართება

რევაზ ინანიშვილის
დაბადებიდან
80 წლისთავისადმი
მიძღვნილი საღამო

დასაწყისი 16 საათზე
ჭანტურიას №8

**იტალიურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიკა**

* * *

ეკრანზე მედია ჯაფარიძე მოჩანს. კიდე ერთხელ რწმუნდები, რომ წლებმა შეიძლება სრულებით ვერ იმოქმედოს ადამიანის გარეგნობაზე.

ასე არ იყო მერი შერვაშიძე?
ასე არ იყო მელიტა ჩოლოყაშვილი?

ნეტა ქალბატონ მედეასაც დასცლოდა მათსავე ხანგრძლივი სიცოცხლე.

რომაულ შთაბეჭდილებებს იხსენებს. ყოველთვის მშვიდი, ალელვებას ვერ ფარავს. თურმე გრანდიოზული მშვენიერების მხილველი, მოქანდაკეთა თუ მხატვართა იშვიათ მიღწევათა შემყურე ჯერაც ვერ გამოფხიზლებულა აღმტაც განცდათაგან და... უეცრად რომის მთავარ მოედანზე, შადრევანთან მიყრილ ჰიპების ჯგუფს უნდა გადაწყდეს. და ეს მოულოდნელი კონტრასტი გულისშემძვრელი უნდა აღმოჩნდეს მისთვის. განსაკუთრებით ის აღაშფოთებს, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩახრინწული ხმით მღერის დედაზე ცინიკურ სიმღერას.

– ის იყო ნამდვილი... ნამდვილი...

ექებს ყველაზე მწვავე, ყველაზე მძაფრ სიტყვას აღშფოთების გამოსახატავად. და ბოლოს-ბოლოს მიაგნებს:

– ნამდვილი უნიჭო!

სულ რომ არაფერი იცოდე მედია ჯაფარიძის პიროვნულ სიფაქიზეზე, ეს ერთი დეტალიც კანთიელად დაგანახებს მის ბუნებას.



მხატვარი ვასილ შუხაევი

* * *

კონსტანტინე გამსახურდია ივანე მაჩაბლის აჩრდილს აუტყდებოდა – გინდა თუ არა, „ჰამლეტის“ თარგმანს გაუმჯობესება სჭირდებაო. თვითონ მოჰკიდებდა ხელს, ერთი-ორ სცენასაც გამოაქვეყნებდა და... მიხვდებოდა, ეს ნამოწყება მარცხისთვისაა განწირულიო. კრიტიკულ სტატიას კი დაბეჭდავდა და ამით მოიკლავდა მეტოქეობის ფინს.

ვახტანგ ჭელიძეს, ივანე მაჩაბლის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, უმართებულოდ მოეჩვენებოდა კრიტიკულ შენიშვნათა ეს წყება, გამოქომაგებას გადაწყვეტდა და საპასუხო წერილსაც შეადგენდა მათ გასაბათილებლად.

წერილს წინასწარ ნააკითხებდა იოსებ გრიშაშვილს, ვის გემოვნებასაც ძალიან ენდობოდა და მოელოდა საგულისხმო მოსაზრებათა გაზიარებას, რაც შესაძლო პოლემიკისას საკმაოდ უნდა წადგომოდა. გარდა ღრმა ზოგადი განათლებისა, იმას უილიამ შექსპირიც და მაჩაბლის თარგმანებიც საფუძვლიანად შეესწავლა. თანაც, კონსტანტინე გამსახურდი-

ასთან ძველისძველი ანგარიშიც ჰქონდა გასასწორებელი. ამიტომაც აცმუკდებოდა და სულ ხელების ფშვნეგით მიიწვევდა ვახტანგ ჭელიძეს მაგიდასთან, ერთად წავიკითხოთო.

დასაწყისში ასეთი ფრაზა ეწერა:

„კონსტანტინე გამსახურდია ქართული ენის კარგ მცოდნედ არის მიჩნეული...“

იოსებ გრიშაშვილი მაშინვე კალამს წამოავლებდა ხელს და ასე ჩაასწორებდა:

„კონსტანტინე გამსახურდიას ქართული ენის მცოდნედ მოაქვს თავი“.

– კი მაგრამ, ეს ხომ სულ სხვა რამ გამოდის, რაც მე არ მიგულისხმია, – შეცბუნდება და შეჰბედავს უმცროსი თანამოკალმე.

იმას კი ისეთი გულუბრყვილო იერი ალბეჭდებდა სახეზე:

– რას ამბობ, როგორ თუ სხვა რამ, ზუსტად ეს აზრი გქონდა გამოთქმული, მე მხოლოდ სტილურად დავხვეწე.

ძველი ანგარიში მაინც ძველი ანგარიშია.



მეგობრული შარჟი თენგიზ გოგოლაძისა



* * *

გულირფში, ნოდარ დუმბაძის აგარაკზე სუფრას მწერლები უსხედან. შემოდის რუსი გენერალი ცოლთან ერთად. იბოდიშებს: დაუპატიჟებლად მოვედიო.

– რა მოხდა ამისთანა, – შეაგებებს კარლო კალაძე, – რუსი გენერლები ყოველთვის დაუპატიჟებლად არ ატყდებიან თავს ქვეყნებს?

და გულში გაივლებს: ან 21-ში როდის მოგიპატიჟეთო.

გენერალი ცოლს გააცნობთ: ნატაშა ჰქვია, თქვენებურად ნატოო.

და ისევ კარლო:

– პირველად ვხედავ ნატოს წევრ საბჭოთა გენერალს.

ხოლო გულში რას გაივლებს, ზეპირი მატყანე დუმბაძის ამჯობინებს.

* * *

მაშინ რევან თვარაძესაც მოვინახულებდით ნიკა სა-
ნებლიძე და მე. პავლე ინგოროყვას სალამოს ვამზადებდით
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – პირველად 87
წლის მკვლევარის ცხოვრებაში – და სიტყვით გამოსვლას
ბატონ რეზისაც ვთხოვდით. იგი აღფრთოვანდებოდა
ახალგაზრდების ასეთი სიყვარულით პავლე ინგოროყვა-
სადმი და არაფრისდიდებით არ გამოგვიშვებდა: აუცილებ-
ლად უნდა დავილოცოთო.

ერთი-ორი ჭიქაც არ
გვქონდა ჯერ ანუელი,
რომ ნოდარ ებრალიძეც
შემოგვესწრებოდა, მას-
პინძლის სიყრმის მეგობარ-
ი, და მის გამოჩენას ბა-
ტონი რეზი მიიჩნევდა კე-
თილ მაცნედ, რომ მომავალ-
ი საზოგადოებრივ-ლი-
ტერატურული თავყრილო-
ბა წარმატებული და შთამ-
ბეჭდავი იქნებოდა.

ალარც მასპინძელს
ვუთმობთ, ალარც ჩვენ ავ-
ჩქარდებით და შევყვებით
და შევყვებით.

ჰქონდა ასეთი სტატია
რევან თვარაძეს – „ოცნე-
ბა ეტრუსკებისათვის“, სა-
მეცნიერო-პოპულარული ყაიდისა, რომელშიც ავტორი
ცდილობდა ისტორიულ ქრონიკათა თუ არქეოლოგიურ
მონაპოვართა მოშველიებით დაემტკიცებინა – ეტრუსკე-
ბი ქართველთა წინაპარი ტომები იყვნენ და ხმელთაშუაზ-
ღვისპირული კულტურის შექმნაში სწორედ ჩვენ გვიძვეს
განსაკუთრებული წვლილიო.

კუნძულ ატლანტიდის ბედისწერა რომ გაიტაცებდა და
სამეცნიერო-პოპულარულ წიგნსაც გადმოიღებდა ქართუ-
ლად ამ თემაზე, იმ უმთავრესი მიზნით – მკითხველსაც უფ-
რო ღრმად ჩაეხედა იმ გადმოცემა-თქმულებებში, ამ მითი-
ური კუნძულის არსებობასა და გაქრობას რომ იუნყებოდა.

პლატონისა და ჰეროდოტეს ცნობები მეტ-ნაკლებად
აღელვებდა ევროპელ სწავლულთა ფიქრსა და ძიებას, რე-
ვან თვარაძე კი ორივე ხელით ჩაეჭიდებოდა ამ ცნობებს და,
ატლანტიდის მცხოვრებთ რეალურად არსებულ ადამიანე-
ბად რომ იგულებდა, ეტრუსკებთან გააბამდა ეთნიკურ და-
ფებს და... ქართული მოდგმის პირვანდელ საცხოვრისს
იქამდე გადაჭიმავდა – უვრცეს არეალს შემოსწერდა ფიქ-
რში და ამ ოცნებით ანთებუ-
ლი მიუყვებოდა ყოველგვარ
კვლევა-ძიებას. შუქურად
ატლანტიდას გრძნობდა,
ისევე, როგორც გრიგოლ
რობაქიძე, ვინც მთელი
ძალ-ღონით მიეღწეოდა ამ
იდუმალეაში შეჭრას.

ნიკა და მე ნელ-ნელა
გავთამამდებოდით და
ჩვენ-ჩვენს მოსაზრებებს
უხედავ დავაფრქვევდით
სუფრაზე... და სულს რომ
მოვითქვამდით, მასპინძე-
ლი მეგობარს მიმართავდა:

– ნოდარ, ჩვენ ასე შორს
არ მივდიოდით.

ატლანტიდაც თავისად
ეგულეობდა და... ნეტა
ჩვენ სად გადავიჭერთ, ეს

კუნძულიც რომ უკან მოვიტოვებ?! არადა, ერთი სიტყ-
ყვაც არ მაგონდება, რას ვლაპარაკობდით.

ამას წინათ ნიკას ვკითხე, ხომ არ გახსოვს, რეზი თვა-
რაძესთან სტუმრობისას რა ვილაპარაკეთ-მეთქი.

– რომ იცოდე, ტინი მიბურლია, ერთი სიტყვა მაინც
გამხსენებოდა, მაგრამ ვერა, ვერაფერი... მარტო ბატონი
რეზის გაოგნებული თვალეზი მაგონდება და ფრაზა: ნო-
დარ, ჩვენ ასე შორს არ მივდიოდითო... ნეტა ჩვენ სადამ-
დე წავედით?!.

... გრიგოლ რობაქიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებ-
და ატლანტიდადან მონაბერი სიოს შეგრძნებას.



მხატვარი კარლო ფაჩულია

როგორ დაიბადა ფილმი

დებიუტი მწარე გამოდგა. თავბედს ინყველიდა, ოპერატორად დავრჩენილიყავი, რეჟისორობას რას ვეპოტინებოდით? კარგი ოპერატორი განა არა სჯობს უვარგის რეჟისორს?! მიხეილ კალატოზოვის შედევი („მიფრინავენ წეროები“) რომ არ ენახა მოსკოვში, ეგებ გულშიც არ გაეველო რეჟისორობის წადილი. დარჩებოდა ოპერატორად, მორჩა და გათავდა. დებიუტიც მშვენიერი ჰქონდა – მთავარი პრიზი კანადის ტელევიზიის კონკურსზე ანუ 10 ათასი დოლარი! და ოპერატორის გარჯით მოპოვებული სოლიდური თანხა, როგორც რეჟისორმა, ქარს გაატანა. მის დადგმულ მხატვრულ ფილმს არავინ ყიდულობდა. კინოგამქირავებელთა ერთსულოვანი უარი ნორჩი კინოფირმის გაკოტრებას ნიშნავდა. ყოველმხრივ ხელი მოეცარა. კინემატოგრაფისტთა ჟურნალი „კაიე დიუ სინემა“ სარკასტული ტექსტით აჯილდოებდა დებიუტანტს:

„კლოდ ლელუში. კარგად დაიმახსოვრეთ ეს სახელი. მას აღარასოდეს აღარ გაიგონებთ“.

200 კილომეტრის სიჩქარით მიაქროლებდა ავტომობილს. საით მიეჩქარებოდა ხელმოცარულ კინორეჟისორს? ზღვისკენ მიქროდა, ზღვისკენ! რაო, თავის დახრჩობა ხომ არ ედო გულში? ვინ იცის, ვინ იცის... მანქანა თავად გაჩერდა ზღვის პირას. ქვიშამ შეანყვეტინა სრბოლა. ჩაეძინა.

გამოღვიძებამ მწარე ფიქრები გაუგრძელა. იჯდა მანქანაში და ლამობდა გაერკვია მარცხის მიზეზი.

კლოდ ლელუში თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ უეცრად ფიქრი გაუწყდა. გარიჟრაჟის ბურუსში მერელა შენიშნა შორეული ფიგურა. ეგონა, მთელ სამყაროში მარტომდარტო ვარო. თურმე ცდებოდა. ფიგურა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა. ორნი ყოფილან. მეორე ფიგურა მომცროა. ბავშვი. ქალი და ბავშვი. ნეტავი რას აკეთებს ეს ქალი აქ?

კლოდ ლელუშს უანგარიშოდ ავიწყდება თავისი უსიამოვნებანი და ინყებს უცნობი ქალის უსიამოვნებათა შეთხზვას. აშკარაა, რომ რაღაც შეემთხვა. ასე რომ არ იყოს, ამ უკაცრიელ პლიაჟზე რატომ გაჩნდებოდა ბავშვთან ერთად? ბავშვი ნაღდად მისი უნდა იყოს. სხვისი შვილები ასე ადრინადად არ გამოჰყავთ სასეირნოდ.

ლელუშმა მანქანის კარი გააღო. უხერხულ პოზაში ძილს სხეული დაეუყუებინა. იზმორება და ქალისკენ მიეშურება. გაჭირვებით მიაბიჯებს ქვიშაში.

ამ ქალს ნამდვილად რაღაც უჭირსო. უნდა შეიტყოს, რა დაატყდა თავს. ეგებ ძალუძს დახმარება. რა თქმა უნდა, უცნობი ქალი ეტყვის, რა შენი საქმეაო და მართალიც

იქნება. მაინც მიეშურება მისკენ. ნისლში ამოტივტივდება კიდეც ერთი პერსონაჟი. ეს გახლავთ ძაღლი. ქალი, ბავშვი და ძაღლი უკაცრიელ პლიაჟზე.

რეჟისორს ეჩვენება, რომ ქალსა და ბავშვს თავიანთ სუსტ მხრებზე შეუდგამთ მთელი მსოფლიო სევდა. ძაღლი კი არაფრად აგდებს მათ უგუნებობას და მხიარულად ხტუნაობს აქეთ-იქით. სველ ქვიშაში დარბის და ირგვლივ ფანტავს ცივი წყლის შხეფებს.

მერე თვალსანიერიდან დაეკარგა ქალიც, ბავშვიც და ძაღლიც. მაგრამ გულში უკვე ჩაუსახლდნენ და ძალიანაც რომ მოინდომოს, ვეღარ გაასახლებს. მისი მდგმურები არიან.

ლელუშმა წარმოიდგინა, რომ ბავშვი მიბარებულა რელიგიურ პანსიონში, რომელიც ჩაკარგულა ნორმანდის მიყრუებულ ალაგას. წარმოიდგინა წუხილი დედისა, რომელიც მოკლე უიკენდის შემდეგ პარიზში უნდა დაბრუნდეს.

ნერვებდანყვეტილი, დაღლილი და უძინარი ჯდება თავის „მერსედესში“, ბლოკნოტს ამოიღებს და წერას იწყებს. სიტყვები ისე მოდიან, თითქოს ვიღაც კარნახობდეს. იბადება ამბავი მარტოხელა ქალისა, რომელიც მდივნად მსახურობს კინორეჟისორთან, ქმარი ყოფილა კასკადიორი და დაღუპულა. ჩნდება ცოლგაყრილი კაცი, ავტომობილელი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს თავისი მანქანა. ქალს გოგო ჰყავს, კაცს – ბიჭი. ისინი თითქმის ტოლები არიან და ინტერნატში იზრდებიან. სწორედ მათი გამოისობით ხვდებიან ერთმანეთს მშობლები. ასეთია სატრფიალო ისტორიის დასაწყისი – კინოგადაღებათა და ავტორობოლების ფონზე.

ლელუშს შესცივდა. დასძრა მანქანა. გზისპირა ბისტროსთან ჩერდება გასათბობად. სვამს ყავას და განაგრძობს წერას. რამდენიმე ფინჯანი მაგარი ყავის შემდეგ ის აღარ არის ავტორი დამარცხებული ფილმისა, რომელსაც არავინ ყიდულობს და კრიტიკოსები დასციინიან. უკაცრიელ პლიაჟზე დაინყო მოულოდნელი ფერიცვალება ახალგაზრდა კაცისა. მაშ, ამ სახელს აღარასოდეს აღარ გაიგონებთო? გაიგონებენ და მერე როგორ!

ფილმის სათაური თავისით მოვიდა. ძიება არ დასჭირვებია. ლელუშის სიტყვით, ეს იყო ყველაზე უბრალო და ბანალური სათაური: „კაცი და ქალი“. ამ ფილმმა კანის ფესტივალზე „ოქროს პალმის რტო“ მოიხვეჭა.

კინოჟურნალის ავტოა წინასწარმეტყველებას გამართლება არ ენერა. მთელმა მსოფლიომ გაიგო კლოდ ლელუშის სახელი.

შაჩერდენე ვისლასთან

ვარშავის აჯანყება (1944 წლის აგვისტო-სექტემბერი) სრული კრახით დამთავრდა. ეს იყო ყველაზე დიდი ტრაგედია პოლონელი ხალხის ისტორიაში – აურაცხელი მსხვერპლი და ლამის მიწასთან გასწორებული დედაქალაქი, რომელსაც სამი თვის შემდეგ კომუნისტები დაეუფლნენ. ასე რომ, პოლონელთა თავგანწირულმა ბრძოლამ ფუჭად ჩაიარა.

„არმია კრაიოვას“ სარდალმა, გენერალმა თადეუშ ბურ-კომოროვსკიმ წითელი არმიის შეჩერება აჯანყებულ ვარშავის მისადგომებთან „რუსების ღალატად“ მონათლა. პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის პრემიერ-მინისტრი სტანისლავ მიკოლაიჩიკი თავის მოგონებათა ნიგნში დაჟინებით იმეორებს, რომ გენერალ როკოსოვსკის შტაბი იმყოფებოდა ვარშავიდან „სულ რამდენიმე

კილომეტრში“ და ნითელი არმია იდგა „ვარშავის სანახებში, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა“.

მიკოლაიჩიკი ამტკიცებს, რომ მდინარე ვისლა, რომელიც ნითელ არმიას ჰყოფდა ვარშავისგან, სერიოზული დაბრკოლება არ ყოფილა და რუსებს რომ მოენდომებინათ, ვარშავას იოლად აიღებდნენო. მიკოლაიჩიკის აზრით, რუსებს არ ეჭაშნიკებოდათ პოლონეთის დედაქალაქის გათავისუფლება სახალხო აჯანყების შედეგად, რომელსაც ისინი არ აკონტროლებდნენ.

მაგრამ არსებობს სხვაგვარი მოსაზრებანიც.

ინგლისელი მკვლევარი ალან კლარკი თავის წიგნში „ბარბაროსა“ (2002) აღნიშნავს, რომ „არმია კრაიოვას“ ენადა ვარშავიდან გერმანელთა სავარაუდო წასვლით წარმოქმნილი ვაკუუმის შევსება. მერე ბრიტანეთის თვითმფრინავები ლონდონიდან ჩამოიყვანდნენ პოლონეთის მთავრობას, რომელიც სამხედრო წარმატებათა პრესტიჟით ისარგებლებდა და ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრს დაიკავებდა (მანამდე ქალაქ ლიუბლინში უკვე შეიქმნა პოლონეთის პროსაბჭოთა მთავრობა).

კლარკის სიტყვით, რუსების შეტევამ თავისი ძალები ამოწურა. იმ მომენტში, როცა ბურ-კომოროვსკიმ პოლონელებს იარაღის ასხმა მოუწოდა, რუსების მარჯვენა ფლანგმა ბალტიისპირეთში გერმანელთა მძლავრი კონტრშეტევა იგემა და აუცილებელი შეიქნა ცენტრიდან ჯარების გაგზავნა მარჯვენა ფლანგის შესანევენად.

ინგლისელი მკვლევარი დასძენს, რომ არსებობდა ჩვეულებრივი სიძნელები მომარაგების ორგანიზაციაში, ჯარი გადაღლილი იყო, საომარი ტექნიკა რემონტის ითხოვდა და ყოველივე ამან გამოიწვია რუსების შეჩერება ვისლასთან.

იმდროინდელ მოვლენათა თანამედროვე და თვითმხილველი, ინგლისელი ჟურნალისტი ალექსანდრ ვერტი წერს: „ერთადერთი დასკვნა ისაა, რომ ძალები, რომლებიც ნითელ არმიას იმხანად გააჩნდა პოლონეთის ტერიტორიაზე, მართლაც არ იყო საკმარისი, რათა აეღოთ ვარშავა, რომლის შენარჩუნება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ჰიტლერს, ვინაიდან ვარშავა მდებარეობდა საბჭოთა ჯარებისთვის უმოკლეს გზაზე გერმანიის გულისაკენ“.

ვერტის სიტყვით, თუკი რუსები მოინდომებდნენ ვარშავის აღებას, რადაც არ უნდა დაჯდომოდნენ, ე.ი. ხანმოკლე დროში სხვა ფრონტებიდან არმიებს გადაისროდნენ ვისლაზე (რაც იოლი როდი იყო), ისინი, ალბათ, მოახერხებდნენ ვარშავის აღებას უზარმაზარი მსხვერპლის ფასად. მაგრამ ეს ხელს შეუშლიდა სხვა გეგმების განხორციელებას.

ქალაქ ლიუბლინში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე დაუდგარი ვერტი ხვდება გენერალ როკოსოვსკის და ჯიქურ უსვამს კითხვებს.

როკოსოვსკიმ ასეთი პასუხი გასცა: „მე არ შემიძლია დეტალებზე ვილაპარაკო. მხოლოდ არსებითს გეტყვით: ბელორუსიასა და აღმოსავლეთ პოლონეთში მძიმე ბრძოლების შემდეგ, რამდენიმე კვირა რომ გრძელდებოდა, აგვისტოს დამდეგს ჩვენ მივუახლოვდით ვარშავას, მაგრამ გერმანელებმა ოთხი სატანკო დივიზია გადმოისროლეს და უკან დაგვახვეინეს“.

როკოსოვსკის სიტყვით, „არმია კრაიოვას“ სარდლობამ საშინელი შეცდომა ჩაიდინა. ეს პოლიტიკური ავანტიურა პოლონეთს ძალზე ძვირი დაუჯდებოდა (საუბარი მიმდინარეობს 26 აგვისტოს).

როკოსოვსკი ეკითხება ინგლისელ ჟურნალისტს: „ნუთუ თქვენ სერიოზულად გგონიათ, რომ ჩვენ ვარშავას არ ავიღებდით, ამის გაკეთება რომ შეგეძლებოდა?“ და დასძენს: „თავისთავად იმის გაფიქრება, რომ ჩვენ ერთგვარად გვეშინია „არმია კრაიოვასი“, იდიოტიზმამდე მისული უაზრობაა“.

ახლა ყური ვათხოვოთ მეორე მხარეს.

გერმანიის სატანკო ჯარების სახელგანთქმული სარდალი, გენერალი ჰაინც გუდერიანი, რომელსაც ვარშავის აჯანყების დროს გენერალური შტაბის უფროსის პოსტი ეჭირა, წერს: „არაერთხელ წამოჭრილა საკითხი, თუ რატომ მოხდა, რომ რუსებმა, იცოდნენ რა ვარშავის აჯანყების დაწყება, არაფერი მოიმოქმედეს, რათა აქტიურად დაეჭირათ მხარი მისთვის. უფრო მეტიც – მათ თავიანთი შეტევა შეაჩერეს ვისლასთან... მაგრამ, დაე, ყოფილმა მოკავშირეებმა ერთმანეთში გააჩრინეს ეს საქმე. ჩვენ, გერმანელებს, შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ რუსების შეტევა პოლონელთა აჯანყებისათვის საბოტაჟის განხორციელების ნადილმა როდი შეაჩერა, არამედ – ჩვენმა თავდაცვამ. გერმანიის მე-9 არმიის სარდლობის აზრით, რუსების ცდამ – იერიშით აეღოთ ვარშავა და გაეგრძელებინათ ჩვენი დევნა, რაც მანამდე თითქმის დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა, ამჯერად მარცხი განიცადა ჩვენი სასტიკი წინააღმდეგობის წყალობით“.

მოდი და გაიგე, ვინ არის მართალი...

14 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამართა საქართველოს ბაირონის საზოგადოების გაფართოებული სხდომა, რომელიც გახსნა და უძღვებოდა ამ საზოგადოების თავმჯდომარე, ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი, პროფესორი ინესა მერაბიშვილი, ამასთან, ნაიკითხა მის მიერ სხვადასხვა დროს თარგმნილი ლორდ ბაირონის ცალკეული ლექსები. ორიგინალის ენაზე ეს ლექსები დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჟურნალისტმა ნუგზარ რუხაძემ.

სხდომაზე მოკლედ განიხილეს ინესა მერაბიშვილის ორი მონოგრაფიული ნაშრომი: „თარგმანი — კულტურათა დიალოგი“

და „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, რომელთა შესახებაც პროფესორულად ისაუბრეს ამ წიგნების რედაქტორებმა ლალი კერესელიძემ და პროფესორმა დალი ფანჯიკიძემ და წარმოაჩინეს მათი გამოჩენილი მნიშვნელობა ჩვენი მეცნიერებისათვის.

საზოგადოებრივ გარემოში, სადაც გამძაფრებულია პირველობის, სხვათა ღვაწლის გაქრობისა და თუ მისაკუთრება-მითვისების ჟინი, ინესა მერაბიშვილისა და სხვათა გამოსვლები იმ მხრივაც გახლდათ სანიმუშო, რომ სათანადოდ, დიდი პატივისცემით შეფასდა წინამორბედთა წვლილი, როგორც ქართული ბაირონოლოგიის დარგში, ისე თარგმანის თეორიაში.